სიმონ ხუნდაძე

ნ. გ. ჩერნიშევსკი

ცხოვრება
მოღვაწეობა
აზროვნება

სახელგამი 1929 ტფილისი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

1928 წლის ივლისის 24-ს შესრულდა ნ. გ. ჩერნიშევსკის დაბადების ასი წლის თავი. სამწუხაროდ ამ დიდი მოაზროვნისა და სოციალისტის ასი წლის თავის აღნიშვნას ჩვენი საზოგადოება სრულიად მოუმზადებელი შეხვდა. სამაგიეროთ რუსეთის ლიტერატურაში გამოქვეყნდა მრავალი საინტერესო შრომა ნ. ჩერნიშევსკის შესახებ და გამოიცა უამრავი ისტორიული ხასიათის დოკუმენტი, რომელთაც საკვლევით ნათელი მოფინეს ამ პიროვნების აზროვნებასა და ცხოვრებას.

ნ. გ. ჩერნიშევსკის უდიდესი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებისა და რევოლუციონურ-სოციალისტურ მოძრაობის განმტკიცების საქმეში. მ ა რ ქ ს ი მას უწოდებდა რუსეთის უდიდეს ეკონომისტსა და კრიტიკოსს, ხოლო ლ ე ნ ი ნ ი ს თქმით ჩერნიშევსკი იყო „მარქსის წინადროის უდიდესი სოციალისტი“. თანამედროვე მარქსისტულმა ლიტერატურამ გარკვევით და ნათლად აღნიშნა, რომ რუსეთის სოციალისტური აზროვნების ისტორიაში ნ. ჩერნიშევსკის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და იგი ერთ-ერთი უდიდესი წინამორბედი იყო რუსეთში მეცნიერული სოციალიზმისა.

ნ. ჩერნიშევსკის განსაკუთრებულ ისტორიულ პერიოდში მოუხდა თავისი ლიტერატურული და პოლიტიკურ-რევოლუციონური მოღვაწეობის წარმოება. ეს იყო ეპოქა 60-ანი წლებისა, რომელიც ხასიათდებოდა რევოლუციონურ-სოციალისტურ აზროვნების აღორძინებითა და საზო-

გადოებრივი ძალების გამოცოცხლებით. ჩერნიშევსკი იყო ამ აღორძინების ეპოქის სულის ჩამდგმელი, მისი იდეური ხელმძღვანელი და შინაარსის მიმცემი. მისი აზროვნების შესწავლის გარეშე შეუძლებელი არის იმ დიდი ეპოქის შესწავლა და გაგება, რომელიც განსაკუთრებულ ეტაპს წარმოადგენს რუსეთის საერთო ცხოვრების ისტორიაში. მაგრამ რევოლუციამდე ჩერნიშევსკის შესწავლის საქმე — მისი აზროვნებისა და პოლიტიკურ-რევოლუციონური მოღვაწეობის გამოკვლევა, — ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, ადვილად ასახსნელი მიზეზების გამო. ჩერნიშევსკის მოღვაწეობა უხდებოდა სასტიკ ცენზურულსა და ცარიზმის არტახებით შებორკის მძიმე პოლიტიკურ პირობებში: ლეგალურ ლიტერატურაში მას არ შეეძლო ნათლად გამოეთქვა თავისი აზრები, ხოლო არალეგალურ შუშაობიდან მრავალი რამ დაიკარგა. რევოლუციამ ფართო შესაძლებლობა გადაშალა ჩერნიშევსკის შესწავლის საქმეში: ხელთნაწერებისა და სხვა ძვირფასი მასალების აღმოჩენამ მრავალ საიდუმლო საკითხს მოფინა ნათელი და შესაფერისი გაშუქება მისცა ჩერნიშევსკის სოციალ პოლიტიკურ აზროვნებას.

ეს წიგნაკი ამ ახალი შრომებისა და ახლად გამოქვეყნებულ მასალების მიხედვით არის დაწერილი.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის უმთავრესი შრომები, რომლებიც მეცნიერულად ახასიათებენ ჩერნიშევსკის საერთო მსოფლმხედველობას. უნდა ითქვას, რომ რუსეთის სოციალისტურ ლიტერატურაში ქვემოდ აღნიშნული ავტორების ზეგავლენით მუშავდებოდა და დღესაც მუშავდება აზრი ჩერნიშევსკის შესახებ. ყველაზე დიდი და საინტერესო თეორიული მუშაობა ნ. ჩერნიშევსკის შესწავლის საქმეში მარქსისტულ ლიტერატურას მიუძღვის. ამ მხრივ ყველაზე უფრო ადრე — 60-70-იან წლებში, თავისი შეხედულება ჩერნიშევსკიზე გამოსთქვა უდიდესმა მარქსისტმა —

თვით მარქსმა, რომლის აზრითაც"... ყველა თანამედროვე ეკონომისტთა შორის ჩერნიშევსკი ერთად-ერთს ნამდვილად ორიგინალურ მოაზროვნეს წარმოადგენს... მისი ნაწერები სავსეა ორიგინალობით, სიძლიერითა და აზრის სიღრმით... ჩერნიშევსკის პოლიტიკური სიკვდილი არის არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი ევროპის მეცნიერების დანაკლისი" [1]). კ. მარქსმა საფუძველი ჩაუყარა მარქსისტულ შეხედულებას ჩერნიშევსკიზე. რუსეთის ლიტერატურაში ამ მხრივ, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, პიონერობა გ. ვ. პლეხანოვს ეკუთვნოდა. მთელი 30 წლის განმავლობაში გ. პლეხანოვი სხვა და სხვა ნარკვევებში არჩევდა ჩერნიშევსკის და იხილავდა მის მსოფლმხედველობას. 1910 წ. მან გამოსცა ფუნდამენტალური შრომა ჩერნიშევსკის შესახებ, რომელშიაც იგი ჩერნიშევსკის ახასიათებდა, როგორც უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენელს რუსეთში[2]) გ. პლეხანოვის დახასიათებით ჩერნიშევსკი რამოდენიმეთ უახლოვდება მარქსის თვალსაზრისს, მაგრამ უმთავრესად მაინც უტოპისტია და რაციონალისტურ-განმანათლებლობის თვალსაზრისზედ დგას; გ. პლეხანოვი უარყოფდა სპეციფიურ ნაროდნიკულ ელემენტებს ჩერნიშევსკის აზროვნებაში; როგორც უტოპიურ სოციალისტს,—გ. პლეხანოვის განმარტებით,-ჩერნიშევსკის ახასიათებდა პოლიტიკური ინდიფერენტიზმი და მშვიდობიანი მეთოდი[3]). აღსანიშნავია, რომ ბევრ რამეში გ. პლეხანოვის შეხედულება ჩერნიშევსკიზე შემცდარად უნდა ჩაითვალოს[4]). ნ. ლენინს სპეციალური გამოკვლევა ჩერ-

---

[1]) იხ. „Г. А. Лопатин" 1922 წ.

[2]) Г. В. Плеханов: „Н. Г. Чернышевский." 1910 წ.

[3]) შეადარეთ: К. Пажитнов: „Развитие социалистических идей в России" ტ. I, 1924 წ.

[4]) პლეხანოვის ნარკვევები ჩერნიშევსკიზე თავმოყრილია მის თხზულებათა V-VI ტომებში.

ნიშევსკის შესახებ არ დაუწერია, მაგრამ მის ნაწერებში უხვად არის გაბნეული მოსაზრებანი ჩერნიშევსკის სოციალ-პოლიტიკურ და ისტორიულ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობათა დახასიათების შესახებ[1]). ლენინის დახასიათებით ჩერნიშევსკი იყო მარქსის წინადროის სოციალისტი[2]), რომელსაც ახასიათებდა როგორც უტოპიურ-ნაროდნიკული მსოფლმხედველობა, ისე მატერიალისტურ-მეცნიერული სოციალიზმის ელემენტები. თავის სოციალისტურ აზლოვნებაში ჩერნიშევსკიმ ბევრად წინ გაუსწრო გერცენს; ლენინი სწერდა: „გაბატონებულ მიმდინარეობად, რომელიც შეესაბამებოდა რაზნოჩინელის თვალსაზრისს, გადაიქცა ნაროდნიკობა. მას, როგორც საზოგადოებრივ მიმდინარეობას, არასოდეს არ შეეძლო გამიჯნოდა მარჯვნით ლიბერალიზმსა და მარცხნით ანარქიზმს. მაგრამ ჩერნიშევსკიმ, რომელმაც გერცენის შემდეგ განავითარა ნაროდნიკული აზრები, მეტად დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ გერცენის საწინააღმდეგოდ. ჩერნიშევსკი იყო ბევრად უფრო თანმიმდევნო და შებრძოლი დემოკრატი. მისი ნაწერებიდან ქრის კლასთა ბრძოლის სული. ის უფრო მკაცრად ატარებდა ლიბერალიზმის მხილების იმ აზრს, რომელიც დღემდე ეზარებათ კადეტებსა და ლიკვიდატორებს. იგი მეტად მნიშვნელოვანი კრიტიკოსი იყო კაპიტალიზმის, მიუხედავად თავისი უტოპიური სოციალიზმისა“ [3]), ლენინს ჩერნიშევსკი გლეხური რევოლიუციის იდეოლოგად მიაჩნდა რუსეთში. ამიტომ იყო, რომ ლენინი მეტად აფასებდა ჩერნიშევსკის, მიუხედავად იმისა, რომ მის აზროვნებაში მატერიალისტურ და კლასთა ბრძოლის პრინკი-

---

[1]) ლენინის ინსტიტუტმა ცალკე წიგნაკათ გამოსცა ლენინის შეხედულებანი ჩერნიშევსკზე. იხ. „Ленин о Чернышевском“ 1928 წ.

[2]) Н. Ленин: соб. Соч. ტ. XIII გვ. 159-60.

[3]) იგივე ტ. XX, I, გვ. 450—51; „Ленин о Чернышевском„ გვ. 108.

პთან ერთად, რაციონალისტურსა და უტოპიურ ელემენტებსაც ნახულობდა. ლენინის მოსაზრებებს დღეს იზიარებენ მთელი რიგი მკვლევარებისა (მ. პოკროვსკი[1]), მ. გორევი[2]), ნ. როჟკოვი[3]) და სხვები). საინტერესოა და მდიდარია მასალებით ი. სტეკლოვის ორტომიანი შრომა, რომლის საერთო მოცულობა 1300 გვერდს აღემატება[4]) სტეკლოვს აქვს მთელი რიგი სხვა შრომებისა, სადაც იგი თავისებურად აშუქებს ჩერნიშევსკის აზროვნებას. მისი შეხედულება ძირიანად განსხვავდება გ. პლეხანოვის შეხედულებისაგან, განსხვავდება აგრეთვე ლენინის შეხედულებისგანაც. სტეკლოვის განმარტებით ჩერნიშევსკი იყო პირდაპირი წინამორბედი რუსეთის მარქსიზმისა: მთელი რიგი თეორიულ-პრინციპიალური და პრაქტიკულ-პოლიტიკური საკითხებისა ჩერნიშევსკიმ მარქსისტულად გააშუქა. სტეკლოვი უარყოფს უტოპიურ ელემენტების სიჭარბეს ჩერნიშევსკის ნაწერებში: [5]) რევოლუციონურ ტაქტიკის საკითხში იგი ძლიერ მიუახლოვდა მარქსიზმსა და თანამედროვე კომუნიზმს[6]); ხოლო თეორიულად მეცნიერულ სოციალიზმთან უფრო ახლოს იდგა, ვინემ უტოპიურ სოციალიზმთან. მიუხედავად შემცდარი დებულებებისა, სტეკლოვის შრომები მაინც ძვირფას განძს წარმოადგენს ჩერნიშევსკის შესწავლის საქმეში[7]).

---

[1]) „Чернышевский как историк"

[2]) „Популярная история социализма".

[3]) „Русская история" ტ. XI გვ. 137.

[4]) Ю. Стеклов: „Н. Г. Чернышевский. Его жизнь и деятельность" ტ. I—2, 1928 წ. პირველი გამოცემა გამოვიდა 1909 წელს ერთ ტომად.

[5]) Ю. Стеклов: Был ли Чер-кий утопистом" ჟურნ. Под Знаменем Марксизма № 1-2 1928 წ.

[6]) სტეკლოვის შრომა ტ. I გვ. 465.

[7]) ჩვენ აქ არ ვებებით 1928 წელს გამოსულ წიგნებს: ვ. იკოვის „Н.Г.Чернышевский", ფლოროვის Н.Г.Чернышевский; შორს წაგვიყვანდა აგრეთვე აღნიშვნა იმ უამრავ წერილებისა, რომელიც მოთავსებული იყო რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში.

აქ უნდა აღინიშნოს სუბიექტიური სოციოლოგიის სკოლის წარმომადგენელთა შრომები ჩერნიშევსკის შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია ივანოვ-რაზუმნიკის გაშუქება ჩერნიშევსკის მსოფლმხედველობისა: მისი განმარტებით, ჩერნიშევსკი წავიდა წინ გერცენის მიერ გატკეპნილი გზით; ჩერნიშევსკიმ ნაროდნიკობას მისცა მეცნიერული ფორმა... ჩერნიშევსკი უტოპიური სოციალისტი არასოდეს არ ყოფილა[1]). ამრიგად ჩერნიშევსკის ნაროდნიკობა წარმოადგენდა, ერთის მხრივ, გერცენის ნაროდნიკობის გაგრძელებასა და, მეორეს მხრივ, შესავალს მიხაილოვსკის ნაროდნიკობისათვის (იქ. გვ. 32). მაგრამ ავტორს არ მოსწონს ჩერნიშევსკის „მატერიალისტური მონიზმის თეორია"; ფილოსოფიაში ჩერნიშევსკიმ ნაბიჯი გერცენიდან უკან გადასდგა, და მხოლოდ 70-იანი წლების „სუბიექტივისტებმა" (ლავროვი, მიხაილოვსკი) გამოასწორეს მისი შეცდომები. ასეთსავე აზრს გამოსთქვამდა ესერი მ. ანტონოვი ჩერნიშევსკის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესახებ: ჩერნიშევსკის მატერიალიზმი, არსებითად არა სრული, შეიძლება ახსნილი იქნეს მხოლოდ, როგორც მკაცრი რეაქცია ძველი მსოფლმხედველობის წინააღმდეგ[2]). არც ნ. კუდრინი-რუსანოვი ჩამორჩა თავის თანამოაზრეებს ჩერნიშევსკის ფილოსოფიური აზროვნების შეფასების საქმეში. ჩერნიშევსკი ამ

---

[1]) Иванов-Разумник: „История русской общественной мысли" ტ. II. გვ. 8. 1911 წ. რასაკვირველია, შემცდარია ავტორის მტკიცება, თითქოს ნაროდნიკობა არ წარმოადგენდა რუსულს ნიადაგზედ აღმოცენებულს უტოპიურ მოძღვრებას. ივანოვ-რაზუმნიკის შეხედულება გააკრიტიკა პლეხანოვმა წერილში: „Идеология мещанина нашего времени". იხ. აგრეთვე ივ.-რაზუმნიკის პასუხი კრებულში „Литература и общественность" 1910 წ.

[2]) М. Антонов: „Чернышевский. Социально-философский этюд". გვ. 42, 1910 წ.

ავტორის განმარტებითაც 60-იანი წლების ნაროდნიკული აზროვნების წარმომადგენელი იყო[1]).

ქართული საზოგადოებისათვის ნ. ჩერნიშევსკის აზროვნებისა და მოღვაწეობის გაცნობა ორი მხრით არის საინტერესო: ჩერნიშევსკი საინტერესოა, როგორც მეცნიერი და რევოლუციონერი-სოციალისტი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა რუსეთის სოციალისტური აზროვნების განვითარების საქმეში; მეორეს მხრივ — ჩერნიშევსკის იდეური ვავლენით ჩამოყალიბდა მე-60 წლებში ახალი ნიმდინარეობა ქართულ ლიტერატურასა და ინტელიგენციაში. ამიტომ ამ წიგნს ჩვენ დაურთეთ ნარკვევი: ნ. ჩ ერ ნ ი შ ევ ს კ ი და მე-60 წ ლ ებ ი ს ქ ა რ თ უ ლ ი ინ ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ა.

* * *

---

[1]) Н. Русанов: „Чернышевский и Россия 60-х годов", წიგნში: „Социалисты Запада и России", 1909 წ. აგრეთვე მისივე: „Ученики Маркса о Чернышевском" ჟურ. „Рус. Богатство" № 11.1909 წ. „Чернышовский в Сибири" იქვე № 5, 1910. წ.

თავი პირველი

ოჯახი და სკოლა

ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი დაიბადა 1828 წ. ივლისის 12-ს ქ. სარატოვში. იგი შთამომავლობით სასულიერო წოდებისა იყო. 1836 — 42 წლებში იგი ირიცხებოდა სასულიერო სასწავლებლის მოწაფედ, მაგრამ შინ სწავლობდა და მხოლოდ კლასიდან კლასში გადასაყვან გამოცდებს აბარებდა სასწავლებელში. 1842 — 45 წ. ჩერნიშევსკი სწავლობდა სასულიერო სემინარიაში, სადაც მან გამოიჩინა დიდი ნიჭი და დაწინაურება. მას უწინასწარმეტყველებდენ დიდ კარიერას სასულიერო წოდების ასპარეზზე. მაგრამ ჩერნიშევსკის აზროვნება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება ამის საწინააღმდეგო გზით განვითარდა: ნაცვლად თეოლოგიისა, შემდეგში მან შეითვისა მატერიალისტური ფილოსოფია, ხოლო საზოგადოებრივ საკითხებში მასზე დიდი გავლენა მოახდინა ევროპის სოციალისტურმა და რადიკალური მოაზროვნეების სამოღვაწეო პროგრამამ. ამრიგად, ნაცვლად სასულიერო წოდებისა, ნ. გ. ჩერნიშევსკიმ აირჩია რევოლუციონერისა და სოციალისტის ეკლიანი გზა. ჩერნიშევსკის აზროვნების ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო მე-40 წლების დიდი პოლიტიკური და სოციალური მოვლენების გავლენის ქვეშ, მაგრამ მასში რადიკალური მოაზროვნისა და გრძნობიერი დემოკრატის გამოსამუშავებლად თავიდანვე მზადდება ნიადაგი.

ნ. გ. ჩერნიშევსკიმ თავისი ყმაწვილობა განსაკუთრებულს პირობებში გაატარა[1]). მისი ხასიათისა და შემდეგში აზროვნების შემუშავებაზე განსაკუთრებით გავლენა მოახდინა იმ ობიექტიურ-საზოგადოებრივმა გარემოებამ, რომელშიაც გაატარა თავისი ბავშობა და მოწაფეობა ნიჭიერმა და გრძნობიერმა ახალგაზრდამ. ამ მხრივ აღსანიშნავი არის ორი მომენტი: ერთი მხრივ საუკეთესო ოჯახური პირობები, ხოლო — მეორე მხრივ კი — მთელი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობა და უკულმართობა. ორივე ამ გარემოებამ თავისი დაღი დაასვა ჩერნიშევსკის პიროვნებისა და აზროვნების განვითარებას. ჩერნიშევსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ-ერთი მკვლევარი ევ. ლიაცკი, ჩერნიშევსკის ოჯახური პირობების შესახებ სწერს: „მთელი გარემოება, რომელშიაც გაიშალა ეს შესანიშნავი და თავისებური პიროვნება, წარმოადგენდა ბუნებრივ, გარკვეულ-მორალურსა და ზნეობრივ კულტურის ისეთ მთლიან წრეს, რომ გადაუჭარბებლად შეიძლება ეწოდოს მას იშვიათი ოჯახური ატმოსფერა ყმაწვილში დამოუკიდებელი აზროვნებისა, ჯანსაღი, ნორმალური გრძნობების და ძლიერი ნებისყოფის გასანვითარებლად. შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე კარგი, რომლის მოცემაც კი შეეძლო გასული საუკუნის ძველ რუსულ ცხოვრებას, შეერთებული იყო ამ ოჯახში, რომ გადაერჩინა მომავალი მწერალი რუსეთის სინამდვილის იმ შავი მხარეებისაგან, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლამ მრავალი გრძნობიერი ცხოვრება იმსხვერპლა“ [2]). მართლაც, ავტორის ასეთს დახასიათებას საკვებით ამოწმებს

---

[1]) В. Чешихин-Ветринский: „Н. Чернышевский“, წერილი: „Ранние годы Н. Чернышевского“.

[2]) Е. Ляцкий: „Н. Г. Чернышевский в годы учения и на пути в университет“ ჟურნ.: Современный мир № 5 გვ. 45-6, 1908 წ.

თვით ნ. გ. ჩერნიშევსკი იმ წერილით, რომელიც მან გამოგზავნა შორეულ ციმბირიდან 1878 წ.. ამ წერილში ჩერნიშევსკი იგონებს რა თავის ძველ ოჯახსა და მუშაობას, სწერს: „ამიტომ ჩვენ, რომელნიც ვიზრდებოდით პატიოსანსა და სათნო საზოგადოებაში, შეგვიმუშავდა სათნო და გონიერი ჩვეულებანი... ვიზრდებოდით ჩვენ ისე, როგორც ატარდებენ ცხოვრებას დიდები, ე. ი. ვაკეთებდით მას, რაც ჩვენ გვინდოდა" [1]). ასეთმა ოჯახურმა პირობებმა ხელი შეუწყეს ჩერნიშევსკის პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას: მან მიიღო შესაფერისი სწავლა, გამოიმუშავა მტკიცე ნების-ყოფა და შეითვისა საუკეთესო სულიერი თვისებები. მაგრამ ამ მომენტებს უნდა დაერთოს შემდეგი გარემოებაც: ნ. ჩერნიშევსკიმ მიიღო აღზრდა საკმაოდ დემოკრატიული. მიუხედავად იმისა, რომ მისი ოჯახი ითვლებოდა მდიდარ ოჯახად ქ. სარატოვში, ჩერნიშევსკის არისტოკრატიული და მდიდრული ცხოვრება არ განუცდია. საქმე იმაშია, რომ ჩერნიშევსკის ოჯახი თავისი შემოსავლით ძლივს იკმაყოფილებდა მოთხოვნილებებს და ოჯახის წევრებს ფუფუნებისა და არისტოკრატული ცხოვრებისათვის არ ჰქონდათ მატერიალური შესაძლებლობა. ეს არა ერთხელ აღუნიშნავს თვით ჩერნიშევსკის თავის მოგონებებსა და კერძო წერილებში. იმავე წერილში ციმბირიდან იგი სწერდა: „ჩვენ ძლიერ არამდიდრულად ვცხოვრობდით... ჩვენი ოჯახი არ იყო ღარიბი. საჭმელი ბლომად გვქონდა და ტანთსაცმელიც, მაგრამ ფული კი არასოდეს არ გვქონია. ამიტომ გუვერნანტკები და მათი მსგავსი ძილშიაც არ დაესიზმრებოდათ ჩვენს უფროსებს. არ გვყოლია არც ძიძები. მოსამსახურეები ბლომად გვყავდა, მაგრამ ყველა ისინი საოჯახო საქმეებით იყვნენ დატვირთული.. ორივე მამები

---

[1]) Чернышевский в Сибири, ნაკვეთი III, 1913 წ.

(ერთი ჩერნიშევსკისა და მეორე ა. ნ. პიპინის — ს. ბ.) სწერდენ დილიდან საღამომდე თავიანთ სამსახურის ქალალდებს. მათ სტუმრად წასასვლელი დროც კი არ ჰქონდათ. ჩვენი დედები — დილიდან საღამომდე მუშაობდენ. ბოლოს დაქანცულები ისვენებდენ წიგნის კითხვით... მათ უნდა ეკერათ შვილებისა და ქმრებისათვის, თვალყური ედევნებიათ ოჯახისათვის და ეზრუნათ ყოველგვარი საშვალებით მოხმარებოდენ უფულო მეურნეობას"[1]).

ამრიგად ჩერნიშევსკის არ მიუღია არისტოკრატული აღზრდა; მაშინდელ რუსეთის ცნობილ საზოგადო მოღვაწეებისგან განსხვავებით, ჩერნიშევსკი აღიზარდა დემოკრატიულ ატმოსფერაში. გარდა ამისა, იზრდებოდა რა ახალგაზრდა ნიჭიერი ყმაწვილი დემოკრატიულად, დაკავშირებული ყმა-გლეხებთან, უფლება წართმეულ ყმის შვილებთან, იგი ნათლად ამჩნევდა იმ უკულმრთობას და გაუნათლებლობას, რომელიც მეფობდა წალხურ მასაში ბატონყმურ პირობების გამო; იგი ნათლად ამჩნევდა ადამიანის პიროვნების გაქელვას, ძალდატანებასა და სისასტიკეს, ბატონყმურ არტახებით შებორკილ რუსეთის უარყოფითსა და დასაგმობ მოვლენებს[2]). აქედან თანდათან შემუშავდა ახალგაზრდა ჩერნიშევსკიში — ზიზღი არსებულ წყობილებისადმი.

ამრიგად ოჯახურმა და საზოგადოებრივმა პირობებმა თავიდანვე ხელი შეუწყვეს ჩერნიშევსკის პიროვნების თავისებური მიმართულებით განვითარებას: მასში ბავშობიდანვე განვითარდა ისეთი თვისებები, რომელიც შემდეგში ახასიათებდენ ჩერნიშევსკის, როგორც პიროვნებას, საზოგადო მოღვაწეს და მოაზროვნეს. მატერიალურმა დამოუკიდებლობამ და მშობლების გავლენამ იგი შეაჩვია წიგ-

---

[1]) იქვე.

[2]) К. Беркова: „Н. Чернышовский", 1925 წ.

ნების კითხვასა და აზროვნებას. ჩერნიშევსკი 16 წლის იყო, როდესაც იგი უკვე დიდ ნაკითხ და ყველაზე უფრო მომზადებულ მოწაფედ ითვლებოდა; 1844 — 45 წლებში მან დასწერა მთელ რიგი ფილოსოფიური თემებისა[1]) სემინარიაშივე მან დასწერა თხზულება თემაზე: „Обманывают ли нас чувственные органы», რომელშიაც გამოამეღავნა თავისი რეალისტური მიდრეკილებანი. ამ შრომაში იგი ამტკიცებდა, რომ ჩვენი წარმოდგენები ეთანაბრებიან მხოლოდ არსებულ საგნებს. 16 წლის ჩერნიშევსკიმ უკვე იცოდა ფრანგული, ინგლისური, პოლონური, ლათინური, ბერძნული, ებრაული ენები; აგრეთვე სწავლობდა სპარსულ ენას ფორთოხლით მოვაჭრე სპარსელთან.

[1]) Проф. С. Каценбоген: Философские воззрения Н. Чернышевского გვ. 115-16 სარატოვში გამოცემულ კრებულში 1928 წ.

თავი მეოთხე

40-იანი წლები და ნ. ჩერნიშევსკი

ასეთი გონებრივი და ზნეობრივი კაპიტალით შევიდა ჩერნიშევსკი პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც იგი სწავლობდა ფილოლოგიურ ფაკულტეტზე 1846-1850 წ., განმავლობაში. უნივერსიტეტის პერიოდი მეტად შინაარსიანსა და საინტერესო ხანას წარმოადგენს ჩერნიშევსკის ცხოვრებაში[1]). მოწაფეობის დროს შეძენილი ცოდნა აქ უფრო გაიშალა, დამთავრებული სახე მიიღო. მისი აზროვნება გაფართოვდა ახალი მეცნიერული ცოდნით, მან უკვე შეიმუშავა საფუძვლები თავისი ახალი შეხედულებებისა. ამ ახალი აზროვნების საფუძვლების შემუშავებაზე დიდი გავლენა მოახდინა ევროპის საუკეთესო მოაზროვნეებმა—მათ შორის ფეიერბახმა და უტოპისტ-სოციალისტებმა[2]). გარდა იმისა, რომ უნივერსიტეტში ჩერნიშევსკი გულმოდგინედ სწავლობდა საავალდებულო საგნებს, იგი მთელ თავისუფალ დროს ახალ მეცნიერების შესწავლას ანდომებდა და დაბეჯითებით ადევნებდა თვალყურს ევროპის მაშინდელ ვითარებას.

---

[1]) Е. Лящкий: Чернышевский в 1848 1850 г.г. ჟურნ. „Совр. Мир. № 2-3, 1912 წ.

[2]) ჩერნიშევსკიზე დასავლეთ ევროპის მოაზროვნეთა გავლენის შესახებ იხ. ე. ლ ი ა ც კ ი ს: Чернышевский и учителя его мысли". ჟურნ. „Совр. мир" № 10-11, 1910 წ. ი. სტეკლოვის: Западные влияния в мировозрении Н.Г. Чернышевского., ჟურნ. Летописи Марксизма № 6, 1928 წ. მისივე: Н Г. Чернышевский, ტ. I, 28 წ

ჩერნიშევსკიმ ამ პერიოდის (1848—53 წ.) თავის მოღვაწეობიდან დაგვიტოვა უშესანიშნავესი ლიტერატურული დოკუმენტი — „დ ღ ი ურ ი“, რომელსაც აწარმოებდა იგი ყოველდღიურად და რომლის საშუალებით ჩვენ შეძლება გვაქვს დეტალურად განვიხილოთ მისი სულიერი ზრდისა და აზროვნების განვითარების მთავარი მომენტები. როდესაც ეცნობით ამ ძვირფასს ლიტერატურულ დოკუმენტს—ახალგაზრდა ცხოვრების მატიანეს, — თქვენ გრძნობთ, რომ ამ დ ღ ი ურ ე ბ ი ს ავტორს უდიდესი როლი უნდა ეთამაშნა რუსეთში, რომ იგი უნდა გამხდარიყო რევოლუციონურ-დემოკრატიული აზროვნების მეთაური; „დ ღ ი ურ ი თ“ მტკიცდება, რომ ჩერნიშევსკი, ერთი მხრივ, ნათლად ამჩნევდა რუსეთის ცხოვრების ჩაშორჩენილობას, ნიკოლოზ პირველის რეაქციის საშიშროებას, ბატონყმურ მეურნეობის სისაძაგლეს, გონებრივსა და ზნეობრივს სივიწროვეს; მეორე მხრივ, ევროპის მაშინდელი ვითარება და გონებრივი წარმატება დიდ იმედებს აღვიძებდა მასში: განსაკუთრებით ევროპის სოციალისტურმა აზროვნებამ პირდაპირ შეიპყრო იგი, ხოლო 1848 წ. რევოლუციებმა ევროპის კონტინენტზე და მუშათა კლასის ამოძრავებამ დიდი გავლენა მოახდინა ჩერნიშევსკის საზოგადოებრივი აზროვნების შემუშავებაზე.

აღსანიშნავი არის ის გარემოება, რომ სოციალისტურ აზროვნებასა და სოციალისტურ მოძრაობას ჩერნიშევსკი რევოლუციონურ პერიოდში გაეცნო და, უმთავრესად, შეითვისა მშვიდობიან სოციალისტების — ფურიეს, ლუი ბლანისა და სხვა სოციალისტ-უტოპისტების შეხედულებანი. მაგრამ ამ მშვიდობიან სოციალისტებიდან მხოლოდ კაპიტალისტურ წყობილების კრიტიკა და მომავალი წყობილების ფორმები შეითვისა მან; ხოლო ტაქტიკისა და მეთოდის საკითხში მისი უშუალო მასწავლებელი შეიქმნა 1848 წ. რევოლუციონური ქარტეხილები და ო. ბლანკი.

პირველი სოციალისტი, რომელსაც გაეცნო ჩერნიშევსკი და რომელმაც ხელი შეუწყო მისი საზოგადოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების საქმეს, იყო შარლ ფურიე. ჩერნიშევსკი ჯერ კიდევ 1848 წ. მიწურულში ეცნობა ფურიეს მოძღვრებას და ითვისებს ფურიერიზმის მრავალ დადებით მომენტებს [1]). ბუნდოვანად სოციალისტურ აზროვნებას მანამდეც ეცნობოდა გაზეთების საშუალებით ჩერნიშევსკი და მისდამი სიმპატიებით იმსჭვალებოდა. აღნიშნულ ხანაში კი იგი არსებითად დაინტერესებულია ევროპის სოციალისტური მოძრაობით. 1848 წელს ივლისის 28-ს იგი სწერს თავის დღიურში: „სულ უფრო და უფრო ერწმუნდები სოციალისტების სიმართლეში“. რამდენიმე დღის შემდეგ ჩერნიშევსკის შეაქვს დღიურში: „არსებითად მე მწამს, რომ დადგება დრო, როდესაც ლუი ბლანის გეგმების მიხედვით დაიწყებენ ცხოვრებას: თვითოეული იმუშავებს თავის შეძლებისდაგვარად და მიიღებს თავის მოთხოვნილების მიხედვით. ეს აუცილებლად იქნება მაშინ, როდესაც წარმოება გადიდდება და საკუთრება აღარ იქნება ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, რადგან ყველას ექნება იმდენი, რამდენიც მას ესაჭიროება, და ამიტომ წინასწარ დატაცებას და შენახვას არავითარი აზრი არ ექნება“.

ამ მომენტიდან ჩერნიშევსკი გულმოდგინეთ ეცნობა სოციალისტურ სისტემებს, კითხულობს სოციალისტურ წიგნებს და სულ უფრო და უფრო იმსჭვალება სოციალისტური აზრებით. ფურიესა და ფურიერისტების მკაცრი კრიტიკა კაპიტალისტური წყობილებისა და კაცობრიობის გარდაქმნა სოლიდარობისა ‖ ჰარმონიის საფუძველზე—ძირითად შეხედულებათ გადაიქცა ჩერნიშევსკისათვის. გარდა

---

[1]) Е. Лацкий: Н. Г. Чернышевский и Ш. Фурье. журн. „Современный мир“ № 11, 1909 г.

ფურიესი და მისი სკოლის მოწაფეებისა (ვ. კონსიდერანი და სხვები) ჩერნიშევსკიმ 1848 წლების რევოლიუციონურ პერიოდში დიდი გავლენა განიცადა ლუი ბლანისა. „თეორეტიულად, მე ყველაზე უფრო უთანაგრძნობ ლუი ბლანს იმიტომ, რომ ის პირველი ჩემი მასწავლებელი იყო ამ საკითხებში; იმიტომ, რომ ლიუქსემბურგის კომისიაში მისი საუბრების საშუალებით მე გავიგე ყველა ეს საკითხები“[1]). შემდეგში ჩერნიშევსკის ლუი ბლანისადმი დამოკიდებულება არსებითად შეიცვალა და მას სასაცილოდ არ ყოფნიდა ის შეთანხმებული პოლიტიკა, რომელსაც დაადგა 1848 წლის რევოლუციაში ლუი ბლანი. მაგრამ პირველ ხანებში კი ჩერნიშევსკი პირდაპირ ქედს იხრიდა ლუი ბლანის აზროვნებისა და მისი სოციალიზმის წინაშე. 1848 წლის აგვისტოს 2-ს იგი თავის „დღიურში“ სწერს: „ისტორიაში მწამს პროგრესი, პოლიტიკაში პატივისცემა დასავლეთისადმი და შეხედულება, რომ ჩვენ არ მივდივართ მათთან ერთად თანაბრათ. ისინი—ვაჟკაცებია, ჩვენ—კი ბავშები. ჩვენი ისტორია განვითარდა სხვა საფუძვლებიდან, ჩვენ კლასთა ბრძოლა ჯერ არ გექონია, ანდა ახლად იწყება და მათი პოლიტიკური შესედულებანი არ შეესაბამებიან ჩვენს სახელმწიფოს. ეგონებ, მე ვეკუთვნი უკიდურეს პარტიას „ულტრას“. ლერუს შემდეგ განსაკუთრებით მე ლუი ბლანი მიტაცებს; მათ მოწინააღმდეგეებს მე ესთვლი ასჯერ უფრო დაბლად მდგომად“[2]). რამდენიმე დღის შემდეგ ჩერნიშევსკი სწერს თავის თავზე, „მე ტერორისტი და წითელ რესპუბლიკის მიმდევარი ვარ“.

ამრიგად ნ. ჩერნიშევსკიმ უკვე 1848 წ. ნათლად და გარკვევით შეითვისა დასავლეთ ევროპის სოციალისტური აზროვნების ზეგავლენით სოციალიზმის მოძღვრება; მაგ-

---

[1]) Н. Г. Чернышевскій: Литературное наследие т. I, გვ. 498.
[2]) იქვე. გვ. 225.

რამ მისი აზროვნება მაინც არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს: ჩერნიშევსკი ჯერ კიდევ ვერ ერკვევა კრიტიკულად სოციალისტურ სისტემებში. თუ ევროპის უტოპიურმა და მშვიდობიანმა სოციალიზმმა მას აუხილა თვალები, შეაძულა ბურჟუაზიული მსოფლიო და მისი აზროვნება სოციალიზმისაკენ მიმართა, სამაგიეროდ 1848 წლის რევოლიციონურმა მოძრაობამ ლ იაკობინური მემარცხენე პარტიების რევოლიუციონურმა პოლიტიკამ მას ნათლად დაანახვა, რომ მშვიდობიანი გზით შეუძლებელი არის არსებული წყობილების მოსპობა, რომ რეფორმისტულ-ოპორტუნისტული გზა სრულიად გამოუსადეგარია დიდი სოციალური ტრანსფორმაციების მოსახდენად. ამიტომ იგი სრულიად სამართლიანად სწერდა თავის შესახებ 1848 წლის სექტემბრის 18-ს „მე მგონია, რომ ჩემი შეხედულებებისა და კაცობრიობის საბოლოო მიზნების მიხედვით მე გადაჭრით გავხდი სოციალისტებისა და კომუნისტების და უკიდურეს რესპუბლიკანელების, მონტანიარების — პარტიზანი“.

მაგრამ ეს კომუნიზმისა და უკიდურესი რევოლუციონური რესპუბლიკანელების პარტიზანი ლუი ბლანისა და ფურიერიზმის სოციალისტურ სისტემებში ეძებდა თავის დასაყრდენ თეორიულ საფუძველს; მას ჯერ კიდევ კარგად არ ესმოდა, რომ ლუი ბლანი და ფურიე არსებითად ვერ ეგუებოდენ რევოლუციონურსა და იაკობინურ ტაქტიკას. 50-წლებში, როდესაც ჩერნიშევსკის აზროვნება უფრო გაღრმავდა და მომწიფდა, მან ნათლად შეიგნო ფურიერიზმისა და ლუი ბლანიზმის უარყოფითი მხარეები და შეუდგა თავისი რევოლუციონური სისტემის ჩამოყალიბებას.

რევოლუციონური ტაქტიკის აუცილებლობა და დასაბუთება წითელ ზოლივით არის გატარებული ჩერნიშევსკის მთელს დღიურში. 1850 წ. 15 მაისს იგი სწერს:

„დიახ, მე ახლა ვგრძნობ არა უბრალოდ, როგორც რამოდენიმე ხნის წინად, გაზეთებიდან ამოკრეფილ სხვა და სხვა აზრების შეთვისებით, რომელიც ქმნის სოციალიზმის მომხრედ და ძალდატანებისა და ჩამორჩენილობის მტრად, არამედ მე ვიგრძენი ახლა ჩემი თავი პირად მტრად .. ისე როგორც გრძნობს ამას შეთქმული (заговорщик), როგორც გრძნობს ამას გენერალი მოწინააღმდეგეთა გენერლის მიმართ, რომელსაც უნდა გაუმართოს ხვალ-ზეგ ომი; დღეს არსებითად განვიცადე, რომ მე შემიძლია ყველაზე საშინელი, ყველაზე უფრო გაბედული მოქმედება ჩავიდინო“ (იქვე).

დგება რა ამ გაბედულ და რევოლუციონურ ტაქტიკის ნიადაგზე, ჩერნიშევსკი არა მარტო მთელი თავისი არსებით ემხრობა ევროპის რევოლუციონერებისა და იაკობინური ტაქტიკის მიმდევრებს, არამედ იგი რუსეთშიაც ფიქრობს ასეთი ტაქტიკის გამოყენებას. შეიძლება ითქვას, რომ ჩერნიშევსკი პირველი სოციალისტია რუსეთში, რომელმაც ევროპის 1848 — 50 წლების სოციალისტური მოძრაობის ზეგავლენით ღრმად შეიგნო რევოლუციონური ტაქტიკის გამოყენების აუცილებლობა რუსეთში გაბეფებულ დახავსებულ წყობილების დამსხვრევის საქმეში. მაგრამ ჩერნიშევსკი მომხრე იყო არა მხოლოდ ინტელიგენციისა და ზედა ფენების რევოლუციონურ მოძრაობისა, არამედ — ხალხური მასების რევოლუციონურ ძალდატანების ტაქტიკისა; იგი გლეხური რევოლუციის იდეოლოგი იყო. ჩერნიშევსკი სწერდა თავის დ ღ ი უ რ შ ი: „უკეთესია ანარქია ქვევიდან, ვინემ ზევიდან... აი ჩემი აზრები რუსეთის შესახებ: რევოლუციის უახლოეს დროში მოლოდინი და ჩემი იმედები მასზე, — თუმცა მე ვიცი, რომ დიდ ხანს, შეიძლება, ძლიერ დიდხანს, აქედან თითქმის არაფერი გამოვიდეს, ასე რომ დიდიხნობით შეიძლება კიდევ გაძლიერდეს ჩაგვრა და სხვ... მშვიდობიანი წყნარი

განვითარება შეუძლებელია... ისტორიაში კონვულსიების გარეშე შეუძლებელი არის ერთი ნაბიჯის გადადგმაც წინ... სისულელეა ვიფიქრო, რომ კაცობრიობას შეუძლიან წავიდეს პირდაპირ და თანაბრად წინ, მაშინ როდესაც ასეთი რამ დღემდე არასოდეს არ ყოფილა" [1]).

ნ. ჩერნიშევსკის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების დასახასიათებლად და იმ ტაქტიკის გამოსარკვევად, რომელსაც დაადგა იგი უკვე 48 წლის რევოლუციის შემდეგ, მეტად საინტერესო მასალას იძლევა მისი დ ღ ი უ რ ი ს ის ნაწილი, სადაც იგი ესაუბრება თავის საცოლეს ოლგა სოკრატის ასულს — თავისი მუშაობისა და გეგმების შესახებ. 1853 წ. 19 თებერვლის თარიღით თავის დღიურში ჩერნიშევსკის შეაქვს შემდეგი საუბარი;

„მე ისეთი აზრების მიმდევარი ვარ, რომ ყოველ წუთს უნდა მოველოდე—მოვლენ ჟანდარმები, წამიყვანენ პეტერბურგში და დამამწყვდევენ ციხეში, ღმერთმა იცის თუ რამდენი ხნით. მე აქ ისეთ საქმეებს ვაკეთებ, რომელთაც კატორღის სუნი უდის, მე ისეთ საქმეებზე ვლაპარაკობ კლასში... მე არ შემიძლია უარი ვსთქვა ჩემ აზრებზე იმიტომ, რომ იგი ჩემს ხასიათში არის გამჯდარი, რომელიც ამხედრებული და უკმაყოფილოა ყველაფრით, რასაც მე ვხედავ ჩემს ირგვლივ; ყოველ შემთხვევაში დღემდე ეს მიმართულება ჩემში სულ უფრო და უფრო ძლიერდება, ხდება უფრო მკაცრი, ცივი, სულ უფრო და უფრო შედის ჩემს ცხოვრებაში... გარდა ამისა ჩვენში ახლო დროში არეულობა მოხდება და თუ დაიწყო, მე აუცილებლად მივიღებ შიგ მონაწილეობას. ეს აუცილებლად მოხდება. ხალხის უკმაყოფილება—მთავრობის, გადასახადების, მოხელეების, მემამულეების წინააღმდეგ ძლიერ იზრდება. საჭირო არის მხოლოდ ნაპერწკალი, რომ იგი დიდ კოცონად გადაიქცეს.

---

[1]) იქვე გვ. 496 — 97.

მასთანვე, იზრდება რიცხვი განათლებული წრეებისა, რომელნიცმტრულად არიან განწყობილი არსებულ წყობილების წინააღმდეგ. მზად არის ნაპერწკალიც, რომელმაც უნდა გააჩაღოს კოცონი. საკითხავია მხოლოდ ერთი: როდის დაიწყება ეს? შეიძლება ათი წლის შემდეგ; მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ უფრო ადრე, და თუ დაიწყო, მე, მიუხედავად ჩემი სიფრთხილისა, თავს ვერ შევიკავებ და მივიღებ მონაწილეობას... მე ვერ შემაშინებენ ვერც ტალახი, ვერც მთვრალი გლეხები კეტებით, ვერც ჩეხვა-ხოცვა... გონებით მე ვერ შევედრები ისკანდერს (გერცენზეა ლაპარაკი. ს.ხ.), მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ აზრის სიმკაცრეში მას არ ჩამოვრჩები" [1]).

ეს ვრცელი ციტატა ნათელი ფერადებით ახასიათებს ჩერნიშევსკის რევოლიუციონურ ტაქტიკასა და მის გეგმებს რუსეთში [2]). გ. პლეხანოვი, კ. პაჟიტნოვი და სხვები, ჩერნიშევსკის ახასიათებდენ, როგორც მშვიდობიანი უტოპიური სოციალიზმის მიმდევარს; მაგრამ ასეთს შეხედულებას ძირიან-ფერსვიანად არღვევს ახლად აღმოჩენილი ლიტერატურული და სხვა დოკუმენტები, რომელიც ნათლად ახასიათებს ჩერნიშევსკის რევოლუციონურ ტაქტიკას; 1848 წლის რევოლუციების შემდეგ ჩერნიშევსკი შეიქმნა გლეხური რევოლიუციის იდეოლოგად რუსეთში; მან ახალი წყობილების დამყარების საქმე ხალხური მასების მოძრაობას დაუკავშირა.

საინტერესოა ჩერნიშევსკისა ᲦᲐ გერცენის დაპირისპირება 1848 წ. რევოლუციის შემდეგ პერიოდში. გერცენმა თითქმის აქტიური მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის 1848

---

[1]) იქვე, გვ. 557-58.

[2]) Плеханов: Сочин. ტ. VI. К. Пажитнов: Развитие Социалистических идей в России ტ. I, 1924.

წლის რევოლუციაში, მაგრამ მისი დამარცხების შემდეგ სრულიად საწინააღმდეგო პოლიტიკას დაადგა, ვინემ ჩერნიშევსკი. რევოლუციის დამარცხებამ გერცენის აზროვნებაში ძირითადი გარდატეხა გამოიწვია: მან უარყო არსებითად რევოლუციონური ტაქტიკა და მშვიდობიან ნაროდნიკულ სოციალიზმის შემუშავებას შეუდგა. იგი სწერდა: „ვხედავდი რა, თუ საფრანგეთი როგორ გაბედულად აყენებდა სოციალურ საკითხს, მე ვფიქრობდი, რომ იგი ნაწილობრივ მაინც გადასჭრიდა ამ საკითხს, — ამიტომ მე ვიყავი, როგორც მაშინ ამბობდენ, ზაპადნიკი. პარიზმა ერთი წლის განმავლობაში დამამარცხა; სამაგიეროდ, ეს წელი იყო 1848 წელი. უარვყოფ რა რევოლუციას, მე სრულიად არა ვარ მოვალე გადავიდე მის (რევოლუციის) მოწინააღმდეგეთა მხარეზე; თებერვლის რესპუბლიკის დამარცხებამ სრულიად ვერ გადამისროლა მე ვერც კათოლიკებში, ვერც კონსერვატორებში: მან ხელმეორედ მიმიყვანა საკუთარ სახლში“ [1]) (გულისხმობს რუსეთს)

ამრიგად გერცენისათვის 48 წ. რევოლიუცია უარყოფითად დამთავრდა: მან 48 წ. რევოლუციის დამარცხება საერთოდ რევოლუციონური მეთოდის დამარცხებად აღიარა და, ევროპის ვითარებით დაშინებულმა, თავისებური რუსული სოციალიზმის გამომუშავებას შეუდგა. გერცენი კაპიტალიზმის გვერდის ავლით, თემისა და არტელების საშვალებით ცდილობდა სოციალისტური წყობილების დამყარებას. ამით მან საფუძვლები ჩაუყარა ნაროდნიკულ სოციალიზმს რუსეთში. სულ სხვა გზას და შეხედულებას დაადგა ნ. ჩერნიშევსკი: 48 წ. რევოლუციამ მას დიდი გამოცდილება შესძინა; იგი დარწმუნდა, რომ ერთად-ერთი სწორი გზა არსებული წყობილების გარდაქმნისა არის რე-

---

[1]) იხ. პაჟიტნოვის დასახელებული წიგნი

ვოლუციონური მოძრაობა მშრომელ მასებისა; რომ 1848 წ. რევოლუციის დამარცხება დროებითი იყო ევროპაში და იგი ხელახლა აღორძინდებოდა, არა მარტო ევროპის კონტინენტზე, არამედ ჩამორჩენილ რუსეთშიაც, სადაც მასების უკმაყოფილება უმწვერვალეს წერტილამდე იყო განვითარებული. აღსანიშნავი არის ისიც, რომ მაშინ, როდესაც გერცენი მთელ თავის იმედებს ლიბერალურ თავად-აზნაურობაზედ ამყარებდა, ჩერნიშევსკი მოწინავე ინტელიგენციისა და ფართო გლეხური წრეების დაკავშირებაზე ოცნებობდა. ასეთმა საწინააღმდეგო დასკვნებმა თავისი შედეგი გამოიღო შემდეგში, როდესაც ჩერნიშევსკისა და გერცენის პოლიტიკური ხაზი ერთი მეორეს დაუპირდაპირდა 60-ან წლებში.

ამრიგად, 40-იან წლებში ნ. ჩერნიშევსკიმ სოციალისტური და რევოლუციონური აზროვნება შეითვისა, იგი რევოლუციონური სოციალიზმის პარტიზანი გახდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 40-ან წლებში ჩერნიშევსკი უარყოფდა „ფორმალურ დემოკრატიას“ და მოითხოვდა ნამდვილი სოციალისტური რესპუბლიკის დაარსებას. მისი შეხედულობით ფორმალური რესპუბლიკის დაარსებას არავითარი აზრი არ აქვს; ჩერნიშევსკის აზრით, იგი არ გაანთავისუფლებს მუშათა კლასს ეკონომიურ ჩაგვრისაგან. 1848 წლის დღიურში იგი ბურჟუაზიულ რესპუბლიკების შესახებ პირდაპირ სწერს: „თქვენ ფიქრობთ. საქმე იმაში არის, რომ იყოს სიტყვა რესპუბლიკა და ძალაუფლება თქვენს ხელში, მაგრამ არა ამაშია საქმე, არამედ იმაში, რომ განთავისუფლდეს მდაბალი კლასი მონობისაგან,— არა კანონის, არამედ საგნების აუცილებლობის წინაშე, როგორც ამბობს ლუი ბლანი... არ მიყვარს მე ეს ვაჟბატონები, რომელნიც გაიძახიან „თავისუფლება-თავისუფლება“, და ამ თავისუფლებას ფარგლავენ მით, რომ მხოლოდ წარმოსთქვეს ეს სიტყვები და ჩასწერეს იგი

კანონებში, ცხოვრებაში კი სრულიად არ ანბორციელებენ მას; მხოლოდ არათანასწორობის შესახებ არსებულ ტექსტებს აუქმებენ, ხოლო არ სპობენ სოციალურ წყობილებას, რომლის დროსაც 9/10 ბრბო, მონები და პროლეტარებია. საქმე იმაში კი არ არის, იქნება მეფე თუ არა, იქნება კონსტიტუცია თუ არა, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, იმაში, რომ ერთი კლასი არ სწოვდეს სისხლს მეორეს" [1]).

ჩერნიშევსკის პოლიტიკური მხოფლმხედველობის შესახებ რუსეთის მკვლევართა შორის გავრცელებული იყო შეხედულება, რომ იგი არ აქცევდა დიდ ყურადღებას პოლიტიკურ წყობილების ფორმას, ოღონდ სოციალური ჩაგვრა მოსპობილიყო საზოგადოებაშიო. ამ საკითხს უფრო ვრცლად ჩვენ სათანადო ადგილს შევეხებით, ხოლო აქ აღვნიშნავთ, რომ 40-იან წლებში ევროპის რევოლუციონური მოძრაობისა და რევოლუციონური პარტიების ზეგავლენით ჩერნიშევსკი გარკვევით იცავდა „წითელი რესპუბლიკის" პროგრამას და მთელი თავისი შეგნებით იდგა მშრომელი ხალხის პოლიტიკური ბატონობის საფუძვლებზე. განსაკუთრებული ინტერესით უნდა იქნეს აღნიშნული მისი დ ღ ი ურ ი ს შემდეგი ვრცელი ადგილი, რომელიც მას ჩაუწერია 1850 წლის 20 იანვარს. ამ დ ღ ი ურ შ ი ჩერნიშევსკი უარყოფს თავის აზრს, გამოთქმულს იმავე დ ღ ი ურ შ ი 1848 წლის სექტემბრის თარიღით, და სწერს:

„ერთი წლისა, თუ ნაკლები ხნის წინედ, მე ვწერდი დემოკრატიისა და აბსოლუტიზმის შესახებ. მაშინ მე ვფიქრობდი, რომ ყველაზე უკეთესი იქნება, თუ აბსოლუტიზმი დაგვტოვებს ჩვენ თავის მფარველობაში,-ჩვენში დემოკრატიული სულის საბოლოო განვითარებამდე, ასე, რომ როგორც კი დაიწყება ხალხის მმართველობა, იგი *de jure* და *de*

---

[1]) იქვე გვ. 266:

facto გადაეა ყველაზე უფრო მდაბიოსა და მრავალრიცხოვან კლასის, მიწადმოქმედთა, მედღიურთა, მუშების ხელში; ამ გზით ჩვენ ავცდებით ყოველგვარ გარდამავალ მდგომარეობას თვითმპყრობელობასა და იმ მმართველობის შორის, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია დაიცვას და განავითაროს მასების ინტერესები. სჩანს, რომ მაშინ (ე. ი. 1848 წ.) მე კიდევ იმ აზრისა ვყოფილვარ, რომ აბსოლუტიზმს აქვს ბუნებრივი ლტოლვა შეზღუდოს უმაღლესი კლასის მიერ უმდაბლესის ჩაგვრა, რომ ის ეწინააღმდეგება არისტოკრატიას; ახლა მე გადაჭრით საწინააღმდეგოში ვარ დარწმუნებული: მონარქი, და ‘ით უფრო აბსოლუტური მონარქი, მხოლოდ დამთავრებაა არისტოკრატიული იერარქიისა, სულითა და გულით ეკუთვნის მას; ეს იგივე არისტოკრატიის კონუსის მაღლობია.... ის, ერთი მხრივ, ხალხს მრავალი ფული, ცრემლი და სისხლი უჯდება: მეორე მხრივ იგი ამაგრებს, აძლიერებს ტ ანვითარებს არისტოკრატიას. ამ რიგად, ახლა მე ვლაპარაკობ: დაინგერი (თვიომპყრობელობა ს. ხ.), რაც ადრე, მით უკეთესი. .დაე, ხალხი მოუმზადებელი შეეიდეს თავის უფლებაში; ბრძოლის დროს იგი უფრო ადრე მოემზადება; სანამ შენ (თვითმპყრობელობა ს. ხ.). არ დაეცემი, მას (ხალხს) არ შეუძლია მოემზადოს, იმიტომ რომ შენ დიდათ აფერხებს საშუალო კლასებში გონებრივ განვითარებასაც კი; დაბალ (კლასს), რომელიც შენ გადაჭრით გახადე, საშუალო კლასების დასაჩაგრავ და საყვლეფ იბიექტად, არა აქვს არავითარი შესაძლებლობა შეიგნოს თავისი ადამიანობა და ადამიანური უფლებები“.

აღსანიშნავია, რომ 20-22 წლის ჩერნიშევსკიმ დიდი რევოლიუციონური ქარტეხილების ზეგავლენით ნათლად დაინახა კლასთა ბრძოლის არსებობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ისტორიაში. რასაკვირველია, მას ჯერ კიდევ

ნათლად არ ესმის კლასთა ბრძოლისა და პროლეტარიატის ისტორიული მნიშვნელობა, სამაგიეროთ გარკვევით სწამს, რომ მხოლოდ დაჩაგრულ კლასების (გლეხების, მუშების და სხვათა) ბრძოლით შეიძლება დამყარდეს სოციალისტური წყობილება. ზემოდ მოყვანილ ციტატის გაგრძელებაში ჩერნიშევსკი სწერს: „დაე, დაიწყოს დაჩაგვრა ერთი კლასისა მეორე კლასის მიერ, მაშინ იქნება ბრძოლა, მაშინ დაჩაგრულები შეიგნებენ, რომ ისინი დაჩაგრულები არიან თანამედროვე პირობებში, მაგრამ შესაძლებელია სხვაგვარი წყობილების დამყარება, რომელშიც ისინი არ იქნებიან დაჩაგრულნი; შეიგნებენ, რომ მათ ჩაგრავთ არა ერთი, არამედ ადამიანები; რომ მათ იმედი არ უნდა ჰქონდეთ არც მართ მსაჯულების, არც სხვა ვინ მესი, იმიტომ რომ მათ მჩაგვრელთა შორის არ არის არავინ, რომ დაჩაგრულთა ინტერესებს იცავდეს; ახლა კი ყველაზე მთავარს მათ მჩაგვრელებიდან, — მეფეს, ისინი თავიანთ დამცველად და წმინდანად სთვლიან“ [1]).

ამრიგად ევროპის სოციალისტურ აზროვნების ზეგავლენითა და 1848 წლის რევოლუციის ვითარებით ნ. გ. ჩერნიშევსკი პირდაპირ გახდა უკიდურესი რევოლუციონერი და სოციალისტი. მაგრამ ამით არ ამოწურულა აღნიშნულ პერიოდში ჩერნიშევსკის მსოფლმხედველობის გაღრმავება: იგი სოციალისტური და რევოლუციონური აზროვნების გზით პირდაპირ მივიდა ფეიერბახის მატერიალისტურ ფილოსოფიამდე. ახალგაზრდობაში ნ. ჩერნიშევსკიმ, ისე, როგორც 30-40-ან წლების ევროპისა და რუსეთის ახალთაობის ინტელიგენციამ, ღრმა გაეცნო განიცადა ჰეგელის ფილოსოფიისა, მაგრამ როგორც ამ ინტელიგენციის რადიკალური ნაწილი 40-ან წლებში მემარცხენე ჰეგელის გზით პირდაპირ მივიდა ფეიერბახის მატე-

---

[1]) იქვ. გვ. 496.

რიალისტურ ფილოსოფიამდე, ისე ახალგაზრდა ჩერნიშევსკისათვის ეს ჰეგელის ფილოსოფია მხოლოდ გარდამავალი საფეხური იყო მატერიალისტური აზროვნებისაკენ. თუ როგორი იყო მისი ფილოსოფიურ-სოციოლოგიური აზროვნების შინაარსი, ამას შემდეგ თავში გავეცნობით, ხოლო აქ ჩვენთვის საინტერესო არის იმის გაცნობა, თუ როგორ მოხდა მისი გადასვლა ჰეგელიანიზმიდან ფეიერბახის მოძღვრებაზე. ამის შესახებ ჩვენ საინტერესო ცნობები გვაქვს თვით ნ. ჩერნიშევსკის მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი დ ა ნ და დ ღ ი უ რ ი დ ა ნ. 1888 წ. თავის შესანიშნავი წიგნის «Эстетическое отношение искусства к действительности» მესამე გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელიც არ გაუშვა ცენზურამ, იგი შემდეგნაირად გვიხსნიდა თავის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის განვითარებას.

„ის (ჩერნიშევსკი) იცნობდა ჰეგელის სისტემას ერთი არა სრული რუსული გამოცემის მიხედვით. როდესაც მას მიეცა საშუალება გასცნობოდა ჰეგელს დედანში (ეს მოხდა მისი სტუდენტობის პერიოდში ს. ხ.) მან (ჩერნიშევსკიმ) დაიწყო ჰეგელის ტრაქტატების კითხვა. დედანში ჰეგელი მას ნახევრად მოეწონა, ვინემ ის მოელოდა სუსტი განმარტებების მიხედვით. დედანში ჰეგელი უფრო გავდა XVIII საუკუნის ფილოსოფოსებსა და სქოლასტიკებს... მისი კითხვა პირდაპირ დამტანჯავი იყო თავისი აშკარა უსარგებლობით მეცნიერული აზროვნების ჩამოსაყალიბებლად. ამავე ხანებში მეცნიერული აზროვნებით გატაცებულ ახალგაზრდას (ჩერნიშევსკის) შემთხვევით ხელში ჩაუვარდა ფეიერბახის ერთ-ერთი უმთავრესი თხზულება. ის გახდა ამ მოაზროვნის მიმდევარი; და იმ დრომდე, სანამ ცხოვრების სიდუხჭირე არ მოაცილებდა მას მეცნიერულ მუშაობას (ჩერნიშევსკი თავის დაჭერაზე და ციმბირში გადასახლებაზე მიუთითებს ს. ხ) ის გულმოდგინეთ კითხულობდა ფეიერბახის ნაწერებს, ექვსი წლის შემდეგ

ფეიერბახის გაცნობისა მას, შემთხვევა მიეცა დაეწერა სამეცნიერო ტრაქტატი. ის ფიქრობდა, რომ მას შეუძლია გამოიყენოს ფეიერბახის ძირითადი იდეები სამეცნიერო დარგის ზოგიერთი საკითხების გასაშუქებლად, რომელიც მისი მასწავლებლის (ე. ი. ფეიერბახის) გამოკვლევათა რაკლში არ შედიოდა... ამრიგად ბროშურა (Эстетическое отношение...) ცდა არის ფეიერბახის იდეების გამოყენებისა ესთეტიკის ძირითადი კითხვების გადასაჭრელად"[1]).

ამ მოგონებას სავსებით ამტკიცებს „ლ ი ტ ე რ ა ს" ის ნაწილები, რომელიც ფაქტების უშუალო ზეგავლენით იწერებოდა. 1849 წ. იანვრის 28-ს, ჰეგელის დედანში გაცნობის შემდეგ, მას შეაქვს თავის „ლ ი ტ ე რ ა ში" ის შთაბეჭდილება, რომელიც მან განიცადა ჰეგელის ფილოსოფიის შესწავლით. ჩერნიშევსკი აღნიშნავს, რომ ჰეგელი ყველგან მონაა არსებული მდგომარეობის,. თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების; იგი გაურბის ძველი წყობილების გარდაქმნას, მისი ფილოსოფია განდგომის ფილოსოფიაა, გულმოდგინე დაცვა არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობისა[2]).

.ამრიგად, როგორც ჩვენ ვხედავთ, ნ. ჩერნიშევსკიმ პირველ გაცნობიდანვე იგრძნო ჰეგელის ფილოსოფიის კონსერვატიული ელემენტები, მისი მონური ქედის მოხრა არსებულ, დახავსებულ წყობილების წინაშე. ჩერნიშევსკი, რომელ-მაც უკვე შეითვისა რევოლუციონური და სოციალისტური აზროვნება, ვერ შეურიგდებოდა იმ ფილოსოფიას, რომელიც ცდილობდა არსებული წყობილების გამართლებასა და მიღებას. ამ ფილოსოფიამ ერთხელ ქედი მოახრევია არსებულ სინამდვილის წინაშე დაუცხრომელ მ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი ს, მაგრამ რევოლუციონურ პერიოდში,

---

[1]) Н. Чернышевский:— Соб. соч. т. X. გვ. 191-92.

[2]) იქვე

სოციალიზმისა და კომუნიზმის ახალგაზრდა პარტიზანი-ჩერნიშევსკი ვერ შეეგუებოდა მას და იგიც უკუგდებული იქნა, როგორც გამოუყენებელი რამ არსებული წყობილების გარდაქმნის საქმეში. აი, ასეთს პერიოდში ჩერნიშევსკი ეცნობა რევოლუციონერ სტუდენტის საშვალებით ფეიერბახის შრომებს. მაგრამ მისი გადასვლა ფეიერბახის მიმდევრობაზე უცბად არ მომხდარა. მას რამოდენიმე ხანი კიდევ დასჭირდა, რომ განთავისუფლებულიყო ძველი ფილოსოფიურ და რელიგიური გავლენისაგან და შეეთვისებია ფეიერბახის მოძღვრება სავსებით. 1850 წ. იანვარში თავის დღიურში იგი სწერს:

„რელიგიაზე მე ჯერ არ ვიცი რა ვსთქვა — არ ვიცი, ძრწამს თუ არა სულის უკვდავება და სხვ.. თეორიულად მე უფრო ვისწრაფი არ ვიწამო, მაგრამ პრაქტიკულად მე არ მაქვს გამბედაობა და სიმტკიცე გამოვეთხოვო ჩემს ძველს აზრებს ამის შესახებ; მხოლოდ, მე რომ მქონოდა გამბედაობა, მაშინ უარყოფითს ნაწილში მე ვიქნებოდი ფეიერბახის მიმდევარი, დადებითში —არ ვიცი ვისი,—შეიძლება მისივე“ [1]).

რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩერნიშევსკიმ სავსებით გაინთავისუფლა თავი ყოველგვარ იდეალისტურსა და რელიგიურ მსოფლმხედველობისაგან, და მატერიალისტური ფილოსოფიის უდიდესი მქადაგებელი გახდა რუსეთის ლიტერატურაში. იგი სიკვდილამდე დარჩა ფეიერბახის მოწაფედ ფილოსოფიურ საკითხებში და თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში მას არა ერთხელ გამოუყენებია ფეიერბახის მატერიალიზმი რთული პრობლემების გასაშუქებლად...

ასეთი იყო ის დიდი გავლენა, რომელიც განიცადა ჩერნიშევსკიმ დასავლეთ ევროპის ვონებრივი და სოცია-

---

[1]) იქვე, გვ. 498.

ლური მოძრაობის ზემოქმედებით: დემოკრატიზმი, სოციალიზმი, რევოლუციონიზმი, მატერიალიზმი — აი როგორი მიმართულებით განაყოფიერდა ჩერნიშევსკის აზროვნება 40-ან წლების მიწურულებში.

მაგრამ ახალგაზრდა რევოლუციონერი მარტო ევროპის წყაროდან არ იძენდა გონებრივ საზრდოს. რუსეთში დაწყებულმა ახალმა მოძრაობამაც მასზე საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა. ამ მხრივ აღსანიშნავი არის დიდი კრიტიკოსის მ. ბელინსკისა და პეტრაშევლთა ჯგუფის წევრების გავლენა მასზე. ბელინსკის წერილებს ჩერნიშევსკი ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს გაეცნო სარატოვში. [1]) ჩერნიშევსკის სტუდენტობის პერიოდში დაიწყო დიდი კრიტიკოსის ფრთების გაშლა „სოვრემენიკის" ფურცლებზე და მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივ შეხედულებების საკმაოდ გამოაშკარავება. 40-ან წლებში ბელინსკი ძლიერ დაინტერესდა საზოგადოებრივი საკითხებით. იგი ამ პერიოდში დიდ ყურადღებას აქცევდა სოციალურ პრობლემებს. თავის უკანასკნელ წერილებში ბელინსკი ძლიერ ხშირად ეხებოდა მხატვრულ-ლიტერატურული შემოქმედების საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დამოკიდებულების საკითხს, რითაც მას ისტორიულ-სოციოლოგიური თვალსაზრისი შეჰქონდა ლიტერატურული პრობლემების გამორკვევის საქმეში. ამ მხრივ ბელინსკის ნაწერების ზეგავლენით ჩერნიშევსკის აზროვნება გარკვევით მიემართებოდა საზოგადოებრივ საკითხებისაკენ: შემდეგში ჩერნიშევსკი პირდაპირი მოწაფე გახდა ბელინსკისა.

40-ანი წლების პერიოდში ჩერნიშევკიმ რუს სოციალისტებისა და რევოლუციონერების არა ნაკლები გავ-

---

[1]) Е. Ляцкий: „Чернышевский и учителя его мысли" (Гегель, Белинский, Фейербах) „Совр. мир" № 10-11, 1910 г.

ლენა განიცადა. ზოგიერთი მათგანი პეტრაშევსკის ცნობილი წრის წევრები იყვნენ; თუმცა ჩერნიშევსკი არ შედიოდა ამ წრეში, რომელიც ფურიეს იდეების მქადაგებელი იყო რუსეთში, მაგრამ იცოდა მისი არსებობა და უახლოეს დემოკიდებულებაში იყო ამ ჯგუფის ზოგიერთ ახალგაზრდა წევრებთან, რომლებმაც ჩერნიშევსკის აზროვნება მიმართეს სოციალიზმისა და მატერიალიზმისაკენ. [1])

ასეთ მოვლენათა ზეგავლენით ჩერნიშევსკიში გამოიჭედა მტკიცე სოციალისტური შეგნება და რევოლუციონურ-დემოკრატიული მისწრაფება. მან თავისი პოლიტიკური გამოფხიზლების დღიდანვე დააწერა თავის დროშას ხალხის ინტერესებისათვის თავის დადება, ძმობისა და ერთობის ცხოვრებაში გატარება. ჯერ კიდევ 1848 წ. მაისის თვეში იგი სწერდა თავის დღიურში:

„მე მსხვერპლად შევსწირავ ჩემს სიცოცხლეს ჩემივე მისწრაფებების გამარჯვებას, თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის და კმაყოფილების გამარჯვებას, სიღარიბისა და სიბოროტის მოსპობას, ოღონდ დარწმუნებული ვიყო, რომ გაიმარჯვებენ ჩემი მისწრაფებანი, და მაშინ არ ვინაღვლებ, რომ ვერ მოვესწრები მათ გამარჯვებასა და ბატონობას. მაშინ ტკბილი იქნება სიკვდილი და არა მწარე"...

ახლა განვაგრძოთ ჩერნიშევსკის ცხოვრების მატიანეს მოთხრობა. 1850 წლის ივნისში ჩერნიშევსკიმ გაათავა პეტერბურგის უნივერსიტეტი და მიიღო მასწავლებლობა კადეტთა მეორე კორპუსში. 1851-53 წლებში იგი დაბრუნდა ქალ. სარატოვში და აქ მასწავლებლობდა. 1853 წელს მან შეირთო ცოლად ო. ს. ვასილევის ქალი, რომელიც ძლიერ უყვარდა ჩერნიშევსკის. [2]) აქ აღსანიშნავი

---

[1]) იხ. სტეკლოვის წიგნი.

[2]) В. Л. Пыпина: „Любовь в жизни Чернышевского" 1923 წ.

არის ის საუბარი, რომელიც მას ქონდა თავის საცოლესთან და რომელიც შეტანილი აქვს თავის დღიურში. ნაწილი აქედან ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ზევით. ქვემოდ მოყვანილი ადგილი დღიურიდან ნათლად ამტკიცებს, რომ ჩერნიშევსკი პრაქტიკულად ემხადებოდა რევოლუციონური მოღვაწეობისათვის, ის მოელოდა რუსეთში გლეხთა აჯანყებას და ცდილობდა ამ მომენტს შესაფერისად მომზადებული დახვედროდა რევოლუციონური ინტელიგენცია.

„მე არ შემიძლია დავქორწინდე, თუ გინდ მარტო იმიტომაც, რომ მე არ ვიცი, რამდენ ხანს ვიქნები თავისუფალი. ჩემი დაქერა ყოველ დღე არის შესაძლებელი. როგორი იქნება მაშინ ჩემი როლი? მე ვერაფერს ვერ მინახავენ. მაგრამ ეუვი კი ჩემზე მეტის მეტად დიდი იქნება. როგორ მოვიქცევი მე? პირველად დუმილით ეუპასუხებ, მაგრამ ბოლოს, როდესაც აღარ მომეშვებიან, ეს ჩემთვის მოსაწყენი გახდება და გამოვსთქვამ ჩემს აზრებს პირდაპირ და მკაცრად. მაშინ კი შეუძლებელი იქნება ჩემი გადარჩენა. როგორც ხედავთ, მე არ შემიძლია ქალი ვითხოვო“ [1]).

1853 წელს ჩერნიშევსკი ოჯახობით გადავიდა საცხოვრებლად პეტერბურგში. 1853-55 წლებში იგი კვლავ კადეტთა კორპუსის მასწავლებელია. 1853 წ. იგი იწყებს თანამშრომლობას ჟურნ. „Отечественные записки“-ს ფურცლებზე, ხოლო —„Современник“-ის მუდმივი თანამშრომელი ხდება 1855 წლიდან. ამ პერიოდიდან იწყება ნ. ჩერნიშევსკის ნაყოფიერი და მეტად შინაარსიანი მუშაობა სალიტერატურო ფრონტზე, სადაც მან უდიდესი ცოდნა ტ ერუდიცია გამოიჩინა ტ შვიდი წლის განმავლობაში რუსეთის პუბლიცისტიკა უმწვერვალეს ხარისხამდე აიყვანა. ამ დარგში მას იმ პერიოდში ბადალი არა ყავდა არც ცოდნითა და არც პუბლიცისტური ნიჭის მიხედვით.

---

[1]) Н. Чернышевский: Соб. соч. т. X, 2, зд. 22-23.

თავი მესამე

ჩერნიშევსკის ეპოქა

ეპოქა, როდესაც ასე ფართოდ გაშალა ფრთები ნ. ჩერნიშევსკის ერუდიციამ და დიდმა ნიჭმა, ჩერნიშევსკის პერიოდის სახელწოდებით უნდა იქნეს ცნობილი რუსეთის ისტორიაში. ეს იყო ეპოქა, როდესაც ყველაზედ უფრო ნათელი გახდა ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების უვარგისობა და რღვევა. მე-XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის ეკონომიური განვითარება საგრძნობი ნაბიჯით წავიდა წინ: სამრეწველო კაპიტალიზმმა საგრძნობლად მოიკიდა ფეხი რუსეთში და ამით გამოიწვია ძველი სამეურნეო ფორმების რღვევის პროცესები. ნიკოლოზ პირველის მეფობა კაპიტალისტური ურთიერთობის მნიშვნელოვანი განვითარებით ხასიათდებოდა. რუსეთის სამრეწველო კაპიტალის ზრდას მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში ნათელყოფს შემდეგი სტატისტიკური ცნობები: 1825 წ. რუსეთში იყო 5.261 ფაბრიკა — 210.568 მუშით, 1861 წლისათვის, ე. ი. რეფორმის ხანებში ფაბრიკათა რიცხვმა მიაღწია 14.148, ხოლო მუშათა რიცხვი გაიზარდა 522.500-დე. მაგრამ რუსეთის სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება თავისებურ ისტორიულ-ობიექტიურ პირობებში ხდებოდა.

ეკონომიური განვითარების ნორმალურ მსვლელობასა და საწარმოო ძალების კაპიტალისტური გზით წარმატებას ხელს უშლიდა, ერთი მხრივ, ბატონყმური მეურნე-

ობა, ხოლო — მეორე მხრივ ამ ბატონ-ყმურ მეურნეობაზედ აღმოცენებული თვითმპყრობელობის პოლიტიკური აპარატი. შემდეგი სწრაფი განვითარება შეუძლებელი იყო ასეთ პირობებში: კაპიტალისტური ურთიერთობის წარმატებისათვის ეკონომიურ აუცილებლობას წარმოადგენდა ბატონყმური წყობილების მოსპობა და გლეხის განთავისუფლება მებატონის უღლისაგან. ერთი მხრივ, ყმის შრომა აღარ შეესაბამებოდა საწარმოო ძალების შემდეგ განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, კაპიტალისტური წარმოების შემდეგი წარმატებისათვის საჭირო იყო ფართო გამსაღებელი ბაზარი და ფართო თავისუფალი მუშა ხელი, რაც შეუძლებელი იყო ბატონყმურ მეურნეობის ჩარჩოებში. აქედან კრიზისი ძველი სამეურნეო და მთელი საზოგადოებრივი წყობილებისა. ყირიმის ომმა ყველაზე უფრო ნათელჰყო ეს: ეკონომიურად ძირმომპალმა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ ვერ შესძლო თავის დაცვა და სასტიკად დამარცხდა; მაგრამ ეს დამარცხება არ იყო უბრალო სტრატეგიულ-სამხედრო ხასიათისა: ყირიმის ომში დამარცხება განიცადა მთელმა წოდებრივ-ბატონყმურმა რუსეთმა, მისმა საზოგადოებრივ-ეკონომიურმა წყობილებამ; ყირიმის ომმა გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ძველ რუსეთს და მორიგ ამოცანად წამოაყენა რუსეთის საზოგადოებრივი და ეკონომიური სტრუქტურის განახლება.

ნიკოლოზ პირველის სიკვდილმა და სევასტოპოლის დაცემამ გზა გაუხსნეს რუსეთის რენესანსის დასაწყისს. ეკონომიურ-პოლიტიკური შინაარსის მიხედვით ეს რენესანსის პერიოდი ხასიათდებოდა, ერთი მხრივ, ბატონყმური მეურნეობის რღვევითა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პროცესებით, მეორე მხრივ კი— პოლიციურ-მემამულეთა რეჟიმიდან მემამულეთა-ბურჟუაზიულ რეჟიმზე გადასვლის ცდებით, ერთგვარი ბურჟუა-

ზიული ელემენტების შეტანით რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წოდებრივი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ცდილობდა ბურჟუაზიული მონარქიის საფუძვლებზე გადასვლას[1]). სოციალურ-პოლიტიკური მომენტების მიხედვით ეს პერიოდი ხასიათდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების საგრძნობი დიფერენციაციით და პროგრესიული სოციალური კლასების ამოძრავებით, განსაკუთრებით გლეხური მასების უკმაყოფილებითა და წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის მოძრაობით[2]). ეს იყო ეპოქა, როდესაც ნიადაგი ეყრებოდა მასების რევოლუციონურ მოძრაობას, რომლის იდეოლოგად და სულის ჩამდგმელად „რაზნოჩინელი" ინტელიგენცია ხდებოდა რუსეთში. ეს წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიული ფენა, გლეხთა სტიქიურ-რევოლუციონურ მოძრაობის შემდეგ, პირველი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტორი იყო, რომელმაც რევოლუციონურ მოძრაობაში ორგანიზაციული მომენტი შეიტანა და მას გარკვეული პოლიტიკურ-რევოლუციონური შინაარსი მისცა. მაგრამ რუსეთში დაწყებული ეს ღრმა მნიშვნელობის განმათავისუფლებელ-განმაახლებელი მოძრაობა ქრონოლოგიურად მოხვდა ევროპის ნიადაგზე დაწყებულ საზოგადოებრივ მოძრაობის პროცესებსაც. ნ. შელგუნოვი, ერთ-ერთი წარმომადგენელი სამოციანი წლების ახალთაობის ინტელიგენციისა, თავის მოგონებაში, აღნიშნავს რა იმ პერიოდში ევროპაში დაწყებულ მოძრაობებს, სწერს: „ყველა მოძრაობდა, ყველა იწოდა, ყველა ეძებდა განთავისუფლების საქმეს. როგორ შეეძლო

---

[1]) ნ. ლენინი ამ ეპოქის შესახებ სწერდა: „Из сословно-дворянской России, Россия делала шаг к превращению в буржуазно-капиталистическую страну".

[2]) მ. პოკროვსკიმ თავის ისტორიულ ნარკვევებში ნათელჰყო, თუ როგორი გრანდიოზული სახე მიიღო გლეხთა მოძრაობამ რეფორმის წინა პერიოდში. (იხ. „История России в XIX веке" ტ. III გვ. 75).

ევროპის ასეთს ტალღას არ მოეცვა რუსეთიც?... განმათავისუფლებელ მოძრაობის საერთო ხასიათი აერთიანებდა ყველა ხალხებს და ნაციონალური საქმე ადვილად გადადიოდა საერთაშორისოში" [1]).

ამ აღორძინების ეპოქის ღვიძლი შვილი იყო ნ. გ. ჩერნიშევსკი. იგი, როგორც სამართლიანად სწერს ი. სტეკლოვი, ნაყოფიც იყო ამ ეპოქისა და მისი შემქმნელიც [2]): ნაყოფი, იმდენად, რამდენადაც ჩერნიშევსკის სოციალ-პოლიტიკური იდეალები აღმოცენდა ზენიშნული ეპოქის ნიადაგზე და ობიექტურმა გარემოებამ თვით ჩერნიშევსკისათვის პირობები მოამზადა; შემქმნელი იმდენად, რამდენადაც ჩერნიშევსკიმ თავისი დიდი ერუდიციითა და ნიჭით მეცნიერულად დაამუშავა ძველი რიგი მნიშვნელოვანი მორიგი საკითხებისა, დემოკრატიულ — სოციალისტური იდეები შეიტანა მასაში და ამით ეპოქის იდეური ხელმძღვანელი გახდა. ამრიგად, 60-იანი წლები იყო რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების აღორძინებისა და დემოკრატიული მოძრაობის ეპოქა, რომელსაც შეიძლება ჩერნიშევსკის ეპოქა ეწოდოს..

60-იანი წლები იდეური აღორძინების პერიოდს წარმოადგენს რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. მატერიალისტური ფილოსოფია საფუძვლად დაედვა მაშინდელი რაზნოჩინელი ინტელიგენციის მსოფლმხედველობას. მიუხედავად ამისა, ისტორიულ — სოციოლოგიურ საკითხებში მათი დასაყრდენი გახდა რაციონალისტურ-იდეალისტური აზროვნება; ამ საზომით აშუქებდენ ისინი საზოგადოებრივ მოვლენებს და იმუშავებდენ სამოქმედო პროგრამას [3]).

---

[1]) В. Шелгунов: „Воспоминания" გვ. 84—5, 1923 წ.

[2]) Ю. Стеклов: „Н. Г. Чернышевский" ტ. 1. გვ. 144.

[3]) ანდრეევიჩი შემდეგნირად ახასიათებს გაბატონებულ აზროვნებას: „Стремление рационализировать жизнь, устранить из нее

მაგრამ რუსეთის სამოციანი წლები არ წარმოადგენს იმას, რასაც ჩვეულებრივ გულისხმობენ ამ შემთხვევაში ქრონოლოგიური ფარგლების მიხედვით. თავისი ქრონოლოგიური საზღვრებით ეს ეპოქა 1855—66 წლებით იფარგლებოდა. ამ წლებში ხდება ე. წ. „დიდი რეფორმა", გლეხთა განთავისუფლება, სასამართლოსა და ადმინისტრატიულ-საერობო რეფორმები, ე. ი. წოდებრივ — მემამულეთა წყობილების გარდაქმნის პროცესი — ბურჟუაზიული მიმართულების მიხედვით. ამრიგად, ბურჟუაზიული განვითარების თვალსაზრისით სამოციანი წლების ეპოქა, როგორც ამას აღნიშნავს იგივე სტეკლოვი, — გრძელდება 1866 წლამდე, როდესაც გატარებული იქნა მაშინდელი ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა — საერობო რეფორმა [1]). მაგრამ რევოლუციონურ — ოპოზიციონური მოძრაობის თვალსაზრისით, სამოციანი წლების ეპოქა გაიყოფება ორ პერიოდად: პირველ პერიოდს წარმოადგენს 1855—60 წლები, როდესაც საზოგადოებრივი ძალები ამოძრავდენ ომში დამარცხების ზეგავლენით, როდესაც სოციალისტურ — რადიკალურმა მოძრაობამ ფრთები გაშალა—და ფართო ლიტერატურული მუშაობა გააჩაღა, როდესაც ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის „სოვრემენიკის" მოღვაწეობამ გამოაცოცხლა ოპოზიციონური ძალები და მათს თეორიულ მუშაობას გარკვეული. რევოლუციონური შინაარსი მისცა [2]). ამავე პერიოდს

все мистическое, традиционное, патриархальное, противоречащее разуму и устроить ее по логике полезного" (Андреевич — Соловьев: „Опыт философии русской литературы" 1905 წ).

[1]) იქვე.

[2]) „1855 — 1861 წლები—რევოლუციონური მოძრაობის პროლოგია რუსეთში; მოქმედება ამ ეპოქაში ნაკლებია, სამაგიეროთ ვრცელია იდეური მოძრაობა... მდგომარეობის ვითარებაში რადიკალური დოქტრინა არ ერევოდა 1861 წლამდე, როდესაც საკმაოდ ჩამოყალიბებულ დოქტრინას დაემატა შესაფერისი რევოლუციონური პრაქტიკა". (Котляревский „Канун освобождения" გვ. XI, 1916 წ.).

ახასიათებს რამოდენადმე იმედი, რწმენა, რომ რეფორმები ხალხის სასარგებლოდ დაგვირგვინდება და გამოიწვევს რუსეთის განახლებას. შეიძლება ითქვას, რომ გერცენის გამოძახილი 1858 წ. „კოლოკოლის“ ფურცლებიდან: «Ты победил, Галилеянин», რომელიც მიმართული იყო ალექსანდრე II-სადმი, რამოდენადმე გამოხატავდა მაშინდელი ინტელიგენციის განწყობილებას. თვით ჩერნიშევსკი, რომელმაც სასტიკი კრიტიკის ქვეშ გაატარა მაშინდელი წყობილება და ბურჟუაზიულ-ლიბერალური საგლეხო პროგრამები, ნაწილობრივ ვერ ასცდა ამ ოპტიმიზმს. თავის ცნობილ წერილში გერცენისადმი (1860 წ.) ჩერნიშევსკი პირდაპირ სწერდა: ალექსანდრე II-ს მეფობით რამოდენიმედ მოშვებული იქნა არტახები, რომელიც ნიკოლოზ I-მა შემოაკრა რუსეთს, და ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენ თავისუფლები ვართ, და რესკრიპტების გამოცემის შემდეგ ყველანი ილუზიას მივეცით... თითქოს საქმე გათავებულიყოს და გლეხები განთავისუფლდებიან მიწით. ყველანი ლაპარაკობდენ ზომიერების და ფართო პროგრესის შესახებ: მასთანვე დაივიწყეს, რომ გლეხთა განთავისუფლება მინდობილი ქონდათ მემამულეებს [1]). მაგრამ ეს ოპტიმისტური ილუზია მალე იქნა გაფანტული: ალექსანდრე II-ის პოლიტიკამ, რაღაც ორი წლის განმავლობაში გამოააშკარავა მთელი თავისი კლასიური ბუნება და ნათელყო მისი რეფორმების ნამდვილი შინაარსი. მოწინავე ინტელიგენციის იმედები დაიმსხვრა და მანაც თავისი სამოქმედო გეზი სხვა მხრით მიმართა. შემდეგში-

---

[1]) М. Лемке: Политические процессы в России в 60-х годах, 169: ნ. გ. ჩერნიშევსკი დაწყებულ რეფორმების შესახებ 1857 წ. სწერდა: „Да идет наша держава по пути экономических улучшений, и да совершит Александр II начатое Александром I и Николаем I. („Собр. соч.: ტ. III, გვ. 309; იხ. აგრეთვე Пажитнов: Развитие социалистических идей в России, ტ. I).

ჩერნიშევსკიმ თავის რომანში («Пролог к прологу») დაასურათა, თუ რუსეთის ინტელიგენციაში როგორ მოხდა გარდატეხა მთავრობის პოლიტიკის საწინააღმდეგოთ, რომელსაც ხალხი დაღუპვისაკენ მიყავდა. დაახლოვებით 1860 წლიდან დაიწყო **მეორე პერიოდი** ოპოზიციონურ-რევოლუციონურ მოძრაობაში. ამ პერიოდს ახასიათებს, ერთი მხრივ, რადიკალურ-რაზნოჩინელი ინტელიგენციის მხადება რევოლუციისათვის, ხოლო მეორე მხრივ,—მთავრობის სასტიკი ზომები რევოლუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ. ამ ახალი რევოლუციონური ტაქტიკის წამოყენება იმავ ნ. ჩერნიშევსკის ეკუთვნის: 1860 წ. გერცენისადმი გაგზავნილ ზემოდ მოხსენებულ წერილში, იგი სასტიკად გმობდა ოპორტუნისტულ—შეთანხმების ტაქტიკასა და „ნაჯახისაკენ“ მოუწოდებდა რუსეთის ხალხს (იქვე). 1861 წლიდან ამას მოჰყვა მთელი რიგი რევოლუციონური პროკლამაციებისა და რევოლუციონური ორგანიზაციების დაარსება. ამავე რევოლუციონურ — ოპოზიციონური განწყობილების შედეგი იყო სტუდენტთა გრანდიოზული გაფიცვები და დემონსტრაციები 1861 წელს. მაგრამ არც თვითმპყრობელობას ეძინა, იგი გაორკეცებული ენერგიით შეუდგა კრამოლის აღმოფხვრას და რევოლუციონური ორგანიზაციების განადგურებას. 1861 წელს დააპატიმრეს მიხაილოვსკი და სხვები, ამავე წელს დააპატიმრეს სტუდენტთა მოძრაობის მთელი რიგი მეთაურები, 1862 წელში დაპატიმრებული იქნა თვით ჩერნიშევსკი, რევოლუციონური მოძრაობის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი; რეაქცია ენერგიულად შეუდგა თავისი საქმეების განმტკიცებას: პოლონეთის აჯანყების სასტლის მორევში ჩახრჩობა (1863წ.), რევოლუციონური ორგანიზაციების განადგურება და მათი ხელმძღვანელების დაპატიმრება,—უკვე აღნიშნავდა რევოლუციონური მოძრაობის დამარცხებასა და რეაქ-

ციის გამარჯვებას. 1866 წელს კარაკოზოვის ტერორისტული თავდასხმით მეფეზე რევოლუციონურმა ინტელიგენციამ უკანასკნელი ენერგია მოიკრიფა რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ეს ცდა უნაყოფო გამოდგა: მცირერიცხოვანი რევოლუციონური ინტელიგენცია დამარცხდა და რეაქცია გამარჯვებული გამოვიდა ამ პირველ მნიშვნელოვან შეტაკებიდან. ამით დამთავრდა 60-იანი წლების რევოლუციონური მოძრაობა, ხოლო მისი განახლებული სახით განმეორება დაიწყო 70-ანი წლების დასაწყისიდან, როდესაც ნაროდნიკული მოძრაობა ფართოდ მოედვა მთელს რუსეთს.

* *

თავი მეოთხე

ნ. ჩერნიშევსკის ლიტერატურულ-მეცნიერული მოღვაწეობა

ასეთი იყო ის ეპოქა, რომელშიაც მოღვაწეობდა ჩერნიშევსკი და რომლის იდეური ხელმძღვანელიც იგი შეიქნა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პეტერბურგში გადასვლის შემდეგ (1853 წ.), ჩერნიშევსკის უმთავრეს სამოღვაწეო ასპარეზად გახდა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა. 1855—1862 წლებში იგი გამუდმებით მუშაობდა ჟურნალ „სოვრემენიკში" და აშუქებდა ახალ-თაობის ინტელიგენციის საზომით იმ პერიოდში წამოჭრილ მთელ რიგ საკითხებს. ჩერნიშევსკის მოღვაწეობა „სოვრემენიკის" ფურცლებზე და მისი ლიტერატურული შრომები უდიდეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს რუსეთის ჟურნალისტიკის ისტორიაში; ჩერნიშევსკიმ, მის თანამებრძოლ ნ. დობროლიუბოვთან ერთად, გაამდიდრა რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნება და შეიტანა მასში დემოკრატიულ-სოციალისტური მიმდინარეობა: მათი ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ 60-ანი წლების ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, ნ. შელგუნოვი, თავის მოგონებებში სწერდა:

„აღსანიშნავია, თუ როგორი დიდი გონებრივი მუშაობა გასწია ამ ორმა ადამიანმა (ჩერნიშევსკიმ და დობროლიუბოვმა), თვითეულმა თავის სფეროში; ავსებდენ რა ერთი მეორეს, ისინი წარმოადგენდენ ერთ დამთავრებულს მთელს.

ყველაფერი იცოდენ მათ, ყველაფერი ესმოდათ, ყოველი საკითხის გადაწყვეტა შეეძლოთ. ძნელად თუ როდისმე რუსეთის გონებრივი გამოღვიძების რომელიმე მომავალ ეპოქაში, შესაძლებელი იქნება რაიმე მსგავსი ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების იმ აღორძინებისა, იმ დაგროვებულ ძალთა მძლავრი აღმოხეთქისა და იმ ენერგიის, რომლითაც ეს ახალი ძალა ცდილობდა ძველის დარღვევას და ნიადაგის მომზადებას ახალ ცხოვრების ასაყვავებლად" [1]).

ჩერნიშევსკის როლსა და მის დიდ მნიშვნელობას რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეში ვერ უარყოფენ ვერც მისი იდეური მოწინააღმდეგენი, რომელთაც ვერ მოუნელებიათ ჩერნიშევსკის სოციალისტური და მატერიალისტური მსოფლმხედველობა. ერთ-ერთი ლიბერალური კრიტიკოსი, ალ. ვოლინსკი თავის წიგნში „რუსეთის კრიტიკოსები", იძულებული იყო ჩერნიშევსკის ლიტერატურულ მოღვაწეობის შესახებ შემდეგი ეთქვა: „უაღრესად განვითარებული და ღრმა ნიჭის მქონე ჩერნიშევსკი ძლიერ ადრე მოექცა მოძრაობის სათავეში, რომელსაც გადამჭრელი გავლენა უნდა მოეხდინა რუსეთის ჟურნალიზმის შემდეგი განვითარების ისტორიაზე, თვით ჩვენ დრომდე... მისი წერილები რუსეთის ცხოვრების ყველა გზებსა და გზაჯვარედინზე გაისმოდა. უკიდებდა რა ცეცხლს ყველას, ვინც ახალგაზრდა იყო, ვისაც შეეძლო ფიცხლად გამოხმაურება ენერგიულს სიტყვაზე,—მწერლობაში ვერავინ ვერ ახერხებდა ჩერნიშევსკის დამარცხებას. მისი ლიბერალური ოპონენტები მასთან შედარებით მოსჩანდენ დიდიხნიდან უკვე მომწიფებულ გონებრივ მოთხოვნილებების მხოლოდ სუსტ და გაუბედავ გამომხატველებად საზოგადოებაში. მისი

---

[1]) Н. Шелгунов: Воспоминания, გვ. 170.

რეპუტაცია ჩქარა იზრდებოდა ყოველ მის წერილთან ერთად და გაიზარდა ავტორიტეტის სიმაღლემდე, თითქმის დიდებამდე... „სოვრემენიკი“ გადაიქცა რუსული პროგრესის ერთათ-ერთ ავტორიტეტულ ორგანოდ“ [1]).

ასეთი იყო ჩერნიშევსკის მნიშვნელობა და როლი 60-ანი წლების დიდ ეპოქაში: თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით და დაუღალავი შრომით „სოვრემენიკის“ რედაქციაში, მან უმაღლეს წერტილამდე აიყვანა რუსეთის ჟურნალისტიკის საქმე და ხელი შეუწყო რადიკალურ-დემოკრატიული და სოციალისტური აზროვნების გავრცელებას საზოგადოებაში.

როგორც აღვნიშნეთ, „სოვრემენიკში“ თანამშრომლობა ჩერნიშევსკიმ უკვე 1855 წლის მიწურულებიდან დაიწყო. ამ ხანებში გაეცნო „სოვრემენიკის“ რედაქტორს, ნ. ნეკრასოვს, რომელთანაც მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ჟურნალის მდგომარეობის შესახებ [2]). პოეტმა დაწვრილებით აუწერა ახალგაზრდა მწერალს „სოვრემენიკის“ კრიტიკული მდგომარეობა. 1883 წელში ნ. ჩერნიშევსკიმ ვრცლად ასწერა თავისი შეხვედრა პოეტ ნეკრასოვთან და მათ შორის გამართული საუბარი ჟურნალის შესახებ. ჩერნიშევსკის გადმოცემით, პოეტი აღნიშნავდა: რაც დრო გადის, ჟურნალის ფინანსიური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდება და ხელის მოწერა ჟურნალზე მცირდება; თვით ლიტერატურის მდგომარეობა საცენზურო პირობების გამო მძიმე არისო [3]).

მაგრამ მალე უბრალო თანამშრომლიდან ჩერნიშევსკი გადაიქცა ჟურნალის სრულ ხელმძღვანელად და სულის ჩამდგმელად: 1856 წლიდან ნეკრასოვმა მას გადასცა რე-

---

[1]) იხ. ი. სტეკლოვის წიგნი, გვ. 184—85.

[2]) Е. Лацкий: „Н. Г. Чернышевский в редакции „Современника“ ჟურ. „Современный мир“ № 9—11, 1911 წ.

[3]) იქვე.

დაქტორის მოვალეობანი [1]) და ამ ხნიდან 1862 წლამდე „სოვრემენიკი“ გადაიქცა ერთად-ერთ უდიდეს ორგანოდ, რომელიც დემოკრატიულ-სოციალისტური საზომით, აშუქებდა მაშინ წამოჭრილ მთელ რიგ საკითხებს. მართლაც, ამ პერიოდამდე რუსეთში არც ერთი ჟურნალი არ სარგებლობდა ასეთი დიდი და განუსაზღვრელი ავტორიტეტით. თვით „სოვრემენიკი“, რომელიც ნ. ნეკრასოვისა და ი. პანაევის ხელში 1846 წ. გადავიდა, ვერ სარგებლობდა ასეთი დიდი ავტორიტეტით. მართალია, 40-იან წლებში, როდესაც „სოვრემენიკში“ თანამშრომლობდენ ბელინსკი და მილიუტინი, იგი საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა, მაგრამ 1848 წლის რევოლუციის შემდეგ, ერთი მხრივ ბელინსკისა და მილიუტინის გარდაცვალებამ, ხოლო მეორე მხრივ — შავმა რეაქციამ, გამოიწვია ჟურნალის დაცემა [2]). ჩერნიშევსკის ხელმძღვანელობით დაიწყო მისი რენესანსი. უფრო გაფართოებული მაშტაბით, გარკვეული პოლიტიკური პროგრამითა და იდეურ-თეორიული შინარსით „სოვრემენიკი“ გახდა რაზნოჩინულ დემოკრატიის იდეურ ორგანოდ.

1. ჩერნიშევსკის ესთეტიკა

პირველ ხანებში ჩერნიშევსკი უმთავრეს ყურადღებას ლიტერატურული კრიტიკის საკითხებსა და ესთეტიკის პრობლემას აქცევდა. არსებულ წყობილების წინააღმდეგ ბრძოლა ჩერნიშევსკიმ ლიტერატურული საკითხებითა და ხელოვნების თეორიის გარკვევით დაიწყო. თავისი ესთეტიური თეორია ჩერნიშევსკიმ გარკვევით გამოსთქვა სამაგისტრო შრომაში (1855 წ.) «Эстетическое отношение искусства к действительности»; ჩერნიშევსკის ეს საინ-

[1]) Переписка Чернышевского, 52, 1925 г.

[2]) В. Евгеньев—Максимов: Очерки по истории социалистической журналистики в России XIX века 1927 г.

ტერესო დისერტაცია რაზნოჩინელი ინტელიგენციის ლიტერატურულ მანიფესტს წარმოადგენდა. რასაკვირველია, უნივერსიტეტის გამგეობამ და გაბატონებული კლასის წარმომადგენლებმა უარყვეს დისერტაცია, სამაგიეროდ, დემოკრატიული ნაწილისათვის იგი სამოღვაწო პროგრამად გადაიქცა. იგივე შელგუნოვი თავის მ ო გ ო ნ ე ბ ა შ ი სწერდა ამ დისერტაციის შესახებ: „ეს მშვენიერი აზრები, გამოთქმული ასეთი გრძნობიერი სიყვარულით ხალხისადმი, დღემდე სიახლით ფეთქენ და აღვიძებენ ადამიანის სულში კეთილშობილ გრძნობებს. როგორი მომაჯადოებელი ძალით წარმოსდგებოდენ ისინი 30 წლის წინად! ეს იყო უდიდესი ქადაგება ჰუმანიზმისა, კაცობრიობის უდიდესი სიყვარული, რომლის სამსახურისადმი მოუწოდებდა იგი ხელოვნებას“.

რატომ შესძლო ჩერნიშევსკის ესთეტიურმა თეორიამ ასეთი დიდი როლის თამაში რუსეთის დემოკრატიულ ინტელიგენციის გამოფხიზლებისა და მისი აზროვნების შემუშავების საქმეში? იმიტომ, რომ ჩერნიშევსკიმ მთელი თავისი ერუდიციით გაილაშქრა ხელოვნების ძველი თეორიის წინააღმდეგ, რომელიც ამბობდა: „ხელოვნება ხელოვნებისთვის“ უნდა იყოს, ხელოვნება უნდა მოსწყდეს ცხოვრებას და არ უნდა ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს. ხელოვნების ასეთი თეორია აღმოცენებული იყო წმინდა წოდებრივ ნიადაგზე და ემსახურებოდა გაბატონებულ მემამულეთა ინტერესებს. ასეთი თეორიის წინააღმდეგ აღმართა ჩერნიშევსკიმ თავისი კალამი და ნათელყო მისი სრული მიუღებლობა [1]) ჩერნიშევსკის

---

[1]) ჩერნიშევსკი თავის შესანიშნავ წერილებში: „Очерки Гоголевского периода русской литературы“, სწერდა: „Последователи теории чистого искусства... обманываются: слова „искусство должно быть независимо от жизни“ всегда служили только прикрытием для борьбы против неправившихся этим людям

ესთეტიკა კი არ დაურღვევია, როგორც ამას ფიქრობდა დ. პისარევი[1]), არამედ ესთეტიური თეორია ფეიერბახის მატერიალისტურ ფილოსოფიის საფუძვლებზედ ააგო და ამ გვარად, პირველმა შეიტანა მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი, რაზნოჩინელი ინტელიგენციის ფილოსოფიური აზროვნება, ხელოვნების სფერიში. ამით დაიწყო ჩერნიშევსკის დიდი გავლენა ახალთაობის ინტელიგენციაზე. ხელოვნებისა და ესთეტიკის საკითხებში ჩერნიშევსკიმ გადამჭრელი ბრძოლა გაუმართა გაბატონებულ იდეალისტურ თეორიას და ახალთაობას მოუწოდა ცხოვრების გარდაქმნისაკენ, ხალხის სამსახურისაკენ. „არსებითი დანიშნულება ხელოვნებისა, — სწერდა ჩერნიშევსკი თავის დისერტაციაში, — ასახვაა ყველა იმისა, რაც საინტერესო არის ადამიანისათვის ცხოვრებაში; ძლიერ ხშირად, განსაკუთრებით პოეზიის ნაწარმოებში, აგრეთვე პირველ რიგში დგება სიცოცხლის ახსნა, მისი მოვლენების განმარტება“. ჩერნიშევსკისათვის „ხელოვნება არის ცხოვრების სახელმძღვანელო,— იგი ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასა და განახლებას“. მეორე წერილში ჩერნიშევსკი ამბობდა: „ხელოვნება ხელოვნებისათვის“—ჩვენს დროში ეს ისეთივე უცნაური აზრია, როგორც დოვლათი დოვლათისათვის, მეცნიერება მეცნიერებისათვის და ა. შ.; ადამიანის ყოველი საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს ადამიანის სარგებლიანობას, თუ კი მას არ უნდა გადაიქცეს ცარიელ და უქმ საქმიანობად: დოვლათი არსებობს იმისათვის, რომ მით ისარგებლოს ადამიანმა, მეცნიერება — იმისათვის,

---

направлений литературы, с целью сделать ее служительницею другого направления, которое более приходилось этим людям по вкусу“. (Полн. собр. соч. ტ. II გვ. 274).

[1]) იხ. Д. Писарев: Сочинения ტ. V. 499; პისარევის ესთეტიკური თეორიის შესახებ იხ. გ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი: ტ. IV გვ. 326 — 363, ვ. კირპოტინი: „Радикальный разночинец“ გვ. 166—215, 1929 წ.

რომ უხელმძღვანელოს ადამიანს; აგრეთვე ხელოვნებაც უნდა ემსახურებოდეს რაიმე მნიშვნელოვან სარგებლიანობას და არა უნაყოფო სიამოვნებას". ასე მიეიდა ჩერნიშევსკი ფეიერბახის მატერიალიზმიდან რეალიზმისა და უტილიტარიზმის აღიარებამდე ესთეტიკის საკითხში. ამ მხრივ იგი გამგრძელებელი გახდა ბ. ბელინსკის ხელოვნების თეორიისა, რომელიც 40-იან წლებში ამბობდა, „წმინდა, აბსოლუტური ხელოვნება არსად და არასოდეს არ ყოფილა"-ო.

აი ასეთი ესთეტიური თეორიის საზომით შეუდგა ჩერნიშევსკი „სოვრემენიკის" ფურცლებზე ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების განხილვას. უნდა ითქვას, რომ ჩერნიშევსკის ესთეტიურ თეორიას უახლოესი კავშირი აქვს თანამედროვე პროლეტარულ მწერლობის შეხედულებასთან ესთეტიკისა და ხელოვნების დარგში [1]). ჩერნიშევსკის მოწოდება მწერლებისადმი, რათა ემოქმედათ მათ ისტორიული განვითარების სასარგებლოდ, ემსახურათ კომუნიზმისა და ადამიანური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის [2]) დღესაც აქტუალური შინაარსით არის გამსჭვალული. ამ პერიოდში კი, როდესაც საზოგადოება ჯერ კიდევ უფრო იყო დაინტერესებული წმინდა ლიტერატურულ-ხელოვნების საკითხით, ვინემ პოლიტიკით, ცხოვრების განახლებით და სოციალ-ეკონომიური პრობლემებით, ჩერნშევსკიმ მატერიალისტური და უტილიტარულ-რეალი-

---

[1]) იხ. А. Луначарский: „Этика и эстетика Чернышевского перед судом современности" ჟურნ. „Вест. Ком. Академии" № 25, 1928 წ.

[2]) ჩერნიშევსკი სწერდა მწერლების შესახებ: „Они должны сознавать, что их благородное сердце, их просвещенный ум ведут их по прямой, по единственной дороге к славе, внушая им потребность действовать на пользу исторического развития, быть служителями идей гуманности и улучшения человеческой жизни" (ტ. II, გვ. 275).

სტური აზროვნების შეტანით ლიტერატურისა და კრიტიკის დარგში მეტად დიდი როლი ითამაშა საზოგადოებრივ აზროვნების გამოფხიზლების საქმეში ისეთი დიდი იდეალისტი და მეტაფიზიკოსი, როგორიც იყო ვლ. სოლოვიოვი, იგიც კი აღნიშნავდა, რომ ჩერნიშევსკიმ რუსეთში საფუძვლები ჩაუყარა ესტეტიკის პრობლემის სწორ ნიადაგზე დაყენების საქმეს (იხ. Вл. Соловьев. Соч. ტ. 6). ამ გზით შეუდგა ჩერნიშევსკი არსებულ წყობილების კრიტიკას და გაბატონებულ თეორიების დარღვევას. „ისეთი ბუნების ადამიანებისათვის, როგორიც ლესინგი იყო, — სწერდა ჩერნიშევსკი — არსებობდა უფრო მაღალი სამსახური, ვინემ არის სამსახური საყვარელი მეცნიერებისადმი — ეს არის სამსახური თავისი ხალხისადმი". აი, ის მთავარი მოტივი, რომელსაც ატარებდა თავის კრიტიკულ - ლიტერატურულ წერილებში თვით ჩერნიშევსკი და რომლითაც იგი აღვიძებდა ახალი თაობის ინტელიგენციაში შეგნებასა და მოვალეობის გრძნობას ხალხისადმი[1]).

მაგრამ ჩერნიშევსკის სისტემატიური მოღვაწეობა ლიტერატურისა და კრიტიკის დარგში დიდხანს არ გაგრძელებულა: 1856 წლიდან „სოვრემენიკს" შემოემატა ახალგაზრდა მეცნიერი ნ. დობროლიუბოვი, რომელიც შეიქნა არა მარტო უერთგულესი მეგობარი ჩერნიშევს-

---

[1]) ჩერნიშევსკის ესთეტიური თეორიის შესახებ იხ. გ. პლეხანოვი: „Эстетическая теория Н. Г. Чер—го" (Сочин. ტ. VI, გვ. 245—289.; ი. სტეკლოვი: „Эстетика и критика Ч—го" (ტ. I გვ. 707 — 347): ა. ლუნაჩარსკის ზემოდ დასახელებული წერილი; ლ. ზოველჩინსკის: „Эстетические воззрения Ч — го", ჟურნ. „Под знаменем марксизма" № 11, 1928 წ.; დენისიუკი: Критическая литература о произведениях Н. Г. Ч—го" ნაკ. I, 1908 წ.; Ив. Иванов: „Эстетика Чернышевского" („История руск. критики").

კისა, არამედ მისი თანამებრძოლი და თანაშემწე. დობროლიუბოვი ღირსეული მოწაფე იყო ჩერნიშევსკის; მათმა შეთანხმებულმა მუშაობამ დიდათ შეუწყო ხელი ახალთაობის ინტელიგენციის გამოფხიზლებასა და განვითარებას; ჩერნიშევსკიმ ლიტერატურულ-ხელოვნებისა და კრიტიკის დარგი ჩააბარა თავის მეგობარ დობროლიუბოვს, ხოლო თვითონ შეუდგა ეკონომიური და პოლიტიკურ-სოციალური საკითხების გაშუქებას „სოვრემენიკის" ფურცლებზე [1]).

ამ პერიოდიდან ნ. ჩერნიშევსკის პუბლიცისტიკის მთავარ თემებად გადაიქცა შემდეგი ძირითადი საკითხები: ეკონომიურ დარგში — კრიტიკა ბატონყმური ურთიერთობისა და ბრძოლა გლეხების განთავისუფლებისათვის; თემური წყობილების შინაარსის გამორკვევა; კრიტიკა კაპიტალისტური წყობილებისა, რუსეთის ეკონომიური განვითარება; პოლიტიკურ დარგში: ბრძოლა თვითმპყრობელობისა და გაბატონებული თავად-აზნაურობის წინააღმდეგ; პოლიტიკური თავისუფლების შინაარსის გამორკვევა; ბრძოლა ლიბერალური პროგრამის წინააღმდეგ; რევოლუციონური ტაქტიკის გამომუშავება; იდეოლოგიურ დარგში: ისტორიულ-სოციოლოგიური თვალსაზრისის განმტკიცება; ფილოსოფიური მატერიალიზმის დაცვა; ბრძოლა ბურჟუაზიულ-პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგ, სოციალისტური იდეების განმტკიცება.

რასაკვირველია, ამ წიგნაკში შეუძლებელი არის მთელი იმ მრავალფეროვანი და მრავალშინაარსიანი ლიტერატურული მოღვაწეობის დახასიათება, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში აწარმოვა ნ. ჩერნიშევსკიმ. შეიძლება მხოლოდ რამდენიმე საკითხს და ისიც უმთავრესს, მიექცეს ყურადღება.

---

[1]) В. Полянский: „Н. А. Добролюбов", 1926 წ.

2. ჩერნიშევსკის მატერიალიზმი

უნდა აღინიშნოს, რომ ჩერნიშევსკის მეცნიერება არ სწამდა მხოლოდ მეცნიერებისათვის: მეცნიერება მისთვის უდიდესი იარაღი იყო რეალურ სინამდვილის შესასწავლად და მის მოსაწყობად რაციონალურის და მიზანშეწონილ საფუძვლებზე. როგორც პროფ. ს. კაცენბოგენი აღნიშნავს, მსგავსად უდიდესი მოაზროვნე მატერიალისტებისა, ჩერნიშევსკი ფილოსოფიაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში ხედავდა უწინარეს ყოვლისა უდიდეს საშუალებას ცხოვრების გარდასაქმნელად ახალ, უფრო უსრულეს საფუძვლებზე [1]). ამრიგად, თავისი ფილოსოფიურ-თეორიული აზროვნება ჩერნიშევსკიმ გარკვევით მიმართა რეალურ ცხოვრების სამსახურისაკენ, უკეთ-მშრომელი დემოკრატიის ინტერესების დაცვისა და სოციალისტური წყობილების განხორციელების საქმისაკენ. „არავითარი მნიშვნელოვანი განახლების შეტანა არ არის შესაძლებელი საზოგადოებაში, თუ წინასწარ არ შემუშავებულა შესაფერისი თეორია და დახმარებას არ გაუწევს საზოგადოებრივი ხელისუფლება“, — სწერდა ერთ თავის წერილში ჩერნიშევსკი [2]), და ამით იგი გარკვევით მიუთებდა მაშინდელ ინტელიგენციას, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს სწორეთ შემუშავებულ თეორიას და რევოლიუციონურ საქმიანობას სოციალიზმის განხორციელებისათვის [3]).

---

[1]) С. Каценбоген: „Философские воззрения Н. Ч—го“, კრებულში: „Н. Г. Чернышевский“: გვ. 113, 1928 წ. ქ. სარატოვი.

[2]) Н. Чернышевский: ტ. VI გვ. 34.

[3]) „Его учение—სწერს ჩერნიშევსკის შესახებ კოტლიარევსკი,—было первым истинно-революционным актом нашей теоретической мысли, за которым должен был следовать такой же акт мысли практической, требовавшей и новой программы действия“ (Н. Котляревский. „Кануи освобождения“, 322, 1916 წ.).

პირველი, რაც უმთავრესი და აღსანიშნავია ის არის, რომ ჩერნიშევსკის წილად ხვდა რუსეთის ლიტერატურაში განემტკიცებია მატერიალისტური ფილოსოფიის ძირეული შეხედულებანი. ჩერნიშევსკი იყო პირველი ფილოსოფოსი-პუბლიცისტი,[1]) რომელმაც რუსეთის ლიტერატურაში გარკვევითა და ნათლად გაილაშქრა იდეალიზმის წინააღმდეგ და საფუძველი ჩაუყარა მატერიალიზმს. უშუალოდ ფილოსოფიურ პრობლემების შესახებ ჩერნიშევსკიმ მხოლოდ ერთი წერილი გამოაქვეყნა „სოვრემენიკში" 1860 წ.—„Антропологический принцип в философии». არსებითად კი მთელი მისი წერილები საზოგადოებრივ საკითხების შესახებ აგებული იყო ფეიერბახის მატერიალისტურ ფილოსოფიის საფუძველზე. პირველად, როგორც დავინახეთ, ეს პრინციპი გამოყენებული იქნა ესთეტიკის საკითხების გარკვევაში. ცენზურულ პირობების გამო ჩერნიშევსკი ვერ ახერხებდა თავისი მასწავლებლის — ფეიერბახის დასახელებას, მაგრამ მისი თანამოაზრენი და მოწინააღმდეგენი ნათლად ხედავდენ, რომელ წყაროდან მომდინარეობდა ჩერნიშევსკის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. ზემოდასახელებულმა „ანტროპოლოგიურმა პრინციპმა" დიდი პოლემიკა გამოიწვია რუსეთის ლიტერატურაში. თუ, ერთი მხრივ, მატერიალისტური ფილოსოფიის ამ პირველ გაბედულ გამოსვლას ჩერნიშევსკის თანამოაზრენი აღფრთოვანებით

---

[1]) ჩერნიშევსკი ხედმიწევნით განვითარებული და ნაკითხი იყო მეცნიერების ყოველ დარგში. იგი რუსეთის 60-ანი წლების ენციკლოპედისტი იყო და ამ მხრივ დიდათ ენათესავებოდა მე-XVIII საუკ. საფრანგეთის ენციკლოპედისტებს. 1877 წ. ციმბირიდან იგი სწერდა თავის ნათესავებს: „Мне для моих ученых занятий необходимо было иметь отчетливое знание об основных законах всех отделов науки" („Чернышевский в Сибири" ტომი II, გვ. 182, 1912 წ.).

შეხედენ, მეორე მხრივ — მის წინააღმდეგ ამხედრდა ლიბერალური და რეაქციონური ნაწილი რუსეთის ლიტერატორებისა. ჩერნიშევსკიმ ამ წერილში გამანადგურებელი მახვილი ჩასცა იდეალისტურ მსოფლმხედველობას ფილოსოფიაში და გამოააშკარავა მისი სიყალბე; უფრო მეტი, მან ნათლად დაამტკიცა, რომ ყოველგვარი იდეალისტური მიმდინარეობა თავისი სოციალური საფუძვლებით ენათესავება გაბატონებული კლასების ინტერესებს. ფილოსოფიური მატერიალიზმის ასეთი პირველი გაბედული ტრაქტატი უდიდეს ნაბიჯს წარმოადგენდა რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიაში [1]). 60 იან წლებში ჩაეყარა უდიდესი საფუძველი იმ ფილოსოფიურ აზროვნებას, რომელიც ათეული წლის შემდეგ დამთავრებული ფორმებით საფუძვლად დაედვა მარქსისტულ მიმდინარეობას რუსეთში. ჩერნიშევსკის ეს შრომა პირველი ფილოსოფიური მანიფესტი იყო რაზნოჩინელი ინტელიგენციისა და ამიტომ იყო, რომ მან გაცხარებული თავდასხმა გამოიწვია მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან. დემოკრატიისა და რევოლუციის მტრებმა ნათლად დაინახეს ჩერნიშევსკის მატერიალისტურ ფილოსოფიაში მათ საწინააღმდეგოდ აღმართული საფრთხე და გაცხარებული პოლემიკა გაუმართეს მას, არა მარტო კონსერვატორულ — რეაქციონური, არამედ ლიბერალური ორგანოებიც ამხედრდენ ჩერნიშევსკის წინააღმდეგ [2]). მათ ნათლად დაინახეს, რომ ჩერნიშევსკის მატერიალისტურ ფილოსოფიას რუსე-

---

[1]) გ. ვ. პლეხანოვი სწერდა: „До тех пор, пока это миросозерцание (ე. ი. მარქს-ენგელსის შეხედულება) оставалось неизвестным в России, взгляды Чернышевского являлись самым важным приобретением русской философской и общественной мысли“ (იხ. Плеханов — „Очерки по истории русск. обществ мысли XIX века“ 1923 წ.).

[2]) იხ. სტეკლოვის წიგნი I, 243—61.

თის აზროვნება დემოკრატიზმის, სოციალიზმისა და რევოლიუციონიზმისაკენ მიყავდა და ამიტომ გაუმართეს მას გაცხარებული ბრძოლა. ამ პოლემიკითა და თავისი ფილოსოფიურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობით ჩერნიშევსკიმ უდიდესი იარაღი მისცა ახალთაობის ინტელიგენციას-დახავსებული აზროვნებისა და საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მაგრამ ვიკითხოთ, როგორი შინარსისაა ჩერნიშევსკის ფილოსოფიური მატერიალიზმი და რაში გამოიხატებოდა მისი გაგებით ანთროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში.

ჩერნიშევსკის ფილოსოფიური სისტემის ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს მატერიალისტური მონიზმი. მან ფილოსოფიაში გადაჭრით უარყო, როგორც იდეალისტური მონიზმი, ისევე დუალისტური მსოფლმხედველობა. „ახსნა სინამდვილისა—სწერდა ჩერნიშევსკი—ფილოსოფიური აზროვნების ძირითად მოთხოვნილებად გადაიქცა. ხოლო სინამდვილეში ყოველივე დამოკიდებულია გარემოებისაგან, ადგილისა და დროის პირობებისაგან“ [1]). ჩერნიშევსკის ასეთი რეალისტური შეხედულების შესახებ ნ. ლენინი სწერდა: „როგორც ყოველი მატერიალისტისათვის, ისე ჩერნიშევსკისათვის, სინამდვილეში არის ის, რაც ჩვენ გვეჩვენება მიზეზის მოქმედებასთან კავშირად, ეს არის ობიექტიური მიზეზობრივობა. ან ბუნების აუცილებლობა. ჩერნიშევსკი მეტაფიზიკურ სისულელეს უწოდებს ყოველგვარ გადახრას მატერიალიზმიდან, როგორც იდეალიზმისაკენ, ისე აგნოსტიციზმისაკენ“ [2]). ფილოსოფიაში ჩერნიშევსკის მთავარ ყურადღებას იპყრობდა სუბექტის დამოკიდებუ-

---

[1]) Н. Чернышевский ტ. II, გვ. 187.

[2]) Н. Ленин: „Материализм и эмпирио-критицизм ტ. X. გვ. 305.

ლების საკითხი ობექტთან [1]): რა არის ობექტიურად არსებული მოვლენა და როგორ დამოკიდებულებაში იმყოფება მასთან სუბიექტი და იდეოლოგიური სამყარო. ის, რაც ა რ ს ე ბ ო ბ ს, ჩერნიშევსკის განმარტებით, არის მატერია; არ არსებობს არავითარი ზეემპირიული ძალა. არის მხოლოდ მატერია და მათი ურთიერთობა; „მატერიას აქვს მოქმედების ძალა", „იგი ახდენს გავლენას" [2]). მაგრამ მატერიის პრობლემის გადაწყვეტით ჩერნიშევსკიმ რადიკალურად და მატერიალისტურად გადასწყვიტა მეორე დიდი ფილოსოფიური პრობლემა-იდეოლოგიური სამყაროს ობიექტიურ გარემოებასთან დამოკიდებულების შესახებ; მისი განმარტებით, აზროვნების კანონები გამოსახავენ რეალური საგნების ფორმებს [3]).

ამრიგად ჩერნიშევსკი მტკიცედ იდგა მატერიალისტური მონიზმის ნიადაგზე და თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის დასაყრდენ წყაროს ფეიერბახის ანთროპოლოგიურ პრინციპში ნახულობდა. როგორც ვიცით, ფეიერბახის „ანთროპოლოგიური მატერიალიზმი" ერთგვარი გარდამავალი საფეხური იყო იდეალიზმიდან დიალიექტიკურ მატერიალიზმისაკენ. ფეიერბახმა ფილოსოფიას ანთროპოლოგია დაუდვა სარჩულად: მისი განმარტებით, ანთრო-

---

[1]) Плеханов. ტ. V, გვ. 230.

[2]) „То, что существует,—материя. Материя имеет качества. Проявление качеств—это силы. То, что мы называем законами природы, это способы действия сил"—სწერდა კერძო წერილში ჩერნიშევსკი ციმბირიდან. (Чернышевский в Сибири" ტ. II, გვ. 55—6, 1912 წ).

[3]) ლენინი სწერდა: „... Для Чернышевского, как и для всякого материалиста, формы нашего чувственного восприятия имеют сходство с формами действительного, т. е. об'ективно-реального существования предметов... Законы мышления отражают формы действительного существования предметов, совершенно сходствуют, а не различают, с этими формами" (ტ. X. გვ. 305).

პოლოგიური თვალსაზრისი განისაზღვრება იმით, თუ როგორი ადგილი უჭირავს ფილოსოფიაში ადამიანის პრობლემას, როგორც რეალობის პრობლემას. ფეიერბახის განმარტებით პრობლემა ფილოსოფიისა და პრობლემა ადამიანისა ერთი და იგივე პრობლემა არის; დღემდე ადამიანი შემთხვევით მოელენას წარმოადგენდა ფილოსოფიაში: ადამიანი ფილოსოფიის საერთო და უმაღლეს საგნად უნდა გადაიქცეს [1]).

თანახმად ფეიერბახის ფილოსოფიური სისტემისა, ჩერნიშევსკიც თავის ფილოსოფიურ აზროვნებას ანთროპოლოგიურ პრინციპზე აშენებს.

ამგვარად ჩერნიშევსკიმ თავისი აზროვნების ცენტრალურ ფიგურად გახადა ადამიანი, ადამიანის პრობლემა; მისმა მატერიალისტურმა მსოფლმხედველობამ ანტროპოლოგიური მატერიალიზმის შინაარსი მიიღო. ამით ჩერნიშევსკიმ ნეორე ნაბიჯიც გადასდგა თავისი მატერიალისტურ-რეალისტური მსოფლმხედველობის გასამტკიცებლად. ფეიერბახისა და ჩერნიშევსკის განმარტებით ანთროპოლოგიური პრინციპის ერთ-ერთი ძირეული შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ პრინციპით ადამიანი უნდა განხილული იქნეს, როგორც ერთი არსება, როგორც მთლიანობა: ადამიანში არ არსებობს ორი დამოუკიდებელი დასაწყისი: სული და ხორცი; იგი მთლიანია თავის ფსიქიურ და

---

[1]) „Новая философия—წერს ფეიერბახი—делает человека со включением природы, как базиса человека,-единственным, всеобщим и высшим предметом философии,—стало быть, антропологию со включением физиологии, универсальною наукою". იხ. Г. Шпет: „Антропологизм Лаврова в свете истории философии" გვ. 84—91). აღსანიშნავია, რომ გ. შპეტი, უარყოფს რა საერთოდ ჩერნიშევსკის ფილოსოფიას, მას სრულიად დაუსაბუთებლად, საეჭვოდ მიიჩნია მისი ფეიერბახელობა. გვ. 91—94; იხ. აგრეთვე მისივე: „Философское мировоззрение Герцена" 1921 წ.

ფიზიოლოგიურ მოვლენებით. ფსიქიური მოვლენები ჩერ-ნიშევსკის განმარტებით მხოლოდ ადამიანის ორგანიზმის ნაყოფია. ამრიგად ჩერნიშევსკის ანთროპოლოგიურ პრინ-ციპს საფუძვლად უდევს იდეა ადამიანის ორგანიზმის ერთიანობისა. ჩერნიშევსკი უარყოფს რა შეხედულებას ადამიანის დუალიზმზე, სწერს: „ადამიანის ცხოვრებაზე მთელი თავისი ფენომენებით ფილოსოფიური შეხედულე-ბის პრინციპს წარმოადგენს საბუნებისმეტყველო მეცნიე-რების მიერ შემუშავებული იდეა ადამიანის ორგანიზმის მთლიანობის შესახებ; ფიზიოლოგების, ზოოლოგების და მედიკების დაკვირვებებით უარყოფილია ყოველგვარი აზრი ადამიანის დუალიზმის შესახებ. ფილოსოფია მასში ხედავს იმასვე, რასაც მედიცინა, ფიზიოლოგია და ქიმია; ეს მეცნიერების დარგები ამტკიცებენ, რომ ადამიანში არა-ვითარი დუალიზმი არა სჩანს, ხოლო ფილოსოფია უმა-ტებს, რომ ადამიანს, გარდა თავისი რეალური ბუნებისა, სხვა ბუნება რომ ჰქონოდა, ეს მეორე ბუნება აუცილებ-ლად გამომჟღავნდებოდა რამეში; მაგრამ ვინაიდგან იგი არაფერში არ გამომჟღავნებულა, რადგან ყველაფერი, რაც ხდება და უკუოფინება ადამიანში – სწარმოებს მხო-ლოდ ერთად-ერთი მისი რეალური ბუნებით — ამიტომ მასში არავითარი მეორე ბუნება არ არის“ [1]).

მ. ჩერნიშევსკი ანთროპოლოგიური პრინციპის მარტო ფილოსოფიაში შეტანით არ კმაყოფილდება: ადამიანის პრობლემა მთელი მისი სოციალ-ეკონომიური და პოლიტი-კური მოძღვრების მთავარი საგანი გახდა; ამრიგად ჩერ-ნიშევსკის აზროვნების ცენტრში სდგას რეალური ა დ ა-მ ი ა ნ ი და ამ ადამიანის საზომით და ინტერესების მიხედ-ვით აშუქებს საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ მოვ-ლენებს: ადამიანის ინტერესი და მისი თავისუფლება გა-

---

[1]) Н. Чернышевский т. VI გვ. 194.

დაიქცა ჩერნიშევსკის მოძღვრების მთავარ ცენტრად: ფილოსოფიურმა ანთროპოლოგიზმმა „სოციალურ ანთროპოლოგიზმამდე“ მიიყვანა ჩერნიშევსკი. როგორც არსებული წყობილების კრიტიკა, ისე მომავალი წყობილების ფორმები ჩერნიშევსკიმ თავის „ანთროპოლოგიურ პრინციპზე“ ააგო.

ამრიგად ჩერნიშევსკის ფილოსოფიურ აზროვნების საფუძვლად უდევს ფეიერბახის მიერ 30—40-იან წლებში შემუშავებული ანთროპოლოგიური პრინციპი, მატერიალისტური ფილოსოფია. მაგრამ ცნობილია, რომ ფეიერბახის მატერიალისტურ—ანთროპოლოგიურ ფილოსოფიას ჰქონდა როგორც თავისი დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ამიტომ ფილოსოფიური აზროვნება და მით უფრო მატერიალისტური ფილოსოფია, ვერ შეჩერდებოდა ფეიერბახის ანთროპოლოგიურ სისტემაზე და იგი მართლაც არ შეჩერებულა: მარქსიზმი და დიალექტიური მატერიალიზმი შემდეგი უმაღლესი საფეხური იყო, რომელსაც მიაღწია მარქს — ენგელსის წყალობით მატერიალისტურმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ. მაგრამ ფეიერბახიანიზმის მნიშვნელობა მატერიალიზმის მოძღვრების განვითარების საქმეში აუცილებლად დიდი იყო: ისტორიულად ფეიერბახის ანთროპოლოგიური მატერიალიზმი გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა იდეალიზმიდან დიალექტიურ მატერიალიზმისაკენ; ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპაში ჰეგელის მოწაფეებმა—ეგრედ წოდებულმა მემარცხენე ჰეგელიანელებმა, მარქსისა და ენგელსის სახით, ღრმად განიცადეს ფეიერბახის მოძღვრება და მხოლოდ ამის შემდეგ შესძლეს მათ თავიანთი დამთავრებული ფილოსოფიური სისტემის შემუშავება. ამრიგად დასავლეთ ევროპაში, 30-იან წლებში ფილოსოფიური აზროვნების ერთი ნაკადი მემარცხენე ჰეგელიანიზმიდან ფეიერბახიანიზმის გზით მივიდა დიალექტიურ მატერიალიზმამდე. ასეთი გზე-

ბის გავლა რუსეთის ფილოსოფიურმა აზროვნებამაც სცადა. მემარცხენე ჰეგელიანიზმიდგან 40-იანი წლების რუსეთის რადიკალური მოაზროვნენი პირდაპირ გადავიდენ ფეიერბახის მატერიალისტურ-ანთროპოლოგიურ სისტემაზე. ასეთი იყო გერცენის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის განვითარების გზები. მაგრამ იგი არ შეჩერებულა ფეიერბახიანიზმზე და მის განვითარებას ცდილობდა დიალექტიური მატერიალიზმის მიმართულებით. თითქმის ასეთი იყო ბ. ბელინსკის ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ხვეული გზებიც[1]). გერცენის შესახებ ნ ლენინი სწერდა: „В крепостной России 40-х годов XIX века он с'умел подняться на такую высоту, что стал в уровень с величайшими мыслителями своего времени. Он усвоил диалектику Гегеля... он пошел дальше Гегеля, к материализму вслед за Фейербахом... Герцен вплотную подошел к диалектическому материализму и остановился перед историческим материализмом» [2]). თვით ჩერნიშევსკი ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ 40-იან წლებში რუსეთის აზროვნებამ ნათლად გამოააშკარავა თავისი სიძლიერე და „დამოუკიდებლად გააკრიტიკა ჰეგელის სისტემა“ [3]).

მაგრამ განსაკუთრებული სიძლიერითა და სიღრმით რუსეთის ფილოსოფიური აზროვნების ასეთი განვითარების გზები ნ. ჩერნიშევსკიმ გამოხატა. ჩერნიშევსკი აუცილებლად დამოუკიდებელი, ორიგინალური მოაზროვნე იყო, მიუხედავად იმისა, რომ მან დასავლეთ ევროპის აზროვნების დიდი გავლენა განიცადა. ჰეგელიანიზმიდან ჩერნიშევსკის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ფეიერბახის

---

[1]) იხ. ა. ლუნაჩარსკის წერილი; Б. С. Э. ტ. V გვ. 303.

[2]) Ленин: Собр. соч. ტ. I გვ. 96.

[3]) Н. Чернышевский; Собр. соч. ტ. II გვ. 185, 201—2.

ანთროპოლოგიურ სისტემაზე გადავიდა და მის ნაწერებში უკვე სჩანდა მრავალი საინტერესო ფილოსოფიურ-სოციოლოგიური ფორმულიროვკა, რომელიც აახლოებდა მას დიალექტიურ მატერიალიზმთან; უკეთ რომ ვსთქვათ, მისი აზროვნების განვითარების ეტაპები ისეთივე მიმართებით ვითარდებოდა, როგორითაც ეს მოხდა მარქს-ენგელსის აზროვნების განვითარების დროს. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის მატერიალისტურ-ფილოსოფიურმა აზროვნებამ 50—70-იან წლებში ვერ შესძლო ფეიერბახის გავლენისაგან განთავისუფლება და მარქსიზმის სიმაღლემდე ასვლა. ამას თავისი ისტორიულ — საზოგადოებრივი მიზეზები ჰქონდა: რუსეთის ჯერ კიდევ განუვითარებელი საზოგადოებრივი ურთიერთობანი არ იძლეოდენ შესაძლებლობას დამთავრებული მატერიალისტური სისტემის აღმოსაცენებლად. რუსეთის ინტელიგენციას შემდეგში დიდი ბრძოლა დასჭირდა, რომ თავი გაენთავისუფლებია 70-იანი წლების პოზიტივიზმისა და „სუბიექტივიზმისაგან" და უყოყმანოთ მიეღო მთელი მარქსისტული აზროვნება.

მიუხედავად ამისა, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ 50—60—იან წლებში ჩერნიშევსკიმ საკმაო ნაბიჯის გადადგმა შესძლო ფეიერბახიზმიდან დიალექტიურ მატერიალიზმისაკენ. ისიც უნდა აღვნიშნოთ ხაზგასმით, რომ ჩერნიშევსკი სრულიად დამოუკიდებელი გზით წავიდა წინ მარქსიზმისაკენ: მისთვის მარქსიზმის მოძღვრება სრულიად უცნობი იყო დიდი ხნის განმავლობაში; ასე რომ ჩერნიშევსკი მარქსიზმის მოძღვრებას უახლოვდებოდა მთელ რიგ საკითხების გადაწყვეტაში, მარქსიზმის გავლენის გარეშე. სწორეთ ამაშია ნ. ჩერნიშევსკის ორიგინალობა, მისი აზროვნების სიღრმე და მნიშვნელობა რუსეთის ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში.

ფეიერბახის ანთროპოლოგიურ სისტემას ორი ძირითადი ნაკლი ახასიათებდა [1]): პირველი ნაკლი იმაში გამოიხატებოდა, რომ ფეიერბახის მატერიალიზმი არ იყო სრული; იგი მხოლოდ ბუნების-მეცნიერების მატერიალიზმი იყო: ფეიერბახმა ვერ შესძლო ბუნების სფეროში აღმოჩენილი მატერიალიზმი საზოგადოებრივ ურთიერთობაში გადაეტანა, ე. ი. შეემუშავებია მატერიალისტური სოციოლოგია და მატერიალისტურად აეხსნა საზოგადოებრივი ცხოვრების] ისტორიული განვითარება. ამრიგად ფეიერბახის მატერიალიზმი ბუნების მეცნიერებას შერჩა, მოწყვეტილი საზოგადოებრივ ურთიერთობას. მისი ანთროპოლოგიზმი პიროვნების ბუნებას არკვევდა დამოუკიდებლად სოციალური ურთიერთობასაგან: მისთვის საინტერესო იყო პიროვნება, როგორც პიროვნება და არა როგორც ნაწილი, ერთეული დიდი სოციალური ჯგუფისა, ე. ი. პიროვნება, როგორც საზოგადოებრივი ცხოველი, როგორც ნაწილი სოციალური ურთიერთობისა და დაჯგუფებისა. გარდა ამისა, ფეიერბახი ისტორიულ-სოციოლოგიურ საკითხებში ბოლომდე იდეალისტი დარჩა. ჩერნიშევსკიმ, რასაკვირველია, ვერ შესძლო ამ დიდი ნაკლის სავსებით გამოსწორება და ფეიერბახის შეცდომებისაგან თავის დაღწევა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც საკმაო ორიგინალობას იჩენს და ბევრ რამეში ასწორებს თავის მასწავლებლის სისტემას. ჩერნიშევსკი აუცილებლად სდგას ისტორიულ-სოციოლოგიურ თვალსაზრისზე და მის ნაწერებში ხშირად გამოსჭვივის მატერიალისტური სოციოლოგიის საღი მოსაზრებანი: მთელი რიგი ევროპის უახლოესი ისტორიული მოვლენებისა მან კლასთა ბრძოლის საზომით ახსნა და ამით მეტად საინტერესო ორიგი-

---

[1]) შეად. А. Тальгеймер: Введение в диалектический материализм, зз. 112—13, 1928 წ.

ნალობაც გამოიჩინა. მაშინ, როდესაც ფეიერბახისათვის პიროვნება საინტერესო იყო, როგორც, პიროვნება, ჩერნიშევსკისათვის საინტერესო გახდა პიროვნება, როგორც სოციალური კატეგორია, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის თანაწევრი. აქ უკვე ნათლად სჩანს ჩერნიშევსკის ორიგინალური აზროვნება და მისი წინ წასვლა ფეიერბახის სისტემიდან მარქსიზმისაკენ.

ფეიერბახის სისტემის მეორე ნაკლი იმაში გამოიხატებოდა, რომ მასში უარყოფილი იყო დიალექტიური მეთოდი. ფეიერბახისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ჰეგელის დიალექტიური მეთოდი: ფეიერბახმა უარყო ეს მეთოდი როგორც ბუნებისმეტყველებაში, ისე ისტორიაშიაც; მან ანთროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში დიალექტიური მეთოდის გარეშე შეიმუშავა; უკეთ რომ ვსთქვათ, ფეიერბახის მატერიალიზმმა არ იცოდა დიალექტიური მეთოდის მნიშვნელობა და ამიტომ იგი დაკოჭლებული იყო ორივე ფეხით. ევროპაში ფეიერბახის მატერიალიზმის ეს დიდი ნაკლი მარქს ენგელსმა გამოასწორეს და ფეიერბახის ანთროპოლოგიზმი დიალექტიურ მატერიალიზმის სიმაღლემდე აიყვანეს; ეს იყო შემდეგი მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი მატერიალიზმის განვითარების ისტორიაში. მაგრამ მატერიალისტური ფილოსოფიის ეს შემდეგი განვითარება და მისი დიალექტიური მატერიალიზმის სისტემად ჩამოყალიბება არ მომხდარა მისწინ არსებული ფილოსოფიის გავლენის გარეშე. მარქს-ენგელსმა ამ შემთხვევაში დიალექტიური მეთოდისა და ფეიერბახის ანთროპოლოგიური მატერიალიზმის ერთგვარი თავისებური სინტეზი მოახდინეს. ჰეგელმა თავისი მეთოდით მეტად დიდი სამსახური გაუწია მატერიალისტური ფილოსოფიის განვითარებას იმდენად, რამდენადაც მარქს-ენგელსმა გადმოიღეს ჰეგელიდან ეს მოთოდი და მატერიალისტურ ფილოსოფიას დაუკავშირეს. მაგრამ ჰეგელის სისტემაში

დიალექტირი მეთოდი იდეალისტურ შინაარსს ატარებდა, ამიტომ მარქსს დასჭირდა მისი შინაარსის ძირიანად შეცვლა, რომ იგი მატერიალისტურ საფუძვლებზე აეგო[1]). ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ჩერნიშევსკიმ საკმაო დამოუკიდებლობა გამოიჩინა ⁄ საკუთარი ძალღონით მოიწადინა იმ გზის გავლა, რომელიც დასავლეთ ევროპაში უკვე გატკეპნილი იყო მარქს-ენგელსის თეორიული მუშაობის წყალობით. ჩერნიშევსკიმ ბევრად წინ გაუსწრო თავის მასწავლებელს—ფეიერბახს და მოინდომა ჰეგელის დიალექტიური მეთოდი შეერთებინა ფეიერბახის მატერიალიზმთან[2]): მატერიალიზმისა და დიალექტიური მეთოდის შეუღლება თვით ფეიერბახისათვის შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ მიმართულებით, როგორც დავინახეთ, თეორიული მუშაობა აწარმოეს მარქს-ენგელსმა; ჩერნიშევსკის ფილოსოფიური აზროვნებაც ამ მიმართულებით წავიდა და იგი აუცილებლად დასცილდა ფეიერბახს. როგორც ჩვენ უკვე ვიცით, მსგავსად მარქს-ენგელსისა, ჩერნიშევსკიმ ახალგაზრდობაში ჰეგელის ფილოსოფიის დიდი გავლენა განიცადა; შემდეგში, როდესაც ის გაეც-

---

[1]) 1873 წ. „კაპიტალის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში კ. მარქსი სწერდა: „Мой диалектический метод в своем основании не только отличается от гегелевского, но даже составляет прямую его противоположность. Для Гегеля процесс мысли... является демиургом действительности. Для меня же идеальное начало является наоборот, лишь прошедшим через человеческий мозг материальным началом“ („Капитал“ ტ. 1 გვ. XV, 1906 წ.).

[2]) პროფ. ა. დებორინი სწერს: „В философском отношении Чернышевский двигался в направлении к диалектическому материализму, стремясь синтезировать диалектический метод Гегеля и материализм Фейербаха“. А. Деборин: Философские взгляды Н. Г. Чернышевского. ჟურნ. „Летописи Марксизма“ VII—VIII, გვ. 10, 1928 წ.

ნო ფეიერბახის მოძღვრებას და შეითვისა მისი მატერიალისტური ანთროპოლოგიური ფილოსოფია, ჩერნიშევსკიმ საერთოდ უარჰყო ჰეგელის ფილოსოფია, ხოლო გადმოიღო მისგან დიალექტიური მეთოდი. ჩერნიშევსკის კარგად ესმოდა ჰეგელის მნიშვნელობა საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, მაგრამ ესმოდა აგრეთვე მისი შეზღუდარი მხარეებიც[1]). ამიტომ უარჰყო რა მან ჰეგელის სისტემა საერთოდ, ფართოდ შეუდგა მისი დიალექტიური მეთოდის გამოყენებას რთულ ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ პრობლემათა გარკვევის საქმეში.

მაგრამ როგორ ესმის ჩერნიშევსკის დიალექტიური მეთოდი ? რამდენად უახლოვდება მისი გაგება ამ საკითხისა მარქსიზმის განმარტებას? ჩერნიშევსკის მიერ დიალექტიური მატერიალიზმის გაგების საკითხში რუსეთის მარქსისტულ ლიტერატურაში ორი უმთავრესი მიმდინარეობა არსებობდა: გ. პლეხანოვის განმარტებით—ჩერნიშევსკიმ ვერ გაიგო დიალექტიური მეთოდის ხასიათი[2]), ჩერნიშევსკიმ ვერ გაიგო ის, რომ, საგნის თვისება და ძალა იცვლება თვით საგნის შინაგანი განვითარების ლოგიკის ზეგავლენით[3]); ჩერნიშევსკი, იმავე პლეხანოვის აზრით, ეშმარიტებას ეძებს არა ობექტიურ ფაქტების განვითარებაში, არამედ სხვადასხვა შეხედულებათა და აზრთა შეჯახებაში. სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებას იცავს ი. სტეკლოვი თავის ნარკვევებში ჩერნიშევსკის

---

[1]) „Принципы Гегеля были чрезвычайно мощны и широки,—писал Чернышевский,—выводы—узки и ничтожны... Гегель было уже принадлежит истории, настоящее время имеет другую философию и хорошо видит недостатки гегелевской системы" (ტ. II გვ. 164).

[2]) Г. Плеханов: Сочинения. ტ. V 229—30.

[3]) იქვე ტ. VI, გვ. 299.

ფილოსოფიური აზროვნების შესახებ [1]). ავტორი ამტკიცებს, რომ ჩერნიშევსკიმ ამომწურავი განმარტება მოგვცა დიალექტიური მეთოდისა და ამით ძლიერ დაუახლოვდა ამ საკითხის მარქსისტულ გაგებას. როგორც პლეხანოვი, ისე სტეკლოვი, უკიდურესობაში ვარდებიან. მართლაც, როგორ ესმის თვით ჩერნიშევსკის ეს მეთოდი? ავტორის გაგებით დიალექტიური მეთოდის რაობა გამოიხატება იმაში, რომ მკვლევარმა ყოველი მხრიე უნდა შეისწავლოს საგანი მთელი თავისი შინაგანი თვისებებითა და საწინააღმდეგო მოვლენებით. მაგრამ საგანი შეიძლება შესწავლილი იქნეს არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად: განყენებული ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება კონკრეტულია—სწერს ჩერნიშევსკი [2]). აქ ჩერნიშევსკი პირდაპირ უპირისპირებს ობექტივიზმს—სუბიექტივიზმს, რეალურ სინამდვილის ლოღიკას—იდეალიზმს, და ეს ადვილი გასაგებიც არის, რადგან მისი აზროვნების ცენტრში სინამდვილის პრობლემა დგას. «Об'яснить действительность стало существенною обязанностью философского мышления»—სწერდა ჩერნიშევსკი [3]) და ამით გარკვევით მიგვითითებდა, თუ საით იყო მიმართული მისი აზროვნების გეზი. ამიტომ სწორი არ არის პლეხანოვის აზრი, თითქოს ჩერნიშევსკი არა თვით საგანში, არამედ სხვადასხვა აზრთა შეჯახებაში ეძებდეს დიალექტიური მეთოდის რაობას. პლეხანოვის ეს შეცდომა ნათელჰყო პროფ. დებორინმა თავის მოხსენებაში [4]).

[1]) Ю. Стеклов: „Философские воззрения Чернышевского" ჟურნ. „Под Знаменем марксизма" № 5, 1927 წ.

[2]) ტ II გვ. 187.

[3]) იქვე.

[4]) იხ. А. Деборин: Философские взгляды Н. Г. Ч—го

ამრიგად ჩერნიშევსკიმ სწორად მიაგნო, თუ სად არის დიალექტიური მეთოდის ობექტი. უფრო მეტი, მას კარგად ესმოდა, რომ ყოველივე მოძრაობდა მიისწრაფოდა უმაღლეს ფორმებისაკენ. «Вечная смена форм, вечное отвержение формы, порожденной известным содержанием или стремлением вследствие усиления того же стремления высшего развития того же содержания» [1]). ჩერნიშევსკის ეს ფორმულა დიალექტიური მეთოდის კლასიკურ დახასიათებას წარმოადგენს. „მუდმივი ცვალებადობა ფორმისა", „მუდმივი მოსპობა ფორმების" ამის შესწავლა და გამორკვევა ჩერნიშევსკის აზრით მხოლოდ დიალექტიური მეთოდით შეიძლება.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩერნიშევსკი თეორიულად დიდ უპირატესობას ანიჭებს დიალექტიურ მეთოდს და ხშირად მის სწორ ფორმულიროვკასაც იძლევა, მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ მას საესებით მარქს-ენგელსისებურად ესმის დიალექტიური მეთოდი. ამ მხრივ, რასაკვირველია, სტეკლოვის შეხედულება შემცდარი არის. ერთი მხრივ უნდა აღინიშნოს ის, რომ ჩერნიშევსკი ძლიერ ხშირად ვერ იყენებდა დიალექტიურ მეთოდს ისტორიულ პროცესებისა და კონკრეტული მოვლენების ასახსნელად; მეორე მხრივ, დიალექტიური მეთოდის ამოცანა მაინც თავისებურ სახეს ატარებდა ჩერნიშევსკის ფორმულაში. მარქს-ენგელსის განმარტებით, დიალექტიური მეთოდი უწინარეს ყოველისა და უმთავრესად ხასიათდება მით, რომ იგი თ ვ ი თ ს ა გ ა ნ ს ა დ ა მ ო ვ ლ ე ნ ა შ ი ეძებს ძალას, რომელიც იძლევა მისი შემდეგი განვითარების შესაძლებლობას [2]). ჩერნიშევსკი დიალექტიური მეთოდის ასეთ სრულ განმარტებამდე ვერ მივიდა; თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზოგიერთ ნაწერებში ჩანს მიახ-

---

[1]) Чернышевский, ტ. IV, გვ. 332.

[2]) Г. Плеханов ტ. V გვ. 229.

ლოება ასეთ ფორმულიროვკისადმი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩერნიშევსკის გაგებით დიალექტიური მეთოდი იმაში გამოიხატება, რომ მაზროვნემ საგანი ყოველმხრივ უნდა შეისწავლოს [1]). რასაკვირველია, ეს უკვე არ ნიშნავს თვით გამოსარკვევ საგანსა და მოვლენაში მოწინააღმდეგე ელემენტებისა და ძალის აუცილებლად პოვნას [2]).

ამრიგად ჩერნიშევსკიმ ფილოსოფიურ მატერიალიზმთან ერთად შეითვისა — დიალექტიური მეთოდი. მაგრამ მან ვერ შესძლო ამ უკანასკნელის მარქსისტულად გაგება და საკუთარი გამოყენება ისტორიულ-სოციოლოგიურ საკითხების სფეროში. ამით იგი ჩამორჩა მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, ან პლეხანოვის სიტყვებით რომ ვთქვათ: ფილოსოფიაში ჩერნიშევსკი ახლოს იყო მარქსთან და ენგელსთან [3]), ხოლო მის ფილოსოფიურ შეხედულებებში უკვე სჩანდა მატერიალისტური დიალექტიკის ცხოველმყოფელი ჩანასახი [4]). ნ. ი. ლენინმა შემდეგ ნაირად დაახასიათა ნ. ჩერნიშევსკის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა: „ჩერნიშევსკი — ერთად-ერთი ნამდვილი დიდი რუსი მწერალი იყო, რომელმაც შესძლო 50-იან წლებიდან 1888 წლამდე მთლიან ფილოსოფიურ მატერიალიზმის დონეზე დარჩენა

---

[1]) ჩერნიშევსკის ფორმულა ამბობს „Мыслитель... должен искать нет ли в предмете... качества сил, противоположных тому, что представляется этим предметом на первый взгляд, т. е., мыслитель был принужден обозревать предмет со всех сторон, и истина являлась ему не иначе, как следствием борьбы всевозможных противоположных мнений“ (ტ. II გვ. 187).

[2]) შეად. В. Ильинский: „Н. Ч—кий, как мыслитель и революционер“. კრებულში: „К Юбилею Ч-го“ სარატოვი, 1928 წ.

[3]) პლეხანოვი ტ. VI გვ. 305.

[4]) იქვე ტ. V, გვ. 231.

და ნეოკანტიანელთა, პოზიტივისტთა, მახისტებისა და სხვა გზა-აბნეულთა სასაცილო სისულელეების უკუგდება. მაგრამ ჩერნიშევსკიმ ვერ შესძლო, უკეთ არ შეეძლო რუსეთის ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო მარქსისა და ენგელსის დიალექტიურ მატერიალიზმამდე ამაღლება" [1]).

როგორც ზევით დავინახეთ, ჩერნიშევსკიმ თავისი მატერიალიზმითა და დიალექტიური მეთოდით დიდათ წასწია წინ რუსეთის ფილოსოფიური აზროვნება. მაგრამ თუ 60-იანი წლების ახალი თაობის ინტელიგენციას ახასიათებდა მატერიალისტური მსოფლმხედველობა, სამაგიეროდ 70-იანი წლების ნაროდნიკული თაობა იდეალიზმისა და პოზიტივიზმის მსხვერპლი გახდა: ამ პერიოდში რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია ხარბად დაეწაფა პ. ლავროვისა და ნ. კ. მიხაილოვსკის იდეალისტურსა და პოზიტივისტურ ფილოსოფიას. მხოლოდ 80—90-იან წლებში აღორძინდა ხელმეორედ რუსეთში მატერიალიზმი თავისი დამთავრებული სახით—დიალექტიური მატერიალიზმის სახით. შედარებით 60-იანი წლების ფილოსოფიურ აზროვნებასთან—ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ანთროპოლოგიურ მატერიალიზმთან და დიალექტიურ მეთოდთან,—70-იანი წლების პოზიტივიზმი და იდეალიზმი რუსეთის ფილოსოფიურ აზროვნებაში უკვე უკანდახევას წარმოადგენდა. ნ. ლენინი 70-იანი წლების პოზიტივიზმის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელის შესახებ სწერდა „ფილოსოფიაში მიხაილოვსკიმ რუსეთის უტოპიური სოციალიზმის უდიდეს წარმომადგენელთან, — ჩერნიშევსკისთან შედარებით, ნაბიჯი უკან გადასდგა" [2]). მიხაილოვსკიმ თა-

---

[1]) ლენინი. ტ. X გვ. 305.

[2]) ლენინი ტ. XII, II გვ. 371.

ვისი პოზიტივიზმითა[1]) და პ. ლავროვმა თავისი „სუბიექტივიზმით" რუსეთის მოწინავე ახალთაობის ინტელიგენცია ააცდინეს ჩერნიშევსკის მიერ გატკეპნილ გზას ფილსოფიაში. 80-90-იანი წლების ახალთაობამ კვლავ გააბა კავშირი 60-იანი წლების რუსეთის ფილსოფიური აზროვნების უდიდეს წარმომადგენელთან და განაგრძო მისი დაწყებული საქმე.

ნ. ჩერნიშევსკი—60-იან წლების უდიდესი მოაზროვნე,—წინამორბედი იყო მარქსიზმისა და დიალექტიური მატერიალიზმისა რუსეთში. ამიტომ არის, რომ მას განსაკუთრებული ყურადღებითა და სიმპატიებით ეპყრობიან რუსი მარქსისტები.

3. ჩერნიშევსკის ეკონომიური შეხედულება და სოციალიზმი

ჩერნიშევსკის განსაკუთრებული მნიშვნელობა და როლი ეკონომიური პრობლემების გამორკვევაში გამოიხატა. ეპოქა, როდესაც ნ. ჩერნიშევსკის ლიტერატურული მოღვაწეობა ფართოდ ვითარდებოდა, შესანიშნავი იყო რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორიაში მით, რომ უკვე საგრძნობი შეიქმნა რუსეთში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების აუცილებლობა. განსაკუთრებით ნიკოლოზ პირველის მეფობამ

[1]) ნ. მიხაილოვსკის მოწაფეები (ვ. ჩერნოვი, ივანოვ — რაზუმნიკი, კოლოსოვი) დიდ დამსახურებად უთვლიან თავიანთ მასწავლებელს იმას, რომ მან კავშირი გასწყვიტა „სოვრემენიკის" მატერიალიზმთან და დიალექტიურ მეთოდთან და მიემხრო პოზიტივიზმის პრინციპებს, რომელსაც უარყოფდა „სოვრემენიკი" და ნ. ჩერნიშევსკი (Е. Колосов: Очерки мировоззрения Н. К. Михайловского, გვ. 271 1912 წ.; იხ. აგრეთვე ვ. ჩერნოვის: Философские основы учения Н. К. Михайловского"). მაგრამ ეს დამსახურებად ვერ ჩაეთვლება მიხაილოვსკის.

ნათელი გახადა, რომ რუსეთის ეკონომური ცხოვრება ევროპის გავლენას ემორჩილებოდა და მიუხედავად თავისი ჩამორჩენილობისა, რუსეთის ეკონომიური წარმატება აუცილებლად უნდა განვითარებულიყო კაპიტალიზმის გზით. ყირიმის ომმა გამოაშკარავა რუსეთის ძველი ეკონომიურ-სოციალური წყობილების ჩამორჩენილობა და უვარგისობა; გაბატონებულ წრეებისათვისაც კი ნათელი შეიქნა ევროპიული სისტემის შემოღების აუცილებლობა რუსეთში და ალექსანდრე II-ს „რეფორმებიც" ამ ბურჟუაზიული განვითარების ნიშნის ქვეშ ვითარდებოდა. ჩერნიშევსკისათვის ნათელი გახდა რუსეთის ეკონომიური განვითარების ეს ტენდენცია; მან ცხადათ დაინახა, რომ რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება მიექანებოდა იმ კონკურენციის განმტკიცებისაკენ, რომელიც გაბატონებული იყო ევროპაში. თავის წერილში «Славянофилы и вопрос об общине" (1857 წ.), იგი გადაჭრით სწერდა: „შეუძლებელია დავიძალოთ, რომ რუსეთი, რომელიც დღემდე ძლიერ ნაკლებ მონაწილეობას ღებულობდა ეკონომიურ მოძრაობაში, ჩქარის ნაბიჯით ებმება მასში, და ჩვენი ცხოვრება, რომელიც დღემდე თითქმის გარეშე იდგა იმ ეკონომიური კანონების გავლენისაგან, რომელიც თავის ძალას ამჟღავნებს მხოლოდ ეკონომიური და საერო მოღვაწეობის გაძლიერების დროს, ჩქარის ტემპით იწყებს მის (ეკონომიური კანონების) დამორჩილებას. ძლიერ ჩქარა შეიძლება ჩვენც მოვხვდეთ კონკურენციის კანონების სრული მოქმედების სფეროში" [1]).

იმავე წლებში, მეორე წერილში ნ. ჩერნიშევსკი სწერდა. „ჩვენი უკანასკნელი ომის დამთავრების შემდეგ, რუსეთისათვის დაიწყო უფრო ნაყოფიერი, ვინემ ოდესმე იყო, მონაწილეობა ევროპის საერთო ეკონომიურ მოძ-

---

[1]) Н. Чернышевский: Собр. соч. т. III з. 185.

რაობაში,—ყველანი ხედავთ, რომ ჩვენი სამრეწველო მოქმედება იწყებს სულ უფრო და უფრო გაფართოებას, ჩვენი საკუთარი ზნეობრივი და მორალური კაპიტალი გამოფხიზლდა ლეტარგიული უმოქმედობისაგან; უცხოეთის კაპიტალისტები ნახულობენ ჩვენში სასარგებლო გამოსაყენებელ სფეროს... რუსეთი შედის ეკონომიური განვითარების იმ პერიოდში, როდესაც ეკონომიურ წარმოებაში კაპიტალი ბატონდება. ხასიათი მწარმოებელი კლასებისა და თვით მათი ცხოვრება აუცილებლად განიცდიან ამ მოვლენისაგან დიდ ცვლილებებს. წარმოებაში კაპიტალის მოთავსებით — არა მარტო პროდუქტების რიცხვი გაიზრდება, არამედ შეიცვლება თვით წარმოების წესიც" [1]).

ასე სწერდა ჩერნიშევსკი რუსეთის ეკონომიური განვითარების შესახებ და უნდა ითქვას, რომ ამ საკითხში მან დიდი დაკვირვება და ცოდნა გამოიჩინა; აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ ჩერნიშევსკიმ თავისი დაკვირვებული ნიჭით, ჯერ კიდევ 50-იან წლებში დაინახა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობა, მაშინ, როდესაც ნაროდნიკული მიმდინარეობის ზოგიერთი წარმომადგენელი, არამც თუ უარყოფდა კაპიტალიზმის არსებობას 90-იან წლებში, არამედ საეჭვოდ ხდიდა რუსეთში მისი განვითარების შესაძლებლობასაც კი. მათ ვერ დაინახეს კაპიტალიზმის არსებობა სწორედ იმ პერიოდში, როდესაც რუსეთი უკვე საკმაოდ მძლავრად განიცდიდა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას. ჩერნიშევსკი ამ მხრივ უფრო შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა, მისი ცოდნა რუსეთის ეკონომიური ცხოვრებისა—უფრო ღრმა და საფუძვლიანი.

მაგრამ ჩერნიშევსკისათვის არ იყო საკმარისი რუსეთში კაპიტალისტური წარმოების განვითარების მარტო აღ-

---

[1]) იქვე, გვ. 270 — 71.

ნიშვნა. მას კაპიტალიზმის რაობა უნდა მეცნიერულად შეეფასებია და გამოერკვია მისი როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მიზნით ჩერნიშევსკიმ ღრმად შეისწავლა თეორიული პოლიტიკური ეკონომია და ევროპის კაპიტალიზმის ვითარება. თუ იგი წინად ფილოსოფიური, ესთეტიური და ისტორიული საკითხებით იყო დაინტერესებული, აღნიშნული პერიოდიდან მისი ცოდნის გაფართოების საქმე ეკონომიურ კითხვებისაკენაც იქნა მიმართული; ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ თეორიულ პოლიტიკურ ეკონომიის ძირეულ საკითხების გადაწყვეტაში ჩერნიშევსკი რამდენიმედ მიუახლოვდა მარქსიზმს, თუმცა კაპიტალიზმის კრიტიკის საკითხში იგი ვერ გასცილდა უტოპიურ სოციალისტების შეხედულებებს. მთელ რიგ წერილებში მან გააცნო რუსეთის საზოგადებასა და ახალთაობის ინტლიგენციას კაპიტალისტური წყობილების შინაარსი და ის წინააღმდეგობა შრომისა და კაპიტალის შორის, რომელიც თანსდევს კაპიტალიზმის განვითარებას. ამ მხრივ შესანიშნავი არის მის შრომები.

„შრომა და კაპიტალი“ (1860 წ.) და შენიშვნები მილის პოლიტიკურ ეკონომიის თარგმანზე. მაგრამ კრიტიკა კაპიტალისტური და ბატონყმური წყობილებისა პირდაპირ აიძულებდა მას არსებითი ყურადღება მიექცია თეორიული პოლიტიკური ეკონომიის თვალსაზრისით სოციალიზმის პრობლემებისათვის ⁄ გამოერკვია სოციალისტური წყობილების ფორმები. ამრიგად, ჩერნიშევსკიმ არა მარტო გააკრიტიკა კაპიტალისტური წყობილება, არამედ გამოიმუშავა გარკვეული სოციალისტური გეგმებიც. მისი მთავარი მიზანი იყო იმ პერიოდში, როდესაც ხდებოდა რუსეთის გადასვლა ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებიდან კაპიტალისტურ ურთიერობაზე, საზოგადოებისათვის დაემტკიცებია როგორც პირველის, ისე მეორის უარყოფითი მხარეები და ეჩვენებია საზოგადოებრივი

წყობილების უფრო უმაღლესი ფორმა, აგებული სამართლიანობისა ⁄ ეკონომიურათ მიზანშეწონილობის ნიადაგზე. როგორც კაპიტალისტური წყობილების კრიტიკაში, ისე მომავალი სოციალისტური წყობილების გამორკვევის საკითხში, იგი სდგას ევროპის უტოპიური სოციალიზმის თვალსაზრისზე.

ჩერნიშევსკი, როგორც ეკონომისტი და სოციალიზის თეორეტიკოსი, დიდი ხნის განმავლობაში დაუძლეველი იყო რუსეთის ეკონომიურ ლიტერატურაში. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, მის ეკონომიურ ნარკვევებში მთელი რიგი ისეთი ღრმა აზრებია გამოთქმული, რომელიც მარქსის გენიალურ მოსაზრებებს გვაგონებენ. ისტორიულად ჩერნიშევსკი როგორც ეკონომისტი, რუსეთში თეორიულად ამზადებდა ნიადაგს მარქსის ეკონომიური მოძღვრების აღმოსაცენებლად [1]). გზა, რომლითაც მიემართებოდა ჩერნიშევსკის ეკონომიური აზროვნება, აუცილებლად გვაგონებს იმ გზას, რომლითაც განვითარდა მარქსისტული ეკონომიური მოძღვრება [2]). ისე, როგორც მარქსიზმმა დაუკავშირა სოციალიზმს პოლიტიკური ეკონომია, ჩერნიშევსკიც ცდილობდა თავის ეკონომიურ ნარკვევებში თეორიული კვანძი გაება პოლიტიკურ ეკონომიასა და სოცალისტურ მოძღვრების შორის. მაგრამ ჩერხიშევსკიმ საერთოდ ვერ შესძლო მთლიანი ეკონომიური თეორიის შექმნა და აღმოჩენა ეკონომიური მეცნიერებისათვის ახალი გზების, როგორც მოგვცა მარქსმა [3]). ჩერნიშევსკიმ

---

[1]) ამიტომ სამართლიანად სწერდა დ. რიაზანოვი: „Чернышевский в области политической экономии является одним из наиболее непосредственных предшественников Маркса". Д. Рязанов Маркс и Чернышевский. იხ. „Летопись марксизма" № 7 -8: გვ. 51).

[2]) И. Рубин: Чернышевский как экономист. იქვე გვ. 23.

[3]) იქვე.

გამოიყენა ერთობ მოხდენილად ბურჟუაზიულ თეორიულ პოლიტიკურ ეკონომიის მეცნიერული დასკვნები სოციალისტური თეორიის გასამტკიცებლად და ამრიგად ის თეორიულ ეკონომიური არგუმენტაციები, რომელსაც ბურჟუაზიული ეკონომიური მეცნიერება იყენებდა, როგორც არსებულ წყობილების დაცვის საშვალებას, ჩერნიშევსკიმ იმავე წყობილებისა და იმავ ბურჟუაზიული მეცნიერების საწინააღმდეგოდ მიმართა. მაგრამ ამით მან მაინც ვერ შესძლო სოციალიზმის თეორიისა და პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერების შეერთება, სინტეზი, როგორც ამას იძლევა მარქსიზმი. ეს იყო ჩერნიშევსკის, როგორც ეკონომისტისა და მეცნიერის ტრაგედია: იგი თითქმის ყველა მნიშვნელოვან თეორიულ საკითხებში — ეკონომიური და ფილსოფიურ-სოციოლოგიური მსოფლმხედველობის შემუშავების დროს — იმავე გზით წავიდა, როგორც მარქსი და ენგელსი, მაგრამ ამ გზის ბოლომდე გავლა ვერ შესძლო და მაშასადამე თეორიულად ვერ მოახერხა მარქსიზმის სიმაღლემდე ასვლა. ეს გარემოება ჩერნიშევსკის პირად თვისებებიდან კი არ იყო წარმომდგარი, არამედ იმ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობიდან, რომელშიაც მოღვაწეობა უხდებოდა ჩერნიშევსკის.

ჩერნიშევსკის ეკონომიური მოძღვრების შემუშავებაზე მეტად დიდი გავლენა მოახდინა მაშინდელი რუსეთის საზოგადოებრივმა პირობებმა, რადგან განუვითარებელი ეკონომიური ურთიერთობა ვერ იძლეოდა ნაყოფიერ საზრდოს დამთავრებული ეკონომიური აზროვნების შესამუშავებლად. იქ, სადაც ჯერ კიდეე კაპიტალიზმი მშობიარობის მძიმე პროცესში იმყოფებოდა და არ იყო მომწიფებული ახალი ეკონომიური ურთიერთობა, რასაკვირველია, ძნელი იყო კაპიტალისტური წყობილების კანონების აღმოჩენა და, მაშასადამე, ამ ურთიერთობის სწორი ანალიზის მოცემა და დამთავრებული ეკონომიური მეცნიე-

რების შემუშავებაც. ის, რაც ჩერნიშევსკიმ შესძლო თეორიულ პოლიტიკურ ეკონომიის სფეროში, ისიც დიდ მიღწევას წარმოადგენდა რუსეთის მაშინდელი ეკონომიური აზროვნების ისტორიაში.

მსგავსად ევროპის უტოპისტ-სოციალისტებისა, ჩერნიშევსკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა არა მარტო კაპიტალისტური ურთიერთობის ანალიზსა და კრიტიკას, არამედ--სასურველ საზოგადოებრივ წყობილების ფორმებს, მის სარგებლიანობასა და მიზანშეწონილობას; კაპიტალიზმის ანალიზითა და კრიტიკით ჩერნიშევსკის სურდა არა სოციოლოგიური კანონების შემუშავება და დამტკიცება სოციალიზმის განხორციელების ისტორიულობისა და აუცილებლობის, არამედ მისი სარგებლიანობისა და მიზანშეწონილების. ამ შემთხვევაში ჩერნიშევსკის იდეალიზმი უდაოა: მისი მიდგომა საკითხისადმი არის იდეალისტური და არა მატერიალისტურ — დიალექტიური. ჩერნიშევსკი ღებულობს ორ საზოგადოებრივ ფორმაციას—კაპიტალისტურს და სოციალისტურს და უპირისპირებს ერთიმეორეს; მზგავსად მარქსიზმისა, მას კომუნიზმის განხორციელება არ გამოყავს კაპიტალიზმის განვითარების კანონებიდან და მისი შინაგანი წინააღმდეგობიდან; თუ მარქსიზმისთვის კომუნიზმი არის კაპიტალისტური ურთიერთობის შემდეგი ისტორიულად აუცილებელი საზოგადოებრივი წყობილება, ჩერნიშევსკისათვის იგი სასურველი და რაციონალური წყობილებაა. მარქსი ამ შემთხვევაში, — და აღსანიშნავია სწორეთ ის, რომ მარქსიზმი აქ ახდენს პოლიტიკური ეკნომიისა და სოციალიზმის სინტეზს, მათს თეორიულად და ისტორიულად დაკავშირებას, - მეცნიერული სოციალიზმის ნიადაგზე დგას და საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებას იხილავს მასში მომქმედ ობიექტიური კანონების მიხედვით; ჩერნიშევსკი კი უტოპიურ ნიადაგზე დგას და მორალისა და სასურველობის საზომით უდგება პრობლემას.

კაპიტალისტური წყობილების კრიტიკის საქმეში ჩერნიშევსკიმ ორი ძირითადი დებულება გამოიყენა. ერთი მხრივ ჩერნიშევსკიმ მოიმარჯვა კლასიკური სკოლის ეკონომისტების (სმიტის, რიკარდოს) მიერ წამოყენებული თეორიული დებულება, რომ საქონელი არის შრომის ნაყოფი. ბურჟუაზიული ეკონომისტების მიერ წამოყენებული შრომის ღირებულების თეორია, ჩერნიშევსკის ხელში გადაიქცა უდიდეს არგუმენტად თვით კაპიტალისტური წყობილების მოსპობისათვის: თუ შრომა ჰქმნის ყოველივე ღირებულებას, მაშინ შრომის ნაყოფი უნდა ეკუთვნოდეს მას, ვისი შრომითაც იგი არის შექმნილი[1]) — ასეთი არის ჩერნიშევსკის პირველი თეორიული არგუმენტი კაპიტალიზმის საწინააღმდეგოდ მიმართული და ამით იგი, როგორც ენგელსი იტყოდა ხოლმე — მორალის არგუმენტაციას იყენებს ეკონომიკაში. ჩერნიშევსკის არსებული წყობილების კრიტიკა და მომავალი სოციალისტური წყობილების სასურველობა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი დებულების გაღრმავებიდან გამოყავს; ჩერნიშევსკის თეორიული არგუმეტაცია შემდეგნაირად ვითარდება: კაპიტალისტურ ურთიერთობაში დარღვეული არის უდიდესი პრინციპი: შრომის ნაყოფი უნდა ეკუთვნოდეს მშრომელს; ამ პრინციპის აღდგენა და მისი დაცვა შესაძლებელი არის მხოლოდ კომუნისტურ წყობილებაში; აქედან გამომდინარეობს მეორე დასკვნა, რომელსაც ჩერნიშევსკისა და 60-იან წლების მოწინავე ინტელიგენციისათვის უდიდესი პრაქტიკული რე-

---

[1]) უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის გარკვევის დროსაც ჩერნიშევსკი არ სცილდება თავის „ანთროპოლოგიურ პრინციპს"; „მილის შენიშვნებში" იგი სწერს: „ერთად-ერთი ელემენტი წარმოებისა—შრომა მოთავსებულია თვით ადამიანის ორგანიზმში; ამიტომ ადამიანის თვალსაზრისით წარმოების ყოველი პროდუქტი უნდა ითვლებოდეს ხოლოდ მშრომელების პროდუქტად" (ტ. VII გვ. 650).

ეოლუციონური მნიშვნელობა ჰქონდა: უ ნ დ ა დ ა ი რ ღ ვ ე ს კაპიტალისტური წყობილება, აგებული უ ს ა მ ა რ თ ლ ო ბ ი ს პრინციპზე და უ ნ დ ა ა შ ე ნ დ ე ს საზოგადოებრივი ურთიერთობა ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ საფუძვლებზე.

ჩერნიშევსკი შემდეგ სიტყვებში გამოხატავს ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიისა და სოციალიზმის თეორიის შორის არსებულ პრინციპიალურ წინააღმდეგობას: „ძველი (ე. ი. ბურჟუაზიული ს. ხ.) თეორია ამბობდა: ყოველივეს ჰქმნის შრომა; ახალი, ე. ი. სოციალისტური ს. ხ.) თეორია უმატებს: ამიტომ ყოველივე უნდა ეკუთვნოდეს შრომას... ძველი თეორია ამბობდა: შრომის თავისუფლება; ახალი თეორია ამას უმატებს: და მშრომელთა დამოუკიდებლობა“ [1]).

ამასთან ერთად გარკვევით უნდა აღინიშნოს ის დიდი განსხვავებაც, რომელიც არსებობს ძველ ეკონომისტებსა და ჩერნიშევსკის გამოსავალ თვალსაზრისს შორის: თუ ბურჟუაზიულ ეკონომისტებისათვის შრომის ღირებულების თეორია იყო მხოლოდ თეორიული კანონი, ხოლო მარქსისათვის--მეთოდი კაპიტალისტური ურთიერთობის ასახსნელად, ჩერნიშევსკისათვის იგი გადაიქცა მ ო რ ა ლ უ რ პ ო ს ტ უ ლ ა ტ ა დ, რომელიც ერთი მხრივ უარყოფს კაპიტალისტურ ურთიერთობას, რადგან მასში დარღვეული არის შრომის ღირებულების მოთხოვნილება, ხოლო მეორე მხრივ, მ ო ი თ ხ ო ვ ს ამ თეორიაზე აშენებულ სამართლიან საზოგადოებრივ წყობილებას. ჩერნიშევსკიზე უფრო ადრე შრომის ღირებულების დებულება სოციალიზმის თეორიის დასაცავად ინგლისის ე. წ. რიკარდიანელმა სოციალისტ-უტოპისტებმა (ტომსონი, გოდსკინი, გრეი და სხვ.) გამოიყენეს და სოციალისტური მიმართულებით განავითარეს რიკარდოს მიერ დასაბუთებული შრო-

---

[1]) ტ. VI: „Капитал и труд“ გვ. 44.

მის თეორია [1]). ჩერნიშევსკიმ ისარგებლა მათი ნაწერებით, მეტი სიცხოველე და თეორიული სიღრმე შეიტანა მასში და, შეიძლება ითქვას, —პირველმა რუსეთში საკმაო ფართოდ გამოიყენა ეს პრინციპი ეკონომიურ მეცნიერების შემუშავებისა და სოციალისტური თეორიის განტაცების საქმეში.

მეორე დებულება, რომლითაც ჩერნიშევსკი სარგებლობს კაპიტალისტური ურთიერთობის კრიტიკის დროს, იმაში გამოიხატება, რომ მას კაპიტალიზმი მოუწესრიგებელ, არაანგარიშიანობაზედ აგებულ წყობილებად მიაჩნია; ასეთს ანარქიულ წყობილებაში მიზანშეუწონლად იხარჯება დიდძალი შრომა და ენერგია; ჩერნიშევსკის აზრით, ანგარიშიანი და მიზანშეწონილი სასარგებლო შრომა შესაძლებელი არის იქ, სადაც ქონება განსაზოგადოებულია და წარმოება გეგმიანად არის მოწყობილი, თანახმად ადამიანის ინტერესებისა და მოთხოვნილებებისა. ასეთი იყო ის დებულებები, რომელიც ჩერნიშევსკიმ წამოაყენა კაპიტალისტური ურთიერთობის წინააღმდეგ.

როგორც ვხედავთ, ჩერნიშევსკის თვალსაზრისი სოციალიზმის თეორიულ საკითხებში ბევრით არ განსხვავდება უტოპიურ სოციალისტების თეორიისაგან. მართალია, მან სცადა პოლიტიკური ეკონომიისა და სოციალიზმის დაკავშირება, მაგრამ ამ შეუღლებას მხოლოდ მორალური პრინციპი დაუდვა სარჩულად და მათ შორის მტკიცე, ობიექტიურ ვითარების ნიადაგზე აღმოცენებული მეცნიერული კავშირის გაბმა ვერ მოახერხა. აღსანიშნავია ისიც, რომ, ჩერნიშევსკის განმარტებით, პოლიტიკური ეკონომიის საგანს შეადგენს არა ანალიზი კაპიტალისტური ურთიერთობისა, არამედ ის, რაც უფრო სასარგებლო და

---

[1]) В. Святловский: „История социализма". 1924 წ.; Рубин- История экономической мысли". გვ. 130—38.

სასურველია ხალხის ეკონომიური წარმატებისათვის[1]). აქ მართლაც პოლიტიკური ეკონომიისა და სოციალიზმის ამოცანები სრულიად ენათესავება ერთი მეორეს, მაგრამ დანათესავება აღმოცენებული არის თვით პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი ამოცანების დარღვევის ნიადაგზე.

თუ კაპიტალიზმის კრიტიკის საქმეში უმთავრესად მან გამოიყენა შრომის ღირებულების თეორია, სამაგიეროდ მომავალი კომუნისტური წყობილების ფორმა შ. ფურიეს და ლუი ბლანის ასოციაციების თეორიებზე ააგო[2]). სასტიკ ცენზურულ პირობებში ჩერნიშევსკი, როგორც დახელოვნებული და გამოცდილი პუბლიცისტი, ახერხებდა თავისი სოციალისტური იდეების გატარებას. უნდა ითქვას, რომ მისმა თეორიულმა წერილებმა და მოწოდებებმა ამ მიმართულებით დიდათ გამოფხიზლა ახალგაზრდობა და ხელი შეუწყო რუსეთში სოციალისტური აზროვნების გავრცელების. რუსეთის მოწინავე საზოგადოებამ და ინტელიგენციამ კაპიტალისტური წყობილების დასაბუთებული, მეცნიერული არგუმენტაციებით დამტკიცებული კრიტიკა პირველად ნ. ჩერნიშევსკის წერილებით გაიცნო: იგი იყო რუსეთის პირველი მეცნიერი — ეკონომისტი, რომელმაც მისცა საზოგადოებას კაპიტალისტური წყობილების კრიტიკის მკვეთრი იარაღი; მისი წერილების საშვალებით ახალთაობის ინ-

---

[1]) В. Чернышев: Н. Чернышевский и Г. Плеханов. Очерк их экономических воззрений. 1925 წ.

[1]) Е. Лядкий: Н. Чернышевский и Ш. Фурье, ჟურნ. „Совр. Мир“ № 11, 1909 წ.; Арк. А—Н: Ш. Фурье. გვ. 412—14, 1925 წ. უნდა აღინიშნოს, რომ ჩერნიშევსკი აუცილებლად იდგა ცენტრალიზმის ნიადაგზე და ფურიეს დეცენტრალისტურ-ფალანგური სისტემა მაინცა და მაინც ვერ ხიბლავდა. ჩერნიშევსკი ამტკიცებდა, რომ წარმოება მსხვილ ასოციაციების ფორმებში უფრო რაციონალურად იქნება მოწესრიგებული, ვინემ არის ინდივიდუალურ წარმოების დროს.

ტელიგენციამ შეიგნო კაპიტალიზმის უარყოფითი მხარეები და დიდიხნის განმავლობაში იგი ჩერნიშევსკის არგუმენტაციით აკრიტიკებდა კაპიტალისტურ ურთიერთობას. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არა მარტო კაპიტალიზმის კრიტიკა, არამედ სოციალიზმის თეორიაც რუსეთის ინტელიგენციამ ჩერნიშევსკის ნაწერებით შეითვისა; რასაკვირველია, სოციალისტური იდეები რუსეთში ჩერნიშევსკიმდე შემოიჭრა ბევრად უფრო ადრე, ვინემ ჩერნიშევსკი დაიწყებდა თავის ლიტერატურულ მოღვაწეობას; რუსეთის ინტელიგენცია გაეცნო სოციალიზმის იდეებს გერცენის, ოგარევის, ბელინსკის, პეტრაშევსკისა და სხვათა მოღვაწეობით; მათი მუშაობა ამ მხრივ უფრო დეკლარატიული განცხადების იერს ატარებდა, ვინემ მეცნიერული დასაბუთების ხასიათს, ჩერნიშევსკის ღვაწლი რუსეთის სოციალიზმის ისტორიაში იმაში გამოიხატება, რომ მან მეცნიერული არგუმენტაცია შეიტანა ამ საკითხში და ინტელიგენციას მისცა საუკეთესო იარაღი სოციალიზმის პრობლემების გამოსარკვევად. სანამ ჩერნიშევსკი თავისუფალი იყო, იგი მეცნიერულს წერილებში ახერხებდა სოციალიზმის იდეების გატარებას და სოციალისტური წყობილების მიზანშეწონილობისა და საფუძვლიანობის დამტკიცებს, მაგრამ როდესაც ჩერნიშევსკი მოაცალეს თავის საყვარელ საქმეს, (1862 წ.), მაშინ მან მხატვრული ლიტერატურის ფორმა გამოიყენა სოციალისტური იდეების პროპაგანდისათვის. მისი შესანიშნავი რომანი, დაწერილი ციხეში 1863 წ. — „Что делать?“ — ახალთაობის ინტელიგენციისათვის სოციალისტური მანიფესტი იყო; ამ რომანზე აღიზარდა მთელი თაობა რევოლუციონური და სოციალისტური ინტელიგენციისა; მისი გმირობა და მოწოდება გადაიქცა ინტელიგენციის წასაბაძ მაგალითად. აი როგორ აგვიწერს პ. კროპოტკინი, იმ შთაბეჭდილებს, რომელიც მოახდინა ახალთაობის სო-

ციალისტურად განწყობილ ინტელიგენციაზე ჩერნიშევსკის რომანის წაკითხვამ:

„რუსეთის ახალგაზრდობისათვის (ჩერნიშევსკის) მოთხრობა თავისებური აღმოჩენა იყო და პროგრამად გადაიქცა მისთვის... ტურგენევის არც ერთ მოითხრობას, ტოლსტოის ან რომელიმე სხვა მწერლის არც ერთ ნაწარმოებს არ ჰქონიათ ისეთი ფართო და ღრმა გავლენა რუსეთის ახალგაზრდობაზე, როგორიც ჰქონდა ჩერნიშევსკის ამ მოთხრობას: რუსეთის ახალგაზრდობისათვის იგი თავისებურ სიმბოლოდ გადაიქცა“ [1]).

ასე იგონებს ამ რომანის გავლენის ამბავს ცნობილი რევოლუციონერი და ანარქისტი, ხოლო სტუდენტების მიერ შეთხზული სიმღერა ჩერნიშევსკისა და მისი გმირების სადიდებლად ნათლად ამოწმებს კროპოტკინის მოგონებებს:

«Выпьем мы за того,
Кто «Что делать» писал,
За героев его,
За его идеал»,

ჩერნიშევსკიმ თავის რომანში მკაფიოდ დაასურათა არსებული წყობილების უვარგისობა და მისი მოსპობის აუცილებლობა; მასთანავე გარკვეულ ფორმებით დაასურათა, თუ რას უნდა ელტვოდეს ახალი თაობის ინტელიგენცია და ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლი გმირები. „მომავალი ნათელი და მომხიბლავია. უნდა გიყვარდეთ მომავალი, მიისწრაფოდეთ მისკენ, იმუშაოთ იმისათვის, მოითხოვოთ იგი, გადმოიტანოთ მომავლიდან აწმყოში ის, რის გადმოტანაც შესაძლებელია. თქვენი ცხოვრება იქნება იმდენად უფრო ნათელი და კეთილი, აღსავსე სიხარულით და

---

[1]) П. Кропоткин: „Идеалы и действительность в русской литературе“ გვ. 307. 1907 წ.

სიტყვებით, რამდენათაც თქვენ შესძლებთ გადმოიტანოთ მასში მომავლის სახეები. იმუშავეთ მომავლისათვის, მოითხოვეთ იგი, ისწრაფოდეთ მისკენ"... ასეთი ლოზუნგები გადაისროლა ინტელიგენციაში ჩერნიშევსკიმ და რევოლუციონური ინტელიგენციაც ხარბად დაეწაფა ამ ლოზუნგებს. ჩერნიშევსკიმ თავისი რომანით, როგორც აღნიშნავს ერთი ბიოგრაფი, იმედი აღუძრა ინტელიგენციას „რუსეთში რევლუციის მოახლოების შესახებ" [1]) ჩერნიშევკის რომანი პირველი მნიშვნელობის რუსული უტოპიური რომანი იყო მე-XIX-ე საუკუნეში, რომელშიაც მისმა ავტორმა ახალგაზრდობას მოუწოდა სოციალიზმისა და რევოლუციონური საქმისაკენ.

ნ. ჩერნიშევსკის ლიტერატურული მოღვაწეობის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მან პირველმა რუსეთის ლიტერატურაში სასტიკად გააკრიტიკა ბურჟუაზიული მიმდინარეობა და კერძოდ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია. ჩერნიშევსკის ეპოქაში, როდესაც კაპიტალისტური ურთიერთობა მაგარი ნაბიჯით მიექანებოდა წინ—ბურჟუაზიულმა ეკონომიურმა მოძღვრებამაც დაიწყო ჩამოყალიბება. ბურჟუაზიული ურთიერთობის კრიტიკასა და სოციალისტური აზროვნების გავრცელებასთან ერთად ჩერნიშევსკის დასჭირდა სასტიკი ბრძოლა ეწარმოებია ამ ახალი მოძღვრების წინააღმდეგ; უნდა ითქვას ჩერნიშევსკის სასახელოდ, რომ მან ეს კრიტიკა ჩინებულად ჩაატარა; მისმა მკვეთრმა პოლემიკამ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიაც. სწორედ ამ კრიტიკის შედეგი იყო ის, რომ კ. მარქსმა ჩერნიშევსკის შესახებ თავისი „კაპიტალის" მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობაში (1873 წ.)

---

[1]) „К юбилею Чернышевского" გვ. 84, 1928. სარატოვი

ალნიშნა, რომ გაკოტრება ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიისა, საუცხოვოდ გამოარკვია ჯერ კიდევ თავის „პოლიტიკური ეკონომიის ნარკვევებში მილის მიხედვით" რუსეთის დიდმა მეცნიერმა და კრიტიკოსმა ნ. ჩერნიშევსკიმ" [1]).

თავის შესანიშნავ „შენიშვნებში" და ეკონომიურ წერილებში ჩერნიშევსკიმ გამოაშკარავა კლასიური ხასიათი და საფუძვლები ევროპაში გამეფებულ პოლიტ. ეკონომიისა, რომელიც უკვე იჭრებუდა რუსეთის ეკონომიურ ლიტერატურაში. ჩერნიშევსკიმ ნათელჰყო, რომ ადამ სმიტის სკოლა და მისი მიმდევნო ეკონომისტები ბურჟუაზიული წყობილების ნიადაგზე იდგენ და გაბატონებული კლასის საზომით ხსნიდენ პოლიტიკური ეკონომიის თეორიულ პრობლემებს; ჩერნიშევსკი პირდაპირ უწოდებს ამ მოძღვრებას ბურჟუაზიულს მაგრამ მასთანვე ჩამორჩენილსა და უკვე გაკოტრებულ თეორიას, მაშინ, როდესაც სოციალიზმს იგი მშრომელთა თეორიას უწოდებს, თეორიას, რომელიც ეგუება თანამედროვე ეპოქის მოთხოვნილებებს [2]).

ცნობილია, რომ ჩერნიშევსკიმ გადმოსთარგმნა რუსულად მილის პოლიტიკური ეკონომია. მილი მას მიაჩნდა დიდ ეკონომისტად, მაგრამ მისი თეორია ჩერნიშევსკის არ აკმაყოფილებდა. ამას თვით ჩერნიშევსკიც აღნიშნავს [3]). მაგრამ იმისათვის, რომ რუსეთის ახალგაზრდა ინტელიგენციისათვის მიეცა გარკვეული თეორიული საზრდო ეკონომიურ საკითხებში, მან მილის თარგმანს დაურთო თავისი საკუთარი შენიშვნები, რომელიც ბევრად უფრო ღრმა და შინაარსიანია, ვინემ თვით მილის შრომა. ჩერნიშევსკის შენიშვნებს გარკვეული მიზანი ჰქონდა: მას

---

[1]) К. Маркс: „Капитал"

[2]) Чернышевский: ტ. VI „Труд и капитал" გვ. 28, 33.

[3]) იქვე, გვ. 30, ტ. VII. გვ. I: „Его система все-таки далеко не наша система", სწერდა ჩერნიშევსკი.

სურდა მილის წიგნიდან გაედევნა ბურჟუაზიული შეხედულებანი და ეკონომიური საკითხებისათვის გარკვეული სოციალისტური შინაარსი მიეცა[1]) ეს თავისი განზრახვა ჩერნიშევსკიმ ბრწყინვალედ შეასრულა: მან მილის სახელის ქვეშ მკაცრი კრიტიკა მოგვცა კაპიტალიზმის, ბურჟუაზიულ-პოლიტიკური ეკონომიისა და ნათლად ჩამოაყალიბა სოციალისტური პრინციპები. 1865 წ., როდესაც დააპირეს მილის ნაშრომის ჩერნიშევსკის შენიშვნებით გამოცემა, შენიშვნები ალექსანდრე მეორის ცენზურამ არ გაუშვა გარკვეულ მიზეზების გამო და მილის შრომის მხოლოდ თარგმანი გამოვიდა. წინასიტყვაობაში გამომცემელი ა. პიპინი სწერდა, რომ თუ შესაფერისი დრო დადგა შენიშვნები ცალკე დამატებით ტომად იქნება გამოცემული[2]). ამრიგად დაგვიანებით ცენზურამ უკვე იგრძნო, თუ როგორი დიდი შეცდომა დაუშვა მან ჩერნიშევსკის შენიშვნების გაშვებით, რომელიც აშკარა თეორიული დასაბუთება იყო სოციალისტური მისწრაფებებისა.

4. ჩერნიშევსკის ისტორიულ-სოციოლოგიური და პოლიტიკური მსოფლმხედველობა

სანამ ჩერნიშევსკის პოლიტიკურ შეხედულებათა დახასიათებას შეუდგებოდეთ, საჭირო არის მოკლედ თვალი გადაავლოთ მის ისტორიულ-სოციოლოგიურ მსოფლგაგებას. საერთოდ ჩერნიშევსკის აზროვნებას ახასიათებს ის ურყევი ფაქტი, რომ მან ვერ შესძლო ფეიერბახის მატერიალიზმის გაღრმავება და მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდის შეტანა ისტორიულ-სოციოლოგიურ

---

[1]) შეადარეთ Н. Котляревский: „Канун освобождения" გვ. 34, 1916 წ.

[2]) Д. Ст. Милль: Основания полит. эконом. ტ. I გვ. 6, 1865 წ.

საკითხებში. ჩერნიშევსკი, რომელიც ფილოსოფიაში გადაჭრით იდგა მატერიალიზმის ნიადაგზე, თავის ისტორიულ და საზოგადოებრივ აზროვნებაში იდეალისტი იყო, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს გ. ვ. პლეხანოვი [1]. მაგრამ აქაც საჭიროა ერთი შენიშვნა. ჩერნიშევსკის სოციოლოგიურ მოძღვრებაშიაც ხშირად ვხვდებით მატერიალისტურ ელემენტებს. ერთი მხრით, მისი ისტორიულ—სოციოლოგიური მსოფლმხედველობა რაციონალისტური და იდეალისტური შეხედულებებით ხასიათდება: თავის შესანიშნავ წერილში: «О причинах падения Рима» (1861 წ) ჩერნიშევსკი პირდაპირ სწერდა, რომ პროგრესი დაყრდნობილი არის გონებრივ განვითარებაზე; იგი პირდაპირ დამოკიდებულია ცოდნის წარმატებასა ან განვითარებაზე: პროგრესის მთავარი ძალა — მეცნირებაა; პროგრესის წარმატება დამოკიდებულია ცოდნის გაუმჯობესებასა და გავრცელებაზე.—პროგრესი— ცოდნის ნაყოფია [2]. იმდენად, რამდენადაც ჩერნიშევსკი საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელ ფაქტორს მატერიალურ-ტექნიკურ პირობებში კი არ ეძებდა, არამედ იდეოლოგიაში, აზროვნებაში, იმდენად ჩერნიშევსკი ისტორიული იდეალიზმის ნიადაგზე იდგა და ამით იგი საფუძველს უყრიდა რუსეთში სუბიექტიურ სოციოლოგიასა და იდეალისტურ აზროვნებას. 70-იან წლებში პ. ლავროვმა ან ნ. მიხაილოვსკიმ თუ ერთი მხრივ ჩერნიშევსკის ფილოსოფიური მატერიალიზმი პოზიტივიზმით შესცვალეს, მეორე მხრივ ისტორიულ-სოციოლოგიურ საკითხებში პირდაპირ განავითარეს ჩერნიშევსკის იდეალისტური მსოფლმხედველობა სუ-

[1]) Г. В. Плеханов: ტ. V. გვ. 230.
[2]) Н. Чернышевский: ტ. VIII გვ. 158.

ბიექტიური სოციოლოგიის ძირეულ პრობლემებამდე[1]). მაგრამ ჩერნიშევსკის ისტორიულ-სოციოლოგიური მსოფლმხედველობა მარტო იდეალისტური ელემენტებით არ ამოიწურებოდა: მან მატერიალისტური ელემენტებიც შეიტანა საზოგადოებრივ საკითხებში და ამით იგი რამდენადმე მიუახლოვდა მარქსისტულ სოციოლოგიას: აღიარება ეკონომიური ფაქტორის უპირატესობისა, დაცვა კლასთა ბრძოლისა და პროლეტარიატის რევოლუციონური მნიშვნელობის [2]), — ეს ისეთი ელემენტები იყო ჩერნიშევსკის აზროვნებაში, რომლიც აახლოვებდენ მას მეცნიერულ სოციალიზმთან.

გადავიდეთ ახლა ჩერნიშევსკის პუბლიცისტური წერილების პოლიტიკური მოტივების განხილვაზე. ჩერნიშევსკის აზროვნებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი მკვლევარი გადაჭრით ამტკიცებს, რომ იგი პოლიტიკას უკანა რიგში აყენებდა და განსაკუთრებულ ყურადღებას მხოლოდ სოციალ-ეკონომიურ საკითხებს აქცევდაო [3]). ამის

---

[1]) პ. ლავროვის მიერ შემუშავებული „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების“ თეორია პირდაპირ გამომდინარეობდა ჩერნიშევსკის ხემოდმოყვანილი პროგრესის ფორმულისაგან.

[2]) ქვევით ჩვენ შევეხებით იმას, თუ როგორ უყურებდა ჩერნიშევსკი მუშათა კლასის რევოლუციონურ ბრძოლაობას, აქ კი ეკონომიურ ფაქტორების მნიშვნელობაზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. 1863 წ. პეტრეპავლეს ციხეში დაწყებულ ერთ თავის შრომაში ჩერნიშევსკი სწერდა: „Если дополнить то верное понятие политико-экономическим принципом, по которому и умственное развитие, как политическое и всякое другое, зависит от обстоятельств экономической жизни, то получим полную истину: развитие двигалось успехами знания, которые преимущественно обусловливались развитием трудовой жизни и средств материального существования“. (იხ. კრებული: „Н. Чернышевский“ გვ. 29—30 გამ. „Политкаторжан“ 1928 წ).

[3]) К. Пажитнов: „Развитие социалистических идей в России“, ტ. I, გვ. 106, 1924 წ.

დასამტკიცებელ საბუთს ხედავენ ჩერნიშევსკის ცნობილ წერილში: «Борьба партий во Франции при Людовике XVIII и Карле X», რომელშიაც იგი დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს უპირისპირებს ერთი მეორეს. უფრო მეტი, ამ მკვლევარების აზრით, ჩერნიშევსკი არ აქცევდა დიდ ყურადღებას პოლიტიკურ ფორმას, მისთვის სულ ერთი იყო, როგორი პოლიტიკური წყობილება იარსებებდა, ოღონდ მას ხალხის ინტერესებისათვის ეზრუნა.

უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ჩერნიშევსკის აზროვნების ასეთი დახასიათება სრულიად არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს და ყალბად გადმოგვცემს მის პოლიტიკურ შეხედულებებს: ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ 1848 წლის რევოლუციების ზეგავლენით როგორ მივიდა ჩერნიშევსკი მონარქიულ წყობილების უარყოფამდე და „ხალხური მმართველობის“ აღიარებამდე; 1850 წელში იგი საესებით დარწმუნებულიყო იყო იმაში, რომ ერთად-ერთი ფორმა სახელმწიფოებრივი წყობილებისა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნამდვილი ეკონომიური აღორძინება და ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ეს არის მმართველობა მშრომელი დემოკრატიისა, მიწის მომქმედთა და მუშათა კლასის.

„სოვრემენიკის“ ფურცლებზე ჩერნიშევსკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პოლიტიკურ საკითხებს: როგორც ევროპის მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებას,— რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ მას ლეგალურ ჟურნალში არ შეეძლო წერა,— ისე უახლოეს პოლიტიკურ-ისტორიულ წარსულს ჩერნიშევსკი დიდის ინტერესით იხილავდა; მიუხედავათ იმისა, რომ ცენზურული პირობები არ აძლევდა მას საშუალებას გარკვევით გამოეთქვა თავისი რადიკალური პოლიტიკური შეხედულებები, იგი მაინც ახერხებდა „ეზოპის ენით“ ელაპარაკა მკითხველ საზოგადოებასთან პოლიტიკური საკითხების შესახებ.

მისი პოლიტიკური მიმოხილვები ევროპის მიმდინარე ცხოვრებიდან, რომელშიაც იგი არკვევდა სხვადასხვა პარტიების როლს პოლიტიკურ ბრძოლაში და ეხებოდა ევროპის საპირბოროტო კითხვებს, — პირდაპირ მოწოდება იყო პოლიტიკური თავისუფლებისაკენ; სიტყვის, წერის და კრების თავისუფლება, პოლიტიკური მმართველობის ფორმა, ლიბერალიზმის კრიტიკა, მუშათა მოძრაობისადმი დიდი ყურადღება, დაჩაგრულ ერთა მოძრაობის პატივისცემა, უარყოფა აგრესიული და იმპერიალისტური პოლიტიკისა და სხვა მრავალი,—აი ჩერნიშევსკის მიმოხილვების უახლოესი თემები. ასეთი პოლიტიკური საკითხების გამორკვევით ჩერნიშევსკი აკრიტიკებდა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებას და საზოგადოებას უხსნიდა, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ თავისუფლებას საზოგადოებრივი ცხოვრების წინმსელელობისათვის.

განსაკუთრებულ ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენდა მისი სამი შესანიშნავი ნარკვევი: «Борьба партий во Франции» (1858)., «Июльская монархия» (1860). и «Кавеньяк» (1858).; ამ ნარკვევებში ჩერნიშევსკიმ გააცნო რუსეთის საზოგადოებას ევროპის უახლოესი პოლიტიკური ცხოვრების ისტორია: ისტორია ევროპის რევოლუციონურ მოძრაობებისა, კლასთა ბრძოლებისა და პოლიტიკური პარტიების. უნდა ითქვას, რომ ამ ნარკვევების მრავალი ადგილები თავისი სიღრმითა და სისწორით არ ჩამოუვარდება კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ამავ საკითხებზე დაწერილ შრომებს [1]) მიუხედავად იმისა, რომ ნ.

---

[1]) მ. პოკროვსკი ამ შრომების შესახებ სწერს: „Все три его большие исторические статьи... посвящены в сущности истории классовой борьбы по Франции перед 1848 годом и являются лучшими образчиками применения материалистического метода в русской исторической литературе до „Плеханова“ (იხ. Покровский: Н. Чернышевский как историк. зз. 19).

ჩერნიშევსკიმ ვერ შესძლო მთლიანად და საესებით მატერიალისტური შეხედულება შეეტანა ისტორიულ-სოციოლოგიურ საკითხებში და, უმთავრესად, როგორც სოციოლოგი, იგი იდეალისტურ-რაციონალისტურ შეხედულებებს იზიარებდა. ჩერნიშევსკიმ აღნიშნულ ნარკვევებში დიდი ერუდიცია და ისტორიული შორსმხედველობა გამოიჩინა: თავის შრომის მრავალ ადგილებში ევროპის უახლოესი ისტორია და რევოლუციონერი მოძრაობანი თითქმის მატერიალისტური საზომით განიხილა და გამოარკვია მათი სოციალ-ეკონომიური საფუძვლები,—კლასებისა და პოლიტიკური პარტიების ბრძოლა და მათი მიზნები. „კ ა ვ ე ნ ი ა კ შ ი“ ჩერნიშევსკიმ არსებითად განიხილა 1848 წლის საფრანგეთის რევოლუციის ვითარება და ის კლასიური ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ რევოლუციაში. ჩერნიშევსკი სწერდა:

„რესპუბლიკა საფრანგეთში გამოცხადებული იყო რესპუბლიკანელებისა და მუშების მოთხოვნით. რესპუბლიკანელები მიდიოდენ პირველ რიგში, მაგრამ მათ მოთხოვნილებებს არ ექნებოდა არავითარი ძალა, რომ მუშებს არ დაეჭირათ მათთვის მხარი. მაგრამ მუშებს სრულიად არ იტაცებდა თეორიული მსჯელობა პოლიტიკური წყობილების რესპუბლიკანური ფორმის ღირებულების შესახებ,—მათ უნდოდათ არსებითი ცვლილებების შეტანა თავიანთ მატერიალურ მდგომარეობაში. და, როდესაც რესპუბლიკანელებმა მუშების დახმარებით დაიპყრეს ხელისუფლება და განაცხადეს, რომ სურთ მხოლოდ პოლიტიკური ფორმის შეცვლით დაკმაყოფილდენ, მუშებმა, გამარჯვების მეორე ⁄ მესამე დღესვე, მოითხოვეს მათგან ზომების მიღება დაბალი კლასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის [1]).

---

[1]) ტ. IV. გვ. 9.

ასეთი ანალიზით ჩერნიშევსკიმ ნათელჰყო საფრანგეთის რევოლუციის შემდეგი ვითარებაც: ჩერნიშევსკი ამბობდა, რომ მართალია, რევოლიუცია დაიწყო ბურჟუაზიულ-რესპუბლიკანურ და მუშათა ფენების შეერთებული ბრძოლის ნიადაგზე, მაგრამ ამ ორ კლასს შორის აშკარა წინააღმდეგობას ქონდა ადგილი და მალე ახალი რევოლიუციის წინაშე უნდა დამდგარიყო საფრანგეთი. მართლაც, ეს ასეც მოხდა: ბურჟუაზიამ ვერ დააკმაყოფილა მუშათა კლასის მოთხოვნილებანი, მათ შორის აღიმართა გარდუვალი წინააღმდეგობა და ახალმა რევოლუციამაც იფეთქა, რომელიც, ჩერნიშევსკის სიტყვით, განსხვავდებოდა საფრანგეთის სხვა რევოლუციისაგან. მაგრამ მუშათა კლასი აუცილებლად უნდა დამარცხებულიყო, რადგან მას არ ჰქონდა ორგანიზაცია, არ ყავდა მეთაურები და იდეური ხელმძღვანელები.

ჩერნიშევსკისათვის ნათელი იყო, რომ 1848 წლის რევოლიუციამ სარგებელობა მხოლოდ ბურჟუაზიას მიანიჭა, მუშათა კლასს კი ამ რევოლიუციით არავითარი ხეირი არ უნახავს: ნაცვლად ძველი ბატონისა, მას ეხლა ახალი ბატონიც მიემატა; პოლიტიკური ცვლილებით მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა არ შეცვლილა. ჩერნიშევსკი ნათლად ხედავდა, რომ ევროპის კონტინენტი ახალი ამაფეთქებელი ნივთიერებით იყო აღსავსე, რომ იქ ბურჟუაზიის ბატონობას უნდა გამოეწვია ახალი სოციალური რევოლუცია, უფრო ღრმა და შინაარსიანი, ვინემ იყო საფრანგეთის წარსული რევოლუციები; ეს ახალი რევოლუცია ევროპაში უნდა დამთავრებულიყო მუშათა კლასის გამარჯვებით. რატომ? იმიტომ, რომ, —აღნიშნავს ჩერნიშევსკი,—წარსულში მუშათა კლასი განუვითარებელი და პოლიტიკურად მოუმზადებელი, შეუგნებელი იყო. 18-ე საუკუნის მიწურულებში იმ წოდებას, რომელიც შრომობდა, არც ინგლისში და არც საფრანგეთში არ ჰქონდა

არავითარი მისწრაფება დამოუკიდებელი პოლიტიკური მოქმედებისათვის; იგი საშუალო წოდებასთან იმყოფებოდა მჭიდრო კავშირში, რომელიც სარგებლობდა დაბალი ხალხით (простолюдин) უმაღლესი წოდების წინააღმდეგ ბრძოლის დროს; ბურჟუაზიის იდეოლოგები იმ ხანებში დარწმუნებული იყვნენ, რომ ხალხის ინტერესებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებოსს. თვით ხალხიც იმ პერიოდში ვერ ამჩნევდა, რომ მისი ინტერესები სრულიად არ ეგუებოდა საშუალო წოდების ინტერესებს, რომელიც მაშინ მეთაურობდა საერთო ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ. აქედან წარმოსდგა ილიუზია ამ ორი წოდების (ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის) ინტერესების ერთიანობის შესახებ. მაგრამ რევოლუციის (1789) მეორე დღესვე მათ შორის ინტერესთა წინააღმდეგობა აღიმართა. 1830 წლიდან საბოლოოდ მოხდა მათ შორის განხეთქილება. ამჟამად ინგლისში ჩვენ ვხედავთ, რომ მუშები უდიდესს კავშირებს ადგენენ დამოუკიდებელი მოქმედებისათვის პოლიტიკურსა და განსაკუთრებით ეკონომიურ საკითხებში: იქაც საშუალო წოდება და მუშები მოქმედებენ როგორც სხვადასხვა პარტიები, რომელთა ინტერესები .და მოთხოვნილება განსხვავდება ერთი მეორისაგან. ხოლო საფრანგეთში საშუალო წოდებასა და პროლეტარიატს შორის წარმოებულმა აშკარა მტრობამ გამოწვია ეკონომიურ თეორიაში კომუნიზმი [1]).

ამ მიმოხილვიდან მკითხველი უკვე ხედავს, თუ როგორი სწორი გზით მიემართებოდა ჩერნიშევსკის მსჯელობა კლასთა ბრძოლისა და პროლეტარიატის რევოლუციონური როლის აღიარებამდე. ჩერნიშევსკი ფიქრობდა, რომ მომავალ სოციალურ ბრძოლაში, რომელიც უკვე მოამზადა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ ევროპაში,

---

[1]) ტ. VI, „Капитал и труд", გვ. 28—9.

გადამჭრელი მნიშვნელობა ექნება მუშათა კლასის პოლიტიკურ გათვითცნობიერებასა და მისი სოციალისტური თეორიებით აღზრდას. მეორე ნარკვევში ჩერნიშევსკი სწერდა, რომ დასავლეთ ევროპის მუშათა კლასს თავისი ჯანსაღი ბუნების წყალობით, უფრო ღრმად და სისწორით ესმის საკითხები, ვინემ ბედნიერი კლასის შვილებს. მაგრამ მუშათა კლასამდე ჯერ კიდევ არ მიუღწევია იმ მეცნიერულ ცოდნას (ე. ი. კომუნიზმის თეორიას. ს.ხ.), რომელიც უფრო შეესაბამება მის მოთხოვნილებებსა და მდგომარეობას [1]). ევროპაში მუშათა კლასი ჯერ კიდევ ემხრობა ძველ პრინციპებს, მაგრამ ესმის მისი შეუსაბამობა [2]). ჩერნიშევსკი მოელის იმ მომენტს, როდესაც სწორი სოციალისტური თეორია შეიჭრება მუშათა კლასში და მაშინ სოციალიზმის გამარჯვების საქმეც უზრუნველყოფილი იქნება. ჩერნიშევსკი სწერს: „უეჭველია, დასავლეთ ევროპის მდაბიონიც (ე. ი. პროლეტარიატი. ს. ხ.) გაეცნობიან იმ ფილოსოფიურ შეხედულებებს (ე. ი. სოციალისტურს ს. ხ.), რომელიც შეესაბამება მათ მდგომარეობას... როდესაც დადგება ეს დრო, როდესაც იმ ელემენტების წარმომადგენელნი, რომელნიც მიისწრაფიან ახლა დასავლეთ ევროპის ცხოვრების გარდაქმნისაკენ, უკვე ურყევი იქნებიან თავის ფილოსოფიურ შეხედულებებში—ეს იქნება იმის მაჩვენებელი, რომ დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მალე გაიმარჯვებს ახალი დასაბამი“ [3]).

---

[1]) ტ. VI: Антропологический принцип в философии გვ. 192.

[2]) იქვე გვ. 205.

[3]) ტ. VI გვ. 205—06. ევროპის მუშათა კლასის დიდ როლს მომავალ რევოლუციებში ჩერნიშევსკი ხაზგასმით აღნიშნავდა მთელ რიგ ნაწერებში. შეადარეთ ტ. VI გვ. 150, ტ. VII-ს ბოლო ნაწილი და სხვ.; ახლად გამოქვეყნებულ 1861 წ. ერთ ტექსტში ჩერნიშევსკი სწერს: „Массы нации ни в одной еще стране не принимали деятель-

ვინც ჩერნიშევსკის ზემოალნიშნულ აზრის განვითარებასა და მსჯელობის არგუმენტაციას დააკვირდება, იგი დაინახავს, რომ დასავლეთ ევროპაში რევოლუციონური მოძრაობის განვითარების საკითხში ჩერნიშევსკის მოსაზრებანი მიუახლოვდა მარქსის შეხედულებებს [1]). ამ მხრივ საკითხს სისწორით აშუქებს ი. სტეკლოვი თავის დიდტანიან შრომაში [2]). მაგრამ სტეკლოვი მაინც ცდება, როდესაც ჩერნიშევსკი პროლეტარიატის დიქტატურის თეორიის მომხრედ გამოყავს. რასაკვირველია, ჩერნიშევსკის არ შეეძლო პროლეტარიატის დიქტატურის თეორიამდე მისულიყო. მართალია, მან აღნიშნა მუშათა კლასის დიდი მნიშვნელობა ევროპის მომავალ სოციალისტურ რევოლუციაში, მაგრამ ამ კლასის ხელმძღვანელად და სულის ჩამდგმელად მას მაინც რევოლუციონური ინტელიგენცია მიაჩნდა. ჩერნიშევსკი აუცილებლად იცავდა რევოლუციონური დიქტატურის თეორიას. არსებული კაპიტალისტური ურთიერთობის გარდაქმნას სოციალისტურ საფუძვლებზე ის რევოლუციონური დიქტატურის საშ-

ного, участия в истории. Этот новый элемент, бесспорно различный от прежних) ე. ი. არისტოკრატიისა და ბურჟუაზიისაგან ს. ხ.), он еще только готовится войти в историю" (იხ. კრებული „Н. Чернышевский" გვ. 72, 1928 წ. სარატოვი).

[1]) „მილის შენიშვნებში" ჩერნიშევსკი პირდაპირ სწერს: „1848 წელს სადაც კი გადატრიალება მოხდა, ასე თუ ისე შებჩნეული იქნა ან მთელ მდგომარეობა მასაში, ან მისს საკმაოდ დიდ ნაწილში, რაღაც გაურკვეველი ტენდენცია, რომელიც ერთი შეხედვით კომუნიზმს გავდა, ტენდენცია, რომელიც მიისწრაფეოდა არსებულ ეკონომიურ წყობილების საფუძლიანად დამხობისაკენ. იმავე დროს ცხადი გახდა, რომ კომუნიზმისა და სოციალიზმის ყოფილ დამცველებს ლიტერატურაში, განზრახვა ჰქონდათ ესარგებლათ ამ ტენდენციით.. აშკარა შეიქმნა ყველასათვის, რომ კომუნისტებსა და სოციალისტებსა და ყველა დანარჩენ პარტიათა შორის დიდი განსხვავება არის" (ტ. VII, გვ. 626).

[2]) იხ. სტეკლოვის შრომა, ტ. I. გვ. 400—22.

ვალებით ფიქრობს: რევოლუციონურმა ინტელიგენციამ ამოძრავებული მასების დახმარებით უნდა ჩაიგდოს ხელში პოლიტიკური ძალა-უფლება და მკაცრი დიქტატურის გზით შეუდგეს ახალი ცხოვრების აშენებას. რკინის გაჭედა უნდა მაშინ, როდესაც რკინა ცხელია. — ამბობს ჩერნიშევსკი. „მაგრამ ცნობილია, რომ მას არ შეუძლია გამოსჭედოს რკინა (ე. ი. რევოლუცია ს.ხ.) ვისაც ეშინია მძინარა ხალხის ხმაურობით შეწუხების. მხოლოდ ენერგიას შეუძლია მიგვიყვანოს წარმატებამდე. ხოლო ენერგია კი იმაში გამოიხატება, რომ უყოყმანოდ მიიღოთ ის ზომები, რომელიც საჭიროა წარმატებისათვის". ერთ თავის წერილში ამერიკის სამოქალაქო ომის შესახებ, ჩერნიშევსკი სწერს: „დიქტატურამ და ტერორმა, როგორც აქ, ისე ყველგან და ყოველთვის სამოქალაქო ომში უნდა წაგვიყვანოს სრულ გამარჯვებამდე". ვინც გულდასმით გადაიკითხავს ჩერნიშევსკის დანარჩენ ნაწერებსაც ევროპის უახლოესი ისტორიის შესახებ, იგი ნათლად დარწმუნდება, რომ ჩერნიშევსკი, ცენზურის სასტიკ პირობებშიაც კი, ახერხებდა რევოლუციონური დიქტატურის თეორიის დაცვას, „ყველგან და ყოველთვის სამოქალაქო ომში ტერორმა და დიქტატურამ უნდა მიგვიყვანოს სრულ გამარჯვებამდე" — ეს უკვე გარკვეული მოწოდება იყო, მიმართული რუსეთის ინტელიგენციისადმი: მხოლოდ დიქტატურითა და ტერორით შეიძლება რუსეთში გაბატონებული წყობილების დამხობა და ამიტომ თქვენი მოვალეობაა ემზადოთ ამ მომენტისათვის. შემდეგ თავში ჩვენ უფრო ვრცლად გავარკვევთ ჩერნიშევსკის რევოლუციონურ პოლიტიკას 60-იან წლებში.

ჩერნიშევსკი, როგორც რევოლუციონერი და დიქტატურის თეორიის დამცველი, სასტიკი კრიტიკით უმასპინძლდებოდა ყოველგვარ რეფორმისტულსა და ოპორტუნი-

სტულ მიმდინარეობას. იგი ებრძოდა რუს ლიბერალებს თავიანთი უმოქმედობისათვის, ებრძოდა გერცენს მისი ოპორტუნისტულ—რეფორმისტულ შეხედულებისათვის, სასტიკად აკრიტიკებდა დასავლეთ ევროპის რეფორმისტებსაც.

ამ მხრივ აღსანიშნავია ჩერნიშევსკის დამოკიდებულება ლუი ბლანის პოლიტიკისადმი 1848 წლის რევოლუციაში. 50-იანი წლების მეორე ნახევარში ჩერნიშევსკი სასტიკი მოწინააღდეგე ხდება ლუი ბლანის პოლიტიკის; იგი ლუი ბლანს ფრთხილსა და ეჭვიანთოს უწოდებს, იმისათვის, რომ მან არ ისარგებლა მომენტით, არ მიმართა ძალასა და არ დაეხმარა მუშებს ძალაუფლების დაპყრობაში. „მართლაც და — სწერს ჩერნიშევსკი — მაშინ (1848 წ.) ლუი ბლანს არ უნდა შეშინებოდა განხეთქილების; თუ ბრძოლა დაიწყებოდა, გამარჯვება აუცილებლად წილად ხვდებოდათ მუშებს, რომელთაც სურდათ ძალაუფლება ლუი ბლანისათვის გადაეცათ" [1]). მეორე წერილში ჩერნიშევსკი მკაცრად აკრიტიკებს ლუი ბლანს იმისათვის, რომ მას არ სურდა სამოქალაქო ომში წაეყვანა მუშები გამარჯვებისაკენ [2]). ამრიგად, საფრანგეთის რევოლუციის მაგალითზე ავტორმა ნათელჰყო კლასთა და პარტიათა ბრძოლის შინაარსი და გამოამჟღავნა თავისი რევოლუციონური შეხედულება.

ჩერნიშევსკიმ აღძრა რუსეთის ინტელიგენციაში ინტერესი პოლიტიკურ საკითხებისადმი და გარკვეული მეცნიერული შეხედულება წამოაყენა პოლიტიკური ცხოვრების ვითარებისა და სოციალური ბრძოლების შესახებ.

ჩერნიშევსკი პოლიტიკური თავისუფლების საკითხს არ სვამდა ფორმალურად და განყენებულად: მისთვის პოლი-

[1]) ტ. IV, გვ. 10.
[2]) ტ. VII გვ. 629.

ტიკური პრობლემები ღრმად იყო დაკავშირებული სოციალ-ეკონომიური ხასიათის რეფორმებთან და უპირველეს ყოველისა ხალხის ეკონომიურად განთავისუფლებასთან; მან უარჰყო „ფორმალური დემოკრატიის“ პრინციპი და ხალხის ფაქტიურ განთავისუფლების ნიადაგზე დადგა. 1848 წ. რევოლუციაში მომქმედ რესპუბლიკანელთა პარტიის შესახებ იგი სწერდა:

„წმინდა რესპუბლიკანელებმა“ დაივიწყეს ის, რომ პოლიტიკური ფორმა მხოლოდ მაშინ არის მტკიცე, როდესაც იგი წარმოადგენს საშუალებას საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; მათ წარმოიდგინეს, რომ სიტყვა „რესპუბლიკა“ თავის თავად მეტის მეტად მომხიბლავი არის საფრანგეთის ნაციისათვის; ისინი ზრუნავდენ ფორმისათვის და სრულიად არ ზრუნავდენ იმისათვის, რომ ფორმას განეხორციელებია საფრანგეთის ხალხის მოთხოვნილებანი; ისინი ფიქრობდენ, რომ ხალხი, რომელსაც არავითარი არსებითი გაუმჯობესება არ მიუღია ამ ფორმისაგან, დაიცავდა ამ ფორმას თვით ფორმისათვის. და ფორმაც (ე. ი. რესპუბლიკაც) დაეცა, რადგანაც მას ხალხმა მხარი არ დაუჭირა“[1]). ნ. ჩერნიშევსკისათვის ნათელი იყო, რომ ძლიერი არის მხოლოდ ის მისწრაფება, გამძლე არის მხოლოდ ის დაწესებულება, რომელსაც მხარს უჭერს ხალხური მასა[2]). და ეს მასა, რომ გადაიქცეს რესპუბლიკანური წყობილების დამცველ ძალად, ამ წყობილებამ მარტო ფორმალური თავისუფლება კი არ უნდა გამოაცხადოს, არამედ ხალხის ინტერესები უნდა დააკმაყოფილოს ფაქტიურად. ამ განმარტებიდან ცხადი არის, თუ როგორი საზომით იხილავდა ჩერნიშევსკი პოლიტიკურ საკითხებს. უარჰყო რა ფორმალური მიდგომა საკით-

---

[1]) ტ. IV გვ. 3

[2]) ტ. IV, გვ. 158.

ხისადმი, ჩერნიშევსკი გარკვევით დადგა სოციალ-ეკონომიურ მოთხოვნილებათა ნიადაგზე და ახალ პოლიტიკურ წყობილებას გარკვეული პროგრამა წამოუყენა განსახორციელებლად; ჩერნიშევსკისათვის ნათელი იყო, რომ ის პოლიტიკური ფორმა არის მტკიცე, რომელიც ხალხის მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს, ხოლო ხალხის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლია მხოლოდ თვით ხალხის მართველობას. აქედან გარკვეული ხდება ჩერნიშევსკის პოლიტიკური ხაზი.

ამ საზომით ჩერნიშევსკიმ მკაცრი კრიტიკა გაუკეთა იმ პოლიტიკურ წყობილებას, რომელიც გამეფებული იყო რუსეთში; რასაკვირველია, ამ კრიტიკის წარმოება ჩერნიშევსკის პირდაპირ არ შეეძლო ცენზურულ პირობების გამო. მაგრამ ევროპის სახელმწიფოებრივი წყობილობისა და პოლიტიკური მოძრაობის განხილვით, იგი არსებითად აკრიტიკებდა რუსეთის თვითმპყრობელურ წყობილებას და საზოგადოებას მოუწოდებდა ნამდვილ თავისუფლებისაკენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩერნიშევსკის დაუნდობელი კრიტიკა. მიმართული ლიბერალების პოლიტიკური პროგრამის წინააღმდეგ [1]). თუ მან, ერთი მხრივ, არ დაინდო ბურჟუაზიული ეკონომიური მოძღვრება და სასტიკი იერიშები მიიტანა მის წინააღმდეგ, მეორე მხრივ, მისი კრიტიკის ობიექტად გადაიქცა იმავე ბურჟუაზიულ-ლიბერალური პარტიების პოლიტიკური მისწრაფებანი.

„თეორიულის მხრივ,—სწერს ჩერნიშევსკი,— ლიბერალიზმი შეიძლება მიმზიდველად გადაიქცეს იმ ადამიანისათვის, რომელიც უბრუნველყოფილია მატერიალურად: თავისუფლება — ძლიერ სასიამოვნო რამ არის;

---

[1]) იხ. И. Герчиков: „Н. Чернышевский, как критик либерализма“ სარატოვის კრებული გვ. 175—196.

მაგრამ ლიბერალიზმს თავისუფლება ძლიერ ვიწროდ, წმინდა ფორმალურად ესმის. მისი გაგებით თავისუფლება გამოიხატება განყენებულ უფლებაში, ქალალდზე გადაწყვეტაში, იურიდიულ ნებართვაში. მას არ სურს გაიგოს, რომ იურიდიულ ნებართვას ადამიანისათვის მხოლოდ მაშინ აქვს ღირებულება, როდესაც ადამიანს აქვს მატერიალური შესაძლებლობა ისარგებლოს ამ ნებართვით... ლიბერალები თითქმის ყველგან მტრები არიან დემოკრატებისა და არასოდეს არ არიან რადიკალები (ჩერნიშევსკის სურს სთქვას: სოციალისტები. ს. ხ.). მათ სურთ პოლიტიკური თავისუფლება, მაგრამ რადგან პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ი თ ქ მ ი ს ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი გ ა მ ო წ ვ ე უ ლ ი მ ძ ლ ა ვ რ ი გ ა დ ა ტ რ ი ა ლ ე ბ ე ბ ი ს შ ე დ ე გ ი ა, ამიტომ თვით თავისუფლება, უმაღლესი მიზანი მათი მისწრაფებისა, მათ სურთ შემოიღონ თანდათან, განახორციელონ ნელნელა, ყოველგვარი შერყევის გარეშე. პოლიტიკური თავისუფლების აუცილებელ პირობათ მათ მიაჩნიათ წერის თავისუფლება და პარლამენტალური მმართველობის არსებობა; მაგრამ რადგან სიტყვის თავისუფლება დასავლეთ ევროპის საზოგადოების თანამედროვე პირობებში, ჩვეულებრივად გადაიქცევა დემოკრატიული და რადიკალური პროპაგანდის საშვალებად, ამიტომ სიტყვის თავისუფლება მათ სურთ მოაქციონ საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში, რომ ის არ გადაიქცეს მათ საწინააღმდეგო იარაღად... თავისუფლების ცნების ლიბერალური გაგების თეორიული სივიწროვიდან გამომდინარეობს პრაქტიკული სიუძღურე ლიბერალიზმისა, რომელსაც არა ყავს ხალხის მასაში მტკიცე დასაყრდენი ძალა. ის (ლიბერალიზმი) ფიქრობს განყენებულ უფლებებზე და სრულიად არ ზრუნავს მასების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რომელიც (მ ა ს ა) ე რ თ ა დ - ე რ თ ი ი ძ ლ ე ვ ა შ ე ს ა ძ ლ ებ ლ ო ბ ა ს უ ფ-

ლების რეალური განხორციელებისათვის“ [1]). ამ ვრცელი ციტატიდან ნათელი ხდება, თუ როგორი საზომით აშუქებდა ჩერნიშევსკი პოლიტიკურ საკითხებს, თუ როგორი ხაზით იყო მიმართული მისი პოლიტიკური შეხედულებანი. ჩერნიშევსკი მომხრე იყო არა კუდშეკვეცილი პოლიტიკური თავისუფლების, არამედ ნამდვილი დემოკრატიული თავისუფლების ხალხისათვის და ხალხისავე საშუალებით; მას შეუძლებლად მიაჩნდა ასეთი დემოკრატიული წყობილების განხორციელება მშვიდობიანი გზით, თანდათანობით, რეფორმების საშუალებით.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა, რომ ჩერნიშევსკის, როგორც უტოპისტს, არ ესმოდა საყოველთაო საარჩევნო სისტემის მნიშვნელობა; ეს მოსაზრებაც ძირიანად შემცდარი და გაუგებრობაზედ არის აშენებული. ჩერნიშევსკის ძალიან კარგათ ესმოდა საყოველთაო საარჩევნო სისტემის მნიშვნელობა, ხოლო მისი გამოყენების საქმეს ობიექტურ გარემოებას უკავშირებდა. შემდეგი ციტატა ნათელს მოფენს მის შეხედულებას საყოველთაო სისტემაზე და მის პოლიტიკურ ხაზს ამ საკითხში:

„პოლიტიკური ხელისუფლება, მატერიალური კეთილდღეობა და განათლება,—ყველა ეს საკითხები განუყრელად არიან ერთიმეორეზე დაკავშირებული. ვინც იმყოფება სილატაკეში, მას არ შეუძლია განავითაროს თავისი გონებრივი ძალა; ვინც განუვითარებელია გონებრივად, მას არ შეუძლია ისარგებლოს ხელისუფლებით თავისი წარმატებისათვის; ვინც არ სარგებლობს პოლიტიკური ხელისუფებით, მას არ შეუძლია თავი გაინთავისუფლოს დაჩაგვრისაგან, ე. ი. სილატაკისა და ეშეცრებისაგან... ადრე თუ გვიან ხალხი უფრო გონივრულად მოეპყრო-

---

[1]) ტ. IV, გვ. 157—58.

ბა საქმეს და მაშინ პროგრესის საქმე უფრო ადვილი გახდება. საყოველთაო არჩევნებმა... არა პირდაპირ მაინც მოიტანა დიდი სარგებლობა. შემდეგში, როდესაც პირველი დამარცხებით გამოწვეული მწუხარება გაიელის, საზოგადოებრივი აზრი დაუბრუნდება იმ შეხედულებას, რომ ყოველ ფრანგს აქვს უფლება იყოს მონაწილე საზოგადოებრივი ხელისუფლებისა და ხალხიც ამ უფლების აღდგენის დროს უფრო მომზადებული იქნება ისარგებლოს მით (საარჩევნო უფლებით) უფრო უკეთესად, ვინემ ისარგებლა მისი პირველი შემოღების დროს".[1])

როგორც აღვნიშნეთ, ჩერნიშევსკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფოსა და პოლიტიკურ ძალაუფლებას საზოგადოებრივ ცხოვრების ვითარებაში. იგი ებრძოდა ლიბერალურ ეკონომიურ თეორიას, რომელიც ამბობდა, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ეკონომიურ ცხოვრების ვითარებაში; ჩერნიშევსკისათვის მიუღებელი იყო ასეთი თეორია, რომელსაც მან ბურჟუაზიული და ჩამორჩენილი თეორია უწოდა.

„სახელმწიფოს არ შეუძლია არ იქონიოს პირდაპირი გავლენა ეკონომიურ მოღვაწეობაზე. ყველა ის მოქმედება, რომელსაც თხოულობს საღი გონიერება და სამართლიანობა, ყველა ისინი წარმოადგენენ არა მარტო უფლებას, არამედ სახელმწიფოს პირდაპირ მოვალეობას... სახელმწიფოს უდიდესი გავლენა აქვს ეკონომიურ საქმიანობაზე და არც შეუძლია არ ქონდეს".

რაკი ჩერნიშევსკი ასეთ დიდ როლს ანიჭებდა სახელმწიფოსა და ხელისუფლებას ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგების საქმეში და ფიქრობდა სამართლიანობის პრინ-

---

[1]) ტ. IV, გვ. 81 – 82.

ციპი მისი საშვალებით ყოფილიყო ცხოვრებაში გატარებული, მას არ შეეძლო არ დაესვა მეორე საკითხი, თუ რომელ ხელისუფლებას, რომელ პოლიტიკურ წყობილებას შეუძლია განახორციელოს ეს დიდი პროგრამა. ჩერნიშევსკი ამ საკითხს მოხდენილად სვამს, მიუხედავად ცენზურული პირობებისა, იმავე წერილში; იგი ამბობს: „საკითხის განხორციელება ბევრად დამოკიდებული არის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ხარისხისაგან; აქედან უმთავრესია — სურვილი, აღსრულება კი ყოველთვის მოყვება მას“ (გვ. 462). აქედან ცხადია, რომ მას არ შეეძლო პოლიტიკური მმართველობის საკითხში ინდიფერენტიზმი გამოეჩინა, წინაალმდეგ, — მისი მისწრაფება „პოლიტიკური შეხედულებანი ნამდვილი დემოკრატიული წყობილების შექმნისაკენ იყო მიმართული. იგი ებრძოდა „ბიუროკრატიზმს, ცენტრალიზმსა და ფართო დემოკრატიული თვითმართველობისა და ფედერაციის პროგრამას აყენებდა. ეს თავისი პოლიტიკური შეხედულებანი ჩერნიშევსკიმ გარკვევით გამოსთქვა ჩიჩერინისადმი „მიმართულს“ თავის საპოლემიკო წერილში: ევროპის მაგალითის ჩვენებით ჩერნიშევსკიმ ნათლად დაანახა ინტელიგენციას, თუ რას წარმოადგენს დემოკრატიული წყობილება და როგორ შეიძლება იგი გამოყენებული იქნეს ხალხის ინტერესებისათვის.

„თავისი არსებითი ხასიათის მიხედვით დემოკრატია ეწინააღმდეგება ბიუროკრატიას; ის თხოულობს, რომ ყოველი მოქალაქე იყოს დამოუკიდებელი იმ საქმეებში, რომელიც ეხება მხოლოდ მას კერძოდ; ყოველი სოფელი და ყოველი ქალაქი — დამოუკიდებელი იმ საქმეებში, რომელიც ეხება მათ ცალ-ცალკე; ყოველი ოლქი — თავის საქმეებში. დემოკრატია მოითხოვს ადმინისტრატორის სრულს დამორჩილებას იმ მცხოვრებლებისათვის, რომლის

საქმეებსაც ის განაგებს. მას სურს, რომ ადმინისტრატორი იყოს მხოლოდ რწმუნებული საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც ანდობს მას „განსაკუთრებულ საქმეებს, და ყოველწუთში შეეძლოს მოსთხოვოს მას ანგარიში საქმის წარმოების შესახებ. დემოკრატია მოითხოვს თვითმართველობასა და მიჰყავს იგი ფედერაციამდე. დემოკრატიული სახელმწიფო არის რესპუბლიკათა კავშირი, ან უკეთ ვსთქვათ, წარმოსდგება რამოდენიმე თანდათან შეერთებულ რესპუბლიკანურ კავშირისაგან, ასე რომ, ყოველი რამოდენადმე მნიშვნელოვანი კავშირი თავისი მხრივ შესდგება რამოდენიმე ოლქის კავშირისაგან; ასეთი არის შერთებული შტატების წყობილება" [1]).

ასე აპარებდა ლიტერატურაში ჩერნიშევსკი სასტიკ ცენზურულს პირობებში დემოკრატიულ-პოლიტიკურს პროგრამას.

ალსანიშნავი არის ჩერნიშევსკის ხაზი ნაციონალურ საკითხში. ნაციონალური საკითხის მოწესრიგება ღრმად დაუკავშირა მან თავის დემოკრატიულსა და ფედერატიულს მისწრაფებებს. ჩერნიშევსკის ეპოქაში ღრმად გაიდგა ფესვები ნაციონალურმა მოძრაობამ: ევროპის დაჩაგრული ერები მოითხოვდენ, ერთი მხრივ, დამოუკიდებლობის მოპოებასა და განთავისუფლებას სხვისი ბატონობისაგან (ირლანდია, პოლონეთი, ჩეხია და მრავალი სხვა), ხოლო, მეორეს მხრივ, დანაწილებული ეროვნული ერთეულები (გერმანია, იტალია, პოლონეთი) მოითხოვდენ გაერთიანებას ერთ პოლიტიკურ ჰერქვეშ. ნაციონალურ საკითხებშიაც ნ. ჩერნიშევსკიმ დიდი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა, იგი იყო მომხრე ერთა თვითგამორკვევის უფლების და ერთა დამოუკიდებელი პოლი-

---

[1]) ტ. IV, 83. 471—72.

ტიკური არსებობის[1]). ერთ თავის პოლიტიკურ მიმოხილვაში 1859 წელს ჩერნიშევსკიმ ხაზგასმით უწოდა ეროვნულ ჩაგვრას სისაძაგლე [2]).

ასეთი სალი დემოკრატიული პრინციპით შეუდგა ჩერნიშევსკი ნაციონალურ საკითხის გამორკვევას; მისთვის, როგორც სოციალისტისა და რევოლუციონერისათვის, მიუღებელი იყო ეროვნული ჩაგვრა და ეროვნული დამონება. ეს მტკიცე სოციალისტური პრინციპი, შეტანილი ჩერნიშევსკის მიერ ნაციონალური საკითხის მოწესრიგების საქმეში, შემდეგ პერიოდში ფართოდ იქნა გამოყენებული მისი მემკვიდრე რევოლუციონური ინტელიგენციის მიერ.

ომის საკითხს არა ერთხელ შეხებია ჩერნიშევსკი თავის პოლიტიკურ მიმოხილვებში. აქაც იგი დიდ დაკვირვებას იჩენდა და გადაჭრით მიუთითებდა ინტელიგენციას, რომ თანამედროვე ომები გამოწვეული არის გაბატონებული კლასების ინტერესებით, რომ სანამ ძალაუფლება ხელთუპყრიათ კაპიტალისტებსა და მემამულეებს, მანამდე ომები აუცილებელი იქნება. მაშ სად არის გამოსავალი, როგორ უნდა მოვსპოთ ომები და დავამყაროთ მშვიდობიანობა? — კაპიტალისტურს წყობილებასა და ბურჟუაზიის ბატონობას აუცილებლად მივყევართ ომამდე, მხოლოდ თანამედროვე ეკონომიური წყობილების შეცვლასა და მშრომელთა კლასის გავლენას შეუძლია მოსპოს ომის მიზეზები და დაამყაროს მშვიდობიანი ურთიერთობა ერთა შორის. იგი სწერს:

„რასაკვირველია, უფრო მნიშვნელოვანი გახდება ის ცვლილებები, რომელიც შეტანილი იქნება ამ საქმეში მშრომელი კლასის პირდაპირი ინტერესებით. როდესაც

---

[1]) სტეკლოვის წიგნი: გვ. 479 — 88.

[2]) ნ. ჩერნიშევსკი—ტ. V. გვ. 48.

მშრომელი კლასი მოიპოვებს გადამწყვეტ გავლენას ინგლისის საქმეებზე და მასში იმდენად განვითარდება გამოცდილება, რომ დაიწყებს მსჯელობას შრომის ინტერესის მიხედვით, და არა იმ ადამიანთა შთაგონებით, რომელნიც ამ ინტერესებისათვის უცხონი არიან, ინგლისი სრულიად უარს იტყვის ომებზე თავისი საზღვრების გარეშე. როდესაც ასეთი იქნება მდგომარეობა სხვა ევროპიული ქვეყნებისა, მაშინ მოისპობა ყოველგვარი შესაძლებლობა ომებისა მათ შორის" [1]).

ასეთი არის ნ. ჩერნიშევ'სკის მეცნიერული მოღვაწეობა და მისი პუბლიცისტიკის ძირითადი მოტივები. ამ თავისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობით ჩერნიშევსკიმ უდიდესი ღვაწლი დასდო რუსეთის ინტელიგენციას; მან განუმარტა რუსეთის საზოგადოებას მთელი რიგი ღრმადმნიშვნელოვან, სერიოზულ საკითხებისა და მეცნიერულად დამუშავებული პროგრამა მისცა სამოღვაწეოდ. ჩერნიშევსკის ნაწერები გაჟღენთილი არის სოციალისტურ-დემოკრატიული და რევოლუციონური სულით, „მისი ნაწერებიდან პირდაპირ მოსჩქეფს კლასთა ბრძოლის სული" (ლენინი). არც ერთს მწერალს მე-XIX-ე საუკუნის რუსეთში არ ჰქონია ისეთი დიდი გავლენა ახალთაობის ინტელიგენციაზე, როგორიც მოახდინა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით ჩერნიშევსკიმ. მისი მნიშვნელობა რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიაში უდიდესია.

მაგრამ ჩერნიშევსკის დიდი გავლენა და მნიშვნელობა მარტო ლიტერატურული მოღვაწეობითა და თეორიულ-მეცნიერული პრობლემების დამუშავებით არ ამოიწურე-

---

[1]) ტ. III, გვ 521. იხ. აგრეთვე ბ. გორევის წერილი: „Чернышевский и революционные войны" ჟურ. „Историк — Марксист" № 10, გვ. 178 — 196, 1928 წ. სტეკლოვის წიგნი გვ. 489 — 91.

ბა: იგი იყო პრაქტიკი-რევოლუციონერი, რომელმაც მორნდომა მასების დარაზმვა თვითმპყრობელობისა და მემამულეთა ბატონობის მოსასპობად; იგი იყო გლეხური რევოლუციის იდეოლოგი რუსეთში.

თავი' მეხუთე

ნ. ჩერნიშევსკი და 60-იანი წლების რევოლუციონური მოძრაობა.

1. ნ. ჩერნიშევსკი და გლეხთა საკითხი

ნ. ჩერნიშევსკის ლიტერატურულ-პოლიტიკურ მოღვაწეობის დახასიათების დროს ჩვენ განგებ გვერდი ავუარეთ ერთ საკითხს, რომელსაც მთავარი ადგილი უჭირავს ჩერნიშევსკის აზროვნებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში: ეს არის ბრძოლა რუსეთის მაშინდელი საზოგადოებრივი წყობილებისა და ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ და მისი პოლიტიკა გლეხთა განთავისუფლების საქმეში. ამ საკითხების გამორკვევასთან ღრმად არის დაკავშირებული ჩერნიშევსკის პრაქტიკულ-რევოლუციონური მოღვაწეობის პროგრამაც, მისი რევოლუციონური ტაქტიკა რუსეთში.

ჩერნიშევსკიმ ახალგაზრდობიდანვე შეითვისა ზიზღი რუსეთის პოლიტიკური წყობილებისა და მთელი საზოგადოებრივი სტრუქტურის წინააღმდეგ: იგი თავიდანვე ოცნებობდა გლეხთა განთავისუფლებაზე ბატონ-ყმურ უღლისაგან. 50-იან წლების მეორე ნახევარში, როდესაც დაისვა გლეხთა განთავისუფლების საკითხი პრაქტიკულად, ჩერნიშევსკიმ მხურვალე მონაწილეობა მიიღო პრესაში ამ საკითხის გამორკვევის საქმეში; მაგრამ გლეხთა საკითხი ჩერნიშევსკისათვის ღრმად იყო დაკავშირებული მთელი

რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილების სისტემასთან: სამართლიანი გადაწყვეტა გლეხთა საკითხისა ჩერნიშევსკის აზრით შეუძლებელი იყო, თუ არ მოხდებოდა ძირითადი ცვლილება თვით სოციალ-პოლიტიკური წყობილების მექანიზმში. ჩერნიშევსკის შეხედულებით ეს მექანიზმი გახრწნილი იყო თავიდან-ბოლომდე. „აზიური გარემოება ცხოვრებისა, აზიური საზოგადოებრივი წყობილება, აზიური წესი საქმეებისა“,—აი ასეთი სიტყვებით ახასიათებდა ნ ჩერნიშევსკი რუსეთის თვითმპყრობელობის სისტემას. ბრძოლა ამ „აზიური წყობილების“ წინააღმდეგ ჩერნიშევსკის ლიტერატურული და პრაქტიკული საქმიანობის უმთავრეს ამოცანად გადაიქცა.

გლეხთა საკითხის სათანადო მოწესრიგება შეუძლებელი იყო, ჩერნიშევსკის განმარტებით, აზიური ცხოვრებისა და წესწყობილების პირობებში. ეს კავშირი გლეხთა საკითხისა არსებულ წყობილების სისტემასთან გარკვევით და ნათლად გამოსთქვა ჩერნიშევსკიმ თავის შესანიშნავ წერილში «Письма без адреса» (1862), რომელიც არ გაუშვა მაშინდელმა ცენზურამ და მხოლოდ 1874 წ. დაიბეჭდა პ. ლავროვის «Вперед»-ში. ამ წერილში ჩერნიშევსკი სწერდა:

„რუსეთის ხალხის შინაგანი ცხოვრების შემაფერხებელ წყაროდ... ითვლება ე. წ. გლეხთა საკითხი... ყირიმის ომმა აუცილებელი გახადა გლეხთა განთავისუფლება. კანონიერი არსებობა ბატონყმური წყობილებისა მძიმე იყო მებატონეთა გლეხებისათვის და საერთოდ სახელმწიფოსათვის. მაგრამ ის შეფარდებული იყო მთელი ჩვენი წყობილების ფორმასთან; ამიტომ მას (წყობილებას) თავის შიგნითარ ჰქონდა ძალა მოესპო იგი (ბატონყმობა). ჩვენი საზოგადოება კი ფიქრობდა მოესპო ბატონყმური უფლება ძველი წესწყობილების საშუალებით... დაწყებული რეფორმა იყო წერილმანი, ზერელე.

ინგლისელებმა და ფრანგებმა ჩვენი ტანისამოსი მცირეოდენად გახიეს, და ჩვენ პირველად ვფიქრობდით, რომ საჭიროა მისი ძველოდ შეკეთება; მაგრამ როდესაც კერვას შეუდექით, ჩვენ თანდათან დავინახეთ სიდამპლე მატერიისა ყველა იმ ადგილებში, რომელსაც ეეხებოდით შესაკეთებლად; და აი ჩვენ ახლა ვხედავთ, რომ მთელი საზოგადოება გამოსთქვამს სურვილს თავიდან ფეხებამდე ახალ ტანისამოსში გამოწყობის შესახებ — შეკეთება მას აღარ სურს. მარტივად რომ ვსთქვათ, ჩვენი საზოგადოება შეუდგა ბატონყმობის უფლების მოსპობის, საქმეს ძლიერ სერიოზულად მოკიდა ხელი" [1]).

აქედან ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ ჩერნიშევსკიმ ბატონყმობის მოსპობის საკითხი ღრმად დაუკავშირა მთელი საზოგადოებრივი წყობილების ძირიანად გარდაქმნის საქმეს; უკეთ რომ ვსთქვათ, ბატონყმობის მოსპობის საკითხი პოლიტიკური საზომითაც განიხილა და გარკვეული პოლიტიკური პროგრამა წამოაყენა.

გლეხთა განთავისუფლების საკითხში მემამულეთა წრეებში ორგვარი მიმდინარეობა არსებობდა: რ ე ა ქ ც ი ო ნ ური ნაწილი მოითხოვდა გლეხების განთავისუფლებას უმიწოდ, ხოლო ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი ნაწილი აყენებდა პროგრამას გლეხთა მიწით განთავისუფლების შესახებ, მაგრამ გამოყიდვით. მაგრამ ამ ორ მიმდინარეობას აერთებდათ თავიანთი კლასიური ინტერესები და განსაკუთრებით მთავრობასთან შეთანხმების სურვილი. ორივე მიმდინარეობას სურდა რეფორმის გატარება თვითმპყრობელობის აპარატის საშუალებით, რომ ამით მაგარი ძალა ყოლოდათ გლეხთა მოსალოდნელ აჯანყებათა წინააღმდეგ. „ცნობილი ბრძოლა მებატონეთა (крепостники) და ლიბერალებს შორის, — სწერდა ლენინი, — იყო ბრძოლა გაბა-

---

[1]) ტ. X, გვ. 296 — 98.

ტონებული კლასების შიგნით, უმთავრესად მემამულეთა შიგნით, ბრძოლა განსაკუთრებით დათმობის ზომებისა და ფორმების შესახებ" [1]).

უნდა ითქვას რომ ჩერნიშევსკი ძლიერ ცოტა ხნის განმავლობაში თითქოს ვერ გაირკვა გლეხთა განთავისუფლების საკითხში: როგორც უკვე აღნიშნეთ, თითქოს ისიც ფიქრობდა, რომ ალექსანდრე მეორეს მთავრობა ჩაატარებდა რეფორმას და ამიტომ მოუწოდებდა მთავრობასა და მემამულეებს გაენთავისუფლებიათ გლეხობა მიწითა და გამოუყიდელათ [2]).

უკეთ რომ ვსთქვათ, იგი მომხრე იყო მთავრობას გამოეყიდა მიწები, ხოლო გლეხების უმიწოდ განთავისუფლებისა და „ნადელის" შემცირების რადიკალურად

[1]) Ленин ტ. XI, 2, გვ. 262.

[2]) შეადარ. Н. Г. Чернышевский: Избранные сочинения, ტ. I გვ. 111. ჩერნიშევსკის ასეთი ოპორტუნისტული მიმართვა მეფისა და მემამულეთადმი სრულიად არ შეესაბამება ჩერნიშევსკის მთელ მსოფლმხედველობასა და რევოლიუციონურ ტაქტიკას. მაშრით უნდა ავხსნათ ჩერნიშევსკის ასეთი ოპორტუნისტული ხაზები გლეხთა საკითხში? ერთად ერთი სწორი პასუხი ამ კითხვაზე შემდეგში გამოიხატება: ჩერნიშევსკი პირველ ხანებში დარწმუნებული იყო იმაში, რომ ჯერჯერობით რუსეთში გლეხთა საკითხის რევოლიუციონური გზით გადაწყვეტა შეუძლებელი იყო. რადგან ასეთი რევოლიუციონური ძალა ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული. ამიტომ ჩერნიშევსკი პირველ ხანებში ფიქრობდა, რომ ლიტერატურული მოღვაწეობითა და ლოგიკური არგუმენტაციებით ემოქმედნა გაბატონებულ წრეებზე, რათა რაც შეიძლება მეტ დათმობაზე დაეთანხმებინა ისინი გლეხობისადმი. მაგრამ შემდეგში, როდესაც ჩერნიშევსკი დარწმუნდა თავისი პოლიტიკური ხაზის შეცდომაში და ნათლად დაინახა, რომ არც თვითმპყრობელური მთავრობა და არც მებატონეები არ ცდილობდენ გლეხების ინტერესების ოდნავ დაცვასაც კი, ჩერნიშევსკიმ რადიკალურად შეცვლა თავისი ტაქტიკური ხაზი და გარკვევით დაადგა რევოლუციონური მოქმედების გზას: რევოლუციონურ პარტიის დაარსებასა და გლეხთა აჯანყების მოწყობას.

წინააღმდეგი იყო; ის მოითხოვდა გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას სხვადასხვა ზომებით და მასთანვე „ნაგელის“ გადიდებას ერთი მესამედით. გლეხობას არ შეუძლია და არც აქვს საშუალება გამოიყიდოს მიწები, ეს ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებებს. ჩერნიშევსკი სწერდა: „კანონთა კრებულს, ნაციონალურ გრძნობას, პოლიტიკურ ეკონომიას — ყოველივეს მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ გ ა მ ო ყ ი დ ვ ი ს მოთხოვნა არც სასარგებლოა და შეუძლებელიც არის; მაგრამ შესაძლებელია მ ი ი ღ ო თ ფასი იმ ზომით, რომელსაც დაუშვებს სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობა და ნაციონალური გრძნობა“... [1]). ამრიგად უარყო რა ჩერნიშევსკიმ მიწების გამოყიდვა გლეხების მიერ და კატეგორიულად მოითხოვა გლეხების მიწით განთავისუფლება, მან მეორე გარკვეული აგრარული პროგრამაც წამოაყენა: ჩერნიშევსკი მოითხოვდა მიწის თემური მფლობელობის დაცვასა და მისი საფუძვლების გაფართოებას. ჩერნიშევსკისათვის ნათელი იყო, რომ რუსეთი უკვე დაადგა კაპიტალიზმის განვითარების გზას. ეს გარემოება მას ძლიერ აშინებდა; ის დარწმუნებული იყო რომ კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარება გააღატაკებდა გლეხობას და გადააქცევდა მას ბოგანო მასად; ამიტომ ჩერნიშევსკისათვის არ იყო საკმარისი გლეხთა მიწით განთავისუფლება; იგი მოითხოვდა გლეხობის მომავალშიაც უზრუნველყოფას მიწებით. ამ მხრივ თემური მიწადმფლობელობა საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა მას გლეხთა ეკონომიურ წარმატებისა და კეთილდღეობისათვის. ჩერნიშევსკი სწერდა:

„რომ ჩვენს მიწის მუშებს ჰქონდეთ მიწის საკუთრება — ეს არის ჩვენი სურვილის საფუძველი; მიწაზე თემური

---

[1]) IV, გვ. 545.

მფლობელობა წარმოადგენს ერთად-ერთს საშუალებას დავიცვათ ყოველი გლეხი-მეურნე მიწის მესაკუთრის უფლებებში ოცდაათი ან ოცდახუთი წლის შემდეგ. თემური წყობილება მისცემს ჩვენს გლეხობას მეორე, უფრო მნიშვნელოვან სარგებლობას, გაუხსნის რა მათ იოლ შესაძლებლობას შეადგინონ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები მიწების დასამუშავებლად"[1]. ამრიგად თემური წყობილება მიწისა, ჩერნიშევსკის აზრით, საუკეთესო საშუალება არის რომ გადარჩეს გლეხი გაბოგანოებას. კაპიტალიზმის განვითარება უბედურებას უმზადებს რუსეთის გლეხობას; კაპიტალიზმის ფართო განვითარება რუსეთში შესაძლებელია დაიწყოს ახლო მომავალში, ამიტომ „ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის და მივიღოთ ზომები მიწის მუშებისათვის საფაბრიკო ექსპლოატაციის ასაცდენად. ამის საწინააღმდეგო ერთ-ერთ საშვალებად ჩვენ მიგვაჩნია დაცვა გლეხთა თემური მიწის მფლობელობისა"[2].

მაგრამ ჩერნიშევსკი მარტო ამ მომენტებით არ კმაყოფილდება და თემურ წყობილებაში ხედავ არა მარტო კაპიტალისტურ ექსპლოატაციისაგან დასახსნელ საშვალებას, არამედ ერთად-ერთ პირობასაც სოფლის მეურნეობის ეკონომიური აღორძინებისათვის. თავის შესანიშნავ შრომაში, რომელიც თემური წყობილების ერთ-ერთ საუკეთესო დაცვას წარმოადგენს,—«Критика философских предубеждений против общинного владения». ჩერნიშევსკი სწერდა:

„თემური მიწადმფლობელობა საჭიროებას წარმოადგენს არა მარტო მიწადმომქმედი კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არამედ თვით მიწის დამუშავების წარ-

---

[1]) ტ. IV, გვ. 35.
[2]) ტ. IV, გვ. 97.

მატებისათვის: ის წარმოადგენს ერთად-ერთ გონივრულსა და სრულს საშუალებას შეუერთდეს მიწის სარგებლიანობა მიწის გაუმჯობესების საქმეს და წარმოების მეთოდები-- მუშაობის კეთილსინდისიერ აღსრულებას" [1]).

ასეთი არის ჩერნიშევსკის შეხედულება თემურ წყობილებაზე. ქვევით, ჩერნიშევსკის რევოლუციონური სისტემის განხილვის დროს, ჩვენ დამატებით განვიხილავთ ამ საკითხს და გამოვარკვევეთ, თუ როგორი ადგილი უჭირავს რუსეთის თემს ჩერნიშევსკის სოციალისტურ გეგმებში.

ზემოდ მოყვანილი ციტატები ნათელ სურათს იძლევა იმის შესახებ, თუ როგორი პროგრამა შეიმუშავა ჩერნიშევსკიმ გლეხთა განთავისუფლების საკითხში; მაგრამ როგორც დავინახეთ, ჩერნიშევსკი პირველ ხანებში ჯერ კიდევ დარწმუნებული იყო, რომ ამ პროგრამას რამოდენიმედ მაინც განახორციელებდა მთავრობა. ჩერნიშევსკი მალე დარწმუნდა, რომ იგი სასტიკად სცდებოდა და რომ მის მიერ წამოყენებული პროგრამა გლეხთა და აგრარული საკითხის ლეგალურ გზით გადაწყვეტისა ვერასოდეს ვერ ეღირსებოდა განხორციელებას; მისთვის ნათელი შეიქნა, რომ ალექსანდრე მეორეს მთავრობა თავის გეგმებში თავად-აზნაურთა ინტერესების დაცვის საზომით გამოდიოდა და უდიერად უპირებდა გლეხობას გაცარცვას, რომ თავად-აზნაურულ სახელმწიფოს პროგრამითა და საშუალებით- შეუძლებელი არის გლეხთა ინტერესების დაცვა. ეს თავის შეცდომა აშკარად აღიარა ჩერნიშევსკიმ 1858 წ. როდესაც სწერდა: „რა სულელი ვიყავი მე, რომ ვზრუნავდი იმ საქმის შესახებ, რომლის განხორციელებისათვის არ არის პირობები... უკეთესია დაიღუპოს ყოველივე ეს, რომელსაც მხოლოდ ზარალი მოაქვს... უკეთესია დაიღუპოს მთელი ეს საქმე, რომელსაც თქვენთვის მხოლოდ განადგურება მოაქვს" [2]).

---

[1]) ტ. IV, გვ. 321—22.

[2]) ტ. IV, გვ. 307, აგრეთვე 304—306.

ჟ. ნ. ჩერნიშევსკის რევოლუციონური ტაქტიკა 60-იან წლებში.

ჩერნიშევსკისათვის ნათელი გახდა შეუძლებლობა გლეხთა საკითხის ლეგალური გზით გადაწყვეტისა და მანაც სხვა გზა აირჩია, სხვა ტაქტიკას მიმართა, ტაქტიკას, რომელიც არა ლეგალურ საშუალებაში გამოხატებოდა, არამედ რევოლუციონურ ბრძოლასა და გლეხთა აჯანყებაში. ასეთი რევოლუციონური ტაქტიკა ჩერნიშევსკიმ 1848 წ. რევოლუციის გავლენით შეითვისა. იმავე რევოლუციონური მოძრაობის გავლენით ჩერნიშევსკი ოცნებობდა რუსეთში გლეხთა აჯანყებისა და თვითმპყრობელობის დამხობაზე. ახლა უკვე დაისვა ჩერნიშევსკისათვის ამ ოცნების რეალურად ვანაღდების საკითხი, პრაქტიკულ ორგანიზაციულად მოწყობის საქმე.

მაგრამ ნ. ჩერნიშევსკის, და მთელი მოწინავე რადიკალური ინტელიგენციის არა ლეგალურ — რევოლუციონურ მეთოდზე გადასელა გამოწვეული იყო ორი დიდი გარემოებით: ერთი მხრივ რუსეთის ცხოვრების კრიზისით, რაც ნათელი გახდა გლეხთა რეფორმის შინარსის გამოაშკარავებით; კრიზისმა გამოიწვია საზოგადოებრივი ძალების უკმაყოფილება და ახალი გზების ძიება შექმნილ პირობებიდან გამოსასვლელად; ხოლო, მეორე მხრივ. ევროპაში დაწყებულ საზოგადოებრივ მოძრაობით. „მთელს ევროპაში ატმოსფერა ელექტრონით იყო გაჟღენთილი, — სწერს ამ ეპოქის შესახებ ი. სტეკლოვი, — ჰარიბალდი, მაშინდელი რუსეთის რადიკალების სათაყვანებელი, ემზადებოდა რომზე გასალაშქრებლად. პრუსიაში კონსტიტუციონალური კონფლიქტი სწარმოებდა, რომელსაც, როგორც მაშინ სჩანდა, უნდა მიეყვანა საქმე რევოლუციონურ ამბოხებამდე. ავსტრიაში აბსოლუტიზმი ჯერ კიდევ არ გამაგრებულიყო 1859 წლის იტალიის ომში და-

მარცხებისაგან, რომ ხელახლა დაიწყო რევოლუციონური დუღილი ჰუნგრეთში. თვით საფრანგეთში, რომელსაც ჩერნიშევსკი „ევროპის ვულკანს“ უწოდებდა მთავრობა იძულებული შეიქმნა მოეშვა სადავეები, გაძლიერდა ლიბერალური პარტია და გამოჩნდა პირველი სიმპტომები აღორძინებულ რესპუბლიკანურ აგიტაციისა. პოლონეთი ბობოქრობდა და ემზადებოდა ახალ აჯანყებისათვის თავისი ნაციონალური არსებობისათვის. ერთი სიტყვით, ნათლად სჩანდა, რომ რეაქციის მძიმე წყვდიადი, რომელიც დააწვა თავზე ევროპას, 1848 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ადგილს უთმობდა ახალ განთიადს“ [1]).

ამ რევოლუციონურ აღორძინებას არ შეეძლო თავისი გავლენა არ მოეხდინა 60-იან წლების რადიკალურ ინტელიგენციაზე, არ შეეძლო მათი სამოღვაწეო გეზი არ მიემართა პრაქტიკულ რევოლიუციონურ საქმისაკენ. ლ. პანტელეევი თვის მოგონებაში გარკვევით აღნიშნავს ამ გარემოებას; იგი ამბობს, რომ გლეხთა რეფორმის უვარგისობამ და ევროპაში დაწყებულმა მოძრაობებმა დიდი გავლენა მოახდინეს რუსეთის რადიკალური ინტელიგენციის რევოლუციონურად გამოფხიზლების საქმეზე და მათმა მოღვაწეობამ გარკვეული პოლიტიკური შინაარსი მიიღო. „თუ წინად გაცხარებულ კამათს აწარმოებდენ ამა თუ იმ მოსალოდნელ რეფორმის შესახებ, ამ ჟამად სულ სხვა სიტყვები ისმოდა: საჭირო არის საქმეს შეუდგეთ. ხოლო საქმის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მომზადება რევოლუციონური გამოსვლისათვის. ეს ცვლილება ნათლად შეიგნო ჯგუფმა, რომელიც შემოკრებილი იყო ჩერნიშევსკის გარშემო (მიხაილოვი, შელგუნოვი, ძმები სერნო-სოლოვიევიჩები, ვ. ობრუჩევი და სხ). და დაი-

---

[1]) Ю. Стеклов: „Н. Чернышевский“ ტ. II გვ. 158.

წყო პროკლამაციების გამოშვება, საიდუმლო ორგანიზაციის მოწყობის (ედა" [1])...

ასეთმა რევოლუციონურმა განწყობილებამ დიდი გაელენა მოახდინა როგორც ნ. ჩერნიშევსკის, ისე მისი თანამოაზრეთა გარკვეული რევოლუციონური ტაქტიკის შემუშავებაზე. ნ. ჩერნიშევსკიმ და მისმა ჯგუფმა გარკვევით დაინახეს, რომ ერთად ერთი გამოსავალი შექნილი კრიზისიდან არის რევოლუციონური ამბოხება ფართო მშრომელი მასებისა მოწინავე ინტელიგენციის ხელმძღვანელობით. იმდენად, რამდენადაც ზეიწევდა საზოგადოებრივი ტალღა — სწერს მ. ტუგან-ბარანოვსკი, — ჩერნიშევსკი თავს ანებებდა უიმედო პოზიციებს და უფრო თანაგრძნობით ეკიდებოდა გლეხობის რევოლუციონურობის საკითხს. მართლაც, თავისი გატაცების უმაღლეს მწვერვალზედაც კი იგი არ იზიარებდა ყველა იმ იმედებს, რომელსაც ამყარებდენ სხვები გლეხობაზე; შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ჩერნიშევსკი არასოდეს არ იზიარებდა სავსებით სრული გამარჯვების რწმენას. იგი შედარებით სხვებთან ყველაზე უფრო სკეპტიკურად იყო განწყობილი. მაგრამ მაინც რევოლუციონერი იყო; მისი თანაგრძნობა რევოლუციონურ ორგანიზაციებისადმი ეპვს გარეშე არის. ის იხრებოდა იმ აზრისაკენ, რომ გლეხთა მასა უიმედო არ არის, რომ მდაბიო ხალხთა მასას ე. ი. რუსეთის გლეხობას, თავისი მიწის თემური წყობილების წყალობით, შეუძლია მოახდინოს უდიდესი გადატრიალება... გადატრიალება, ჩერნიშევსკის აზრით, უნდა მოახდინოს გლეხობამ; მაგრამ არა მხოლოდ გლეხობამ: ჩერნიშევსკის მხედველობაში ყავდა მეორე საზოგადოებრივი ჯგუფი(), რომელიც მის თვაწინ ჩამოყალიბდა. ამ ჯგუფს წარმოად-

[1]) Пантелеев: „Память Н. Чернышевскаго" „Голос Минувшего № 1, зд. 198, 1915.

გენდენ „ახალი ხალხი“ რაზნოჩინცები, ინტელიგენცია, რომელიც შემოჯგუფდა ჩერნიშევსკის ირგვლივ“ [1]).

მ. ტუგან-ბარანოვსკი სრულს სიმართლეს აღნიშნავს, ჩერნიშევსკის პოლიტიკური — ტაქტიკური ხაზი გარკვევით იყო მიმართული რევოლუციონური აჯანყებისაკენ არსებულ წყობილების დასამხობლად. და ამ რევოლუციონური მოძრაობის მთავარ ფაქტორებად მას მიაჩნდა გლეხობა და სოციალისტური ინტელიგენცია. ზოგიერთ მკვლევარს (მაგ. გ. პლეხანოვი და სხვ.) საეჭვოდ მიაჩნია ჩერნიშევსკის რევოლუციონურობაც და მისი იმედებიც ხალხის რევოლუციონურ მოქმედებაზე. მართალი არის ის, რომ ჩერნიშევსკის პირველ ხანებში არ მიაჩნდა რუსეთის ხალხი მზად რევოლუციისათვის, მაგრამ მისი პოლიტიკა და სამოღვაწეო პროგრამაც ამ ხალხის გამოფხიზლებისაკენ იყო მიმართული; მას კარგად ესმოდა, რომ არავითარ პოლიტიკურ მოძრაობას არ შეიძლება მოყვეს რაიმე დადებითი შედეგები ხალხისათვის, თუ მის განხორციელებაში თვით ხალხი არ ღებულობს აქტიურ მონაწილეობას: „მნიშვნელოვან ნაციონალურ კაპიტალს წარმოადგენს ხალხის ზნეობრივი ძალისა და გონებრივი განვითარების მარაგი“ [2]), და „უძლური არის ის პიროვნება, რომელსაც გადაჭარბებული იმედი აქვს თავისი და არ ცდილობს თავისი დაწყებული საქმისათვის დახმარება ჰპოვოს მთელი ხალხური მასის დამოუკიდებელ მოქმედებაში“ (ტ VI გვ. 645). ჩერნიშევსკის ჯერ კიდევ არ მიაჩნდა რუსეთის ხალხი მზად აქტიური დამოუკიდებელი მოქმედებისათვის, მაგრამ იგი სავსებით დარწმუნებული იყო იმაში, რომ ინტელიგენციის დახმარებით ხალხი გათვით-

[1]) იხ. „Труды в. экон. общества“ № 1, 1910 წ. დამატება გვ. 11 — 12 სტეკლოვი, ტ. II, გვ. 155.

[2]) ტ. VII გვ. 507.

ცნობიერდებოდა და უდიდეს რევოლუციონურ ძალად გადაიქცეოდა რუსეთის სინამდვილეში. ნ. კოტლიარევსკი სამართლიანად სწერს: „ძირითადი დებულება: ყოველივე ხალხისათვის და შეძლების და მიხედვით ხალხისავე საშვალებით“ — ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ნაწერების მთავარ აზრს წარმოადგენდა; ამაზედ ეყრდნობოდა მათი მოსაზრებანი ინტელიგენციის დამოკიდებულების შესახებ მასებისადმი“ [1]). ჩერნიშევსკისა და მის ჯგუფს მასა, მშრომელი გლეხობა არ მიაჩნდა რაღაც უმოძრავო, ერთხელ და სამუდამოდ ერთს წერტილზე გაყინულ სოციალურ ფენად. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ დროთა ვითარების გამო მასა გამოცოცხლდება, განვითარდება და უდიდეს აქტიურ ძალად გადაიქცევა ახალი ცხოვრების შექმნის პროცესში. რეფორმით გამოწვეულმა ხალხის უკმაყოფილებამ უდიდესი იმედები გაუღვიძა ნ. ჩერნიშევსკისა და მის ჯგუფს, ისინიც შეუდგნენ ხალხის ამ უკმაყოფილების უდიდეს რევოლუციონურ ძალად გადაქცევას [2]).

---

[1]) Н. Котляревский, „Кануи освобождения“, 1916 წ.

[2]) აღსანიშნავი არის ის, რომ ლიბერალები და რეაქციონური წრეები მეტად დაშინებულნი იყვნენ გლეხთა აჯანყების შესაძლებლობით, მათ ელანდებოდათ კუგაჩოვის მოძრაობის განმეორება რუსეთში და ამ-ტომ მთელი თავიანთი ძალღონით მხარს უჭერდენ თვითმპყრობელობას გლეხური მოძრაობის და საერთოდ რევოლუციის აღმოფხვრის საქმეში. 1861 წლის დასაწყისში გამოქვეყნებული იქნა ოფიციალური ცნობა, რომ სპასის მ.ზრაში მოხდა გლეხთა არეულობა, რომლის დროსაც მოჰკლეს 55 კაცი და დასჭრეს 71, მაშინდელი ლიბერალური ჟურნალი სწერდა: „მხოლოდ ერთს ღმერთს შეუძლია აპატიოს ანტონ პეტოეს (გლეხთა არეულობის მეთაური რომელიც დახვრიტეს მთავრობის ჯალათებმა. ს. ხ.) ის, რაც მან ჩაიდინა, ჩვენ კი მისი პატიება არ შეგვიძლია... მხოლოდ ის იყო სპასში მომხდარ ამბების მიზეზი“ (В. Кирпотин: „Радикальный разночинец Д. Писарев“. გვ. 36). ლიბერალური ინტელიგენცია დაფრთხა გლეხთა მოძრაობით და ხსნას თვითმპყრობელობის გამაგრე-

ამის შესახებ ფაქტებს ჩვენ ქვევით დავინახავთ. მეორეს მხრივ აღსანიშნავი არის, ის, რომ მიუხედავად სისტიკი ცენზურული პირობებისა, ჩერნიშევსკი მაინც ახერხებდა „სოვრემენიკის“ ფურცლებზე თავისი რევოლუციონური შეხედულების გამოთქმას მასების მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ პოლიტიკურ გადატრიალებებში. 1859 წ. იტალიის პოლიტიკური ცხოვრების მიმოხილვის დროს ჩერნიშევსკიმ შემდეგი საყურადღებო აზრები გააპარა:

„ვინც საქმეს კიდებს ხელს, მან უნდა იცოდეს, თუ საით წაიყვანს ეს საქმე, და თუ არა სურს მისგან გამომდინარე აუცილებელი შედეგები, მაშინ მას არ უნდა სურდეს თვით საქმეც. პოლიტიკური გადატრიალებანი არასოდეს არ მომხდარა თვითნებობის ფაქტების გარეშე, რომელიც არღვევს იმ იურიდიული სამართლიანობის ფორმებს, რომელიც დაცული არის მშვიდობიან დროში. გადატრიალება აღელვებს ხალხის გრძნობებს, ხოლო აღელვებული გრძნობა იკიწყებს ფორმებს; ვისაც ეს არ ესმის, მას არა ფერი გაეგება იმ ძალის ხასიათზე, რომელიც ამოძრავებს ისტორიას, არ ესმის ადმიანის გული. ადამიანი, რომელიც მონაწილეობას ღებულობს პოლიტიკურ გადატრიალებაში, და ფიქრობს, რომ ამ გადატრიალების დროს მრავალჯერ არ დაირღვევა მშვიდობიანი დროის იურიდიული პრინციპები, ამ ადამიანს უნდა ეწოდოს იდეალისტი“ [1]).

იმავე წერილში, ჩერნიშევსკი იხილავს რა იტალიის პატრიოტების საქმეს, რომელნიც იბრძოდენ იტალის და-

---

ბაში ეძებდა, მაშინ როდესაც რადიკალურ სოციალისტურმა ინტელიგენციამ ჩერნიშევსკის მეთაურობით ამ გლეხთა მოძრაობის გამოყენება და მეთაურობა მოინდომა არსებულ წყობილებას განადგურების ძიზნით. ლიბერალიზმმა თავიდანვე გამოამჟღავნა თავისი უარმოფითი დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი.

[1]) ტ. V გვ. 404—5.

მოუკიდებლობისა და იტალიის ხალხის თავისუფლებისათვის, სწერს: „ჩვენ არ ვამბობთ, ცუდია თუ კარგი საქმე, რომელსაც ხელი მოკიდა ცენტრალური იტალიის მფლავრობამ, მხოლოდ ავღნიშნავთ, რომ მათ არ შეუძლიათ ამ საქმის წარმოება ისე, როგორათაც სიჭიროა, იმიტომ რომ არ ესმით ამ საქმის შინაარსი და ეშინიათ იმ ზომების, რომელსაც ეს საქმე მოითხოვს; მათი საქმე რევოლუციონურია, ისინი კი ფიქრობენ მას მისცენ კანონიერების ხასიათი; პრინციპი, რომლის განხორციელება მათ სურთ — ხალხის უმაღლესი ხელისუფლების პრინციპი — სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეწინააღმდეგება ლეგიტიმობის პრინციპს, მათ კი სურთ მოიპოვონ კონტინენტალური დიპლომატიის დახმარება, რომელიც ეყრდნობა ხელშეკრულების უფლებასა და დინასტიის პრინციპს; ბოლოს, მათი მიზანი არის ხალხის მისწრაფებათა მიზანი, ცხადია უნდა მიღწეული იქნას ხალხის ენტუზიაზმის (წაიკითხეთ: რევოლუციის ს. ხ). საშვალებით, მათ კი სურთ, რომ მასა უმოძრაოდ იყოს. შესაძლებელია, საშუალებები, რომელსაც მოითხოვს ეს საქმე ცუდია, ეს ჩვენ არ ვიცით; მაგრამ ისინი (საშვალებები) თუ ცუდია ამ შემთხვევაში საქმისათვისაც კი არ უნდა მოეკიდათ ხელი. ვისაც არ სურს საშვალება, მან უნდა უარყოს ის საქმეც, რომელიც მოითხოვს ასეთს საშუალებებს. ვისაც არ სურს ხალხის აღელვება, ვისაც ეზიზღება, სცენები, რომელიც განუყრელია ხალხის გრძნობების აღელვებასთან, ის არ უნდა კიდებდეს ხელს ისეთი საქმეების გატარებას, რომელთა დამხმარე ძალას მხოლოდ მასების აღფრთოვანება წარმოადგენს“ (ტ V გვ. 408).

ამ წერილებიდან ნათლად ვხედავთ, რომ ნ. ჩერნიშევსკი არც ისე პესიმისტურად იყო განწყობილი პირველ ხანებშიმასებისმოძრაობისა და რევოლუციისადმი, როგორც ეს ზოგიერთებს ეჩვენებათ. წინააღმდეგ, იგი სავსებით

დარწმუნებული იყო იმაში, რომ არც ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ ექნება ძალა და რეზონი, თუ მასში არ მიიღებს მონაწილეობას ხალხი; იგი ფიქრობდა, რომ ხალხური რევოლუცია ინტელიგენციის ხელმძღვანელობით წარმოებული ერთად ერთი საშვალებაა ცხოვრების განახლებისა და წინმსვლელობისათვის.

მაგრამ ასეთი რევოლუციონური და სოციალისტური აზრების გარკვევით წერა სასტიკ ცენზურის ქვეშ მოქცეულ ჟურნალის ფურცლებზე შეუძლებელი იყო. ჩერნიშევსკი მხოლოდ მიკიბულ-მოკიბულად ახერხებდა ასეთი დებულების გატარებას. მან მიმართა ხერხს და მოხდენილად დაამტკიცა, რომ რუსეთის ოფიციალურ ძალებს არ შეუძლიათ, გარკვეულ მიზეზების გამო, ხალხის სასარგებლო რაიმე რეფორმა გაატარონ. ხალხის სასარგებლო რეფორმა შესაძლებელი არის გატარებული იქნეს სხვა გზითა და სხვა ძალების დახმარებით, — აი რაზე მიუთითებდა ჩერნიშევსკი, და თვით მკითხველი უნდა მიმხვედარიყო თუ რომელ ძალასაც და რომელ გზას გულისხმობდა ნ. ჩერნიშევსკი.

როგორც ავღნიშნეთ ლეგალურ ლიტერატურაში ჩერნიშევსკიმ მიმართა თავის კრიტიკა მთავრობის პროექტებისა და ლიბერალურ თავად-აზნაურულ შეხედულებათა წინააღმდეგ. და უნდა ითქვას, რომ ჩერნიშევსკიმ უდიდესი ცოდნა გამოიჩინა მაშინდელი რეალური სინამდვილისა და მაშინდელი საზოგადოებრივი კლასების ანტაგონისტური დამოკიდებულების, როგორც ეს აღნიშნა ლენინმა [1]). ჩერნიშევსკიმ გამოაშკარავა სრული უნიადაგობა და უსუსურობა რუსეთის ლიბერალებისა და მათი პროგრამის გლეხთა საკითხში. ეს იყო პირველი მნიშვნე-

---

[1]) Ленин: соб. соч: т. I. гл. 178—79.

ლოვანი ბრძოლა რუსეთის ლიტერატურაში, როდესაც ერთი მეორეს გარკვევით დაუპირდაპირდა ლიბერალურ-ბურჟუაზიული აზროვნობა და სოციალისტურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა. 60 იან წლამდე რუსული ლიბერალიზმი და დემოკრატიულ-სოციალისტური მიმდინარეობანი თითქმის შეთანხმებულად მიდიოდა და მათშორის არ იყო მომწიფებული ნიადაგი გადამჭრელი ბრძოლისათვის. 60-იან წლებში, როდესაც დაიწყო რეფორმების პერიოდი და პრაქტიკულად დაისვა რუსეთის ცხოვრების დიდი მნიშვნელობის პრობლემები, მათშორის გამოიაშკარავდა სრული წინააღმდეგობა. და ჩერნიშევსკი იყო პირველი, რომელმაც გადამჭრელი იერიშები მიიტანა რუსეთის ლიბერალურ მიმდინარეობის წინააღმდეგ. ნ. ჩერნიშევსკის ასეთმა ბრძოლამ ლიბერალიზმის წინააღმდეგ კრიზისიც გამოიწვია „სოვრემენიკის" რედაქციაშიც: რუსეთის ლიბერალურმა ინტელიგენციამ და მწერლებმა ჩერნიშევსკიში თავისი მოსისხლე მტერი დაინახეს და გასწყვიტეს კავშირი იმ ორგანოსთან, რომლის სულის ჩამდგმელიც იგი იყო უკვე ერთი ის ფაქტი, რომ ჩერნიშევსკი იყო სოციალისტი და რადიკალური დემოკრატიული მოაზროვანე მტრულ განწყობილებაში აყენებდა მას რუსეთის ლიბერალიზმის მიმართ. მაგრამ ჩერნიშევსკისათვის პირდაპირ მიუღებელი იყო ის უხასიათობა და უუნარობა, რომელსაც იჩენდენ რუსეთის ლიბერალები გლეხთა საკითხებში და თვითმპყრობელობასთან მორიგების საქმეში. ჩერნიშევსკი არაფერს დადებითს არ მოელოდა ლიბერალების მოღვაწეობისაგან და სასტიკი კრიტიკის ქვეშ ატარებდა მათ აზრებს. შემდეგში კი თავის რომანში «Пролог к прологу», ჩერნიშევსკიმ უარყოფითად დაასურათა 60-იანი წლების რუსეთის ლიბერალები [1]).

---

[1]) ტ. X, რომანი: „Пролог к прологу".

1911 წლის ნ. ლენინმა შემდეგნაირად დაახასიათა ის შეტაკება, რომელიც 60-იან წლებში მოხდა ნ. ჩერნიშევსკისა და რუსეთის ლიბერალების შორის.

„60-იანი წლების ლიბერალები და ჩერნიშევსკი არსებითად ორი ისტორიული ტენდენციის, ორი ისტორიული ძალის წარმომადგენელნი არიან, რომელნიც იქედან დაწყებული დღევანდლამდე თავისებურად მარტავენ ახალი რუსეთისათვის ბრძოლის საქმეს... ლიბერალებს სურდათ რუსეთის „განთავისუფლება“ ზევიდან, მეფის მონარქიის დაუმსხვრევად, მემამულეთა, მიწადმფლობელობისა და ხელისუფლების მოუსპობლად, მხოლოდ მოუწოდებდენ მათ დროის შესაფერისს „დათმობისაკენ“; ლიბერალები იყვნენ და დარჩენ ბურჟუაზიის იდეოლოგებათ, რომელთაც არ შეეძლოთ შერიგებოდენ ბატონ-ყმობას, მაგრამ მათ ეშინოდათ რევოლუციის, ეშინოდათ მასის მოძრაობის, რომელსაც მხოლოდ ერთს შეეძლო დაემხო მონარქია და გაენადგურებია მემამულეთა ძალაუფლება. ამიტომ ლიბერალები კმაყოფილდებოდენ „რეფორმისათვის ბრძოლით“, „უფლებისათვის ბრძოლით“ ე. ი. ხელისუფლების გაყოფით მებატონეთა და ბურჟუაზიის შორის. ჩერნიშევსკი იყო სოციალისტი-უტოპისტი, რომელიც ოცნებობდა სოციალიზმში გადასვლას ძველი ნახევრად — ფეოდალური, გლეხური თემის საშუალებით... მაგრამ ჩერნიშევსკი იყო არა მარტო სოციალისტი-უტოპისტი; ის იყო აგრეთვე რევოლუციონერი დემოკრატი, ის გავლენას ახდენდა .მაშინდელი ეპოქის პოლიტიკურ მოვლენებზე რევოლუციონური შინაარსის მიხედვით, ატარებდა რა სასტიკ ცენზურულ პირობებში გლეხური რევოლუციის იდეას, მასების ბრძოლის იდეას ძველი ხელისუფლებათა და სამხობად. 1861 წლის „გლეხთა რეფორმა“, რომელსაც ლიბერალები პირველად აფერადებდენ, ხოლო შემდეგ ადიდებდენ, მან სისაძაგლედ მონათლა, რადგან ის

გარკვეეით ხედავდა მის (რეფორმის) ბატონყმურ შინაარსს, ნათლად ამჩნევდა, რომ გლეხებს სცარცვავდენ... 60 იანი წლების ლიბერალებს ჩერნიშევსკიმ უწოდა „მოლაყბეები“ ტრაბახები და ჩერჩეტები, იმიტომ რომ იგი ნათლად ხედავდა მათ შიშს რეეოლუციის წინაშე, მათ უხასიათობასა და მონურ ხოხვას მემამულეთა ხელისუფლების წინაშე“ [1]).

როგორც აღვნიშნეთ, ჩერნიშევსკის პირველი ხანების ოპტიმისტური შეხედულება გლეხთა განთავისუფლების საქმეში რამოდენიმე წლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა: მისთვის ნათელი გახდა, რომ „ახალი რეფორმა ახალ მონობასა და ახალ ეკონომიურ განადგურებას უქადდა რუსეთის გლეხობას. თავის შესანიშნავ რომანში: «Пролог к прологу» ჩერნიშევსკი ვოლგინის პირით, რომლის სახითაც ჩერნიშევსკი თავის აზრებს გადმოგვცემდა, ამბობს რეფორმის შესახებ: სიმართლე რომ ვსთქვათ, უკეთესი იქნება უმიწოდ განთავისუფლება. საკითხი სდგას ისე, რომ მე ვერ ვნახულობს აღელვების მიზეზს იმისათვისაც კი, იქნებიან თუ არა გლეხები განთავისუფლებულნი; კიდეე ნაკლებად — იმისთვის, თუ ვინ გაანთავისუფლებს მათ: ლიბერალები თუ მემამულეები. ჩემი შეხედულებით სულ ერთია. მემამულეები—შეიძლება უკეთესი იქნეს“.

ამრიგად ჩერნიშევსკი ვერ ხედავს და არც უნდა დაინახოს განსხვავება იმაში, თუ როგორ განათავისუფლებენ გლეხობას—მემამულეთა პარტიის პროგრამის მიხედვით—უმიწოდ, თუ ლიბერალების მიხედვით—მიწის გამოყიდვით. უფრო მეტი, ჩერნიშევსკი არც იმაში ხედავს უბედურებას, რომ გლეხები არ იქნენ განთავისუფლებულნი. რაში არის საქმე? ჩერნიშევსკის პოლიტიკა აქ სხვა მო-

---

[1]) Ленин: сб. соч. т. XI, 2 გვ. 262—3.

მენტისაკენ არის მიმართული: იგი მოელის უახლოეს დროში-გლეხთა აჯანყებას რუსეთში, მისი აზრით ასეთი რთული საკითხის გადაწყვეტა მშვიდობიანი ლეგალური გზით შეუძლებელი არის და რაც უფრო ცუდ მდგომარეობაში იქნება ჩაყენებული გლეხები, მით უფრო მოიგებს რევოლუციის საქმე; მაშინ მასების უკმაყოფილება დიდი იქნება, მოძრაობა მიიღებ გრანდიოზულ ხასიათს და გლეხთა აბობქრებული რევოლუციონური მოძრაობით დაეცემა არსებული სისტემა და შემდეგ სულ სხვა გვარი საზოგადოებრივი ურთიერთობა შეიქნება რუსეთში. ასე ფიქრობდა ჩერნიშევსკი. სრულიად სისწორით გადმოგვცემს ნ ი კ ო ლ ა ე ვ ი, რომელმაც რამდენიმე წელი ჩერნიშევსკისთან ერთად გაატარა კატორღაში, ჩერნიშევსკის პოლიტიკურ ხაზს, რომელიც მას გაგონილი ჰქონდა პირადად თვით ჩერნიშევსკისაგან თავის მოგონებაში იგი სწერს: „60-იან წლებში ჩერნიშევსკი ფიქრობდა, რომ კატასტროფა უახლოეს დროში შეუძლებელია, მაგრამ მოვალეობა მოაზროვნე და პირდაპირი ადამიანისა ის არის, რომ მიისწრაფოდეს მისკენ (კატასტროფისაკენ) და გააკეთოს ყოველივე მის მოსაახლოებელად. ნაკლები ფრაზები და თეორიები, მეტი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა“ [1]).

ჩერნიშევსკის ეს მოქმედების თეორია რევოლუციონურ მოძრაობაში გამოიხატებოდა, რომელსაც უნდა მოესპო ძველი სახელმწიფოებრივი წყობილება და ძალაუფლება გადაეცა რევოლუციონური პარტიისათვის. რასაკვირველია, გარკვეული ენით ასეთი საკითხების შესახებ მას ლეგალურ პრესაში არ შეეძლო წერა, სამაგიეროთ თავისი რევოლუციონური გეგმების შესახებ ნ. ჩერნიშევსკიმ გარკვევით გამოსთქვა თავისი აზრი ორ ისტორიულ

---

[1]) Николаев: „Личные воспоминания о пребываний Н. Г. Чернышевского в каторге—1867—72 г. г.“ 1906 წ.

დოკუმენტში: ერთი მათგანია 1860 წელში გერცენისადმი გაგზავნილი წერილი, რომელიც მოთავსებულია „კოლოკოლის" იმავე წლის პირველი მარტის 64 ნომერში „Русский человек"... ის ხელმოწერით, ხოლო მეორე მისი შესანიშნავი პროკლამაცია: «Барским крестьянам». პირველი დოკუმენტი რომ ნ. გ. ჩერნიშევსკის კალამს ეკუთვნის ეს დამაჯერებლად დაამტკიცა მ. ლემკემ თავის სხვადასხვა ნარკვევებში 60-იანი წლების მოძრაობის შესახებ გარდა ამისა ა. ლეპეშოვი, ცნობილი წევრი ფარული საზოგადოებისა („მიწა და თავისუფლება") კატეგორიულად ამტკიცებს თავის მოგონებებში: „დაწერილი არის (აღნიშნული წერილი) ნ. გ. ჩერნიშევსკის მიერ და სანამ გაუგზავნიდა გერცენს მე წამაკითხა" [1]). ამ წერილში ჩერნიშევსკი ილაშქრებს რა გერცენის ლიბერალურ—შემთანხმებელ პოლიტიკის წინააღმდეგ, სწერს:

„... ნიკოლოზის მეფობის უკანასკნელ ხანებში საზოგადოებრივი წრეები, რომელთაც გულწრფელად და ღრმად უყვართ რუსეთი, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მხოლოდ ძალით შეიძლება ადამიანური უფლებების გამოგლეჯა მეფის ხელისუფლებისაგან ხალხისათვის, რომ მხოლოდ ის უფლებებია მტკიცე, რომელიც ძალით არის მოპოებული და რომ ის რასაც იძლევიან ზევიდან მას ადვილათვე წაართმევენ... ალექსანდრე მეორეს გამეფებით თითქოს არტახები მოუშვეს. ყველანი თავ-სუფლებაზე ლაპარაკობდა და დაივიწყეს, რომ გლეხთა განთავისუფლების საქმე მემამულეებს ჰქონდათ მინდობილი". შემდეგ აღნიშნავს რა, რომ „რეფორმებს" არ შეუძლია რაიმე სარგებლობა მოუტანოს რუსეთის ხალხს და რომ ლიბერალების პოლიტიკა სრულიად არ შეესაბამება ხალხის ინტერესებს, ჩერნიშევსკი განა-

---

[1]) М. Лемке: „Политические процессы в России в 60-х годах" ვვ. 167, 1925 წ.

გრძობს: „გლეხები და ლიბერალები სხვადასხვა გზით მიდიან. გლეხებმ, რომელთაც მემამულენი ამჟამად განსაკუთრებული სიბორიტით ჩაგრავენ, მზად არიან მიმართონ ნაჯახს, ხოლო ლიბერალები ამ დროს ქადაგობენ ზომიერებას, ისტორიულ თანდათანობით პროგრესს, და ვინ მოსთვლის კიდევ რას. რა გამოვა აქედან? შეიძლება გამოვიდეს აქედან — იმ შემთხვევაში, თუ ხალხი ხელმძღვანელობის გარეშე ხელს მოკიდებს ნაჯახს - გაუგებრობა, რომლის დროსაც მეფე, როგორც მღვრიე წყალში, დაიჭერს თევზებს, შეიძლება რაიმე კარგიც გამოვიდეს, მაგრამ საბაკევიჩებთან და ნოზდროვებთან ერთად დაიღუპება ჩვენი ყოველგვარი ლიბერალური თაობა, რომელმაც ვერ შესძლო ხალხის მოძრაობასთან დაახლოება და მისი ხელმძღვანელობა. თუ პირველი მოხდა ეს უბედურება იქნება, თუ მეორე—სანაღვლებელი არაფერი არა გვაქს. რად უნდა ვინაღვლოთ ფრანტები ყვითელ ხელთათმანებში, რომელნიც მსჯელობენ „დემოკრასიაზე“ (დაცინვით ხმარობს ტ მაგიერ ს) ამერიკაში და არ ესმით, თუ რა ღნდა გააკეთონ შინ; რად უნდა ვინაღვლოთ ეს ფრანტები, რომელნიც ზიზღით არიან გამსჭვალულნი ხალხისადმი, დარწმუნებულნი, რომ რუსეთის ხალხისაგან არაფერი გამოვა. ჩვენი მდგომარეობა აუტანელია, პირდაპირ გამოუვალია, და მხოლოდ ნაჯახს შეუძლია ჩვენი ხსნა და გარდა ნაჯახისა ვერაფერი ვერ გვიშველის. ეს აზრი თქვენ, ვგონებ, უკვე გაგაცვნეს [1]), და იგი აუცილებლად სწორი არის. სხვა გამოსავალი არ არის. თქვენ (გერცენმა) რაც შეგეძლოთ გააკეთეთ იმისათვის რომ ხელი შეგეწყოთ საქმის მშვიდობიანი დაბოლოებისა-

---

[1]) ჩერნიშევსკის ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა ქონდეს ის ააუბარი, რომელიც სწარმოებდა ლონდონში 1859 წ. მასა და გერცენს შორის.

თვის; შეიცვლეთ ახლა ტონი, და თქვენმა „კოლოკოლ-
მა“ მრუწოდოს არა ლოცვისაკენ, არამედ საყვირისაკენ:
ნაჯახისაკენ მოუწოდეთ რუსეთს“.

ჩერნიშევსკიმ ძალიან კარგად იცოდა, რომ ნაჯახის
ალმართვა და აჯანყების მოწყობა მასის დაუხმარებლად
და მასის გარეშე აუცილებლად დამარცხდებოდა. ამ შემ-
თხვევაში მისი რევოლუციონური ტაქტიკა საგრძნობლად
განსხვავდებოდა ბლანკის ტაქტიკისაგან: ბლანკი შეთქმუ-
ლების თეორიის მომხრე იყო, ხელოვნურ რევოლუციონურ
ტაქტიკას ემყარებოდა, რომელსაც მოახდენდა შეთქმულთა
ჯგუფი ხალხის დაუხმარებლად; ბლანკის აზრით, მხო-
ლოდ რევოლუციონერების მიერ პოლიტიკური ძალაუფ-
ლების დაპყრობის შემდეგ მიიღებდა ხალხი მონაწილე-
ობას ახალ ცხოვრების მშენებლობის საქმეში. სხვა ხა-
ზით მიემართებოდა ჩერნიშევსკის პოლიტიკა: იგი ფიქ-
რობდა, რომ ხალხური მოძრაობის გარეშე და მის და-
უხმარებლად რევოლუციონური ინტელიგენცია ვერ მიაღ-
წევს თავის მიზანს და დამარცხდება. „ყოველივე დედა-
მიწაზე—სწერს ჩერნიშევსკი, თავისი განხორციელებისა-
თვის თხოულობს ძალას; ცუდიც და კარგიც ერთნაირად
უმნიშვნელოა, თუ მათ ძალა არ აქვთ... ძლიერია საზო-
გადოებაში ის, ვისაც მხარს უჭერს უმრავლესობა“. და ამ
უმრავლესობის ძალისა და თანაგრძნობის მოსაპოებელად
ჩერნიშევსკიმ თავის სამოღვაწეო მიზნად დაისახა რე-
ოლუციონურ აგიტაციისა და პროპაგანდის წარმოება
დაჩაგრულ მასებში, ერთი მხრივ, და რევოლუციონური
ორგანიზაციის მოწყობა — მეორე მხრივ. ამ ტაქტიკის
ნაყოფი იყო 60-ან წლების რევოლუციონური პროკლა-
მაციები და მათს შორის, ჩერნიშევსკის შესანიშნავი მი-
მართვა საბატონო-გლეხებისადმი, ხოლო, მეორეს

მხრივ, მთელი რიგი[1]. ინტელიგენციის ამ რევოლუციონურ-პროპაგანდისტურ მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს დასახელებული ა. სლეპცოვი. თავის მოგონებებში იგი სწერს:

„უნდა ვსთქვათ სიმართლე, რომ გეგმა ძლიერ მოხდენილად იყო შედგენილი; მიღებული იყო მხედველობაში რაც შეიძლება უახლოეს დროში თანდათანი მიმართვა, ყველა იმ ჯგუფებისადმი, რომლებზედაც თავისი გავლენა უნდა მოეხდინა ხალხის მოტყუილება'ს 19 თებერვლის რეფორმით: გლეხები, ჯარისკაცები, რასკოლნიკოვები (ამ უკანასკნელზე მაშინ საერთოდ დიდსა და, რასაკვირველია, მეტად შემცდარ რევოლუციონურ იმედებს ამყარებდენ)—სამი დაჩაგრული ჯგუფი იყო. მეოთხე იყო — ახალგაზრდობა, მათი მეგობარი, დამხმარე, ალმაფრთო-

---

[1]) როდესაც ჩვენ ვიმბობთ ჩერნიშევსკის მონაწილეობის შესახებ 60-იანი წლების რევოლუციონურ ორგანიზაციებში, სახეში გვაქვს უმთავრესად მისი იდეური გავლენა ამ ორგანიზაციებზე სამწუხაროთ, მკვლევართ ჯერ ვერ გამოურკვეიათ დანამდვილებით, თუ რომელ ორგანიზაციაში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას ჩერნიშევსკი. ცნობილია, რომ 60-იან წლების დასაწყისში სამი იმ პერიოდის თვის დიდი ორგანიზაცია წარმოიშვა რუსეთში. თუ 60 იანი წლების ორგანიზაციებ'ია სოციალ-პოლიტიკურ პროგრამასა და ტაქტიკურ ხაზს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ მათში სამი მთავარი მიმდინარეობა არსებობდა: 1. Великорусс" ის ორგანიზაცია, რომელიც თავის პროგრამაში მოითხოვდა კონსტიტუციონალური წყობილების შემოღებას, მიწების გადაცემას გლეხებზე და უმთავრესად „განათლებულ კლასს" მოუწოდებდა საქმის ხელში აღებისაკენ. მისი სამოქმედო ტაქტიკა უმთავრესად მშვიდობიან მეთოდში გამოიხატებოდა. 2. „Земля и Воля" — რევოლუციონური პროპაგანდის მეთოდს აყენებდა; მისი აზრით ხალხის განთავისუფლება თვით ხალხის საქმეა, ინტელიგენცია მხოლოდ ორგანიზაციულად და იდეურად უნდა ეხმარებოდეს ხალხურ მასას, ამზადებდეს მათ რევოლუციისათვის. ამ ორგანიზაციის პროგრამა მოითხოვდა: გლეხების სრულ განთავისუფლებას, ხალხის უფლებას მიწაზე, ხალხის თვითმართველო-

ვანებელი და მასწავლებელი. ამისდა მიხედვით როლები შეძლებისდაგვარად იყო განაწილებული: ჩერნიშევსკის, როგორც გლეხთა საკითხის მცოდნეს, რომელიც მას მართლაც ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი უნდა დაეწერა პროკლამაცია გლეხებისადმი; შელგუნოვმა და ნიკოლოზ ობრუჩევმა აიღეს თავიანთ თავზე ჯარის-კაცებისადმი მიმართვის დაწერა; რაზკოლნიკებისადმი მიმართვის დაწერა მიანდეს სჩაპოვს, შემდეგ-კი, არ მახსოვს რა მოსაზრების გამო, ისიც ნიკოლოზ გაბრიელისძეს (ჩერნიშევსკის) გადასცეს; ახალთაობა აიღეს შელგუნოვმა და მიხაილოვმა. ამ გეგმაზე და მისი სისრულეში მოყვანის შესახებ მე გადმომცა 1861 წლის დასაწყისში თვით ჩერნიშევსკიმ[1])".

დიდიხნის განმავლობაში მკვლევართათვის არ იყო ნათელი, თუ ვის ეკუთვნოდა პროკლამაცია: «Барским

ბას, თავისუფალ თემებისა და ოლქების თავისუფალ კავშირს. ამ მიმდინარეობის წარმომადგენელნი „Великоруес"-ის ორგანიზაციას უსაყვედურებდენ, რომ ისინი „საზოგადოებას" მიმართავენ და არა თვით ხალხს; მათი აზრით საჭიროა ხალხზე დაყრდნობა და ხალხის საშვალებით ბრძოლა. „საზოგადოება" ხალხისათვის არ გაუმართავს ბრძოლას მთავრობას. 3. „Молодая Россия" — ეს იყო იაკობინურ-ბლანკისტური ორგანიზაცია, რომელიც „სისხლიანი და შეუბრალებელი რევოლუციით" ცდილობდა თავისი მიზნების მიღწევას. ამ ორგანიზაციის წარმომადგენელნი ეშიჯნებოდენ, როგორც ოპორტუნისტულ — რეფორმისტულ მიმდინარეობას, ისე რევოლუციონური პროპაგანდის მომხრეებს და საკითხს წმინდა იაკობინურ-ბლანკისტურად სვამდენ: მომზადება და ორგანიზაცია რევოლუციის დაპყრობა პოლიტიკური აპარატის, რევოლუციონური პარტიის დიქტატურის დაწესება, ტეროორით განადგურება ფეოდალური—ექსპლოატატორულ წრეებისა. უდაოა, რომ ეს ორგანიზაციები ჩერნიშევსკის აზროვნების დიდ გავლენას განიცდიდენ. ისიც ცნობილია, რომ „ველიკორუსში" იგი არ ღებულობდა მონაწილეობას, ხოლო როგორი იყო მისი დამოკიდებულება ორ დანარჩენ ორგანიზაციასთან დღეს ამის გადაჭრით თქმა ძნელია. (იხ. ი. სტეკლოვი — ტ. II, გვ. 211—325).

[1]) იქვე გვ. 318.

крестьянам». სლეპცოვის და შელგუნოვის მოგონებებმა*) საკითხს სრული სინათლე მოფინეს: დღეს ყველასათვის ნათელია, რომ ამ შესანიშნავი რევოლუციონური პროკლამაციის ავტორი ნ. გ. ჩერნიშევსკი იყო. ჩერნიშევსკი იმდენად მოხდენილად აწარმოებდა კონსპერატიულ მუშაობას, რომ თვით ალექსანდრე მეორეს აგენტებმაც ვერ მოახერხეს დამამტკიცებელი საბუთის პოვნა. მათ დანამდვილებით იცოდენ რომ ნ. გ. ჩერნიშევსკი ბონაწილე იყო რევოლუციონური ორგანიზაციის და დამწერი რევოლუციონური სააგიტაციო პროკლამაციის, — ამ მხრივ მათ საკმაო ცნობები მიაწოდა რენეგატმა და მოღალატე ვ. კოსტომაროვმა; — მაგრამ არც კოსტომაროვსა და, მაშასადმე, არც ჟანდარმთა სამართველოს არ ჰქონდათ შესაფერისი საბუთი ხელთ, მაგრამ რა საჭირო იყო საბუთი, როდესაც სამმართველო და მთავრობა დარწმუნებული იყო ჩერნიშევსკის ავტორობასა და დანაშაულში;

---

*) შელგუნოვი თავის მოგონებებში სწერს: „1861 წელს მე დავსწერე პროკლამაცია: „К солдатам", ხოლო ჩერნიშევსკიმ დასწერა პროკლამაცია: „К народу" და გადავეცი ისინი დასაბეჭდათ კოსტომაროვს. საერთოდ, ჩვენ ძალიან ცოტას ვლაპარაკობდით, მით უფრო პროკლამაციების შესახებ. მე გადავსწერე პროკლამაცია შეცვლილი ხელით და რადგან ყოველგვარ მოლაპარაკებას აწარმოებდა მიხაილოვი, ამიტომ მე გადავეცი პროკლამაცია მას, ხოლო მიხაილოვმა იგი გადასცა კოსტომაროვს, კოსტომაროვმა იცოდა რომ იგი (პროკლამაცია) ჩემ მიერ იყო დაწერილი" (იხ. Н. Шелгунов: „Воспоминания" 1923 წ.).

მოგონებაში აღნიშნული ვ. კოსტომაროვი იყო პირველ ხანებში რევოლუციონურად განწყობილი ახალგაზრდა სტუდენტი, რომელმაც შემდეგში გასცა მთელი რიგი რევოლუციონერებისა. მისი დახმარებით ჟანდარმის სამმართველომ შეთხზა ჩერნიშევსკის საწინააღმდეგო ყალბი საბუთები, რის მისედვითაც ჩერნიშევსკი გაგზავნილი იქნა კატორღაში. ამ ჯალათობით კოსტომაროვმა საკმაო თანხა მიიღო ჟანდარმებისაგან. იგი გარდაიცვალა 1865 წ.

მაგრამ რას წარმოადგენს პროკლამაცია და როგორია მისი შინაარსი.

ეს შესანიშნავი პროკლამაცია დაწერილია წმინდა ხალხური ენით. პირველ ნაწილში ავტორი უხსნის გლეხობას „რეფორმის“ უარყოფით მხარეებს და აღნიშნავს, რომ მეფემ მოატყუილა გლეხობა: არა თავისუფლება, არამედ მემამულეთა მუდმივი მონობა მოუტანა მეფის მანიფესტმა გლეხობას, ისეთი მონობა, რომელიც ბევრად უფრო ცუდია დღევანდელზე; ეს ასე იყო და ასე იქნება მანამ, სანამ მგლები, ე. ი. მემამულენი და მოხელეები დარჩებიან. თვით მეფე მსხვილი მემამულეა, მასაც ყავს უამრავი ყმები; გლეხები მემამულეთა ყმები არიან, მემამულენი მეფის მსახურნი არიან; მეფე მათი მემამულეა, მაშასადამე, ისინი ერთი და იგივენი არიან; ნათქვამია: ძაღლი ძაღლის ხორცს არ შესჭამსო და მეფესაც მებატონეთა მხარე უჭირავს და გლეხებს ატყუილებს, ახალ მონობას ქმნის. საჭიროა ხალხი იყოს მმართველი: „ხალხი იყოს ყოველივეს მეთაური, რომ უფროსები ხალხს ემორჩილებოდენ, რომ სასამართლო იყოს სამართლიანი და თანასწორი ყველასათვის“... მაგრამ ასეთი წყობილების დასამყარებლად საჭიროა გლეხთა შეთანხმება და რევოლუციონური გამოსვლა; და პრაკლამაციაც აქითკენ მოუწოდებს გლეხობას. მოგვყავს უკანასკნელი ნაწილი მცირედი შემოკლებით:

„გლეხებმა ერთმანეთში შეთანხმება უნდა დაამყარონ, რომ ერთად გამოვიდენ, როდესაც დრო დადგება. სანამ დრო არ დამდგარა (აჯანყების ს. ხ.) უნდა ძალა შეინახოთ, უბრალოთ თავი უბედურებაში არ ჩაიგდოთ. მაშასადამე, მშვიდობიანობა დაიცავით და გარეგნულად არაფერი არ აჩვენოთ. თქმულება ამბობს, რომ ერთი კაცი მეომარი არ არისო. რა აზრი ექნება, რომ ერთ სოფელში არეულობა მოახდინოთ, როდესაც სხვა სოფლებში

ჯერ კიდევ არ არიან მზად? ეს ნიშნავს მხოლოდ საქმის გაფუჭებასა და თავისი თავის დაღუპვას. როდესაც ყველგან მზად იქნებიან და ყველგან დახმარება იქნება, მაშინ უნდა დაიწყო საქმე. ამ დრომდე კი ხელს თავისუფლება არ უნდა მისცეთ, მშვიდობიანი სახე მიიღეთ, თვით თქვენი ძმა-გლეხებს შორის იმსჯელეთ და მოამზადეთ, რომ თავისი ნამდვილი სახით იცოდენ საქმის ვითარება. როდესაც თქვენს შორის თანხმობა დამყარდება, იმ დროისთვის მოწოდებაც გამოვა, რომ დრო არის ყველამ ძმურად დაიწყოთ. ჩვენ (ე. ი. რევოლუციონური ინტელიგენცია. ს. ხ.) გამოვარკვევთ როდის უნდა დავიწყოთ საქმე და მოწოდებასაც გამოვცემთ. ჩვენ ყოველ ადგილზე გვყავს ჩვენი წარმომადგენელნი, ყოველის მხრიდან ჩვენ ცნობები მოგვდის: როგორ არის ხალხი და რა უნდა ხალხს, და ჩვენ ვიცით, რომ ჯერ-კიდევ არ არის ხალხი მომზადებული. როდესაც მომზადებული იქნება, ჩვენ ამასაც გავიგებთ. მაშინ ჩვენ გამოვგზავნით მოწოდებას, რომ დრო არის, რუსეთის ხალხო კეთილი საქმე დაიწყოთ; რომ ყოველ ადგილებში ერთ და იმავე დროს დაიწყება კეთილი საქმე (ე. ი. აჯანყება ს. ხ.), იმიტომ რომ მაშინ ყველგან იქნება ხალხი მომზადებული და განმტკიცებული მათში ერთსულოვნება და ერთი სოფელი მეორეს არ ჩამორჩება, მაშინ ადვილიც იქნება თავისუფლების მოპოება. ამ დრომდე კი ემზადეთ საქმისათვის, გარეგნულად კი არ უნდა გამოამჟღავნოთ, რომ საქმისათვის (აჯანყებისათვის ს. ხ.) ემზადებით. ეს ჩვენი წერილიც ერთად წაიკითხეთ და სხვებსაც გადაეცით. გარდა თქვენი ძმა-გლეხისა და ჯარისკაცისა ყველას დაუშალეთ, იმიტომ რომ მხოლოდ გლეხისა და ჯარისკაცისათვის არის დაწერილი და არა რომელიმე სხვი-

სათვის. მაშასადამე, თქვენს - გლეხობისა და ჯარისკაცთა გარდა იგი არავინ არ უნდა იცოდეს" [1]).

მოწოდებაში აგრეთვე შემდეგი ადგილი ყოფილა, რომელიც ხელთნაწერში ამოშლილია, — ვის მიერ—გაურკვეველია. აქ სწერია:

„და აი კიდევ ძმებო რა უნდა სიხოვოთ ჯარის კაცებს, რომ გასწავლონ თქვენ, სამხედრო საქმეებში როგორ ჩნდა დაიცვათ წესრიგი. თქვენ დიდი ვარჯიშობა არ დაგჭირდებათ იმისათვის, რომ ჯარისკაცებივით ფეხშეწყობილად იაროთ და მუხლები დაჭიმოთ, — უიმისოთაც შესძლებთ საქმის გაკეთებას; ხოლო თქვენ უნდა ისწავლოთ ისე რომ მხარი მხარს მისცეთ მჭიდროთ და ბრძანებას უსმინოთ, უბრალო ხმების არ შეგეშინოთ, ვაჟკაცურად იყენეთ ყოველივე საქმეში და გონიერული სიმშვიდე იქონიოთ. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ როდესაც წინ მიიწევთ, მჭიდროთა ხართ და ბრძანებას ემორჩილებით, მაშინ ნაკლები უბედურება მოგელით; მხოლოდ მაშინ არის საფრთხე დიდი, როდესაც შეკრთები, დამალვას ან უკან გამოქცევას დაიწყებ — მაშინ აუცილებლად ცუდათ წავა საქმე. სანამ წინ მიდიხართ, მანამ ზარბაზანი ვერაფერს დაგაკლებთ: ასში ერთი შეიძლება ადამიანს მოხვდეს, აქ ხმა დიდია, ხოლო ზარალი კი ცოტა. გარდა ამისა იარაღი მოიმარაგეთ, ვისაც შეგიძლიათ და როგორი იარაღიც შეგიძლიათ" [2]).

ასეთი არის ამ პირველი შესანიშნავი გლეხური პროკლამაციის შინაარსი. ამ პროკლამაციაში ასაღნიშნავია შედეგი მომენტები: ა) მეტის მეტად ღრმა და სწორი

---

[1]) ლემკეს წიგნი გვ. 320 — 29; Раскольников: „Прокламации 60-х годов" გვ. 75 — 77 და შემდეგი. К. Беркова: „Н. Г. Чернышевский" გვ. 247—55.

[2]) Ю. Стеклов: Н. Г. Чернышевский. ტ. II გვ. 292.

კრიტიკა 19 თებერვლის „რეფორმისა“, ბ) მოწოდება გლეხებისადმი შეთანხმებისა და შეერთებული აჯანყებისაკენ; ჩერნიშევსკი უარყოფს ბუნტს, შეუთანხმებელსა და ანარქიულ გამოსვლას; ეს მას დამღუპველად მიაჩნია; მას უნდა, რომ გლეხურმა რევოლუციამ ერთ და იმავე დროს იფეთქოს მთელს რუსეთში, რევოლუციამ მიიღოს ორგანიზაციული და იმავე დროს უაღრესად ხალხური ხასიათი; გ) მაგრამ ჩერნიშევსკის ხალხური რევოლუციის ორგანიზატორად და მეთაურად ინტელიგენცია მიაჩნდა; მისი აზრით გლეხური რევოლუცია დამარცხდებოდა რუსეთში, თუ მის ხელმძღვანელობას და მეთაურობას არ იკისრებდა რევოლუციონური ინტელიგენცია. ჩერნიშევსკის აზრით ხალხი გაუნათლებელი და მოუმზადებელია; მასში შეგნება და ორგანიზაცია შეუძლია შეიტანოს მხოლოდ ინტელიგენციას. გლეხური რევოლუცია ინტელიგენციის ხელმძღვანელობით — ასეთი იყო ჩერნიშევსკის ტაქტიკურ-პოლიტიკური ხაზი რუსეთის მაშინდელი სინამდვილისათვის, დ) მაგრამ ნ. ჩერნიშევსკი გარკვევით აყენებს პოლიტიკურ მომენტებს. მისი აზრით, რევოლუციონურმა პარტიამ გლეხური რევოლუციის საშეალებით უნდა დაამთხოს თვითმპყრობელობის რეჟიმი და დაამყაროს რევოლუციონური დიქტატურა, რომელიც აღმოფხვრავს რა ფეოდალურ-კაპიტალისტურ წყობილებას შეუდგება თანდათან სოციალისტური პროგრამის განხორციელებას. პროკლამაციის მთავარი ხაზი პოლიტიკური მომენტისაკენ არის მიმართული. პოკროვსკი სამარლიანად სწერს: „ჩერნიშევსკი პირველად შეეცადა გადაესროლა გლეხურ მასაში ეს ორი შედუღებული ლოზუნგი: „ძირს მეფე, მთელი მიწა გლეხობას“. პროკლამაცია მასამდე ვერ მივიდა... მაგრამ ჩერნიშევსკის შერჩა უდიდესი სახელი იმ ადამიანისა, რომელიც პირველად რუსეთში შეეცადა გლეხთა რევოლუცია გამოეწვია არა ტრადიციულ იდეოლოგიაზე აგებულ მოტ-

ყუილებითა და თამაშით... არამედ... რევოლუციონური მიზნებისათვის გამოიყენა ნამდვილი რევოლუციონური საშვალებანი. არა მისი პირადი, არამედ მთელი მაშინდელი ეპოქის, რუსეთის საზოგადოებრივი ურთიერთობის განუვითარებლობის ბრალი იყო, რომ 1861 წ. ცდის მეტი არაფერი გამოვიდა" [1]).

უნდა ითქვას, რომ არალეგალურ პროკლამაციაში გამოთქმულ აზრებისა და რევოლუციონურ — ტაქტიკურ შეხედულებების დაცვას ჩერნიშევსკი ახერხებდა — რასაკვირველია „ეზოპის ენით" — ლეგალურ პრესაშიაც და მართალი იყვნენ მე-III-ე განყოფილების მოყიდული „მიმომხილველნი", რომელნიც ამტკიცებდნენ რომ ჩერნიშევსკის ნაწერებსა და აღნიშნულ პროკლამაციის აზრებს შორის სრული თანხმობაა. «Записка о литературной деятельности Чернышевского»-ს — ავტორი (ლემკეს აზრით — ილია არსენიევი, სტეკლოვის — პროფ. კოსტროვსკი) პირდაპირ სწერს თავის საიდუმლო გამოკლევებში მთავრობის საყურადღებოთ:

„ახალი წყობილების განსახორციელებლად ძალდატანებითი საშვალებები რომელიც წამოყენებულია გადაჭრით პროკლამაციებში ისეთივეა, რომელზედაც ნ. ჩერნიშევსკის, ცენზურული პირობებით შეზღუდულს, თავის ლიტერატურულ ნაწერებში ასე თუ ისე ნათლად მხოლოდ მითითება (намекать) შეეძლო. ერთი სიტყვით, პროკლამაციები არსებითად ჩერნიშევსკის წერილების დასკვნა არის, ხოლო მისი წერილები — პროკლამაციების ვრცელი კომენტარიები". ასეთივე დასკვნამდე მივიდა მეორე წერილის («Разбор литературной деятельности Чернышевского») ავტორი პროვოკატორი ვ. კოსტამაროვიც [2]).

---

[1]) М. Покровский: Николай Гав. Чернышевский გაზ. „Правда" № 170, 1928 წ.

[2]) ორივე ზემოდ დასახელებული „პოლიციურ-ლიტერატურული დოკუმენტი მთლიანად მოყვანილი აქვს ლემკეს წიგნში, გვ. 377—438.

მისი აზრით, პროკლამაციასა და ჩერნიშევსკის სოციალ-პოლიტიკურ აზრებს შორის სრული მსგავსებაა: ჩერვიშევსკი უარყოფდა ბუნტს და მოითხოვდა, საერთო სახალხო რევოლუციის განვითარებას; ჩერნიშევსკი პროვოკატორ კოსტამაროვის სიტყვით, ხალხურ რევოლუციაში ხედავდა ერთად-ერთ გამოსავალ საშვალებას არსებულ წყობილებიდან.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ პოლიციურ-პუბლიცისტებისა და პროფესორებისათვისაც კი ნათელი იყო, რომ ჩერნიშევსკი ლეგალურ ლიტერატურაში, ისე, როგორც არალეგალურს პროკლამაციებსა და წერილებში — რევოლუციონურ იდეებსა და გლეხთა აჯანყების აზრებს ატარებდა.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ როგორც პროკლამაციაში, ისე სხვა ნაწერებშიაც ჩერნიშევსკი მომხრე იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის დაწესების[1]. ასეთი შეხედულება შემცდარია. ჩვენ არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში ორი მოვლენა: თუ რა მოყვებოდა შედეგად ობიექტურ გარემოების გამო, რომ ჩერნიშევსკის გეგმები განხორციელებულიყო გლეხთა რევოლუციის შესახებ, და, მეორე მხრივ, როგორი იყო თვით ჩერნიშევსკის სოციალ-პოლიტიკური პროგრამა იმ პერიოდში. ამ მხრივ მისი პროგრამა უფრო ფართო იყო, ვინემ დემოკრატიულ-ბურჟუაზიული რესპუბლიკა: ჩერნიშევსკის გაგებით რუსეთის გლეხური რევოლუცია იქნებოდა გარდამავალი საფეხური სოციალისტური წყობილებისაკენ.

მეორე მხრივ, ჩერნიშევსკის პოლიტიკა მარტო რუსეთის ფარგლებით არ განისაზღვრებოდა. დასავლეთ ევროპის უახლოესი ისტორიისა და რევოლუციონური მოძრაობის შესწავლამ ჩერნიშევსკის შეაგნებია კლასთა ბრძო-

---

[1]) Ив. Флоров: Н. Г. Чернышевский, вз. 97, 1928 г.

ლის მნიშვნელობა და პროლეტარიატის რევოლუციონური მისწრაფებანი. ჩერნიშევსკიმ ნათლად შეიგნო, რომ ევროპის რევოლუციონურმა მოძრაობებმა ვერ გადასწყვიტეს სოციალური, საკითხი, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობის გამტკიცებამ ევროპაში უფრო გაამწვავა კლასიური ურთიერთობა და მოამზადა ნიადაგი ახალ რევოლუციისათვის. ამ რევოლუციის მებრძოლი კლასსი იქნება პროლეტარიატი სოციალისტური ინტელიგენციის ხელმძღვანელობით. ჩერნიშევსკის აზრით, ევროპის უახლოესი რევოლუცია მიიღებს აშკარა სოციალისტურ ხასიათს, რადგან ევროპის ეკონომიურ — კულტურულმა განვითარებამ და ისტორიულმა წინმსვლელობამ უკვე მოამზადა ამისათვის ნიადაგი ევროპაში. ამრიგად, ევროპა თავისი კულტურულ-ტექნიკური დაწინაურებით, ეკონომიური ძალებითა და რევოლუციონურ სოციალისტური მთავრობის საშვალებით დაეხმარება რევოლუციონურ რუსეთს გადაიყვანოს იგი სოციალისტური განვითარების ლიანდაგზე [1]); ხოლო რუსეთის ამ სოციალისტური გარდაქმნის საქმეში უდიდეს როლს ითამაშებს სხვა ფაქტებთან ერთად რუსეთში არსებული თემური წყობილება: ჩერნიშევსკის აზრით ევროპის მომავალი სოციალისტური მართველობა ხელს შეუწყობს მიწის თემური წყობილებიდან კაპიტალიზმის გვერდის აელით, რუსეთი პირდაპირ გადაიყვანოს თავისი განვითარების უმაღლეს ფაზაზე [2]). ამრიგად, ევროპის რევო-

---

[1]) ახლად გამოქვეყნებულ ხელთნაწერში (1861 წ) გაკვრით მიუთითებს ამ მომენტზე. იგი სწერს: „Время это настанет, но не завтра и не послезавтра. Тогда, – ну тогда другое дело: опытность и цивилизация запада действительно будет получено нами в наследство; тогда мы станем также способны вести историческое дело вперед (იხ. სარატოვის კრებული გვ. 71).

[2]) თავის შესანიშნავ წერილში: „Критика философских предубеждений против общинного владения" – ჩერნიშევსკი იყე-

ლუციის მამოძრავებელ ძალად ჩერნიშევსკის მიაჩნდა მუშათა კლასი სოციალისტური ინტელიგენციის ხელმძღვანელობით, ხოლო რუსეთის რევოლუციის—გლეხობა იმავე რევოლუციონური ინტელიგენციის მეთაურობით; ჩერნიშევსკის შეხედულებით, როდესაც ეს ორი რევოლუცია — ევროპის — პროლეტარულ-ინტელიგენტური სოციალისტური შინაარსით, რუსეთის — გლეხურ-ინტელიგენტური პოლიტიკურ-დემოკრატიული შინაარსით — ერთი მეორეს შეხვდება მაშინ — რუსეთის განვითარება სოციალისტური გზით უზრუნველყოფილი იქნება. რასაკვირველია, ჩერნიშევსკის ნათლად და გარკვევით თავისი ასეთი რევოლუციონური აზრები არ შეეძლო გამოეთქვა ლეგალურ ლიტერატურაში. მაგრამ თავის რომანში «Пролог к прологу» იგი გარკვევით მიგვითითებდა ამ თავის ტაქტიკურ — პოლიტიკურ ხაზსა და ეროვპისა და რუსეთის რევოლუციების კავშირზე. ამ რომანში ჩერნიშევსკი გადმოგვცემს იმ სულიერ განწყობილებასა და მისწრაფებებს, რომლებმაც შეიპყრო 60-ინი წლების ახალთაობა და უწინარეს ყოვლისა კი ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი. ჩერნიშევსკი შემდეგ სიტყვებში გადმოგვცემს თავის შეხედულებებს:

ნებდა რა ჰეგელის დიალექტიურ მეთოდს, სწერდა: „უმაღლესი განვითარების ზეგავლენით, რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული მოვლენა აღწევს ძოწინავე ერში, ეს მოვლენა სხვა ხალხებში შეიძლება განვითარდეს ძლიერ ჩქარა, ავიდეს `დაბალ საფეხურიდან პირდაპირ უმაღლეს საფეხურამდე და გვერდი აუაროს საშვალო ლოგიურ მომენტებს" (ტ. IV, გვ. 331). მეტად საინტერესო თეორიული დებულებით ჩერნიშევსკი ამტკიცებდა, რომ რუსეთი თემური წყობილების დაბალი საფეხურიდან პირდაპირ გადავა, სოციალიზმში, კაპიტალიზმის საფეხურის გვერდის ავლით; ამისათვის საჭიროა ევროპაში სოციალიზმის წინასწარი განხორციელება, რაც მოახდენს გავლენას რუსეთის განვითარებაზე.

„სერიოზული დრო დაიწყება... როგორ მოვა? — ისე, როგორც ყირიმის ომის პატარა შერყევა მოვიდა ჩვენი ზრუნვის გარეშე... ყოველივე სისაძაგლე, კვლავ განვითარდება, კვლავ იმატებს, სანამ სადმე ევროპაში—მოსალოდნელია საფრანგეთში, — არ ამოვარდება ქარტეხილი და არ გადაივლის მთელს... ევროპაზე, როგორც ეს იყო 1848 წელს. 1830 წელს ქარიშხალმა მხოლოდ დასავლეთ გერმანიაში გაიხმაურა; 1848 წელს ჩაითრია ვენა და ბერლინი, ამის მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგში პეტერბურგსაც და მოსკოვსაც ჩაითრევს... რისთვის არის ეს უეცველი? იმიტომ, რომ ჩვენი დამოკიდებულება ევროპასთან სულ უფრო და უფრო მეიდრო ხდება, ჩვენ კი ძლიერ ჩამოვრჩით მას. ასე თუ ისე, იგი მიგვიძღვის... ჩვენ წინ, თავისაკენ. დადგება სერიოზული დრო. წამოიჭრება საკითხები ხალხის კეთილდღეობის შესახებ. ვინმემ ხომ უნდა ილაპარაკოს ხალხის სახელით. მე უნდა შევინახო ჩემი ძალა ამ დროისათვის" [1]).

ასეთი იყო ჩერნიშევსკის პოლიტიკური შეხედულებანი და ტაქტიკურ-რევოლუციონური ხაზი 60-იანი წლების „რეფორმისტულ პერიოდში. ჩერნიშევსკიმ გარკვევით წამოაყენა სოციალისტურ რევოლუციონური პლატფორმა და რადიკალურად დაუპირისპირდა ყოველი ჯურის ლიბერალურ მიმდინარეობას.

ჰ. ნ. ჩერნიშევსკი და ა. გერცენი

აქ აუცილებლად საჭიროა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ჩერნიშევსკისა და გერცენის პოლიტიკურ-ტაქტიკურ ხაზის დაპირისპირებაზე 60-ან წლებში. ეს შეტაკება ღრმა მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენას წარმოადგენს რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიაში;

---

[1]) ტ. X, I, გვ. 214 — 15.

კერძოდ, ამ შეტაკებით დაიწყო ბრძოლა რუსეთის სოციალიზმის ისტორიაში ორ საწინააღმდეგო მიმდინარეობათა შორის: რეფორმისტულ-ოპორტუნისტულსა და რადიკალურ რევოლუციონურ მიმდინარეობათა შორის; ჩერნიშევსკი იყო გამომხატველი 60-იანი წლების რუსეთის სოციალისტური აზროვნების მემარცხენე რევოლუციონურ ფრთის, გერცენი — ოპორტუნისტულ-რეფორმისტულ მიმდინარეობის, რომელიც იდეურ ნათესაობაში იმყოფებოდა რუსეთის ლიბერალურ აზროვნებასთან.

როგორც მეორე თავში დავინახეთ, გერცენის პოლიტიკა 1848 წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა: ერთ დროს რევოლუციონურად განწყობილი ინტელიგენტი, 1848 წლის რევოლუციის მეორე დღესვე გადავიდა საწინააღმდეგო ტაქტიკაზე და რუსეთის თემის გზით, ლიბერალურ თავად-აზნაურობასთან შეთანხმებით ცდილობდა ცხოვრების გაუმჯობესებას [1]. „ივნისის (1848 წ. პროლეტარული აჯანყება პარიზში ს. ხ.) სისხლი შეეიდა ჩემს ტვინსა და ნერვებში და მას შემდეგ ჩემში ავზარდე ზიზღი სისხლისადმი, თუ იგი იღვრება უკიდურესი აუცილებლობის გარეშე". სწედა გერცენი. ეს ზიზღი და უარყოფითი დამოკიდებულება რევოლუციონური ტაქტიკისადმი გერცენმა საესებით გამოააშკარავა 50-60 წლებში, როდესაც იგი ხოტბებით მიმართავდა ალექსანდრე II-ეს და ლიბერალურ თავად-აზნაურობას [2].

---

[1]) იხ. პაჟიტნოვი: „Развитие соц. идей в Р-ии;" ბოგუჩარსკი „А. И. Герцен", 1921 წ. ჩ. ვეტრინსკი „А. Герцен", 1908 წ. მ. ლემკეს შენიშვნები გერცენის თხზულებების სრულ კრებულში.

[2]) ნ. შელგუნოვი თავის მოგონებებში შემდეგნაირად ახასიათებდა ა. ი. გერცენს: როგორც პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი, ის (გერცენი) მხურვალე დამცველი იყო პირადი და საზოგადოებრივი თავისუფლებისა და მხოლოდ ამაში გამოიხატებოდა მთელი მისი პროგრამა, ის იყო პოეტური ბუნების ადამიანი პოლიტიკური საფუ-

გერცენი წინააღმდეგი იყო დემოკრატიული წყობილებისა და ზიზღით უცქეროდა რევოლუციონურ მოძრაობას. მას ნაადრევად მიაჩნდა რუსეთში პოლიტიკური ფორმის საკითხის წამოყენება და, მაშასადამე, თვითმპყრობელობის მოსპობის საქმეს ალმაცერად უყურებდა. მართალია, მას კონსტიტუციონალური მთავრობა მიაჩნდა გარდამავალ საშუალებად უფრო უმაღლესი მართველობისაკენ, მაგრამ მისი პოლიტიკა მაინც მიმართული იყო იქეთკენ, რომ რუსეთის თვითმპყრობელობას შერიგებოდა და აპარატის საშუალებებით გაეტარებინა ცხოვრებაში საჭირო რეფორმები. ერთი სიტყვით, გერცენი იმ პერიოდში მოითხოვდა ბატონ-ყმობის მოსპობას რუსეთში, მაგრამ მომხრე იყო თვითმპყრობელობის ხელისუფლების [1]). 1859 წ. იგი სწერდა:

„განა ჩვენ არ დაეინახეთ, რომ რესპუბლიკა მთავრობის ინიციატივით, დესპოტიური ცენტრალიზაციით, უამ-

---

ძვლებით უფრო კლუბისტი, დაჭოუკიდებლობის ორატორი, ვინემ ჭუჩის (იგულისხმება: რევოლუციის ს. ხ.) პოლიტიკური მოღვაწე. ჭუჩის ბარიკადებისათვის ის ნაკლები დემოკრატი იყო როგორც თავის ჩვეულებით, აგრეთვე თავისი გონებრივი ტემპერამენტით და ზედმეტად არისტოკრატი თავისი გონებრივი მოთხოვნილებითა და განვითარებით... გერცენს არ სწამდა რევოლუცია. მას იგი (რევოლუცია) შეუძლებლად მიაჩნდა და მასთანვე დამღუპველად თვისი შ დეკვებით. უარყოფდა რა რღვევის ლოღიკასა და ეხეშ ძალას, გერცენი ფიქრობდა, რომ საჭირო არიან მკადაკვებელნი, მოციქულები, რომელნიც ასწავლიან თავისიანებსაც და სხვებსაც, და არა რღვევის მესანგრეები“ (Н. Шелгунов: „Воспоминания“).

[1]) მეორე წერილში გერცენი სწერდა:

„Самодержавная революция могла вести Россию к великому развитию ее неистощимых сил, неведомых возможностей, не проливши ни одной капли крови, не поставивши ни одной виселицы и делая из сибирского тракта путь богатства и обмена вместо слез и скрежета зубовного“. (იხ. В. Богучарский: „А. И. Герцен“ გვ. 130, 1921 წ.).

რავი ჯარით, ბევრად უფრო ნაკლებად უწყობს ხელს თავისუფალ განვითარებას, ვინემ ინგლისის მონარქია უინიციატივოთ, უცენტრალიზაციოდ? განა ჩვენ არ დავინახეთ, რომ ფრანგული დემოკრატია, ე. ი. თანასწორობა მონობაში—ყველაზე უფრო უახლესი ფორმა არის თვითმართველობისა?!.. მე თამამად ვიტყვი, ლათინურ ცნობილ თქმულებას შეცვლილი ფორმებით: „მე მეგობარი ვარ რესპუბლიკისა და დემოკრატიის, მაგრამ უფრო მეტი მეგობარი ვარ თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და განვითარების". თუ მე მიპასუხებენ: განა შესაძლებელი არის თავისუფლება და დამოუკიდებლობა რესპუბლიკისა და დემოკრატიის გარეშე? — მე უპასუხებ, რომ მათთან ერთადაც ისინი შეუძლებელია, თუ ხალხი არ ამაღლებულა (не дорос) ამ თავისუფლებამდე და დამოუდებლობამდე... ჩვენ მივისწრაფვით და გვსურს ვიმოქმედოთ ჩვენს დროში თანამედროვე რუსეთში, — ეს ჩვენ გვაიძულებს არ გავამრავლოთ საკითხები, არამედ შეეცადოთ გადავჭრათ ის საკითხები, რომელნიც უკვე წარმოიჭრენ" [1]).

ასეთ პროგრამას აყენებდა გერცენი სამოციან წლებში. რასაკვირველია, იგი ვერ შეურიგდებოდა ისეთს მიმდინარეობას, რომელიც მოითხოვდა არა მარტო ბატონყმობის მოსპობას რუსეთში, არამედ მთელი სოციალ-პოტიკური წყობილების რევოლუციონური გზით გარდაქმნას.

ჩერნიშევსკის რევოლუციონური ტაქტაკა და რადიკალური სოციალისტური პოლიტიკა სრულიად მიუღებელი იყო გერცენისათვის. უნდა ითქვას, რომ თვით ჩერნიშევსკი, რომელიც 40-იან წლებში გერცენის დიდ გავლენას

---

[1]) „Колокол" № 32 – 33. 1959 წ. Н. Котляревский: „Кануи освобождения" გვ. 120), 1916 წ.

განიცდიდა, 50-იანი წლების მეორე ნახევარშიდაც უარყოფითად უყურებდა გერცენის პოლიტიკას. თვით ჩერნიშევსკი აღნიშნავს, რომ „1856 წელში მას ისეთი აზროვნება ქონდა შემუშავებული, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა გერცენის შეხედულებისაგან" [1]). როდესაც „სოვრემენიკის" ფურცლებზე ჩერნიშევსკიმ გაცხოველებული პოლემიკა გააჩაღა რუსეთის ლიბერალების წინააღმდეგ და გამოააშკარავა მათი უპრინციპობა და უმოქმედობა, გერცენმა ამ კრიტიკაში იგრძნო თავისი აზრების საწინააღმდეგოდ მიმართული ბრძოლა და 1859 წ. „კოლოკოლში" (№ 44) მან მოათავსა წერილი „სოვრემენიკის" ხელმძღვანელთა წინააღმდეგ („Весьма опасно"). ამ წერილში გერცენი ნაცელად სერიოზული კრიტიკისა, თავის მოწინააღმდეგე რევოლუციონურ-დემოკრატიულ მიმდინარეობას ცილს სწამებდა და რეაქციის სამსახურს აბრალებდა. ამ გარემოებამ გამოიწვია დიდი აღშფოთება ჩერნიშევსკის ჯგუფში, რასაც შედეგად მოჰყვა ჩერნიშევსკის გამგზავრება ლონდონში გერცენთან მოსალაპარაკებლად [2]).

მოლაპარაკებამ ვერავითარ დადებით შედეგს ვერ მიაღწია, გარდა იმისა, რომ გერცენმა შემდეგ თავის წერილში „Лишние люди и желчевики" („კოლოკოლი" 1860 წ. № 83; ტ. X-412—423) უფრო მკაცრად გაილაშქრა რევოლუციონური მიმდინარეობის წინააღმდეგ. ამას მოჰყვა ჩერნიშევსკის ჩვენთვის უკვე ცნობილი წე-

---

[1]) კრებული „ნ. ჩერნიშევსკი" — გვ. 105. 1928.

[2]) ამ მოლაპარაკების შესახებ ჩვენ არა გვაქვს დაწერილებითი ცნობები თვით ჩერნიშევსკისა და გერცენისაგან. არის მხოლოდ გამოკვლევები. ნ. ტუჩკოვა-ოგაროვას მოგონებებში (იხ. „Воспоминания" გვ. 256 — 8, 1929) ფაქტები არეულად არის მოყვანილი. თვით ჩერნიშევსკი გაკვრით ეხება თავის კერძო წერილში 1859 წ. დობროლიუბოვისადმი, გერცენთან შეხვედრის ფაქტს და აღნიშნავს, რომ მასთან

რილი, რომელიც მოთავსებული იყო „კოლოკოლის“ 1860 წლის ნომერში. „Рускій человек“-ის ხელმოწერით და რომელსაც წინ მიუძღოდა თვით გერცენის წინასიტყვაობა. რა იყო უმთავრესი სადავო საკითხი გერცენისა და ჩერნიშევსკის შორის? ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენდა ბრძოლის მეთოდის გამომუშავება და დამოკიდებულების საკითხი თვითმპყრობელობასა და ლიბერალურ ბურჟუასთან [1]). თავის წერილში გერცენი სწერდა: „ჩვენ ვცილდებით ერთმანეთს არა იდეებში, არამედ საშვალებებში, არა საფუძვლებში, არამედ მოქმედების ფორმებში. თქვენ (ე. ი. ჩერნიშევსკი) წარმოადგენთ ჩვენი მიმდინარეობის ერთ უკიდურეს ფრთას; თქვენი ცალმხრივობა არის გასაგები ჩვენთვის, ის ახლო დგას ჩვენ გულთან. ჩვენში უკმაყოფილება ისევე ახალია, როგორც თქვენში, და სიყვარული რუსეთის ხალხისადმი ისევ ცოცხალია ჩვენში, როგორც ახალგაზრდობაში“ [2]). ამრიგად, ორი საუკეთესო წარმომადგენელი 60-იანი წლების რუსეთის სოციალისტურ-საზოგადოებრივი აზრებისა, უმთავრესად, საშვალებებსა და ტაქტიკის გარშემო ებრძოდენ ერთი მეორეს. (რასაკვირველია, ეს იძას არ ნიშნავს რომ მათი პროგრამა ტ სამოღვაწეო პლატფორმა ერთნაირი იყო). როგორც დავინახეთ გერცენი ასცდა რევოლუციონურ გზას და თვითმპყრობელობასთან შერიგების გზას დაად-

---

მოლაპარაკების წარმოება ძნელი იყო. იგი კაველინის, (ე. ი. ლიბერალების) კვადრატია“. (იხ. Переписка Чернышевского“, გვ. 69, 1925 წ.).

[1]) დაწვრილებით იხ. Ю. Стеклов: „Чернышевский и русское общество“, жур. „Красн. нов.“ № 9, 1927 წ. აგრეთვე ლემკეს შენიშვნები გერცენის X ტომში; სტეკლოვი: „Герцен и Чернышевский“ წიგნში: Борцы за социализм“, პირველი ნაწ. ვეტრინსკი „А. Герцен“.

[1]) ა. გერცენი: ტ. X, გვ. 219.

გა. ჩერნიშევსკი ყოველიეე ბოროტებას რუსეთის თვითმპყრობელურ წყობილებაში ხედავდა და მოითხოვდა მის ძირიანად გარდაქმნას რევოლუციონური ძალდატანებით; გერცენი რეჟიმის შეცვლის მომხრე იყო და თვითმპყრობელობის აგენტებთან ბრძოლითა და წვრილმანი საკითხებით კმაყოფილდებოდა: პოლიტიკური წყობილების შეცვლა და დემოკრატიული თვითმართველობის შემოღება ამოშლილი იყო მისი პროგრამიდან. „ჩვენ მოველოდით,— სწერდა ჩერნიშევსკი—რომ თქვენ (გერცენი) გადაიქცევოდით მეფის ჩაგვრის მამხილებლად, რომ თქვენ გადაუხსნიდით მთელ რუსეთს მისი საუკუნოებით განმტკიცებულ უბედურებათა წყაროს, ამ უილბლო კერპთაყვანისმცემლობას მეფის წინაშე, და გამოამზეურებდით „უქვეშევრდომილესი მონური შეგნების სისაძაგლეს“, ამის ნაცელად „კოლოკოლის“ ფურცლებიდან „ჩვენ გვესმის ჰიმნები ალექსანდრე II-სა და მისი მეუღლისადმი“. და როგორც ვიცით ჩერნიშევსკი ურჩევდა გერცენს არა თვითპყრობელობასთან შეთანხმებას, არამედ ნაჯახის აღებას. რევოლუციისაკენ მოუწოდეთ რუსეთის ხალხს ძველი დახაესებული წყობილების დასარღვევად—ეუბნებოდა გერცენს ჩერნიშევსკი [1]).

ჩერნიშევსკის საპასუხოთ გერცენი სწერდა: „ნაჯახისაკენ, შევიწროებულთა ამ *ultima ratio*-საკენ ჩვენ არ მოუწოდებთ მანამდე, სანამ, დაგვრჩენია თუ გინდ ერთი გონივრული იმედი უნაჯახოდ საკითხის გადაჭრისა „ცოცხისაკენ“—არის საჭირო ძახილი და არა „ნაჯახისაკენ“ დასძენს გერცენი [2]).

---

[1]) ამაეე საკითხის შესახებ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს ს. სტასევიჩი თავის მოგონებებში. (იხ. Н. Г. Чернышевский. გვ. 103-6, 1928 წ.

[2]) А. Герцен.—ტ. X, გვ. 219-21.

ასე დაუპირდაპირდა 60-იანი წლების რუსეთის სოციალისტურ აზროვნებაში „ნაჯახისა“ და „ცოცხის“ ტაქტიკა ერთი მეორეს: ნ ა ჯ ა ხ ი ს, რომელიც მოითხოვდა რევოლუციონური ძალდატანებით ძველი დახავსებული საზოგადოებრივი წყობილების ძირიან-ფესვიანად ალმოფხვრას და ც ო ც ხ ი ს , რომელიც იმავე წყობილების მშვიდობიან გამოწმენდას მოითხოვდა. შემდეგ პერიოდში ამ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოლიუსთა შორის ქანაობდა რუსეთის სოციალისტური აზროვნება: რევოლუციონური და ლიბერალური ნაროდნიკობა 70 — 80 — 90 წლებისა; რევოლუციონური და „ეკონომისტურ“—ლეგალური ფრთები 90-იანი წლების მარქსიზმში, მეოცე საუკუნის ბოლშევიზმი და მენშევიზმი წარმოადგენენ გერცენისა და ჩერნიშევსკის შემდეგი პერიოდის რუსეთის სოციალისტურ მიმდინარეობას და დაპირისპირებას. აქ უკვე სჩანს გაგრძელება იმ ბრძოლისა, რომელიც სწარმოებდა 60-იან წლებში ჩერნიშევსკისა და გერცენის შორის.

„ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, სერნო-სოლოვიევიჩი-სწერდა ლ ე ნ ი ნ ი, რომელნიც წარმოადგენდენ რევოლუციონურ-რაზნოჩინელთა ახალთაობას, ათასჯერ მართალი იყვენ, როდესაც ებრძოდენ გერცენს დემოკრატიზმიდან ლიბერალიზმისაკენ გადახრისათვის“ [1]).

უნდა აღინიშნოს, რომ 60-იანი წლების დასაწყისში (1855-61 წლები) გერცენი და ჩერნიშევსკი იყვენ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის იდეური ხელმძღვანელნი. მეორე ნახევრიდან იწყება გერცენის გავლენის დაცემა და ჩერნიშევსკის გავლენის შეუდარებელი სისწრაფით ზრდა [2])

---

[1]) Н. Ленин—XII, I გვ. 98.

[2]) Иванов-Разумник „Герцен и Чернышевский“. კრებულში „Критическая литература о произведениях Н. Г. Ч-го“ წ. I გვ. 1869-1908 წ.

ლიბერალების წრეები გერცენის პოლიტიკას ზედმეტად რევოლუციონურად სთვლიდენ, ხოლო რადიკალ-რაზნოჩინური ინტელიგენცია გერცენს უწუნებდა არარევოლუციონერობას. ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის გარდა „გერცენის ჩამორჩენა“ 60-იანი წლების დასაწყისში ხაზგასმით აღნიშნეს „ახალგაზრდა რუსეთის“ მეთაურებმა (ზაიჩნევსკი, აგრიროპულო და სხ.). მათი პროკლამაცია აღნიშნავდა, რომ თანამედროვე რუსეთის მდგომარეობის სრულიად უცოდინარობამ და მისმა უარყოფითმა დამოკიდებულებამ რევოლუციისადმი, საბოლოოთ დასცა გერცენის გავლენა რესპუბლიკანურ პარტიის თვალში [1]) გერცენის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა 60-იანი წლების მეორე ნახევარში საზღვარგარეთის ახალგაზრდა ემიგრაციამ. 1867 წ. ცნობილი რევოლუციონერი ა. სერნო-სოლოვიევიჩი გერცენის წინააღმდეგ მიმართულ თავის წიგნში «Наши домашные дела» სწერდა: „თქვენსა (გერცენსა) და ჩერნიშევსკის შორის არ არსებობს, არც არსებულა და შეუძლებელია არსებულიყო რაიმე საერთო; თქვენ ორი მოწინააღმდეგე ელემენტი ხართ, რომელთაც არ შეუძლიათ არსებობა ერთი შეორეს გვერდით“ [2]).

ამრიგად გერცენის ოპორტუნისტულ-რეფორმისტულ პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა 60-იან წლებში ახალთაობის რევოლუციონურმა ინტელიგენციამ ჩერნიშევსკის პროგრამით და მისი სახელით ჩაატარა.

მაგრამ ჩერნიშევსკისა და გერცენის კამათი მარტო რევოლუციონური ტაქტიკის გარშემო არ სწარმოებდა. აქუნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჩერნიშევსკის მეცნიერულად სრულიად გაუმართლებლად მიაჩნია გერცენის

---

[1]) В. Богучарский: „А. И. Герцен“ П. 143.

[2]) Ю. Стеклов. „Герцен и Чернышевский“ წიგნში: Борцы за социализм“ გვ. 143.

შეხედულება ევროპის ჩამორჩენილობასა და „დალპობის“ შესახებ. როგორც ვიცით, გერცენმა უარყო ევროპის მთელი მაშინდელი ცივილიზაცია და მასში ვერავითარს დადებითს ელემენტს ვერ ნახულობდა; უფრო მეტი, გერცენი ფიქრობდა ევროპის განახლებასა ⁄ მასში სოციალიზმის განხორციელებას რუსული ელემენტის შეყვანით; რუსეთის თემითა ⁄ რუსეთის თავისებური განვითარების გზით. ჩერნიშევსკიმ ძირიანად უარყო ასეთი ყალბი შეხედულება ევროპის თანამედროვე განვითარებაზე და კაპიტალიზმზე. ჩერნიშევსკის განმარტებით დასავლეთ ევროპას თავისი ჭკუა აქვს თავში „უფრო განვითარებული, ვინემ ჩვენ (რუსებს), და მას ჩვენგან არც სწავლა სჭირია და არც დახმარება“ [1]). ევროპაში ჩერნიშევსკის აზრით მხოლოდ ძველმა წოდებამ მოსპამა თავისი დრო. ევროპაში ამჟამად „მხოლოდ საზოგადოების ავანგარდი, მესამე წოდება მოღვაწეობს ისტორიულ სარბიელზე... ხოლო უმთავრეს მასას ჯერ კიდევ ხელი არ მოუკიდია საქმისათვის, მისი მჭიდრო კოლონები ჯერ მხოლოდ უახლოვდებიან ისტორიული მოქმედების სარბიელს“ [2]). ამრიგად ჩერნიშევსკი ევროპის მშრომელ მასაში ხედავს მისი განახლებისა და სოციალიზმის განხორციელების მთავარ ძალას, მაშინ როდესაც გერცენი უარყოფდა როგორც ბურჟუაზიას, ისე პროლეტარიატს და საერთოდ ევროპის ქაოტიურ მდგომარეობიდან გამოსავალ საშვალებას თვით ევროპაში ვერ პოულობდა. აქედან წარმოსდგა გერცენის დებულება რ უ ს ე თ ი ს თ ა ვ ი ს ე ბ უ რ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ: რუსეთი თავისი თემისა და არტელების საშვალებით გვერდს აუვლის კაპიტალიზმის განვითარების გზასა და პირდაპირ გადავა სოციალისტურ წყობილებაში. იგი თვით ევროპასაც დაეხმარება

---

[1]) Н. Чернышевский: ტ. VIII. გვ. 171—3.

[2]) იქვე გვ. 175.

სოციალისტურ წყობილების განხორციელებაში ამით ჩერნიშევსკი თეორიულად უარყოფდა რუსეთის თავისებურ განვითარებას. იგი არა ერთხელ აღნიშნავდა, რომ რუსეთის განვითარება საერთო გზით წარმოებდა დ რუსეთში უკვე დაიწყო კაპიტალისტურმა კონკურენციამ გაბატონება. მაგრამ, ჩერშევსკის აზრით, რუსეთს მაინც შეეძლო გვერდით აეარა კაპიტალისტური განვითარებისათვის, თუ კი ევროპაში დაიწყებოდა სოციალისტური რევოლუცია: ასეთს პირობებში შეხვედრა ორი მონათესავე ტიპის—ევროპის სოციალისტურისა და რუსეთის თემური წყობილების,—მაგრამ მაინც ღრმად განსხვავებულის თავისი სოციალ-ეკონომიური შინაარსით, მართლაც ააცდენდა რუსეთს კაპიტალიზმის განვითარების მწვავე ექსპლოატაციას და გადაიყვანდა მას პირდაპირი გზით სოციალიზმში. ამ საკითხში ჩერნიშევსკიმ გამოყენა ჰეგელის ცნობილი ტრიადა. თანახმად ამ ტრიადისა ჩერნიშევსკი სრულიად სამართლიანად ფიქრობდა, რომ ერებმა უნდა განვლონ თავიანთ განვითარების პროცესში სამი სხვადასხვა ფაზა—პატრიარქალური თემური წყობილება (თეზისი), კერძო-ინდივიდუალური წარმოების ფორმები (ანტითეზისი) და სოციალისტური წყობილება (სინთეზი). მაგრამ ყველგან და ყოველთვის არ არის საჭირო ყველა ამ ფაზისების განვლა: ხდება ისტორიული შემთხვევები, როდესაც რომელიმე ერი პირველ ფასიზისიდან (თესიზი) პირდაპირ გადავა უმაღლესს ფაზისში — სოციალიზმში (სინთეზი). ეს მოხდება მაშინ, როდესაც ეს უმაღლესი ფორმა საზოგადოებრივი წყობილებისა განხორციელებული არის რომელიმე დაწინაურებულ ერში: მაშინ არ არის საჭირო სხვა ჩამორჩენილი ერებისათვის ყველა ლოგიური მომენტების გავლა [1]). ასეთს ბედნიერ შემთხვევით მომენტში იმყოფებოდა, ჩერნიშევსკის აზ-

---

[1]) იქვე ტ. II გვ. 330—31.

რით, 60-იანი წლების რუსეთი. სრულიად სამართლიანათ აღნიშნავს ივანოვ-რაზუმნიკი, რომ ჩერნიშევსკის ასეთს თვალსაზრისსა და გერცენის შეხედულებას შორის რუსეთის თავისებური განვითარების შესახებ ძირითადი განსხვავებაა. ჩერნიშევსკის შეხედულებაში ადგილი არა აქვს თავისებური განვითარების ტიპს [1]). ეს მხოლოდ ბედნიერი-ისტორიული შეხვედრაა, რომელსაც მეორე ისტორიულ პერიოდში შეიძლება სრულიად არ ექნეს ადგილი. ჩერნიშევსკის განმარტებით, თუ კი ევროპის სოციალისტური რევოლუცია დაიგვიანებდა რუსეთი ვერ ასცდებოდა კაპიტალიზმის გზას. აღსანიშიავია ისიც, რომ რამოდენიმე წლის შემდეგ (1866 წ.) როდესაც ჩერნიშევსკი კატორღაში იტანჯებოდა, გერცენმა „კოლოკოლის" ფურცლებზე ხაზგასმით აღნიშნა ჩერნიშევსკის დიდი მნიშვნელობა რუსეთის სოციალიზმის ისტორიაში, მაგრამ მასთანვე განმარტა, რომ ჩერნიშევსკის სოციალიზმსა ⁄ მის (გერცენის) სოციალიზმს შორის განსხვავებაა. გერცენის თქმით—რუსული სოციალიზმი რომლის წარმომადგენლადაც იგი თავის თავს თვლიდა — მომდინარეობს მიწიდან და გლეხის ყოფიდან, თემური მართველობიდან და თემური მფლობელობიდან, ჩერნიშევსკი კი იცავდა დასავლეთის სოციალისტურ თეორიასო. [2]). მართლაც ჩერნიშევსკის მოძღვრებაში უხვად იყო მეცნიერული სოციალიზმის ელემენტები.

* * *

---

[1]) Иванов-Розумник „История русской общественной мысли" ტ. II. 26. 1911 წ.

[2]) Герцен: Полн. собр. соч. ტ. XIX გვ. 127-28.

თავი მეეძვსე

ოცდაშვიდი წელი ტყვეობაში

ჩერნიშევსკის „დამოუკიდებელი“ ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაახლოებით შვიდი წელი გაგრძელდა (1855—62). ამ მცირე ხნის განმავლობაში ჩერნიშევსკიმ შესძლო რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების უმაღლეს მწვერვალამდე აყვანა და ოპოზიციონურ-რევოლუციონური დემოკრატიის დაპირისპირება არსებულ წყობილებისა და გაბატონებულ კლასების წინააღმდეგ.

ამის შემდეგ იწყება ჩერნიშევსკის ტანჯვისა და წამების პერიოდი, რომელიც დაახლოებით ოცდაშვიდი წელი გაგრძელდა.

დაახლოებით ორი წელი (1862—64) ჩერნიშევსკი დატუსაღებული იყო პეტროპავლოვის ციხეში, შვიდი წელი (1864—71) იგი კატორღაში იყო გაგზავნილი, თორმეტი წელი (1872 — 83) — შორეულ ვილუისკის სატუსაღოში, ექვს წლამდე (1883—89)—ასტრახანის და სარატოვის ტყვეობაში გაატარა.

ასე სასტიკად და დაუნდობლად თითქმის არც ერთს რევოლუციონერს არ მოპყრობია ალექსანდრე მეორეს მთავრობა. უფრო მეტი, ჩერნიშევსკის საბრალდებლო ოქმი შედგენილი იყო წინასწარ შეთხზულ აშკარა ყალბ საბუთებზე.

და ეს საქმე მოაწყო მესამე განყოფილებამ (მაშინდელმა ოხრანკამ). ამ ყალბი დოკუმენტების შეთხზვა იცოდა არა მარტო მეფემ და მინისტრთა კომიტეტმა, არამედ მთელი რუსეთის მოწინავე საზოგადოებამ, მაგრამ ხმის ამოღება არავის შეეძლო და არც სურდა რეაქციონურ-ლიბერალურ წრეებს თავიანთი მოსისხლე მტრის— რევოლუციონური დემოკრატიის ბელადის—ნ. ჩერნიშევსკის დაცვა. წინააღმდეგ, ამ წრეების წასისიანებითა და მათი კარნახით დაიწყო „რეფორმისტულმა“ მთავრობამ ჩერნიშევსკის მოღვაწეობის თვალ-ყურის დევნება და შემდეგ მისი სასტიკი დასჯა.

ჩერნიშევსკის ლიტერატურულმა და საზოგადოებრივ რევოლუციონურმა მოღვაწეობამ დიდი შიში გამოიწვია გაბატონებულ წრეებში. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ჩერნიშევსკი სასტიკ ცენზურულ პირობებშიაც კი ახერხებდა „სოვრემენიკის“ ფურცლებზედ დაეცვა კომუნიზმისა და სოციალიზმის თეორია და საზოგადოების დემოკრატიული ფენებისათვის მოეწოდებია რევოლუციონური ბრძოლისაკენ.

რუსეთის ჟურნალისტიკის ისტორიაში ამ გაბედულმა უჩვეულო ბრძოლამ კომუნიზმისა და რევოლუციონური მეთოდისათვის შეაშფოთა არა მარტო რეაქციოიური წრეები, არამედ ლიბერალურ-პროგრესიური ნაწილიც რუსეთის საზოგადოებისა.

„სოვრემენიკის“ ჯგუფისა და პირადათ ჩერნიშევსკის წინააღმდეგ დამფრთხალმა ლიტერატორებმა ხმა აიმაღლეს და სასტიკი კამპანია გააჩაღეს მათი რევოლუციონურ-კომუნისტური და მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამოსააშკარავებლად.*) ჩერნიშევსკის მო-

---

*) იხ. სტეკლოვ- II.

წინააღმდეგეებს კარგად ესმოდათ, თუ რას ნიშნავდა ჩერნიშევსკის წინააღმდეგ „იდეური“ ბრძოლის წარმოება. მათ კარგად ესმოდათ, რომ მარტო იდეური ბრძოლით ჩერნიშევსკის ვერიფერს დააკლებდენ; წინააღმდეგ, ასეთი ბრძოლით ჩერნიშევსკის ავტორიტეტი დღითი-დღე იზრდებოდა მოწინავე დემოკრატიულ ფენებში, რადგან ჩერნიშევსკი თავგამოდებით და მთელი თავისი ერუდიით იცავდა თავის პოზიციას; ჩერნიშევსკისთან იდეური ბრძოლა მათ არ შეეძლოთ, რადგან იგი მთელი თავით მაღლა იდგა როგორც ცოდნით, ისე ნიჭითაც თავის მოწინააღმდეგებზე.

მაგრამ ამ ლიტერატორების „თეორიულ“ ბრძოლიდან თავისი შესაფერისი პოლიტიკური და ადმინისტრატიული დასკვნები უნდა გამოეტანა მთავრობასა და მესამე განყოფილებას; ჟურნალის სფეროდან ბრძოლა თავის უმაღლეს ინსტანციაში უნდა გადასულიყო. ეს ასედაც მოხდა. მესამე განყოფილებამ შესაფერისი ყურადღება მიაქცია ჩერნიშევსკის წინააღმდეგ წარმოებულ ლიტერატურულ კამპანიას და შემდეგ შესაფერისი ადმინისტრატიული დასკვნები გაუკეთა. ამ გარემოებას გერცენმა ჯერ კიდევ 1864 წ. მიაქცია ყურადღება*). მაგრამ ჩერნიშევსკის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო ლიტერატურული მეთოდებით არ ამოწურულა. გაბატონებული წრეები, დამფრთხალნი ჩერნიშევსკის ლიტერატურული და

---

*) იხ. ქვევით. „ეფიქრობ,—სწერს მალიშენკო,—რომ იმ მოთქმამ, რომელიც მაშინდელმა მწერლობამ დაიწყო ჩერნიშევსკის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის მავნე მიმართულების გამო, და წასისიანებამ, რომელიც გამეფდა მის წინააღმდეგ, აუცილებლად ითამაშეს თავისი როლი იმ სასტიკ სასჯელში, რომელიც გადაუწყვიტეს დიდ მწერალს“. (Малышенко: „Н. Чернышевский“. „Рус. мысль“ № 5, 1906 წ. და აგრეთვე А. Николаев: „Н. Чернышевский“ გვ. 45—6 1918 წ. იაროსლავი).

საზოგადოებრივი საქმიანობით, პირდაპირ გზავნიდენ მთავრობის სახელზე „დონოსებს“ და მოითხოვდენ ჩერნიშევსკის დაპატიმრებას და გადასახლებას. 1862 წ. ერთ-ერთი ანონიმური ავტორი სწერდა მესამე განყოფილებას „ეშმაკი სოციალისტის“ და „საშიში აგიტატორის“ (ჩერნიშევსკის) შესახებ, შემდეგს: „Ежели вы не удалите его—то быть беде, будет кровь. Ему нет места в России—везде он опасен, разве в Березове или Гижинске... куда хотите, но скорее отнимите у него возможность действовать“. მეორე დამბეზღებელი სწერდა: „Чернышевского с братией и с «современником» уничтожьте... избавьте нас от Чернышевского и его учения. Это враг общества и враг опасный—хуже Герцена... он осторожен, хитер и зол« *). ასეთი იყო „საზოგადოებრივი“ განწყობილება ჩერნიშევსკისადმი.

მაგრამ 60-იანი წლების დასაწყისში—თვით „დიდი რეფორმის“ პერიოდში—რუსეთში უკვე ფეხს იკიდებდა შავი რეაქცია. მთავრობამ კარგად იცოდა, რომ გლეხობა არ იყო კმაყოფილი „საგლეხო რეფორმით“ და მოსალოდნელი იყო გლეხთა საერთო აჯანყება. ამიტომ იგი წინასწარ შეუდგა ოპოზიციონური და რევოლუციონური წრეების განადგურებას. ცხადია, ნ. ჩერნიშევსკი, როგორც მეთაური და იდეური ხელმძღვანელი ამ რევოლუციონურ-ოპოზიციონური მიმდინარეობისა, ვერ ასცდებოდა მთავრობის რისხვას. უკვე 1862 წლის ივნისის 19-ს მთავრობის განკარგულებით რვა თვით აკრძალეს ჟურნ. „სოვრემენიკი“, ხოლო 7-იელისს დააპატიმრეს თვით ჩერნიშევსკიც. მაგრამ მთავრობას არავითარი დამამტკიცებელი დოკუმენტი არ ჰქონდა ხელთ, რომ წაეყე-

*) იხ. ლემკეს დასახელებული წიგნი. აგრეთვე იკოვის: „Н Чернышевский, გვ. 156—7, 1928 წ.

ნებია საბრალმდებლო ოქმი ჩერნიშევსკისათვის. მან კარგად იცოდა, რომ ჩერნიშევსკი იყო რევოლუციონური მოძრაობის მეთაური და კომუნისტური და მატარიალისტური თეორიის იდეოლოგი, მაგრამ შესაფერისი მასალები მაინც არ ჰქონდა მესამე განყოფილებას. — ჩერნიშევსკი ერთობ ფრთხილი კონსპირატორი იყო. და აი 3-ე განყოფილების გამოცდილი ხელმძღვანელები და აგენტები შეუდგნენ ყალბი დოკუმენტების შედგენას. მათ საკმაოდ გამოიყენეს ამ საქმეში პროვოკატორი კოსტომაროვი, რომელმაც უკვე გასცა პირველი რუსული ფარული სტამბა, გასცა პოეტი რევოლუციონერი მიხაილოვი, პუბლიცისტი შელგუნოვი და ახლა მესამე განყოფილების შთაგონებით შეუდგა ჩერნიშევსკის დაღუპვასაც. ვინაიდგან მას შესაფერისი დოკუმენტები არ აღმოაჩნდა, ამიტომ იმავე მესამე განყოფილების ხელმძღვანელობით მან შეთხზა და წარადგინა მთელი რიგი ყალბი დოკუმენტებისა ჩერნიშევსკის რევოლუციონური მოღვაწეობის შესახებ [1]).

რასაკვირველია, ჩერნიშევსკიმ უარყო ყველა ეს მახინაციები, მაგრამ ჩერნიშევსკის საქმის შესახებ გამოყოფილ მთავრობის კომისიისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა: იგი პირდაპირ დაეყრდნო ყალბ დოკუმენტებს [2]) და ჩერნიშევსკის მიუსაჯა 14 წლის კატორღა ციმბირში სამუდამო დასახლებით. დადგენილების მოტივები შემდეგი იყო: „За злоумышление к ниспровержению существующего порядка, за принятие мер

---

[1]) ეს დოკუმენტები მოთავსებულია ლემკეს წიგნში: „Политические процессы"...

[2]) 1927 წ. შესდგა სპეციალისტ-გრაფოლოგების კომისია, რომელმაც სავსებით დაადასტურა დოკუმენტების სიყალბე. იხ. ი. სტეკლოვი: „Решенный вопрос", „Красный Архив" № 25, 1927 წელი.

к возмущению и за сочинение возмутительного воззвания к барским крестьянам и передачу оного для напечатания в видах распространения». ბოროტმა მეფემ თითქოს მოწყალება გამოიღო და 14 წლის კატორღა შვიდი წლით შეუცვალა. მაგრამ მთავრობას თავიდან ვე გადაწყვეტილი ჰქონდა მისი იზოლიაცია და სამოქალაქო სიკვდილი. საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ ჩერნიშევსკის უკანონოთ სჯიდენ, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებული დოკუმენტები ყალბი იყო: მაგრამ გაბატონებულ წრეებს აინტერესებდათ არა სასამართლოს პროცესები და საქმიანობა, არამედ თვით ფაქტი ჩერნიშევსკის დასჯისა, ხოლო ოპოზიციონურ-რევოლუციონურ წრეებს არ ჰქონდათ საშუალება თავისი პროტესტის გამოცხადებისა. მხოლოდ გერცენის „კოლოკოლმა“ შესძლო საზღვარგარეთ ენერგიული პროტესტის დაბეჭდვა.

გერცენი სწერდა: «Чернышевский осужден на семь лет каторжной работы и на вечное поселение. Да падет проклятьем это безмерное злодейство на правительство, на общество, на подлую подкупную журналистику, которая накликала эти гонения, раздула его из личностей. Она приучила правительство к убийствам военнопленных в Польше, а в России—к утверждению сентенций диких невежд сената и седых злодеев государственного совета... А тут жалкие люди, люди—трава, люди—слизняки говорят, что не следует бранить эту шайку разбойников и негодяев, которая управляет нами!» [1]).

19 მაისს მიტნინის მოედანზე პეტერბურგში ჩერნიშევსკის საჯაროდ აყარეს სამოქალაქო უფლებები[2]). 24-ს

---

[1]) იხ. „Колокол“ № 186, 1864 წ.

[2]) ჩერნიშევსკის ეს „სამოქალაქო დასჯის“ პროცესები ვრცლად აქვთ აწერილი სხვადასხვა დამსწრეებს. იხ. ლემკეს წიგნი.

რამოდენიმე ყაზახის თანხლებით იგი გაისტუმრეს ციმბირისაკენ.

რამოდენიმე თვის მოგზაურობის შემდეგ, აგვისტოს შუა რიცხვებში ჩერნიშევსკი ჩაიყვანეს ნერჩინის ოლქში, მონგოლეთის საზღვარზე, კადაიში. ორი წლის შემდეგ იგი გადაიყვანეს მეზობელ ალექსანდროვის ქარხანაში. კატორღაში ჩერნიშევსკიმ გაატარა შვიდი წელი. იგი კატორღაშიც მთავრობის განსაკუთრებული ყურადღებით იყო აღჭურვილი. ჩერნიშევსკის მდგომარეობა აქ მეტის მეტად მძიმე იყო, მიუხედავად იმისა, რომ მას აქ საშუალება ჰქონდა შეხვედროდა პოლიტ-კატორღელებს, რომლებმაც დაგვიტოვეს საინტერესო მოგონებები ჩერნიშევსკის კატორღაში ყოფნის შესახებ.

ჩერნიშევსკი ფიქრობდა, როდესაც დამთავრდებოდა მისი საკატორღო წვალების ვადა, მას მისცემდენ ევროპიულ რუსეთში ცხოვრების უფლებას და იგი კვლავ დაიწყებდა თავის ლიტერატურულ-მეცნიერულ მოღვაწეობას.

ასე ოცნებობდა დიდი მწერალი და დიდი კატორღელი, ხოლო სულ სხვაგვარი განზრახვები ჰქონდათ პეტერბურგის ჯალათებს: მათ—განსაკუთრებით კი ალექსანდრე 2-ეს—დიდათ ეშინოდა ჩერნიშევსკის განთავისუფლების და ამიტომ ახალ სატანჯველს ამზადებდენ მისთვის. აღსანიშნავია, რომ ჩერნიშევსკის საქმეს უშვალოდ ეცნობოდა თვით ჯალათი მეფე. ამ შემთხვევაშიაც მისი კარნახით ჩერნიშევსკის განთავისუფლების საკითხი მინისტრთა კომიტეტმა განიხილა და დაადგინა გაეგრძელებიათ ჩერნიშევსკის დაპატიმრების დრო და დაესახლებიათ იგი ისეთ ადგილას, საიდანაც ვერ მოახერხებდა გაქცევას[1]).

---

[1]) Ю. Стеклов: „Вокруг ссылки Чернышевского", „Каторга и ссылка" № 4—5, 1927 წ.

ასეთად მიჩნეული იქნა შორეული ვილუისკი, სადაც ჩერნიშევსკი გამოამწყედიეს ოთხ კედელს შორის და დაუნიშნეს მუდმივი მეთვალყურენი ორი სანდო ყაზახის სახით.

ეს იყო ახალი ტანჯვა-წამება ჩერნიშევსკისათვის. ამ ჩამორჩენილს, ტოპოგრაფიულად ნესტიან იაკუტების ქვეყანაში ჩერნიშევსკიმ თორმეტი ტანჯვის წელი გაატარა (1872—83) [1]. ფიზიკურად იგი დასუსტდა, დაავადმყოფდა, მაგრამ ზნეობრივად კი ვერ გასტეხა ციხის სასტიკმა რეჟიმმა. იგი როგორც კატორღაში, ისე ვილუისკშიაც მთელ დღეებს წიგნების კითხვაში ატარებდა, სწერდა გამუდმებით, მაგრამ ხევდა. ციმბირის პერიოდიდან დარჩა მხოლოდ რამდენიმე მოთხრობა და მათ შორის შესანიშნავი: „Пролог к Прологу," რომელიც შემთხვევით გადმოეწერა ერთ-ერთ კატორღელს და შემდეგ გაეტანა საზღვარგარეთ. ეს რომანი 1877 გამოსცა საზღვარგარეთ პ. ლავროვმა. ჩერნიშევსკი ვილუისკიდან ვრცელ წერილებს წერდა თავის ოჯახობასა და ნათესავებს [2]. მას ამ წერილებში აინტერესებდა არა თავისი მდგომარეობა და პირობები, არამედ თავისი ოჯახი და მათი ბედი.

ჩერნიშევსკი ამ წერილებში ახერხებდა სხვადასხვა საკითხების შესახებაც წერას. იგი შორეულ ციმბირშიაც დარჩა ფეიერბახელი-მატერიალისტი და თავის შვილებს უხსნიდა ამ მატერიალისტური ფილოსოფიის რაობას.

---

[1]) М. Чернышевский: „Чернышевский в Вилюйске". „Былое" № 25/47. 1924 წ., Е. Лацкий: „Чернышевский в Сибири". 1913 წელს.

[2]) ეს მიწერ-მოწერა გამოცემულია სამ წიგნად: „Чернышевский в Сибири", ლიაცკის წინასიტყვაობით, 1912 — 13 წ.წ.

1871 წ. ერთი წერილი, რომელიც ალბად შემთხვეევით გამოეპარა ჟანდარმთა თვალს, ნათლად გვისურათებს ჩერნიშევსკის სულიერ განწყობილებას. აღნიშნავს რა, რომ იგი არ არის დაინტერესებული თავისი პირადი საკითხით, სწერს: «А думаю о других—об этих десятках миллионов нищих, я радуюсь тому, что без моей воли и заслуги придано больше силы и авторитетности моему голосу, который зазвучить же когда-нибудь в защиту их». ასე ფიქრობდა ციმბირის ტაიგების ციხეში დამწყვდეული დიდი რევოლუციონერი. მისი რევოლუციონური ენერგია ვერ გასტეხა მეტად მძიმე პირობებმა და იგი ახალგაზრდური სიცხოველით მოელოდა რუსეთის ცხოვრების გაახლებას.

აღსანიშნავია ჩერნიშევსკის ვილუისკის ცხოვრებიდან ერთი შესანიშნავი ფაქტი. რაკი ჩერნიშევსკი ვერ მოსტეხა ზნეობრივად ვერც კატორღამ და ვერც ვილუისკის მძიმე პირობებმა, პეტერბურგის წრეებმა მოინდომეს მისი მოყიდვა განთავისუფლების აღთქმით, თუ კი იგი ხელს მოაწერდა უმაღლესს თხოვნაზე. ჩერიშევსკიმ კატეგორიული უარი განაცხადა ასეთს პატიებაზე, ხოლო გაგზავნილ ქალაქზე დააწერა: „წავიკითხე, თხოვნის წარდგენაზე უარს ვაცხადებ. ნ. ჩერნიშევსკი". ამ ლაკონიური სიტყვებით ისტორიული სილა გააწნა ვილუისკის ამაყმა ტყვემ პეტერბურგის ჯალათებს.

მაგრამ თუ ჯალათი მეფე და მისი მთავრობა ცოცხლადვე უპირებდა დამარხვას ჩერნიშევსკის, სამაგიეროდ ევროპისა და რუსეთის რევოლუციონერებში უდიდესი სახელი დაისადგურა და მის ტყვეობიდან განთავისუფლებას ლამობდენ. 1865—66 წლებში კარაკოზოვის ორგანიზაცია ლამობდა ჩერნიშევსკის განთავისუფლებას, მაგრამ ეს ცდა უნაყოფოდ დამთავრდა თვით ჯგუფის დამარცხების გამო, 1872 წელს, მ. ლ ო პ ა ტ ი ნ მ ა მოაწყო

ორგანიზაცია ამავე მიზნით,[1]) 1875 წ. გაბედული ნაბიჯი გადასდგა ცნობილმა რევოლუციონერმა ი. მიშკიამნ. ეს ცდებიც უნაყოფოთ დამთავრდა, მხოლოდ 1883 წ. გაანთავისუფლეს ჩერნიშევსკი ვილუისკის ტყვეობიდან [2]) და საცხოვრებლად მიუჩინეს ქ. ასტრახანი, სადაც იგი პოლიციის სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ასტრახანის ტყვეობა გაგრძელდა 1889 წლამდე, როდესაც მას ნება დართეს თავის სამშობლო სარატოვში გადასახლების, სადაც იგი გარდაიცვალა იმავე 1889 წელს.

ციმბირიდან ჩერნიშევსკი ფიზიკურად საკმაოდ დასუსტებული დაბრუნდა: მისი ენერგია მოდუნებული იყო და ძველებური ინტენსიური ლიტერატურული მუშაობა აღარ შეეძლო. გარდა ამისა იგი ჩამორჩა ცხოვრების ვითარებას, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა და საზოგადოებრივი ამოცანები მას აღარ ესმოდა; დროების მოთხოვნილება მისთვის თითქმის გაუგებარი იყო. მაგრამ მთავრობას კვლავ ეშინოდა ჩერნიშევსკის გავლენისა და არამც თუ ლიტერატურული ჟურნალის გამოცემის ნებას არ აძლევდა, არამედ მისი სახელის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა პრესაში. მიუხედავად ამისა, ჩერნიშევსკიმ გამოსცა რამოდენიმე წიგნი თარგმანისა, მათ შორის ვებერის „მსოფლიო ისტორიის“ თერთმეტი ტომი. რასაკვირველია, ეს თარგმანები პსევდონიმით გამოდიოდა და მათ დართული ჰქონდათ ჩერნიშევსკის მეტად საინტერე-

---

[1]) იხ. კრებული: „Г. Лопатин“, 1922 წ. დაპატიმრების დროს ლოპატინმა განაცხადა, თუ როგორი დიდი გავლენა მოახდინა მასზე კ. მარქსის აზრმა ჩერნიშევსკის მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობის შესახებ.

[2]) 1882 წ. ცნობილი რევოლუციონური პარტია „ნაროდნაია ვოლია“ მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩერნიშევსკის გაანთავისუფლების შესახებ. (იხ. П. Николаевъ „Освобождение Чернышевского“, „Былое“. 1906 წ.).

სო შეხიშვნები და დამატებახი. ასტრახანის ტყვეობაში დასწერა ჩერნიშევსკიმ ორი თეორიული ხასიათის წერილი: «Характер человеческого знания» და «Происхождение теории благотворности борьбы за жизнь»; ამ წერილებში კვლავ ფეიერბახელი მატერიალისტი მეტყველებდა. ამავე პერიოდშივე ჩერნიშევსკიმ კვლავ მოიგონა თავისი თანამებრძოლი და მეგობარი ნ. დობროლუბოვი და დაამზადა მისი „ბიოგრაფიის მასალები“ ორტომად.

1889 წ. 17 ოქტომბერს დამთავრდა ამ დიდი მოაზროვნისა და რევოლუციონერის ტანჯული ცხოვრება.

აგვისტო
1928 წ.

* * *

ნ. ჩერნიშევსკი

და

ქართველი ინტელიგენცია

ნ. გ. ჩერნიშევსკი

და

60-იანი წლების ქართველი ინტელიგენცია

ნ. გ. ჩერნიშევსკიმ, უდიდესი გავლენა იქონია რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეზე. კერძოდ მისი იდეური გავლენით ჩამოყალიბდა რუსეთის 60-70 იანი წლების სოციალისტური და რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობანი. მაგრამ ნ. ჩერნიშევსკის გავლენა მარტო რუსეთის საზოგადოების ფარგლებით არ ამოიწურებოდა. დღეს უკვე ისტორიული ფაქტია, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკიმ დიდი გაელენა მოახდინა სხვა ერების აზროვნების განვითარებაზე, და მათ შორის ქართული საზოგადოებრიეი აზროვნების წარმატების საქმეზედაც.

ამჟამად, როდესაც მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა იხდის ამ დიდი მოაზროვნის, სოციალისტისა და რევოლუციონერის დაბადების ასი წლის თავს და ისტორიულად აფასებს მის მოღვაწეობას საზოგადოებრივ ასპარეზზე, ზედმეტი არ იქნება დაწვრილებით განვიხილოთ ამ ბუბერაზი ადამიანის გავლენა 60-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეზე.

ნ. გ. ჩერნიშევსკის გავლენა 60-იან წლების ახალთაობის ქართველ ინტელიგენციაზე მეტად საგრძნობი და მნიშვნელოვანი იყო. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების

აღორძინებაზე 60-იან წლებში ნ. გ. ჩერნიშევსკიმ და მისმა „სოვრემენიკმა“ დიდი გავლენა მოახდინა [1]): უშუალოდ ჩერნიშევსკის იდეური და თეორიული ზეგავლენით ჩამოყალიბდა ქართულს ნიადაგზე რადიკალ-დემოკრატიული და სოციალისტური მიმდინარეობანი და საფუძვლები ჩაეყარა ახალ საზოგადოებრივ აზროვნებას. ამიტომ სრულ სიმართლეს სწერდა ჩერნიშევსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საუკეთესო მკვლევარი ი. სტეკლოვი თავის ერთ ნარკვევში: „კერძოდ, ჩერნიშევსკის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა კავკასიელთა ჯგუფი, რომელიც შესდგებოდა ბაშინდელ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან (ი. ისარლიშვილი, ნ. ნიკოლაძე, გ. ე. წერეთელი, ნ. გ. და დ. ვ. ღოლობერიძეები, კ. შ. ლორთქიფანიძე, ეჯიბოვი და სხვ). მრავალი მათგანი შემდეგში, როდესაც ისინი გახდენ ჟურნალისტები და საზოგადო მოღვაწეები, შეუდგა თავის თანამემამულეთა შორის რუსული რადიკალიზმის პოპულარიზაციას. „სოვრემენიკისა“ და ჩერნიშევსკის

---

[1]) შეიძლება აქ აღინიშნოს, რომ ქართული ლიტერატურის ეს აღორძინება რამდენადმე იწინასწარმეტყველა ნ. ჩერნიშევსკიმაც. 1855 წ. ტფილისში გამოცემულ ალმანახის „Зурна“-ს შესახებ, რომელშიაც მოთავსებული იყო რამოდენიმე ქართველი მწერლის ნაწარმოებიც, ჩერნიშევსკიმ „სოვრემენიკში“ (№ 7, 1855 წ.) მოათავსა ერცელი ბიბლიოგრაფია, რომელშიაც სწერდა: „Все что они пишут, заслуживает полного участия и одобрения, как зародыш и залог более удовлетворительного развития тифлисской литературы в будущем... Мы радуемся, что между коренными тифлисскими жителями являются люди, имеющие наклонность к литературным занятиям; пройдет еще несколько лет—и между ними некоторые будут писать гораздо лучше, иные, быть может, и в самом деле прекрасно. С этой точки зрения мы радуемся появлению грузинской романистки (50-ი წლების მწერალ ქალის მელანია ბადრიძის შესახებ არის ლაპარაკი ს. ბ.), которая пишет, право, недурным слогом“ (Н. Чернышевский: собр соч. т. 10, II, ss. 72).

დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე 60-იანი წლების სომხეთის ჟურნალისტიკა (სტ. ნაზარიანი, მ. ნალბადიანი და სხვ.). და თუ შემდეგ პერიოდში კავკასიამ ასეთი საპატიო ადგილი დაიჭირა რევოლუციის რიგებში, ეს უნდა მიეწეროს ჩერნიშევსკის დამსახურებას, რომელმაც პირველმა დასთესა იქ სოციალიზმის თესლი" [1]).

ამბ. ი. სტეკლოვი ასეთ საინტერესო დასკვნამდე მივიდა მხოლოდ რუსულად არსებულ და რუსეთში მოთავსებულ ისტორიული დოკუმენტების შესწავლის მიხედვით. მაგრამ თუ ჩვენ შევისწავლით ადგილობრივ ისტორიულ დოკუმენტებსა და ქართულ ლიტერატურას, უფრო მეტად მნიშვნელოვან მასალებს ვიპოვით ჩერნიშევსკისა და მისი „სოვრემენიკის" გავლენის შესახებ ქართული რადიკალურ-დემოკრატიული და სოციალისტური აზროვნების ჩამოყალიბების საქმეზე.

რუსეთში ჩერნიშევსკის ეპოქა ხასიათდებოდა, ერთი მხრივ, კაპიტალიზმის განვითარებითა და ძველი ეკონომიურ-საზოგადოებრივ წყობილების რღვევის პროცესებით, ხოლო მეორე მხრივ, დემოკრატიული ფენების ამოძრაველებითა და პოლიტიკურ ცხოვრების გამოცოცხლებით. ყირიმის ომმა ნათელჰყო რუსეთის ძველი წყობილების უვარგისობა და გამანადგურებელი მახვილი ჩასცა მას, აამოძრავა სოციალური ფონები და განახლების იმედები გაულვიძა მათ. ამ აღორძინების იდეური ხელმძღვანელი იყო ნ. გ. ჩერნიშევსკი, რომლის დიდი გავლენის ქვეშ ჩამოყალიბდა 60-იანი წლების რუსეთის დემოკრატიული და სოციალისტური აზროვნება.

შეიძლება ითქვას, რომ მინიატიურაში საქართველოს სინამდვილეშიაც ასეთსავე სოციალ-ეკონომიური ხასია-

---

[1]) Ю. Стеклов: „Н. Г. Чернышевский и революционное движение 60-х годов". ჟურნ. „Вестник Ком. Академии" № 27. გვ. 173—4, 1928 წ.

თის პროცესებს ჰქონია ადგილი. რუსეთის კაპიტალის შემოჭრამ საქართველოში მე XIX-ე საუკუნის დასაწყისიდანვე საგრძნობი ცვლილებები გამოიწვია ნატურალური მეურნეობის დაშლის მიმართულებითა და თავად-აზნაურობის ეკონომიურად დაცემის ხაზით. ასეთი გავლენა უკვე საგრძნობი გახდა 40-50-60 წლებში, როდესაც უკვე მომწიფდა საქართველოში ნიადაგი კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის. ამას ნათლად გრძნობდენ ლიბერალურ თავად-აზნაურული მიმდინარეობის წარმომადგენელნი, როდესაც (1862 წ.) სწერდენ: „ჩვენი დრო — არის ისეთი, რომ ერთს მდგომარეობიდან გადავდივართ მეორეში და თანდათან უტოვებთ ყოფილსა და ძველებურსა ჩვეულებასა" [1]). რასაკვირველია ასეთს გარდამავალ ეპოქას არ შეეძლო თავისი შესაფერისი გავლენა არ გამოეწვია საზოგადოებრივ აზროვნებასა და პოლიტიკურ მიმდინარეობაში. 50-იან წლებიდან იწყება ქართული კულტურული ცხოვრების აღორძინების პერიოდი, ხოლო ყირიმის ომის შემდეგ ნათელი გახდა ქართული პოლიტიკური აზროვნების გამოცოცხლება თავადაზნაურული ლიბერალური და რადიკალურ-დემოკრატიული მიმართულების ხაზებით.

ყირიმის ომის შედეგებმა თავის გავლენა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზედაც მოახდინა. ჯერ კიდევ 1865 წ. გერცენის „კოლოკოლში" ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძე სწერდა:

„ოსმალეთის 1853-56 წ. ომის შემდეგ გლეხთა განთავისუფლების საკითხი საქართველოში საზოგადოებრივი წყობილების ყველა ელემენტს აღელვებდა და თავიდანვე მიიღო მან დამოუკიდებლად თავისი სოციალური ხასიათისა, ხასიათი პოლიტიკური ბალანსისა. ამ საკითხის წამოყენებას არ შეეძლო არ გამოეღვიძებია ქართველი ხალხის

---

[1]) კ. მამაცაშვილის წერილი „ზუთნის დედაში" 1862 წ.

პოლიტიკური ინსტიქტები და რადგან გლეხთა საკითხი, მიუხედავად რუსეთის ბატალიონების ენერგიული ჩარევისა, იზრდებოდა საქართველოში არა დღეობით, არამედ საათობით, ამიტომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება დაუკავშირდა გლეხთა საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტას და რაღაც ათი წლის განმავლობაში წარმოუდგენელი სისწრაფით განვითარდა" [1]).

ამ ახალი ეპოქის სულის ჩამდგმელი და მისი იდეების განმსახიერებელი შეიქმნა საქართველოში ახალთაობის ინტელიგენცია, უმთავრესად ჯერ კიდევ თავად-აზნაურული წრეებიდან გამოსული, რომელიც რუსეთის 60-იანი წლების გონებრივი მოძრაობის გავლენის ქვეშ იზრდებოდა ამ ახალთაობის ინტელიგენციამ ენერგიულად გაილაშქრა დახავსებული წყობილების, ბატონ-ყმური ურთიერთობისა და სქოლასტიურ — რელიგიურ აზროვნების წინააღმდეგ და ქართულ ლიტერატურაში რაციონალიზმის, უტილიტარიზმისა და დემოკრატიზმის პრინციპები შემოიტანა. პირველი მერცხალი ამ ახალი აზროვნებისა იყო ქართველი „რაზნოჩინელი" დ. ჭონქაძე, რომელმაც აუცილებლად განიცადა რუსეთის 60-იან წლების რადიკალური მიმდინარეობის ცხოველმყოფელი გავლენა და რომელმაც პირველმა მიიტანა მაგარი იერიში ქართულ ლიტერატურაში ბატონყმური უღლის წინააღმდეგ. შემდეგი თაობა, რომელმაც განაგრძო დ. ჭონქაძის გატკეპნილი გზა, იყო „თერგდალეულთა" თაობა, რომელმაც ფართე ლიტერატურული ხასიათის ბრძოლა გააჩაღა ძველი, თავადაზნაურული აზროვნების წინააღმდეგ და 1863 წ. თავისი საკუთარი ორგანოც დაარსა „საქართველოს ცოამ-

---

[1]) Рио Нева (ნ. ნიკოლაძე): „Освобождение крестьян в Грузии" ჟურ. „Колокол" № 198, 1865 წ.

ბ ი ს“ სახით [1]). ამ ახალი ინტელიგენციის დიდი უმეტესობა იზრდებოდა რუსეთის უნივერსიტეტებში, სადაც ისინი ეცნობოდენ რუსეთის ცხოვრებასა და რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნების ვითარებას და შემდეგ პროგრესიულ-დემოკრატიული მისწრაფებანი გადმოჰქონდათ საქართველოს სინამდვილეში. აი ამ ინტელიგენციამ უშუალოდ განიცადა 60-იანი წლების მოაზროვნის ნ. გ. ჩერნიშევსკის დიდი გავლენა. იმავე ნ. ნიკოლაძემ ერთ თავის საინტერესო წერილში 1872 წ. შემდეგ ნაირად აგვიწერა ის ცხოველმყოფელი გავლენა, რომელიც მოახდინა ჩვენს ახალთაობაზე 60-იან წლების რადიკალურ-სოციალისტურმა მიმდინარეობამ და განსაკუთრებით კი ნ. ჩერნიშევსკიმ და მისმა „სოვრემენიკმა“. იგი სწერდა:

„რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე მკითხველო, რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ ახალგაზრდები იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის („სოვრემენიკზეა“ ლაპარაკი ს. ხ.) ახალი წიგნი გამოვიდოდა. რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაულალავად ვეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას... რამ-

---

[1]) 1861 წ. ჭავჭავაძემ, გაილაშქრა რა „ცისკრის“ წინააღმდეგ, შეადგინა თანამოაზრეთა ჯგუფი, რომელშიაც შედიოდენ მაშინდელი ახალთაობის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი: პ. ნაკაშიძე, გ. ყაზბეგი, ივ. პოლტარაცკი, მიხ. ყიფიანი, ივ. პერიძე, დავ. ყიფიანი, გ. ჩიქოვანი, ალ. სავანელი, მიხ. ჩიკვაიძე, ილ. წინამძღვარიშვილი, ვ. თულაშვილი, პ. უმიკაშვილი. შემდეგში მათ შეუერთდა ცნობილი ბეს. ღოღობერიძე, რომელიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა 1861 წლის სტუდენტთა არეულობაში. ჯგუფში კითხულობდენ რეფერატებს და ლიტერატურულ ნაწერებს. ამ ჯგუფის ხელმძღვანელობით გამოვიდა „საქართველოს მოამბე“, რომელსაც მხურვალედ მიეშალმა პეტერბურგის სტუდენტობა. მათ შორის კ ლორთქიფანიძემ და გ. წერეთელმა თავიანთი ნაწერებიც გამოუგზავნეს ჟურნალს. (А. Хахапов: „История грузинской словесности“ ტ. IV. გვ. 121).

დენი გრძელი, ბოლო მოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამეები გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მისი აზრების რჩევაში, მისი სიტყვების სჯაში, მასზე დავაში... ვინ დათვლის იმ ხანგრძლივ ბედნიერების აღტაცებას, ტვინის წვალებას და გრძნობის ამაღლების დღეებს, ან ვინ დაივიწყებს მათ სანიადაგოთ გულში ჩაქედილ კვალს... სად არიან დღეს ის გმირები, ვისი სიტყვები ჩვენ გონებას გვიხსნიდა, ვისი მაგალითი კაცად გვხდიდა, ვისი შრომა და ტანჯვა გვაკეთილშობილებდა და გვამაღლებდა? „Одних уже нет, а те далече". ზოგი მოკვდა ზოგი დაიკარგა, ზოგი კი".. (კატორღაში იტანჯება, უნდა სთქვას ავტორს, გულისხმობს რა ჩერნიშევსკის. ს. ხ.) [1]).

ნ. ნიკოლაძე აქ მარტო თავისთავზე არ სწერდა: ასეთსავე აღფრთოვნებასა და აღტაცებას განიკდიდენ ნ. ჩერნიშევსკისა და „სოვრემენიკის" მოღვაწეობით დიდი ნაწილი ქართველი მოწინავე ახალგაზრდობისა. აღსანიშნავია, რომ რუსეთში მყოფი ჩვენი ახალგაზრდობა პირადათაც იცნობდა ნ. გ. ჩერნიშევსკისა და მის ოჯახობას. ამის შესახებ ჩვენ მეტად საინტერესო დოკუმენტები გვაქვს: ერთის მხრივ, ნ. ნიკოლაძის მოგონებები, რომელიც დროგამოშვებით იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებში, მეორეს მხრივ კი, ი. ისარლიშვილის მოგონება, რომელიც 1913 წელს გამოაქვეყნა გ. თუმანიშვილმა. ჩვენ აქ არ შევეხებით ნ. ნიკოლაძის მოგონებებს, იგი საკმაოდ ცნობილი და ხელმისაწდომია [2]). მოვიყვანთ მხოლოდ ი. ისარლიშვილის [3]) მოგონებას უფრო ვრცლად:

---

[1]) ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე): „სხეათა შორის", „კრებული" № 4, გვ. 151 — 2 1873 წ.

[2]) იხ. ნ. ნიკოლაძე: „მოგონებანი სამოციან წლებზე" „კავკასიონსა" და „ახალ კავკასიონში"; „სტუდენტობის პირველი დრო" კრებულში „სახალწლო" 1880 წ.

[3]) ეს ისარლიშვილი 60-იან წლებში ორჯერ იყო დაპატიმრებული: პირველად 1861 წ. სტუდენტთა არეულობის გამო, ხოლო მეორეთ 1864 წ.

„ქართველ სტუდენტთა ჯგუფი, —მოგვითხრობს ძველი მოლვაწე, — რომელთა შორის იყვენ ისეთი პირები, რომლებმაც შემდეგში მეტად დიდი როლი ითამაშეს კავკასიაში პერიოდული გამოცემის დაარსების საქმეში და საერთოდ კავკასიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეიტანეს დიდი გამოცოცხლება, ძლიერ მიისწრაფოდა „სოვრემენიკის" რედაქციისაკენ. ზოგიერთ ჩვენთაგანს დამოკიდებულება და გულღია მოპყრობა, რომელსაც ჩვენ ვხვდებოდით ჩერნიშევსკის ოჯახში, ძლიერ გვიტაცებდა საღამოებზე, რომელსაც ექსპრომტად აწყობდენ ამ ოჯახში. ჩვენ ჩვეულებრივად მივდიოდით საღამოობით ჩაიზე, როდესაც სახლში დაგვხვდებოდა ოლღა სოკრატის ასული (ჩენიშევსკის მეუღლე, ს. ხ.) თავისი დით. დროს ვატარებდით უბრალო საუბარში, არც პოლიტიკურ შეთქმულებას, არც ლიტერატურულ საღამოებს ჩვენ არ ვმართავდით, მხოლოდ უბრალოთ ვსაუბრობდით, ვოხუჯობდით და ერთმანეთს ვაცნობდით იმ ახალ ამბებს, რომლითაც დაინტერესებული იყო მთელი პეტერბურგი. თვით ჩერნიშევსკი იშვიათად გამოდიოდა ჩვენთან; ის იჯდა თავის კაბინეტში და მუშაობდა. მხოლოდ ერთხელ, როგორც მახსოვს, ახალ წლის წინა ღამით, ჩვენ ოლღა სოკრატის ასულის მეთაურობით შევიჭერით მის კაბინეთში და გამოვიყვანეთ ის ჩვენს „კოსტუმებით" მოწყობილ საღამოზე. მას ოლღა სოკრატის ასულმა გადააცვა ქალის კოსტუმი და დაბეჯითებით იწვეედა საცეკვაოდ. ქმარიც და ცოლიც ყურადღებით გვეპყრობოდენ ჩვენ. ხანდისხან შემოდიოდენ ჩვენთან, რომ წავეყვანეთ სადმე. ერთხელ, როგორც მახსოვს, ჩერნიშევსკები ჩემთან შემოვიდენ მეოთხე სართულზე. ინიციატივა ყოველთვის ეკუთვნოდა ცოცხალსა და მოქმედს ოლღა სოკრატის ასულს, რომელთანაც ჩვენ დავამყარეთ წმინდა ამხანაგური დამოკიდებულება. იმ კავკასიელთა რიცხვში, რომელნიც დადიო-

დენ ჩერნიშევსკის ოჯახში მე მახსოვს ნ. ი. ნიკოლაძე. გ. ე. წერეთელი, ნ. ვ. ლოლობერიძე, ეჯუბოვი... და სხვები. იქ ჩვენ არაერთხელ ვხვდებოდით „სოვრემენიკის“ ახალგაზრდა თანამშრომლებს: ნ. ა. დობროლიუბოვს, პიოტროვსკის, პანტეელეევსა და სხვებს. სტუდენტთა მოძრაობასთან დაკავშირებით, კავკასიელებიდან ბ. ლ. ლოლობერიძე არა ერთხელ თათბირობდა ჩერნიშევსკისთან, ანტონოვიჩთან და ელისეევთან [1]). „სოვრემენიკის“ ჯგუფის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე ქართველი სტუდენტი კირ. ბეჟ. ლორთქიფანიძე, შემდეგში ქართველი ჟურნალისტი და მწერალი“ [2]).

ასე გადმოგვცემ სამოციანი წლების ერთი მოღვაწეთაგანი ქართველ სტუდენტთა ჯგუფის ჩერნიშევსკისთან დამოკიდებულებისა და პირადი ნაცნობობის ამბავს.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 1861 წ. ქართველმა სტუდენტებმა (ნ. ნიკოლაძე გ. წერეთელი, ბ. ლო-

---

[1]) ბ. ლოლობერიძე, შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სტუდენტობის დროს დაახლოვებული იყო „სოვრემენიკის“ ჯგუფთან. მას პანტელეევიც იხსენიებს თავის მოგონებებში. იგი სამოციან წლებში ნ. გ. ჩერნიშევსკისთან ერთად მოღვაწეობდა ერთ-ერთ კომიტეტში (იხ. Герцен: XV გვ. 25-6) 1862 წელს, როდესაც მესამე განყოფილებამ გააცხოველა ჩერნიშევსკიზე თვალყურის დევნება და მთელი რიგი პირებისა შეიტანა სიაში, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედონი ჩერნიშევსკისთან დამოკიდებლობის გამო, ამ სიაში ბესარიონ ლოლობერიძეც მოხვდა. ჟანდარმთა სამართველოს აგენტი აღნიშნავდა: „ნიკოლოზ უტინი, პეჩატნიკი და ლოლობერიძე,—სტუდენტები—შენიშნული არიან სტუდენტთა არეულობებში. მოაწყვეს დემონსტრაცია კოსტომაროვის ლექციაზე, იცინობენ ჩერნიშევსკის და ბრალათ ედებათ პავლოვის სასარგებლოდ მოწოდების დაბეჭდვა“ (იხ. Герцен: X გვ. 391 და შემდეგ). უდავოა, რომ ჩვენი ახალთაობის ინტელიგენცია პრაქტიკულადაც ებმებოდა რევოლუციურ მოძრაობაში.

[2]) Г. Туманов: „Чернышевский и кавказцы“ წიგნში: „Характеристики и воспоминания“ кн. I-ая, გვ. 230—33, 1913 წ.

ღობერიძე, ისარლიშვილი. კ. ლორთქიფანიძე, ჩოლოყაშვილი, დ. ღოლობერიძე და სხვ.) მხურვალე მონაწილეობა მიიღეს სტუდენტთა დემონსტრაციებში პეტერბურგში. 60-იანი წლების ამ წვრილ-ბურჟუაზიულ „რაზნოჩინური“ ინტელიგენციის მოძრაობამ დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა ქართველ ინტელიგენციაზე. ეს პირველი მაგალითი იყო საქართველოს ისტორიაში, როდესაც ქართველი ინტელიგენცია გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე და დემოკრატიულ-რევოლუციონურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. ამ პირველ გამოსვლისათვის მან რამოდენიმე ხნის ციხეც იგემა. მაგრამ ეს ფაქტი კიდევ უფრო ამტკიცებდა ინტელიგენციის კავშირს დემოკრატიულ მოძრაობასთან. ეს სტუდენტთა პირველი მნიშვნელოვანი დემოსტრაცია და მასში ქართველ სტუდენტთა მონაწილეობა ვრცლად აგვიწერა ნ. ნიკოლაძემ თაეის მოგონებებში. იგი სწერდა:

„სექტემბრის 24-ს... სასადილოში შემოვიდნენ ორი ღოლობერიძე ნ. შ. და ბ. ლ.. მათ გადმოგვცეს, რომ ხვალ მთელი სტუდენტობა დემონსტრაციაზე გამოდის და ჩვენც გამოუკლებლივ უნდა მივიღოთ მონაწილეობა.. შეუძლებელია ქართველები ჩამორჩნენ, როდესაც დემონსტრაციაში მონაწილეობას ყველა იღებენო... ბევრი კამათის შემდეგ ნაკოლოზ ღოლობერიძემ წასვლისას ეს სიტყვები გვესროლა: „ვინც მშიშარა ხართ სახლში დარჩითო“, ეს კი საკმაო იყო იმისათვის, რომ არა თუ დენოსტრაციაზე წავსულიყავით, არამედ თავი კედელზედაც მიგვეხეთქა“ [1]).

ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველი მოწინავე ინტელიგენცია 60 წლებში ჩაება საერთო მოძრაობის ფერხულში და მონაწილე გახდა ახალი დემოკრატიული მოძრაობისა. ეს სტუდენტთა და წვრილ ბურჟუაზიული

---

[1]) იხ. „ახალი კავკასიონი“.

ინტელიგენციის მოძრაობა ჩერნიშევსკის მიმდინარეობის და აზროვნების უშუალო გავლენას განიცდიდა. ქართველ სტუდენტობაზე ამ გზითაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა 60-იანი წლების ფართო დემოკრატიულ რევოლუციონურ მოძრაობას. მაგრამ ნ. ჩერნიშევსკის აზროვნებას უშუალოდ ეცნობოდა ქართველი ინტელიგენცია, განიცდიდა მის გავლენას და ცდილობდა მისი იდეების საქართველოს ნიადაგზე გადმონერგვას [1]) მაგრამ ჩერნიშევსკის გავლენა ორი მიმართულებით გამოიხატა ქართველ მოწინავე ინტელიგენციაზე: ქართველი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა შეითვისა ჩერნიშევსკის რადიკალურ-დემოკრატიული აზროვნება, ხოლო მეორე ნაწილმა დემოკრატიულ აზროვნებასთან ერთად მისი ნაროდნიკულ-სოციალისტური მსოფლმხედველობაც. (ნ. ნიკო-

---

[1]) სრულიად საფუძვლიანად სწერს თავის მოგონებებში გ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი: „ჩერნიშევსკის ახალგაზრდა თაყვნისაცემელნი, სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეუდგნენ საზოგადოებასა და მწერლობაში მისი იდეების პოპულარიზაციას“. (იქვე გვ. 233). ბ. ლოლობერიძის შესახებ იგივე თუმანიშვილი აღნიშნავს: „მას მეტად დიდი გავლენა ქონდა მოსწავლე ახალგაზრდობაზე და მიუხედავად თავისი საკმაოდ მაღალ ოფიციალური მდგომარეობისა. არ მალავდა თავის თანაგრძნობას სამოციანების იდეებისადმი“ (იხ. გვ. 234).

მაგრამ ჩერნიშევსკის იდეების პოპულარიზაცია მარტო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე კი არ ხდებოდა, არამედ მოსწავლე ახალგაზრდობაშიაც. უკვე 60-იან წლებიდან ჩერნიშევსკის გავლენა და სახელი შეიპრა ახალთაობის წრეებში და ამის უმთავრესი მეთაურები იყვნენ რუსეთიდან დაბრუნებული სტუდენტები. ე ლ ი ს ა ბ ე დ ყ ა ზ ბ ე გ ი თავის მემუარებში საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს თავის ძმის ნაროდნიკი დ ი მ ი ტ რ ი ყ ა ზ ბ ე გ ი ს შესახებ, რომელიც სტუდენტთა მოძრაობაში დიდ მონაწილეობას ღებულობდა—„დიმიტრის შინ დაბრუნებამ (1865) სწერს ელ. ყაზბეგი,—ნათელი სხივები შემოიტანა ჩვენს მივარდნილს ოჯახში; სოფლის მყუდრო ცხოვრება შეირყა, გაიღვიძა, ბამხიარულდა და გამაცოცხლებელმა სიომ დაბერა... დიმიტრიმ შესცვალა ჩვენი შინაური ცხოვრება. ჩვენ დებს სხვადასხვა

ლაძე და შემდეგ პერიოდში გამოსული ნაროდნიკული ინტელიგენცია*).

„თერგდალეულთა“ თაობა გამომხატველი იყო იმ მიმდინარეობისა, რომელმაც უშუალოდ შეითვისა ჩერნიშევსკის რადიკალ-დემოკრატიული შეხედულება. ამ თაობამ შემოიტანა ჩვენში რუსეთის 60-ანი წლების ახალი იდეები და გაცხარებული ბრძოლა გაჩაღდა ძველი თაობის ინტელიგენციის წინააღმდეგ. აქედან მიიღეს მათ დაცინვით სახელწოდება „თერგდალეულებისა“, რაც თავის თავად ნიშნავდა რუსეთის აზროვნების შეთვისებაზე მითითებას. ამ „თერგდალეულთა“ თაობამ პირველად თაეადაზნაურულ ორგანოში „ცისკარში“ შემდეგ კი საკუთარ ჟურნ. „საქართველოს მოამბეში“ (1863 წ.) წამოაყენა მთელი რიგი ღრმად მნიშვნელოვანი საკითხებისა. ორგანოს რედაქტორი ი. ჭავჭავაძე, პოეტი, ბელეტრისტი და პუბლიცისტი, იმ ხანებში რუსეთის 60-იანი წლების დიდ გავლენას განიცდიდა, ხოლო 70-იანი წლების მეორე ნა-

---

წიგნებს გვაძლევდა წასაკითხად, წაკითხულს გვიხსნიდა; დობროლუბოვის, ბელინსკის და კიდევ მრავალი სხვა რუსი გამოჩენილ მწერლების სახელები პირველად იმისაგან გავიგონე. იმის ამხანაგები ხშირად თითო-კვირაობით რჩებოდენ ჩვენთან და მაშინ დიმიტრის ოპარაკი და სხვადასხვა საგნებზე ბაასი დაუშრეტელ წყაროთ ხდებოდა. დიმიტრიმ მშვენიერის კილოთი იცოდა ხმამაღალი კითხვა და არა ერთხელ დაუტკბივართ მე-60 წლების ჟურნალ-გაზეთების კითხვით. პირველად მაშინ ალიძრა ჩემში სურვილი წიგნების კითხვის და ჩემი შრომით სიცოცხლის სახსრის მოპოვების; იმ დროს მისწრაფებანი შეიქმნენ ჩემი მომაჯადოებელნი“. (ელ. ყაზბეგი: „დ. ყაზბეგის და ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიული ცნობები“, მნათობი“ № 4 გვ. 191, 1925 წ.).

*) ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს: „იმ დროს არც ერთს ჩვენგანს აზრადათაც არ ჰქონია ხალხისი ერძო თავმოყვარეობა ან სარგებლობა. მაშინდელი ჩვენი მუსაიფის ან მსჯელობის საგანი, მაშინდელი ჩვენი შრომის მიზანი ის იყო, თუ რა მოვალეობა გვაწევს კისერზე ხალხისადმი, ან რა სახით უფრო სჯობია მომზადება ამ მოვალეობის ასასრულებლად“ (იხ. „სტუდენტობის პირველი დრო“ გვ: 179. 1880 წ.).

ხევრიდან იგი გახდა თავადაზნაურული ლიბერალიზმის მეთაური საქართველოში. ილია ჭავჭავაძის პირველი ნახევრის მოღვაწეობას აუცილებლად ატყვია ჩერნიშევსკის დემოკრატიული აზრების და საერთოდ 60-იანი წლების პროგრესიულ მიმდინარეობის გავლენა [1]. ამ პერიოდის ილ. ჭავჭავაძის — პირველი მხატვრული ნაწერები, მიმართული ბატონ-ყმობის, ულლის წინააღმდეგ, დაწერილი არის ჩერნიშევსკის და „სოვრემენიკის" დიდი გავლენის ქვეშ. ცნობილი პოემის „აჩრდილის", „შრომის სუფევის" მოტივები ნათლად ამტკიცებს ამ დიდ გავლენას.

რასაკვირველია აქ ჭავჭავაძის სოციალიზმზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ მის დემოკრატიულ აზროვნებაზე, რომელიც უშუალოდ მომდინარეობდა რუსეთის 60-იანი წლების პროგრესიულ-დემოკრატიულ მიმდინარეობიდან.

ამ გარემოებას 60-იან წლებშიეე მიაქციეს ყურადღება, როდესაც მას ჩვენში ბელინსკობა და ჩერნიშევსკობა

---

[1]) აღსანიშნავია, რომ ილ. ჭავჭავაძე 80-იან წლებშიაც დიდი პატივისცემით იხსენიებდა ჟურნალ „სოვრემენიკის" მოღვაწეობას რუსეთის გამოფხიზლების საქმეში. 1881 წელს ერთ თავის „შინაურ მიმოხილვაში" იგი სწერდა: „ის საზოგადოება მთელის თავის ძალღონით მიაწყდა ამ უშველებელ საქმეს უარყოფისას, და ყოველს მის მოქმეობაში ან წუნი და კიცხვაა დრო-გადასულის ძველისა, ან მოძღვრება და ნატერა ნელად აკვირტობულის ახლისა. უკეთესნი წარმომადგენელნი ამ საზოგადოებისა — პოეზიაში, მეცნიერებაში თუ პუბლიცისტიკაში, — სულ ამ დიდის საქმის მიმდევარნი იყვნენ დაუღალავად. მათის მართლა და დაუვიწყარის ღვაწლით მაგ თამამმა უამრყოფელმა მიმართულებამ ფეხი კარგად განზედ გაიდგა რუსეთში და ცხოვრების მოედანზე დაიპერა ადგილი. ამ ახალ მიმართულების მესვეური იყო სანელოვანი „Современник"-ი... მინამ სახელოვანი „Современник"-ი თავში ედგა მას, რაც მერე „შვილების" ბანაკად გადიქცა, ძველის უარყოფას დამჯდარი ჰკუა და მეცნიერება წინ მიუძღოდა და ახლის მესვეურობა თავმინებებული არ იყო" (იხ. „იეერია" № 5, 1881 წ. ილ. ჭავჭავაძის ნაწერები: ტ. VI გვ. 118, 125).

დაწამეს. „ჩვენა ტ ოქვენ ამ შეიმთხვევაში ბელინსკობა და ჩერნიშევსკობა არ გამოგვადგება. ჯერ კოტიც არის უნდა ბიგვიგავდეს იმათა და მერე მივბაძოთ“, — სწერდა 1863 წ. ი. ჭავჭავაძის შესახებ ან. ფურცელაძე. 80-იან წლებში ამ გარემოებაზე ნაროდნიკული ინტელიგენციაც — მიუთითებდა: ილია ჭავჭავაძე „იმ ქართველ ყმაწვილების რიცხვში მოყვა, რომელნიც იზრდებოდენ და იწვრთნებოდენ ჰუმანიურ და სოციალისტიკურ ნაწერებით დობროლიუბოვის და ჩერნიშევსკისა“ — სწერდა ნაროდნიკული „იმედი“ 1882 წ.

„საქართველოს მოამბემ“ ხელოვნებისა და მეცნიერების საკითხში შეიტანა რეალიზმისა და უტილიტარიზმის პრინციპი [1]). იმისი აზრით ხელოვნება ხალხის გულიდან უნდა კრეფდეს მასალას და ხალხს უნდა ეხმარებოდეს ცხოვრების განახლებაში. „ჩვენ მეცნიერებასა და ხელოვნებას ბოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის გამოსადეგსა და მოსახმარსა, — სწერს ჟურნალი, — მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებებით ცხოვრების ახსნით და გაგებით, მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვებზედა“ [2]).

„ხელოვნებასაც იმას მოვთხოვთ, — ვანაგრძობს ჟურნალი, — რომ სარკესავით ცხოვრება გადმოსცეს, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ... დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირში, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრს.

---

[1]) ჟურნალში ვხედავთ დობროლიუბოვის და ბელინსკის ზოგიერთ წერილების თარგმანს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბელინსკის ესთეტიური თეორიის განმარტება სპ. ჩიტორელიძის (მ. ყიფიანის) წერილში (იხ. „საქ. მოამბე № 7, 8, 1863).

[2]) საქართველოს მოამბე № 1 გვ. 123, 1863 წ.

ლექს და ლაფსა, არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეცნიერებასა".

ასეთი რეალისტური და უტილიტარული პრინციპები შემოიტანა „საქართველოს მოამბემ" ქართულს ლიტერატურაში. ხელოვნება მისთვის ცხოვრების მსახური არის, მისი გაუმჯობესებისათვის მებრძოლი ძალაა. თეორია: ხელოვნება ხელოვნებისათვის, რომელიც გაბატონებული იყო რუსეთის ჩერნიშევსკის წინადროის ლიტერატურაში, გადაჭრით უარყო ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის მესვეურებმა საქართველოში და ქართული აზროვნების რენესანსის დასაწყისში მათ პირნათლად გადმონერგეს ჩვენში ბ. ბელინსკისა და ნ. ჩერნიშევსკის ესთეტიურ-ლიტერატურული თეორიები[1]). რეალისტური და უტილიტარული პრინციპები, რომელიც „საქართველოს მოამბემ" გაამეფა ქართულს ლიტერატურაში, სრულიად ახალი ხილი იყო უკანასკნელისათვის. ნაცვლად ძველი თაობის სქოლასტიურ-რელიგიური აზროვნებისა, რომელიც აღმოცენებული იყო ანტონ კათალიკოსის შეხედულებებზე, აღნიშნულმა ორგანომ საფუძვლები ჩაუყარა ახალ აზროვნებას, რომელმაც შემდეგში ღრმად გაიდგა ფესვები ჩვენს ლიტერატურაში.

რაციონალიზმი, აი რა ედვა საფუძვლად 60-იანი წლების ჩვენი ახალთაობის ინტელიგენციის ისტორიულ-სოციოლოგიურ მსოფლმხედველობას.

თუ ჩერნიშევსკის სოციოლოგიურ შეხედულებას ახასიათებდა მატერიალისტური და იდეალისტური ელემენტები, 60-იანი წლების ქართულმა დემოკრატიულმა ინტელიგენციამ ნ. ჩერნიშევსკის მოძღვრებიდან უშვალოდ გადმოიღო უკანასკნელი და ამით ჩვენს ლიტერატურაში განამტკიცა ისტორიული იდეალიზმი. ამ იდეალისტური

---

[1]) შეად., ან ფურცელაძის (ქერელი ბექას) წერილს 1863 წ. „ცისკრის" № 1-ში.

და რაციონალისტური საზომით აშუქებდა 60-ანი წლებისა და შემდეგი პერიოდის ჩვენი ინტელიგენცია საზოგადოებრივ პრობლემებს.

იბრძოდა რა სქოლასტიურ-რელიგიური აზროვნების წინააღმდეგ, ჟურნალი მასთანვე გარკვევით ქადაგებდა დემოკრატიზმს, მიუხედავათ სასტიკი ცენზურული პირობებისა, და ილაშქრებდა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, მოითხოვდა ხალხში განათლების შეტანას და ფართო მასების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჟურნალი „საქართველოს მოამბე" თავის სახელმძღვანელო წერილში სწერდა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გაუმჯობესება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია" (№ 1). განათლების შეტანა ხალხში და ხალხის წინ წამოყენება, მისი ინტერესების დაცვა მთავარ სამოღვაწეო საქმეთ გადაიქცა თერგდალეულთა თაობისათვის 60-იანი წლების დასაწყისიდანვე.

„ეს ისტორიით დამტკიცებულია, რომ რა სახელმწიფოშიაც მოხდენილა რაიმე ცვლილება, ეს მოხდენილა ყოველთვის განათლებულთაგან, რომელნიცა ყველგან, რაც უნდა სთქვას სხვამ, აწარმოებენ თავის ნებაზე ხალხის სამეუფო ნებასა, ე. ი. მიიმხრობენ მდაბიო ხალხსა, როგორც უძლეველსა ძალასა და იმის შემწეობით ასრულებენ საქმესა"—[1]). ასე სწერს ვ. თულაშვილი „საქართველოს მოამბის" ფურცელზე და აქ მისი პირით ქართველი 60-იანი წლების „განმანათლებელი" ღაღადებს, რომელმაც ჩერნიშევსკის სკოლაში შეისწავლა განათლების მნიშვნელობა და ხალხისადმი სამსახური.

განსაკუთრებით აღსანიშნავი არის ჟურნალის მიერ თავისუფალი შრომის პრინციპების წამოყენება, რომელიც პირდაპირ გადმოღებული არის ჩერნიშევსკის მოძღვრე-

---

[1]) ვ. თულაშვილი: „სხვადასხვა ამბავი", „საქართველოს მოამბე" 1, გვ. 140, 1863 წ.

ბიდან. დ. ყიფიანი სწერდა: „თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია... მთელ საზოგადოებაში ყოველი კერძოობით კაცი უნდა იყოს მშრომელი და მშრომელი თავისუფლათა და, მაშასადამე, ნაყოფიერათაც: და თუ საზოგადოებაში ყოველი მისი წევრი ნაყოფიერათ შრომობს საზოგადოებაც კეთილმდგომარეობაში შევა" [1]).

რასაკვირველია თავისუფალი შრომის პრინციპის წამოყენება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სოციალისტური აზროვნების შეთვისებას, მაგრამ ეს პრინციპი საუკეთესო იარაღი იყო ახალთაობის ინტელიგენციის ხელში ძველი დახავსებული წყობილების კრიტიკის საწარმოებლად. შემდეგში ამ პრინციპმა დემოკრატიულად მოაზროვნე ინტელიგენციაში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა.

არ შეიძლება აქ არ აღინიშნოს გ. წერეთელი, ცნობილი ბელეტრისტი და პუბლიცისტი, რომელიც „თერგდალეულთა" თაობის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. გ. წერეთელი, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელმაც 1861 წ. სტუდენტთა არეულობაშიაც მიიღო მონაწილეობა, საკმაოდ იცნობდა რუსეთის ლიტერატურასა და საზოგადოებრივ — რადიკალურ აზროვნებას. მისი აზროვნება უკვე 60 იან წლებიდან განვითარდა რადიკალიზმის გზით [2]) ეს რადიკალურ-დემოკრატიული ნაკადი მის ნაწერებში შეუწყვეტლივ მიმდინარეობდა 90-იან წლებამდე, როდესაც მან მოინდომა ს.-დემოკრატიულ მიმდინარეობასთან შეთანხმება და თანამშრომლობა. 1873 წ. ერთს თავის პუბლიცისტურ წერილში იგი სწერდა: „ამ სახით ჩვენი თავად-აზნაურობის დასუსტება და მუშა ხალხის სულის ჩადგმა, იმისი

---

[1]) დ. ყიფიანი: „სხვადასხვა ამბავი", საქართველოს მოამბე" № 4, გვ. 109, 1363 წ.

[2]) იხ. მისი წერილები „საქართველოს მოამბეში" № 5 და სხვ.

წინ წამოწევა,—აი ერთი სანუგეშო მიზანთაგანი ამ დროებისა. მაშ გაუმარჯოს მშრომელ ერს და მის მოთავე მშრომელ, განათლებულს ახალგაზრდობას. ჩვენი ქვეყნის ბედნიერება შემდეგში ამათს ერთმანეთთან დაკავშირებაზე და დამეგობრებაზეა დამოკიდებული" [1]).

ამრიგად გ. წერეთელი 60-იანი წლებისა და განსაკუთრებით ჩერნიშევსკის ერთ საინტერესო მოწაფეთ უნდა ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც მან შეითვისა ამ ეპოქის დემოკრატიულ-რადიკალური აზროვნება და მას ემსახურებოდა თავისი ხანგრძლივი ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში.

ამრიგად ყველა ზემოდ ჩამოთვლილი დებულებები 60-იანი წლების ქართველმა ინტელიგენციამ უშუალოთ შეითვისა რუსეთის 60-იანი წლების რადიკალურ აზროვნებიდან და ამით სრულიად უჩვეულო ნაკადი შეიტანა ქართულს აზროვნებასა და ქართულს ლიტერატურაში. ჩერნიშევსკის გავლენა დემოკრატიულათ მოაზროვნე ინტელიგენციაზე აქ უდავოთ უნდა იქნეს ცნობილი: მისი ესთეტიური თეორია, რეალიზმი, კრიტიკა მაშინდელი არსებულ წყობილებისა, რაციონალიზმის, უტილიტარიზმისა და დემოკრატიზმის პრინციპები საკმაოდ გამოიყენა ინტელიგენციამ და გაამდიდრა ქართული ლიტერატურის ოჯახი რუსეთის ახალი აზნოვნების ნაყოფით. შემდეგში „თერგდალეულთა" და „საქართველოს მოამბის" იდეური მიმდინარეობის გამგრძელებელი შეიქნა გაზეთი „დროება" (1866—85), „კრებული" (1871—73) და „მნათობი" (1869—73). მათ უფრო გაარღმავეს „საქართველოს მოამბის" დაწყებული საქმე და განამტკიცეს დემოკრატიულ-რადიკალური და რაციონალისტური მსოფლმხედველობა.

---

[1]) გ. წერეთელი: „ამ დროის მოძრაობა", „კრებული" № 3, გვ. 231, 1873 წ.

მაგრამ ჩერნიშევსკისა და მისი ჯგუფების უშვალო გავლენით ქართველმა ინტელიგენციამ შეითვისა არა მარტო დემოკრატიულ-რადიკალური აზროვნება, არამედ სოციალისტურ-ნაროდნიკული მსოფლმხედველობაც. როგორც ცნობილია, ჩერნიშევსკის მოძღვრებაში და სოციალურ აზროვნებაში თავმოყრილი იყო, როგორც მეცნიერული სოციალიზმის ელემენტები, აგრეთვე ნაროდნიკული უტოპიზმის დებულებაც. ქართველი სოციალისტური ინტელიგენციისათვის მისაბაძი გახდა სწორედ ეს ნაროდნიკული მსოფლმხედველობა და მისი ასოციაციის თეორიები.

უნდა ითქვას, რომ ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ ქართველი ინტელიგენციის წინაშე წამოიჭრა ღრმად მნიშვნელოვანი საკითხი საქართველოს ეკონომიური განვითარების შესახებ; რომელი გზა სჯობია საქართველოსათვის: გზა ინდივიდუალურ-კაპიტალისტური თუ ასოციაციურ-კოოპერატიული.

ამ საკითხის გამორკვევის დროს ინტელიგენციამ გამოიყენა ჩერნიშევსკის მოძღვრებიდან შეთვისებული კაპიტალიზმის კრიტიკა და უარყო მისი განვითარების სარგებლიანობა საქართველოსთვის. ინტელიგენციის საგრძნობ ნაწილს ღრმად აუიქრებდა „პროლეტარიატში ჩაცვენის“ შიში და მოითხოვდა ასოციაციების, კოოპერატივებისა და საერთოდ კოლექტიური მეურნეობის დაარსებას როგორც სოფლად, ისე ქალაქად. აქაც ინტელიგენცია იყენებდა შრომის პრინციპს, მხოლოდ მის განხორციელებას მოითხოვდა კოლექტიურ ფორმაში. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ დებულებების დასამტკიცებლად მაშინდელ ორგანოებში არა ერთხელ ვხვდებით „სოვრემენიკის“ გვერდებზე ბითითებებს. ამრიგად ინტელიგენციამ ფართოდ შეითვისა ჩერნიშევსკის დებულებები და თავისებურად გამოიყენა იგი საქართველოს სინამდვილისათვის. გარკვე-

ულ კოლექტიური ასოციაციური პროგრამის შემუშავების საქმეში.

კერძოდ ჩერნიშევსკის დიდ გავლენას განიცდიდენ 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის ისეთი საუკეთესო წარმომადგენლები ახალი ასოციაციის-სოციალისტური მიმდინარეობისა, როგორიც იყვნენ ან. ფურცელაძე, გრ. თარხან-მოურავი, კ. ლორთქიფანიძე, მ. ქიქოძე და სხვები [1]).

ანტონ ფურცელაძე ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელი არის 60-იანი წლების ჩვენი ახალთაობისა, რომელმაც რუსეთის სოციალისტური აზროვნების დიდი გავლენა განიცადა. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა მრავალმხრივია, 70-იან წლებში იგი პრაქტიკულ მონაწილეობასაც ღებულობდა ნაროდნიკულ პარტიაში მას ეკუთვნის მთელი რიგი სოციალისტური ხასიათის წერილები 60-70-იან წლების ქართულ მწერლობაში.

გრ. თარხანმოურავის ნაწერები, რომელთაც ატყვია ჩერნიშევსკის აზროვნების დიდი გავლენა, (იგი ხშირად მიგვითითებს „სოვრემენიკის" წერილებზე) საინტერესოა ეკონომიური მომენტის პირველ რიგში წამოყენებით, შრომის ღირებულების შეთვისებით და ასოციაციური თეორიის დაცვით. იგი გადაჭრით მოითხოვს ასოციაციიდან ფულის გამოდენას და შრომის პრინციპის გაბატონებას მასში. საქართველოს ერთად ერთ ხსნას იგი შრომის ასოციაციების დაარსებაში ხედავდა. აშკარაა, რომ ამ მწერალმა ჩერნიშევსკის პროგრამის თანახმად მოინდომა ჩვენში ასოციაციების შემოღება და მით საქართველოს გადარჩენა კაპიტალიზმის გამანადგურებელ გავლენისაგან.

---

[1]) იხ. ამის შესახებ ჩვენი წიგნი: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში" ტომი პირველი.

არ შეიძლება აქ არ ავღნიშნოთ ცნობილ ეარლამ ჩერქეზიშვილის (184-1925) რევოლუციონური მოღვაწეობა 60-იან წლებში. სრულიად ახალგაზრდა 1764 წ. იგი მუშაობდა უშიტინის ჯგუფში, რომელიც ნ. ჩერნიშევსკის იდეურ გავლენას განიცდიდა. ამ ჯგუფის წევრთა განმარტებით ნ. ჩერნიშევსკი იაკობინური ტაქტიკის მომხრე იყო, ჩერქეზიშვილიც ასეთს ინტერპრეტაციას უკეთებდა ჩერნიშევსკის მოძღვრებას: 1866 წ. ჩერქეზიშვილი გაასამართლეს კარაკოზოვის ტერორისტული აქტის გამო. როგორც იაკობინელი და რევოლუციონერი იგი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ნეჩაევის ორგანიზაციაში, რისთვისაც ჩერქეზიშვილი 1869 — 76 წ. ციხე-კატორღით დასაჯეს. შემდეგში ჩერქეზიშვილი საზღვარ-გარეთ გაიქცა და იქ ბაკუნინის მიმდევარი გახდა როგორც ანარქისტი იგი ცნობილია როგორც რუსეთში, აგრეთვე ევროპაშიაც [1]).

მაგრამ ყველაზე უფრო დიდი გავლენა ჩერნიშევსკის აზროვნებისა 60-იან წლებში ნ. ნიკოლაძემ განიცადა. [2]). ნიკოლაძე პირადათ იცნობდა ჩერნიშევსკისა და მის ოჯახობას [3]) შემდეგში იგი მონაწილეობას ღებულობდა ჩერნიშევსკის განთავისუფლების საქმეში, როდესაც „ნაროდნაია ვოლიამ“ ერთერთ პირობათ რუსეთის თვითმპყრობელობას ჩერნიშევსკის კატორღიდან განთავისუფლება მოსთხოვა [4]).

---

[1]) Б. Николаевский: „В. Н. Черкезов“ ჟურ „Каторга и ссылка“ № 4, 1926 წ.

[2]) ამის შესახებ იქვე, აგრეთვე ჩვენივე: წერილი ნ. ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური იდეები“. „ქართულ მწერლობა“ (№ 4) 1928 წ.).

[3]) ნ. ნიკოლაძე: მოგონებები 60-იან წლებზე „კავკასიონი“ № 3-4, 1924 წ. აგრეთვე მისივე წერილი: „სტუდენტობის პირველი დრო (1861 წ.) კრებულში „საახალწლო“ 1880 წ.

[4]) Н. Николадзе: „Освобождение Чернышевского“ „Былое“ 1906 წ.

ნიკოლაძეს რუსეთში იმ პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, როდესაც სტუდენტთა მოძრაობამ ფართო ხასიათი ვიიღო. 1861 წელში მომხდარ სტუდენტთა არეულობაში მან სხვა ქართველ სტუდენტებთან (გ. წერეთელი, დ. ღოღობერიძე, ბ. ღოღობერიძე, კ. ლორთქიფანიძე, ჩოლოყაშვილი, ალხაზიშვილი, ისარლიშვილი და სხვ.) ერთად მონაწილეობა მიიღო, რისთვისაც რამოდენიმე ხანი იჯდა კრონშტატის ციხეში. 1864—68 წლებში ნიკოლაძე მოხვდა საზღვარგარეთის ემიგრაციაში: პირველ ხანებში იგი მონაწილეობას ღებულობდა გერცენის „კოლოკოლში", ხოლო შემდეგში დასცილდა მას და ცხარე პოლემიკასაც აწარმოებდა მის წინააღმდეგ. 1865 წ. „კოლოკოლში" მან მოათავსა რამოდენიმე წერილი, რომელშიც ნათლად არის გამოთქმული მისი ნაროდნიკულ-სოციალისტური შეხედულება და რომელთაც აზის ჩერნიშევსკის გავლენის ბეჭედი [1]). ერთს წერილში იგი სწერს: „ჩვენ რელიგიურად დარწმუნებული ვართ, რომ ერთად ერთი ფორმა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა, რომელსაც შეუძლიან ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს, არის თემობრივი განაწილება მიწისა და ყველა სხვა საკუთრებისა და თემობრივი ორგანიზაცია,

---

[1]) თუ როგორ დიდათ აფასებდა ნ. ნიკოლაძე ჩერნიშევსკისა და მის მოძღვრებას ამის შესახებ ჩვენ საკმაოდ ბლომად გვაქვს ლიტერატურული მასალები. იმ ხანებში ეს არც მეფის აგენტებისათვის იყო უცნობი. ერთ-ერთი საზღვარგარეთელი აგენტის საშვალებით მესამე განყოფილებამ უკვე იცოდა, რომ ნ. ნიკოლაძე ჩერნიშევსკის იდეების დიდ გავლენას განიცდიდა და მისი იდეების პოპულარიზაციას ეწეოდა საზღვარგარეთ. იგი სწერდა. „Николадзе превозносит Чернышевского выше всего и говорит что он весь проникнут идеями Чернышевского, что никогда, никакая страна не производила такого человека, такого таланта, как Чернышевский" — (იხ. Б. Козьмин: „Революционное подполье в эпоху белого террора", გვ. 74, 1929 წ.).

როგორც სახალხო შრომისა, ისე სახელმწიფოებრივი მმართველობისა. . ღრმად დარწმუნებული ასეთი სახელმწიფოებრივი წყობილების უდიდეს სარგებლიანობაში, ჩვენ უნდა ვსცდილობდეთ რაც შეიძლება უახლოეს დროში შემოვიღოთ იგი საქართველოში“ [1]).

შეითვისა რა ნაროდნიკული სოციალიზმის უტოპიური შეხედულება თემურ წყობილებაზე, ნ. ნიკოლაძემ უარყო ევროპის კაპიტალიზმის საჭიროება და სარგებლიანობა საქართველოსთვის. იგი გადაჭრით უარყოფს კაპიტალიზმის განვითარების სარგებლიანობას საქართველოსთვის და მოითხოვს თემური წყობილების გზით ქართველი ხალხის ეკონომიურ აღორძინებას.

აღსანიშნავია, რომ იმ მთავარ სადავო საკითხში, რომელიც სწარმოებდა ჩერნიშევსკისა და გერცენის შორის ევროპის განვითარების შესახებ, ნიკოლაძე გადაჭრით იცავდა ჩერნიშევსკის ხაზს. იგი სწერდა:

...„ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ დასავლეთ ევროპა თავის ცხოვრებაში დახავსდა და მას არ შეუძლია უკეთესად მოეწყოს სლავური ან რომელიმე სხვა ელემენტის დაუხმარებლად. ამ შემთხვევაში გვაპატიონ „კოლოკოლის“ დიდათ პატივცემულმა გამომცემლებმა (ე. ი. გერცენმა და ოგარიოვმა), რომ ჩვენ საკუთარი არ ვიზიარებთ მათ უსასოებას თანამედროვე ევროპის არევ-დარევის შესახებ. წინააღმდეგ მათი აზრისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ევროპა მაინც გაიტანს თვისას და მაინც მიაღწევს (უმაღლეს) იდეალამდე“. . [2]).

1866 წ. ნიკოლაძემ გამოსცა ჟენევაში საინტერესო წიგნაკი კარაკოზოვის ტერორისტული აქტის გამო: «Пра-

---

[1]) Рио Нели: „Освобождение крестьян в Грузии“ — „Колокол“ № 199, 1865 წ.

[2]) იქვე.

вительство и молодое поколение»' Никифор Г... ფსევდონიმით. ამ ბროშურაში ნიკოლაძე უარყოფს ტერორისტულ ტაქტიკას, მაგრამ რადიკალურად განწყობილი არის არსებული წყობილებისა და არსებული მთავრობის წინააღმდეგ იგი აღნიშნავს, რომ მთავრობასა და ახალგაზრდობას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი არის გაჩაღებული და მათ შორის „შეუძლებელია, სრულიად მოუხერხებელია რაიმე სახით დაახლოვება, შეუძლებელია რაიმე შეთანხმება, წარმოუდგენელია რაიმე დათმობა“ [1]). ამ პერიოდში ნიკოლაძე უკვე ებრძოდა გერცენს და მის „კოლოკოლს“ და სცდილობდა ჩერნიშევსკის ხაზის გატარებას წაზოგადოებრივ საკითხებში. იმავე ბროშურაში ნიკოლაძე სწერდა:

„ახალი თაობა 1856 წლიდან შეუდგა საზოგადოებაში ახალი აზრების გატარებას საზოგადოებრივ ურთიერთობასა, ხელოვნებასა, მეცნიერებასა და სხვათა შესახებ... ასეთი იყო ჩერნიშევსკის მეგობრების მოღვაწეობა მთელი 1856 —1862 წლების განმავლობაში. ჩერნიშევსკი და მისი მეგობრები წარმოადგენდენ ახალთაობას,—ისინი მუშაობდენ მათი (ახალთაობის) მისწრაფებების განსახორციელებლად და ასრულებდენ შესაძლებლობისდაგვარად მათს პროგრამას... ეს ჯგუფი იცავდა გლეხთა უფლებას მიწაზე, მხარს უჭერდა თემობრივ მფლობელობას მიწის კერძო-საკუთრების წინააღმდეგ, ის სცდილობდა გაევრცელებია საზოგადოებაში შეგნება საკუთარ ინიციატივის აუცილებლობისა, ის ავრცელებდა ცალკე პირებში აზრს პირადი დამოუკიდებლობისა და ადამიანური ღირსების შეგნების შესახებ, ის აყენებდა ყველაზე მაღლა საერთო კეთილდღეობას და ამ საზომით უარყოფთა ყოველგვარ ძალდატანებასა და ექსპლოატაციას“ (იქვე გვ. 33 — 34).

---

[1]) Никифор Г.. (ნ. ნიკოლაძე): „Правительство и молодо поколение“ გვ. 29, 1866 წ. ჟენევა.

1868 წ. ნ. ნიკოლაძემ ლ. მეჩნიკოვთან ერთად გამოსცა პატარა ჟურნალი «Современность»,[1]). რომელშიაც იგი ჩერნიშევსკის ხაზს ატარებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ნიკოლაძეს ჩერნიშევსკი არ მიაჩნია რევოლუციონური შეთქმულების და ტერორისტული ტაქტიკის მომხრეთ. იგი აღნიშნავს, რომ ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი იყურებოდენ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების სიღრმეში, მეცნიერულად არკვევდენ მისი ჩამორჩენის მიზეზებს და სცდილობდენ დახავსებული წყობილების რადიკალურად გარდაქმნას. მაგრამ მათი ტაქტიკა არ მიდიოდა შეთქმულებასა და ტერორამდე. ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი ფიქრობდენ, რომ „ამჟამად აუცილებელია უფრო გონივრული და პრაქტიკული ცდები შესაცვლელად, ასე თუ ისე გარკვეული ფარგლების მიხედვით იმ ცხოვრებისა, რომელიც ჩვენ არ მოგვწონს, და აშენება პირადი ცხოვრებისა და ახლობელ პირთა ცხოვრების იმ საფუძვლებზე, რომელიც უფრო სამართლიანია, რომ თანდათან შეიქმნეს და გაიზარდოს ძალა საზოგადოებრივ ურთიერობათა საფუძვლების უფრო ფარ-

---

[1]) გორბოვი ამ ჟურნალის შესახებ სწერს, რომ ის იყო „საერთო რევოლუციონური მიმდინარეობის, მაგრამ არა სოციალისტური" („Русская секция 1-го интернационала" გვ. 11). ეს შეცდომაა: აღნიშნული ჟურნალი საერთოდ—სოციალისტური მიმდინარეობისა იყო. მაგრამ არა რევოლუციონური. ამ ჟურნალის შესახებ ა. გერცენი სწერდა: „მიმართულება საკუსებით რადიკალურია და სოციალისტური" (ტ. 20 გვ. 295) პროფ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი აღნიშნავს, რომ ჟენევაში ყოფნის დროს ნიკოლაძემ დაარსა ქართველთა კავშირი „ულელის" სახელწოდებით, რომელიც სცემდა თავის ორგანოს „სოვრემენნოსტს" (იხ. მისი: „ История груз. словесности". ტ. 4 გვ. 296) აქ ფაქტების არევაა ერთმანეთში: „ულელი" დაარსდა ციურიხში 1873 წ. (იხ. „დროება" № 16, 1873 წ.) ხოლო აღნიშნული ჟურნალი გამოდიოდა 1868 წ. ჟენევაში.

თო და რეალურ გარდაქმნისთვის“ [1]). რასაკვირველია, ნ. ნიკოლაძემ, ისე როგორც სხვებმა, შეცდომით გაიგო ჩერნიშევსკის ტაქტიკა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ იგი ჩერნიშევსკის მოწაფედ სთვლის თავის თავს და მისი აზრების გავრცელებას სცდილობს [2]). ემიგრაციიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1868 წ.) ნიკოლაძე მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ქართულ პრესაში და 70-იანი წლების განმავლობაში ატარებდა იმ ხაზს, რომელიც მან გამოსთქვა «Современность»-ის ფურცლებზე ჩერნიშევსკის პროგრამის განმარტების დროს. სრულიად საფუძვლიანად სწერს თავის მ ო გ ო ნ ე ბ ა შ ი გ. თუმანიშვილი, რომ „ნ. ი. ნიკოლაძე არა ერთხელ ატარებდა საზოგადოებაში ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის იდეებს“ [3]). მართლაც საკმარისი არ-ს ერ ამოვალიეროთ ნ. ნიკოლაძის ნაწერები 70-იან წლებში, რომ დაინახოთ ჩერნიშევსკის გავლენა მასზე. მას, როგორც იგივე თუმანიშვილიც აღნიშნავს, ხშირად მოჰყავს ჩერნიშევსკის ნაწერებიდან ვრცელი ციტატები, მაგრამ ავტორს კი არ ასახელებს ცენზურულ პირობების გამო. მაგ. „კრებულის“ პირველ ნომერში (187' წ.) „მკითხველთან საუბარში“ ნიკოლაძეს მოყვანილი აქვს ჩერნიშევსკის რომანიდან («Что

---

[1]) ხელმოუწერელი წერილი: „Два поколенгл“ — „Современность“ № 6 გვ. 86, 67, 1868 წ. ამავე წელში ნ. ნიკოლაძის ასეთი პოლიტიკისა და ტაქტიკის წინააღმდეგ ა. ს ე რ ნ ო - ს ო ლ ო ვ ი ო ვ ი ჩ მ ა გამოუშვა ბროშურა: „Миколка публицист“.

[2]) უნდა აღინიშნოს, რომ 1868 წ. საზღვარგარეთ გამოვიდა ნ. ჩერნიშევსკის თხუზულებათა პირველი ტომი ნ. ნიკოლაძის რედაქციითა და წინასიტყვაობით, რომელშიაც აღნიშნულია ჩერნიშევსკის დიდი ღვაწლი რუსეთის ლიტერატურაში. ეს იყო პირველი ცდა ჩერნიშევსკის ნაწერების სრული კრებულის გამოცემისა. ნიკოლაძის წინასიტყვაობამ ძლიერ გააბრაზა გერცენი, რომელიც კერძო წერილებში სასტიკად ილაშქრებს ნიკოლაძის წინააღმდეგ.

[3]) Туманов: „Характеристики“... გვ. 234.

делать?») ეპიგრაფათ რუსულად და ქართულად ვერა პავლოვნას მეოთხე სიზმარის შემდეგი ცნობილი ადგილი: „მომავალი ბრწყინვალე და მშვენიერია. შეიყვარეთ იგი, გაეშურეთ იმისკენ, იმუშავეთ იმისთვის, დაიახლოვეთ იგი, რამდენის გადმოღებაც შეგიძლიანთ, გადმოიღეთ იქიდგან ამ ცხოვრებისთვის. თქვენი ცხოვრება იქნება იმდენათ ნათელი, სავსე სიკეთით, მხიარულებით და სიამოვნებით, რამდენათაც უფრო ბევრის გადმოღებას მოახერხებთ მომავალი ცხოვრებისაგან აწინდელში. გაეშურეთ მისკენ, იმუშავეთ იმისთვის, რამდენიც შეგიძლიანთ გადმოიღეთ იქიდგან ყოველივე ეხლანდელ ცხოვრებისათვის“ [1]).

ნიკოლაძის სხვა ნაწერებშიაც ჩვენ ხშირად ვხვდებით ციტატებს დობროლუბოვისა და ჩერნიშევსკის ნაწერებიდან [2]). მაგრამ ეს ხდებოდა იმ პერიოდში როდესაც ნიკოლაძე ჯერ კიდევ განიცდიდა სოციალისტური აზროვნების გავლენას; 80-იანი წლებიდან მისი აზროვნება საკმაოდ შეიცვალა და იგი გახდა საქართველოში პროგრესიული ბურჟუაზიის იდეოლოგი.

70-იანი წლების დასაწყისში ნ. ნიკოლაძე პოლიტიკურ და ეკონომიურ-საზოგადოებრივ ხასიათის წერილებთან ერთად ხშირად ათავსებდა კრიტიკულ ნარკვევებსაც.

---

[1]) იხ. „კრებული“ № 1 გვ. 158. 1871 წ.

[2]) 60-იანი და 70-იან წლების ქართულ ლიტერატურაში არა ერთხელ ვხვდებით დობროლუბოვის თარგმნილ ლექსებს. როგორც გადმოგვცემენ, თარგმანი უნდა ეკუთვნოდეს კირილე ლორთქიფანიძეს. თავის სინტერესო წერილში: „სხვათა შორის“ ნიკოლაძეს ავტორის დაუსახელებლად მოყავს დობროლუბოვის ცნობილ ლექსიდან შემდეგი ადგილი:

„И ваш друзьл, хочу быть вашим,
На труд и горесть я готов, —
Готов начать в союзе вашем
Живое дело вместо слов“. (იხ. კრებული № 4, 1873 წ.).

მთელ რიგ წერილებში იგი არჩევდა ახალ ქართულ ლიტერატურულ ნაწერებს, არკვევდა კრიტიკისა და ლიტერატურის დანიშნულებასა და როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ საკითხების გარკვევის დროსაც იგი მტკიცედ იცავდა იმ თეორიულ პოზიციებს, რომელიც დაამკვიდრა ჩერნიშევსკიმ 50-იან წლებიდან ესთეტიკისა და ლიტერატურის საკითხში. მაგ. კრიტიკის დანიშნულების შესახებ ნ. ნიკოლაძე სწერდა: „რადგანც კრიტიკა თვალს უნდა ადევნებდეს ცხოვრების ხასიათს, ნიადაგ უნდა აფასებდეს ამ ხასიათის გამოხატულებას სხვადასხვა თხზულებაში, და თან თხზულების ღირსებასაც უნდა აფასებდეს და ცხოვრებასაც, უეჭველია, რომ იმას ყოველთვის მოვალეობათ ექნება ამ ცხოვრების ხასიათზე სჯა, მისი გაუკეთესების ცდა და საზოგადო აზრის იმ რიგად მიმართვა, როგორც შეეფერება თანადროულ მდგომარეობას და საზოგადოების მოთხოვნილებას"[1]). რეალური სინამდვილის ასახვა და ცხოვრების განახლებისათვის ზრუნვა—ეს დებულებანი ჩერნიშევსკის ესთეტიური თეორიიდან მომდინარეობს[2]). რაციონალიზმის, რეალიზმის და უტილიტარიზმის პრინციპი ჩვენ ლიტერატურასა და კრიტიკაში დიდი ხნის განმავლობაში ბატონობდა, თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის" თავიდანვე გამოეთხარა საფუძვლები. ჩერნიშევსკის ესთეთიურ-ლიტერატურულმა თეორიამ თავიდანვე საგრძნობლად გააჯანსაღა ქართული ლიტერატურა და მიმართა იგი რეალიზმისაკენ.

---

[1]) ნ. სკანდელი: „კრიტიკა და მისი დანიშნულება ლიტერატურაში", „კრებული" № 3, გვ. 230, 1871 წ.

[2]) არის ცნობა, რომ ჩერნიშევსკის ცნობილი დისერტაცია: „Эстетическое отношение" ქართულად გადმოსთარგმნა ახალგაზრდა ნიკერმა მწერალმა ნ. ინაშვილმა. რამდენად სწორია ეს ცნობა დღეს ჩვენ ამის თქმა არ შეგვიძლია,

ასეთი იყო ჩერნიშევსკისა და რუსეთის რადიკალური აზროვნების გავლენა 60-იანი წლების ქართველ ინტელიგენციაზე და ქართულ ლიტერატურაზე.

მაგრამ ჩერნიშევსკის გავლენა ჩვენს ინტელიგენციაზე არც ზემოთ აღნიშნული მომენტებით ამოიწურება და არც 60-იანი წლებით არ შემოიფარგლება. ჩერნიშევსკის გავლენის ქვეშ იდგენ 70-იან წლების ქართველი ინტელიგენციის რადიკალურ-რევოლუციონური მიმდინარეობის წარმომადგენელნი. 70-80-იან წლებში ქართველი ხალოდნიკული ინტელიგენცია ხარბად ეწაფებოდა ნ. ჩერნიშევსკის ნაწერებს და ითვისებდენ მის სოციალისტურ იდეებს. ამის დასამტკიცებელი მასალები ჩვენ ბლომად მოგვეპოება ცალკე მოგონებებისა და საარქივო მასალების მიხედვით. [1]).

---

[1]) აი რას სწერდა 70-იანი წლების ინტელიგენციის, რუსეთის 60-იანი წლების იდეებით გატაცების შესახებ ამაეე წლების რევოლუციონური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ს ტ. ჰ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი:—„ჩვენის გულისა და სულის უდაბნოში წამოიჭიმა ჩინებული წალკოტი, რომელსაც ალტაცებით შეჰხაროდა ჩვენი ნორჩი ჭკუა და გრძნობა. რაკი ასეთმა საზოგადოებრივმა აზრებმა მიიზიდა ახალგაზრდის გული, უკან გამობრუნება მოუხერხებელი ღა იყო, გინდაც რომ ძალა მიგეტანათ, საკუთარის ნებით ხომ უკან კი აღარ, პირ-იქით, წინ უნდა წასულიყო სურვილი, რამდენიც სწავლის გამო გაუჯდებოდა გვერდებში ახალგაზრდასა ასეც მოხდა. ჩვენს სასწავლებლებში ყმაწვილები გამოფხიზლდნენ. ამხანაგობა გაიმართა და ურთიერთის დახმარებით შეუდგნენ ახალგაზრდები თავიანთს განათლებას—კითხულობდნენ, ბაასობდნენ. იმართებოდა აზრების აღებმიცემობა და სხვა ამისთანა სიკეთე. დამშეულივით დაეწაფა ჩვენი ახალგაზრდობა 60-იან წელთა მდიდარ ლიტერატურას რუსეთისასაც, ბევრი საკაცთმოყვარო აზრები შეითვისა თვით იმ ასაკში, როდესაც ყმაწვილს თამაშისა და ცელქობისაკენ უფრო უნდა ერჩოდეს გული. შეუძლებელი იყო, რომ ამ აზრებს არ ეჩინა თავი ახალგაზრდის ყოველდღიურს ცხოვრებაში. იჩინა თავი და საქმე ისე წავიდა, რომ 1874 წლიდან 1878 წლამდე, სულ რაღაც ოთხი წლის განმავ-

70-იანი წლების რუსეთის ნაროდნიკულ-რევოლუციონურმა მოძრაობამ მეტად დიდი გავლენა მოახდინა ქართველი ინტელიგენციის რევოლუციონურად გამოფხიზლების საქმეზე. ჩვენშიაც მოეწყო რევოლუციონური წრეები, დაარსდა ნაროდნიკული პარტია და ინტელიგენციის რევოლუციონური ნაწილი რუსეთის რევოლუციონებთან ერთად ემზრადებოდა ხალხში გასასვლელად არსებული წყობილების დამხობის მიზნით. ამ პერიოდში ჩერნიშევსკის გავლენა უფრო გაიზარდა და გაცხოველდა. ციმბირის ციხეებში დატყვევებული დიდი რევოლუციონერის დროშა მხნედ ასწია ზეკით ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა.

ცნობილი მწერალი **სოფ. მგალობლიშვილი** მოგვითხრობს: „1872 წლიდან უკვე ეწყობა ქ. ტფილისში აქაიქ კრებები, ესწრებიან მოსწავლე ახალგაზრდანი, კითხულობენ, სხვათა შორის, არა ლეგალურს წიგნებს; სასწავლებლებში ფუძნდება საიდუმლო ბიბლიოთეკები, სადაც ინახება „სოვრემენიკი“, „ველიკოროსი“, დობროლუბოვი, პისარევი, ისტორიული წიგნები, ლასალი, პრუდონი და სხვ... რუსეთიდან ჩამოდიოდენ ჩვენში გამორიცხული ქართველი სტუდენტობა, რომელნიც ინტელიგენციაში ავრცელებდენ ახალ აზრებსა. ყველას პირზე ეკერა ჩერ-

---

ლობაში, მარტო თბილისის სემინარიას მოაკლდა ოთხმოცდარვა საუკეთესო შეგირდი (ე. ი. რევოლუციონური აზრებისათვის გამორიცხული იქნენ სასწავლებლიდან ს. ხ.) რომელნიც გულმოდგენით ემზადებოდნენ ქვეყნის სამსახურისათვის. თითქმის ამისთანავე ამბავი დაატყდათ ჩვენებურ დანარჩენ სასწავლებლებსა. ქართველ შეგირდების რიცხვმა საშინლად იკლო სასწავლებლებში. იმ დღიდამა ვხედავთ, რომ თითქმის ყველა ახალგაზრდა, რომელსაც კი შეეტყობა რაიმე ნიშან-წყალი სიკეთისა, ვერ გასცილდება ხოლმე მეხუთესა და მეექვსე კლასს“. (სანო—ს. ბრელაშვილი: „ძველი და ახალი თაობა“ გაზ. „ივერია“ № 189, 1888 წ.).

ნიშევსკი, დობროლუბოვი, მიხაილოვი, გერცენი, ბაკუნინი, ლავროვი, კარაკოზოვი და სხ.“ [1]) ამასვე გადმოგვცემენ თავიანთ მოგონებებში ივ. ჯაბადარი [2]) და ი. მანსვეტაშვილი [3]).

გ. თუმანიშვილი გადმოგვცემს: „ჩერნიშევსკის გადასახლების დიდი ხნის შემდეგაც იგი ახალთაობისათვის კავკასიაში საყვარელ პიროვნებას წარმოადგენდა ისე, როგორც რუსეთის სხვა ადგილებში. გასული საუკუნის 70-იან წლებში გიმნაზიაში, სადაც მე ვიზრდებოდი, როდესაც მოწაფეებმა დაიწყეს ლიტერატურული საღამოების გამართვა, პირველ ყოვლისა მათ წაიკითხეს რომანი „Что делать?“ და პისარევის წერილი ამ რომანზე. ნოვრასიის უნივერსიტეტში ჩემს სტუდენტობის დროს, კავკასიელ სტუდენტებს ჰქონდათ თავისი ბიბლიოთეკა, საკმაოდ მდიდარი მეცნიერული წიგნებით. ბიბლიოთეკაში იყო მხოლოდ ერთი პორტრეტი დიდი ჩარჩოებით ჩამოკიდებული კედელზე და ეს იყო ჩერნიშევსკის პორტრეტი... და ეს სრულიად არ იყო რაღაც გამონაკლისი მოვლენა. ის სავსებით ეგუებოდა იმ საერთო თაყვანისცემას, რომლითაც შემოსილი იყო ჩვენში ჩერნიშევსკის სახელი.. ასე დიდათ აფასებდენ რუსეთის დიდ პუბლიცისტს რუსეთის შორეულ კუთხეებშიაც. [4]).

რასაკვირველია ჩერნიშევსკის წიგნების გავრცელება ლეგალურის გზით ჩვენში შეუძლებელი იყო, მაგრამ არა ლეგალურის გზითაც ამ ნაწერებმა საკმაოდ დიდი რო-

---

[1]) სოფ. მგალობლიშვილი: „ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში“. ჟურ. „რევოლუციის მატიანე“ № 4—5, გვ. 281, 1924 წ.

[2]) იხ. მისი: „Процесс 50-ти“, ჟურ. „Былое“, № 8, 9, 10, 1907 წ.

[3]) ი. მანსვეტაშვილის მოგონებანი იბეჭდება ამჟამად „ქართულ მწერლობაში“.

[4]) Г. Туманов: „Характеристики“. გვ. 136-38.

ლი ითამაშეს ქართველი ინტელიგენციის გათვითცნობიერებისა და სოციალისტურად აღზრდის საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ 80-იან წლებიდან ნ. ჩერნიშევსკის აზრები და მისი მოძღვრება ქართველმა ინტელიგენციამ მუშა-ხელოსნებშიაც შეიტანა. მ. ჩოდრიშვილის და ზ. ჭიჭინაძის მოგონებები ჩვენ გადმოგვცემენ, რომ 80-იან წლების დასაწყისში ახალგაზრდა სემინარიელი ნაროდნიკები ხშირად უკითხავდენ მუშა-ხელოსნებს ჩერნიშევსკის ნაწერებსა და აცნობდენ მის მოღვაწეობასა და ცხოვრებას[1]). მაგრამ ამ საკითხს ჩვენ აქ ვრცლად ვერ შეეხებით [2]).

ამ პატარა ნარკვევიდან მკითხველი ნათლად ხედავს თუ როგორი დიდი როლი ითამაშა ნ. გ. ჩერნიშევსკიმ ქართულ რადიკალურ-დემოკრატიულ და სოციალისტურ აზროვნების განვითარების საქმეში. ჩერნიშევსკის გავლენა ქართულს აზროვნებასა და ლიტერატურაზე გამოიხატა შემდეგში:

1. იმ პერიოდში, როდესაც მნიშვნელოვანი პროცესები დაიწყო საქართველოს სოციალ-ეკონომიურ წყობილებაში კაპიტალისტური ურთიერთობის მიმართულებით, რაც იწვევდა სოციალური ჯგუფების ამოძრავებასა და ახალ იდეოლოგიურ ძიებებს, ნ. გ. ჩერნიშევსკიმ და მის-

---

[1]) ცნობები მოყვანილია ჩვენი წიგნის მეორე ტომში, გვ. 88, 112.

[2]) აღსანიშნავია, რომ ნ ჩერნიშევსკის გარდაცვალების შესახებ მხოლოდ ერთი პატარა წერილის დაბეჭდვა მოახერხა რადიკალურმა ინტელიგენციამ ქართულად: „წარსულის თვის უკანასკნელ რიცხვებში გარდაიცვალა რუსის გამოჩენილი მწერალი ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი"—სწერს გაზეთი „თეატრი" და შემდეგ მოჰყავს მხოლოდ ცნობები მისი დაკრძალვის შესახებ. (იხ. „თეატრი" № 37—88, გვ. 12, 1889 წ. წერილი: „ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი"). სასტიკმა ცენზურამ საქართველოშიაც შებორკა მისი პატივისმცემელნი.

მა თანამებრძოლებმა უდიდესი როლი ითამაშეს ქართველი ახალთაობის ინტელიგენციის გამოფხიზლებისა და მათთვის ახალ აზროვნების მიწოდების საქმეში.

2. უშუალო ჩერნიშევსკის აზროვნების ზეგავლენით ჩამოყალიბდა ჩვენში ახალი მიმდინარეობა რადიკალ-დემოკრატიული შინაარსით, რომელმაც შეითვისა ჩერნიშევსკისა და მისი ჯგუფისაგან არსებული წყობილების კრიტიკა, შრომის პრინციპი, პიროვნებისა და საზოგადოების თავისუფლება. „თერგდალეულთა" თაობა იყო ამ პრინციპების შემომტანი საქართველოში. შემდეგში ამ დემოკრატიულმა მიმდინარეობამ ღრმად გაიდგა ფესვები ქართულ ლიტერატურაში.

3. იმავე წყაროდან შემოიჭრა ჩვენში რაციონალისტური და პოზიტიურ-უტილიტარული აზროვნება, - რომელმაც გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ჩვენში გამეფებულ სქოლასტიურ-რელიგიურ აზროვნებას. იმავე ჩერნიშევსკის ზეგავლენით განმტკიცდა ჩვენს კრიტიკულსა და მხატვრულ ლიტერატურაში რეალისტურ-უტილიტარული პრინციპი. პირველად ესთეტიკის საკითხსა და კრიტიკულ წერილებში ეს პრინციპი გამოიყენა ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ, და თვისებურად ან ფურცელაძემ, ხოლო შემდეგში მისი ერთგული დამცველი გახდა, ამავე ლიტერატურის კრიტიკის სფეროში ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და ნაროდნიკი-კრიტიკოსები (სტ. ჭრელაშვილი, ნ. ხიზანაშვილი და სხვ.).

4. სოციალისტური აზროვნების პირველი მნიშვნელოვანი ნაკადული ქართულს აზროვნებაში ნ. გ. ჩერნიშევსკის მოძღვრებიდან გამომდინარეობდა. კაპიტალისტური წყობილების კრიტიკა, უმაღლესი სოციალური იდეალები, შრომის პრინციპი, ასოციაცია და თემური წყობილების თაყვანისცემა, ხალხთან დაახლოება და ხალხისათვის ზრუნვა,—აი რა შეითვისა უკვე 60-იან წლების დასაწყი-

სიდან ჩერნიშევსკის იდეური გაელენით ქართველი ინტელიგენციის ნაწილმა.

70—80 წლებში ამავე წრიდან განვითარდა ნაროდნიკული მიმდინარეობა საქართველოში, რომელმაც საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ქართული აზროვნების ვითარებაში. ცხადია, ეს ქართველი ნაროდნიკული ინტელიგენცია ნ. ჩერნიშევსკის უშუალო მოწაფედ სთვლიდა თავის თავს.

5. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ჩერნიშევსკისა და მისი შკოლის ეს გავლენა თავისებურ ელფერსა და შინაარს ღებულობდა საქართველოს სინამდვილეში: დიდი რევოლუციონერის სოციალ-პოლიტიკური პროგრამა და შეხედულებანი თავისებურს ცვლილებებს განიცდიდა ჯერ კიდევ განუვითარებელსა და მოუმწიფებელს ნიადაგზე, არსებითად ღებულობდა რა წვრილ-ბურჟუაზიულ ხასიათს. მაგრამ ეს სრულიად არ უარყოფს იმ ისტორიულ ფაკტს, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკი და მისი ჯგუფი გადაიქცა ქართველი მოწინავე ინტელიგენციის მისაბაძ მაგალითად უკვე 60-იან წლებიდანვე.

სექტემბერი
1928 წ.

* * *

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	გვ.
ნ. ჩერნიშევსკი ლიტერატურაში .	3—9
თავი პირველი	
ოჯახი და ცხოვრება	10 –14
თავი მეორე	
40-იანი წლები და ნ. ჩერნიშევსკი	15—33
თავი მესამე	
ჩერნიშევსკის ეპოქა .	34—41
თავი მეოთხე	
ნ. ჩერნიშევსკის ლიტერატურულ—მეცნიერული მოღვაწეობა	42—105
1. ნ. ჩერნიშევსკის ესთეტიკა .	45
2. ნ. ჩერნიშევსკის მატერიალიზმი	51
3. ნ. ჩერნიშევსკის ეკონომიური შეხედულება . და სოციალიზმი .	69
4. ნ. ჩერნიშევსკის ისტორიულ-სოციოლოგიური და პოლიტიკური მსოფლმხედველობა	84

თავი მეხუთე

ნ. ჩერნიშევსკი და 60-იანი წლების რევოლუციონური მოძრაობა 106—150

1. ნ. ჩერნიშევსკი და გლეხთა საკითხი 106

2. ნ. ჩერნიშევსკის რევოლუციონური ტაქტიკა 60-იან წლებში 113

3. ნ. ჩერნიშევსკი და ა. გერცენი 139

თავი მეექვსე

ოცდაშვიდი წელი ტუვეოგაში 151—161

დამატება

ნ. ჩერნიშევსკი და ქართველი ინტელიგენცია 163—198